

საგადასახადო

დაცვი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2019, №3

**Decisions of the Supreme Court of Georgia
on Administrative Cases
(in Georgian)**

2019, №3

**Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Verwaltungssachen
(in der georgischen Sprache)**

2019, №3

**Решения Верховного Суда Грузии
по административным делам
(на грузинском языке)**

2019, №3

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ლიანა ლომიძე

**ტექნიკური რედაქტორი
მარიკა გალალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

უზენალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საქონელი

1. დღგ-ით დაბეგვრა

საგადასახადო დაბეგვრის კანონიერების შემოწმება	4
დღგ-ის, მოგების და ქონების გადასახადის დარიცხვის კანონიერება	21
დღგ-ის გადაუხდელობისათვის დაკისრებული ჯარიმის და საურავის კანონიერება	38

2. საგადასახადო ვალდებულებების გადახდევინების

უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება	
ცრუმაგიერ პირებად ცნობისათვის	
სავალდებულო წინაპირობები	57; 72
საგადასახადო შეთანხმების გაფორმება	
საგადასახადო დავალიანების შემცირების მიზნით	87
ცრუმაგიერი პირის მიმართ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის	
ღონისძიებების განხორციელება	121
ცრუმაგიერ და ურთიერთდამოკიდებულ პირებად ჩათვლა	134

3. საგადასახადო სამართალდარღვევა და აუდიტი

აუდიტორული ფინანსური ანგარიშების წარმოების წესი	150
საგადასახადო სამართალდარღვევის	
საქმის წარმოების წესი	173
საბაჟო კონტროლი, საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის დადგენა	187

1. დღგ-ით დაგეგვრა

საგადასახადო დაგეგვრის კანონიერების შემოხეხა

განხილვა
საქართველოს სახელით

№ბს-702-695(2) 16)

14 მარტი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

სს „...“ 2014 წლის 20 ივნისს სარჩელით მიმართა თბილისის საქა-
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპა-
სუხების სისიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფი-
ნანსთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ საქართველოს ფინან-
სთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2014 წლის 30 მაისის
№... გადაწყვეტილების გასაჩივრებულ ნაწილში; სსიპ შემოსავლე-
ბის სამსახურის 2014 წლის 17 აპრილის №... ბრძანების გასაჩივრე-
ბულ ნაწილში; სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 31 დე-
კემბრის №... ბრძანების; სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის
30 დეკემბრის №... ბრძანებისა და 2013 წლის 24 დეკემბრის №...
საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებულ ნაწილში ბათილად ცნო-
ბა მოითხოვა.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ შემოსავლების სამსახურის აუ-
დიტის დეპარტამენტმა ჩატარა საგადასახადო შემოწმება და 2013
წლის 23 დეკემბერს გამოსცა საგადასახადო შემოწმების აქტი,
რომლის საფუძველზე 2013 წლის 24 დეკემბრის №... საგადასახა-
დო მოთხოვნით სს „...“ გადასახდელად დაერიცხს სულ 6 365 262 49
ლარი, მათ შორის ძირითადი გადასახადი 2 830 137 ლარი, ჯარიმა –
1 388 957 ლარი და საურავი -2 146 168 49 ლარი.

საბოლოოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების
განხილვის საბჭოს 2014 წლის 30 მაისის №... გადაწყვეტილებით, სს
„...“ საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ 4 სადაცვო სა-
კითხიდან არ დაკმაყოფილდა ორი, რომელიც შეეხება იჯარით აღე-

ბული ფართის დაბრუნებისას სარემონტო სამუშაოების მომსახურების მიწოდებად განხილვას და სს „ვ...“ დაკავშირებულ ოპერაციას, რაზეც სს „...“ დაეკისრა 2 604 527 ლარის გადახდა.

მოსარჩელე იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით მიუთითებდა, რომ კომპანიას იჯარით აღებულ ფართზე განეული ჰქონდა სარემონტო სამუშაოები. შემოწმებელთა მიერ, იჯარით აღებულ ფართზე განეული სარემონტო სამუშაოების ნარჩენი ღირებულება დაბეგრილ იქნა დღგ-ით საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში. საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე კომპანია წლების განმავლობაში იყენებდა იჯარის ობიექტს ეკონომიკური საქმიანობისათვის და იჯარით აღებულ ფართზე სარემონტო სამუშაოების ჩატარება საჭირო იყო მისი სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის. ამასთან, 2008 წელს მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში იჯარით აღებულ ფართზე განეული სარემონტო სამუშაოების მეიჯარისათვის დაბრუნება არ განიხილებოდა მიზოდებად დღგ-ს მიზნებისათვის. რაც შეეხება სს „ვ...“ დაკავშირებულ ოპერაციას: 2010 წლის 4 მარტს დაფუძნდა სს „ვ...“, რომლის კაპიტალშიც შეტანილ იქნა 10 411 565 ლარის ღირებულების უძრავი ქონება. 2010 წლის 11 მარტის სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმის საფუძველზე კომპანიამ განახორციელა საკუთარი აქციების გამოსყიდვა შპს „კ...“, რომელიც იმ მომენტისათვის ფლობდა კომპანიის 24,78% სანაცვლოდ აქციონერისათვის გადაცემულ იქნა ახლად დაფუძნებული კომპანიის – სს „ვ...“ 89% წილი. შემოწმებელთა მიერ აღნიშნულ ოპერაციას შეეცვალა ფორმა შინაარსთან შეუსაბამობის საფუძვლით და დაკვალიფიცირდა წილის სანაცვლოდ ქონების მიზოდებად, რაც დაექვემდებარა დღგ-თი დაბეგრას. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 2010 წელს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით წილის მიწოდება არ ექვემდებარებოდა დღგ-თი დაბეგრას. ამდენად, მოსარჩელის მოსაზრებით საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის გამოყენება არ იყო მართებული ზემოაღნიშნულ ოპერაციებთან მიმართებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ძალაში შესვლიდან გასაჩინობრებულ ნაწილში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს 2014 წლის 30 მაისის №... გადაწყვეტილება, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 17 აპრილის №... ბრძანება, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2013 წლის 31 დეკემბრის №... ბრძანება, ამავე სამსახურის 2013 წლის 30 დეკემბრის

№... ბრძანება და 2013 წლის 24 დეკემბრის №... საგადასახადო მოთხოვნა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და სსიპ შემოსავლების სამსახურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 აპრილის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩეულესა და ფ/პ ი. კ-ეს შორის 2008 წლის 22 აპრილს დაიდო უძრავი ქონების იჯარით გადაცემის ხელშეკრულება, ხელშეკრულებით გადასახდელი საიჯარო თანხა განისაზღვრა ყოველთვიურად 7 749 ეროვნული რენტი (ექვივალენტი ლარში); 2008 წლის 30 ოქტომბერს შეწყვეტილ იქნა საიჯარო ხელშეკრულება და უძრავი ქონება დაუბრუნდა მესაკუთრეს – ფ/პ ი. კ-ეს; ასევე დადგენილია, რომ 2008 წელს იჯარით აღებულ ფართზე მოსარჩეულებ ჩატარა 402,326 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები; საგადასახადო ორგანომ მეიჯარის მიერ იჯარით აღებულ ფართზე სარემონტო სამუშაოების ჩატარების მინოდებად და მეიჯარე დაბეგრა დღგ-ით ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში სარემონტო სამუშაოების ნარჩენი ღირებულების (402 326 ლარი) შესაბამისად საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის საფუძვლზე; სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია იმის შესახებ, რომ აღნიშნულ საგადასახადო დაბეგვრას არ გააჩნდა მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი და, შესაბამისად, არის უკანონო; კერძოდ, სადაც იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსით საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში იჯარით აღებულ ფართზე განეული სარემონტო სამუშაოების მეიჯარისათვის დაბრუნება არ განიხილებოდა მინოდებად დამატებული ღირებულების გადასახადის მიზნებისათვის; მითითებული ოპერაცია დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრას დაექვემდებარა 2011 წლის 1 იანვრიდან მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად; შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დასაბუთებულად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია იმის შესახებ, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ სადაც დარიცხვა განა-

ხორციელა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილითა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის დარღვევით, რადგან მითითებული ნორმით იმპერატიულად არის დადგენილი, რომ გადასახადებით დაბეგვრისათვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა. სააპელაციო პალატამ ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია იმის შესახებ, რომ საქმეზე დადგენილი იმ უდავო ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პირობებში, როდესაც მხარეთა შორის დადებული იყო იჯარის ხელშეკრულება, რომელიც შეწყდა მხარეთა ნების საფუძველზე, კომპანია იჯარით აღებულ ფართზე სარემონტო სამუშაოების განხორცილების შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში (ხელშეკრულების შეწყვეტამდე) სარგებლობდა იჯარით აღებული ფართით და იხდიდა შესაბამის საიჯარო ქირას, გამორიცხავს საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო კოდექსის 73.9 მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების გამოიყენების საფუძველზე სადავო სამეურნეო ოპერაციის მომსახურების მიწოდებად კვალიფიკაციის შესაძლებლობას.

სს „ვ...“ დაკავშირებული ოპერაციის მიმართ სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2010 წლის 4 მარტს მოსარჩელე კომპანიამ დაათვაზნა სს „ვ...“, რომლის კაპიტალში შეტანილი იქნა 10 411 565 ლარის ღირებულების უძრავი ქონება; 2010 წლის 11 მარტს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით გამოსყიდულ იქნა საკუთარი აქციები (24,78%) შპს „ვ...“ სს „ვ...“ 89%-იანი წილის გადაცემის სანაცვლოდ (წილის ღირებულება – 6 986 500 ლარი, იგივეა რაც შპს „ვ...“ 24,78% წილის ღირებულება; მითითებულ სამეურნეო ოპერაციას საგადასახადო ორგანომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის საფუძველზე შეუცვალა კვალიფიკაცია და მიიჩნია, რომ სადავო სამეურნეო ოპერაცია წარმოადგენს დასაბეგრ იპერაციას, კერძოდ, ქონების მიწოდებას წილის სანაცვლოდ, რის გამოც ეს ოპერაციი დაუქვემდებარა დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრას; სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია იმის შესახებ, რომ აღნიშნულ სადავო სამეურნეო ოპერაციასთან მიმართებაში არ არსებობდა ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობები მისი კვალიფიკაციის შეცვლასთან დაკავშირებით; კერძოდ, სადავო სამეურნეო ოპერაციით განხორციელდა სანარმოს წილის მიწოდება აქციების სანაცვლოდ, რაც არის „მენარმეთა შესახებ“ კანონის 53.1. მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად კანონიერი და ლეგიტიმური ოპერაციაა, ამასთან, ოპერაციის ფორმა შეესაბამება მის შინაარსს, რადგან დადგენილია, რომ მოსარჩელე კომ-

პანია დღემდე არის სს „ვ...“ 11% წილის მფლობელი, რომლის ღირებულება დაახლოებით არის 1,2 მილიონი ლარი; შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა საგადასახადო ორგანოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ კომპანიის მიერ სს „ვ...“ 11% წილის ფლობას აქვს ფორმალური ხასიათი; ამასთან, სააპელაციო პალატამ საყურადღებოდ მიიჩნია საქმეში წარმოდგენილი გარემოებები იმის შესახებ, რომ კომპანია აღნიშნულ აქტივს უკავშირებს კომერციულ მიზნებს, კერძოდ, გეგმავს არქიტექტურული პროექტის განვითარებას მიწის ნაკვეთზე, რის შესახებაც მას გააჩნია შესაბამისი დამუშავებული პროექტები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩინორეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და სსიპ შემოსავლების სამსახურმა.

კასატორებმა მიუთითეს, რომ მხარეთა შორის სადაცოა შემდეგი ორი საკითხი: 1. იჯარით აღებული ფართის სარემონტო სამუშაოების იჯარის საგნის დაბრუნებისას მომსახურების მიწოდებად განხილვა; 2. სს „ვ...“ დაკავშირებული ოპერაცია;

– იჯარით აღებული ფართის სარემონტო სამუშაოების იჯარის საგნის დაბრუნებისას მომსახურების მიწოდებად განხილვასთან დაკავშირებით კასატორებმა აღნიშნეს: სასამართლოება მიუთითეს, რომ საგადასახადო ორგანომ დარიცხვის განხორციელებისას უსაფუძვლოდ გამოიყენა საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება და განმარტა, რომ სადაცო იჯარის ხელშეკრულების შენცვეტის მოქმედი საგადასახადო კოდექსით საიჯარო ხელშეკრულების შენცვეტის მომენტში იჯარით აღებულ ფართზე განეული სარემონტო სამუშაოების მეიჯარისათვის დაბრუნება არ განიხილებოდა მიწოდებად დღე-ის მიზნებისათვის. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, მითითებული ოპერაცია დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარა 2011 წლის 1 იანვრიდან მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის „ვ...“ ქვეპუნქტის შესაბამისად. სასამართლოს განმარტებით „თუ მოპასუხებ მიიჩნია, რომ კომპანიის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაცია ექვემდებარებოდა დაბეგვრას, ის ვალდებული იყო მიეთითებინა საგადასახადო კოდექსის იმ ნორმაზე, რომელიც სამეურნეო ოპერაციის განხორციელების დროისათვის ცალსახად განსაზღვრავდა ამ ოპერაციის დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის შესაძლებლობას“. კასატორები არ ეთანხმებიან სასამართლოების მითითებულ მსჯელობას, ვინადან დადგენილია, რომ შპს „კლ...“ და ფ/პ ი. კ-ეს შორის 2008 წლის 22 აპრილს დაიდო უძრავი ქონების იჯარით გადაცემის ხელშეკრუ-

ლება, ხელშეკრულებით გადასახდელი საიჯარო თანხა განისაზღვრა ყოველთვიურად 7 749 ევროს ოდენობით (ექვივალენტი ლარში). ამასთან, ხელშეკრულებით არ იყო განსაზღვრული საიჯარო გადასახდელების შემცირება იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობის ღირებულებით. 2008 წლის 30 ოქტომბერს შეწყვეტილ იქნა 2013 წლის 22 აპრილის ხელშეკრულება, რის შედეგადაც უძრავი ქონება დაუბრუნდა მესაკუთრეს – ფ/პ ი. კ-ეს. შპს „კლ...“ 2008 წელს იჯარით აღებულ ფართზე შპს „ო...“ ჩაატარებინა 402,326 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები (დღგ-ის გარეშე), საიდანაც 270,000 ლარის სამუშაოებზე დღგ არ ჩაუთვლია (იმ მომენტში არ იყო დღგ-ის გადამხდელი). 2008 წლის ოქტომბრის თვეს, როცა განხორციელდა იჯარის საგნის დაბრუნება მეიჯარეზე, სს „კლ...“ აღადგინა სარემონტო სამუშაოების ნაწილზე ჩათვლილი დღგ-ის თანხები. შემონმების მიერ მოხდა ოპერაციის განხილვა მომსახურების მიწოდებად და დაისეგრა დღგ-ით იმ პერიოდისათვის არსებული ნარჩენი ღირებულებიდან (402 326 ლარი). 2011 წლამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით: „საქონლის მიწოდებად ითვლება პირის მიერ სხვა პირისთვის საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა სასყიდლით (მათ შორის, საქონლის რეალიზაციის, გაცვლა, ხელფასის ან ნატურალური ფორმით ანაზღაურება) ან უსასყიდლოდ, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი – „მომსახურების განვევად ითვლება სხვა პირისათვის მისივე ნებით, კომპენსაციის მიზნით ან უსასყიდლოდ ისეთი მოქმედების შესრულება, რომელიც არ არის საქონლის მიწოდება. მომსახურების მიწოდებას არ განცეკუთვნება ისეთი მომსახურების განვევა, რომელიც დღგ-ის მიზნებისათვის გულისხმობს ფულზე საკუთრების უფლების გადაცემას ან დაქირავებით მუშაობას“.

საგადასახადო კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციებია: ამ კოდექსის 239-ე ან 240-ე მუხლის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული საქონლის/მომსახურების მიწოდება, მათ შორის, უსასყიდლოდ (გარდა, ამ კოდექსით გათავისუფლებული მიწოდებისა); საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის მიწოდების მომენტი.

კასატორების მოსაზრებით მითითებული ნორმების ანალიზი-დან ცალსახად ჩანს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა, თითქოს 2008 წელს მოქმედი საგადასახადო კოდექსით, საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში იჯარით აღებულ

ფართზე განეული სარემონტო სამუშაოების მეიჯარისათვის დაბრუნება არ განიხილებოდა მომსახურების მიწოდებად დღგ-ის მიზნებისათვის არის მცდარი და დაუსაბუთებელი, რადგან 2011 წლამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსი იცნობდა იჯარით აღებულ ფართზე განეული სარემონტო სამუშაოების დღგ-ით დაპევრის შესაძლებლობას, რაც დასტურდება შემოსავლების სამსახურის უფროსის 2010 წლის ნორის 12 აგვისტოს №1475 ბრძანებით დამტკიცებული №0802 სიტუაციური სახელმძღვანელოთიც. აღნიშნული სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით იმ შემთხვევაში, თუკი იჯარით აღებულ ცვეთად აქტივზე რემონტის ხარჯი კაპიტალიზებულია და იჯარის ხელშეკრულება ვადაზე ადრეა შეწყვეტილი, გადაცემული აქტივის ღირებულებას უნდა დაერიცხოს დღგ. ამდენად, კასატორების მოსაზრებით 2011 წლის 1 იანვარს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით არ მომხდარა ახალი დაბევერის მიერთების შემნა, არამედ ის მიერთების რომელიც მანამდეც იქცევებოდა დღგ-თი, უფრო დაკონკრეტდა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ყოველგვარი გაუგებრიბა, რაც კანონმდებლობის სრულყოფის ჩვეულებრივი და მუდმივი პროცესია.

შპს „კლ...“ იჯარით აღებულ ფართს ჩაუტარა კაპიტალური რემონტი, რომლის ღირებულებაში ჯამში შეადგინა 402 326 ლარი. რემონტის ხარჯის კაპიტალიზება მოხდა იჯარით აღებულ უძრავ ქონებასთან და რემონტი გახდა უძრავი ქონების არსებითი შემადგენლი ნაწილი. მას შემდეგ რაც მოხდა იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტა, ნივთის მესაკუთრეს გადაეცა არსებითად გაუმჯობესებულ მდგომარეობაში მყოფი ქონება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით: „საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს: ა) მხედველობაში არ მიიღოს სამეურნეო ოპერაციები, რომელებსაც არა აქვს არსებითი ეკონომიკური გავლენა; ბ) სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეცვალოს მისი კვალიფიკაცია, თუ მიერთების ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს.“.

საგადასახადო ორგანოების მიერ შეფასდა მოსარჩელის ბიზნეს სპეციფიკა და საიჯარო გადასახადების ოდენობა, ასევე შეფასდა თუ რეალურად რამდენ ხანს მოქმედებდა საიჯარო ხელშეკრულება, რა დროს მოხდა საიჯარო ქონების უკან დაბრუნება, რისი გათვალისწინებითაც ადმინისტრაციული ორგანოები მიიჩნევენ, რომ საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის საფუძველზე ოპერაცია წარმოადგენს მეიჯარისათვის მომსახურების განევას და შესაბამისად, სავსებით სწორად არის გადასახადის გადამხდელი და-

ბეგრილი დამატებული ღირებულების გადასახადით.

– მეორე სადაცო საკითხთან – სს „ვ...“ დაკავშირებულ ოპერაციასთან დაკავშირებით კასატორები მიუთითებენ შემდეგს: 2010 წლის 4 მარტს სს „ს...“ მიერ დაფუძნებულ იქნა სს „ვ...“, რომლის კაპიტალშიც შეტანილ იქნა უძრავი ქონება 10,411,565 ლარის ღირებულებით. სს „ს...“ გახდა სს „ვ...“ 100% წილის მფლობელი. სს „ს...“ მხრიდან სს „ვ...“ შენატანის განხორცილების პერიოდისათვის მისი დამფუძნებლები იყვნენ: 1. სს „სა...“ – 74.56%; 2. შპს „კ...“ – 24.78%; 3. გ. 6-ი – 0.65%. 2010 წლის 11 მარტის სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმის საფუძველზე სს „ს...“ განახორციელა საკუთარი აქციების გამოსყიდვა შპს „კ...“, რომელიც იმ მომენტისთვის ფლობდა კომპანიის 24,78%. სანაცვლოდ აქციონერისათვის გადაცემულ იქნა ახლად დაფუძნებული კომპანიის — სს „ვ...“ 89% წილი. აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში კომპანიის მიერ სს „ვ...“ 89%-იანი წილი შეფასებული იყო 6,9 მლნ ლარად, ხოლო სს „ს...“ შპს „კ...“ კუთვნილი წილი 24,78% შეფასებული იქნა ასევე 6,9 მლნ ლარად.

ზემოაღნიშნული ოპერაცია კომპანიამ განიხილა, როგორც წილის სანაცვლოდ წილის გადაცემა, ხოლო საგადასახადო ორგანოს მიერ კი იგი შეფასებულ იქნა, როგორც უძრავი ქონების მიწოდება წილის სანაცვლოდ. შესაბამისად, შემომზებელთა მიერ მოცემულ ოპერაციას შეეცვალა ფორმა შინაარსთან შეუსაბამისის საფუძვლით, რაც დაეკვემდებარა დღგ-ით დაბეგვრას. კერძოდ, 2011 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციაა ამ კოდექსის 239-ე ან 240-ე მუხლის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული საქონლის/მომსახურების მიწოდება, მათ შორის, უსასყიდლოდ. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას უსაფუძვლოდ იქნა გამოყენებული საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლი. სასამართლოს განმარტებით, არ დასტურდება ის გარემოება, რომ სადაცო სამეურნეო ოპერაციის მითითებული ფორმითა და შინაარსით განხორციელება მიზნად ისახავდა საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო ვალდებულების თავიდან აცილებას. სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ კომპანიის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაცია ნარმოადგენს წილის მიწოდებას, რამდენადაც კომპანია სს „ვ...“ 11% წილის მფლობელია დღემდე და ამ წილის ღირებულება დაახლოებით არის 1,2 მილიონი ლარი. ამასთან, სასამართლო დაეყრდნო მტკიცებულებას, რომლის მიხედვითაც სამეურნეო ოპერაციის განხორციელების შემდეგ

კომპანიის მიერ განხორციელებულია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედებები, რომლებიც უკავშირდება კომპანიის ინტერესს მითითებულ წილთან მიმართებაში, კერძოდ კომპანია გეგმავს არ-ქიტექტურული პროექტის განვითარებას მიწის ნაკვეთზე.

ადმინისტრაციული ორგანოები არ ეთანხმებიან სასამართლო-ების მსჯელობას. სს „ვ...“ რაიმე სახის საქმიანობა არ განუხორციელებია, გარდა საქართველოს ბანკზე ქონების იჯარით გადაცემისა (შპს „ვ...“ წილის გადაცემის შემდეგ). მიუხედავად იმისა, რომ მოხდა ქონების შეტანა დღგ-ის გადამხდელი პირის სს „ს.“ მიერ, სს „ვ...“ კაპიტალში, დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაციაზე პირი სა-გადასახადო კოდექსის 157-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით არ დამდგარა. ამასთან, სს „ს...“ მხრიდან, გარდა ქონებრივი შენატანისა, არ მომხდარა არანაირი ისეთი ხარჯის განევა, რაც სს „ვ...“ ამ ქონების მნარმოებლურობას გაუმჯობესებდა.

რაც შეეხება გადამხდელის მიერ წარმოდგენილ კონცეპტუალურ დიზაინს, რომელიც შესრულებულია-ის მიერ, იგი შედგენილია 2011 წლის 25 იანვარს და დღემდე მისი განხორციელებისათვის არანაირი კაპიტალიზებადი ხარჯი არ არის განეული. აქედან გამომდინარე, მითითებულ წილთან მიმართებაში კომპანიის ინტერესის „კონცეპტუალური დიზაინის“ მეშვეობით დადგენა, მოკლებულია ყოველგვარ დასაბუთებას. სადაც საკითხის ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვისას სრულყოფილად იქნა გამოკვლეული ყველა ფაქტობრივი გარემოება და მიჩნეულ იქნა, რომ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს შემდეგ გარემობათა გამო: სს „ს...“ 2010 წლის 4 მარტს დააფუძნა სს „ვ...“; საწესდებო კაპიტალში შეიტანა სს „სა...“ მიერ სს „ს...“ შეტანილი სს „ვე...“ ყოფილი ქონება მდებარე ღვინის ქარხანა შეფასებული 10,411,565 ლარის ღირებულებით; სს „ს...“ გახდა სს „ვ...“ 100%-იანი წილის მფლობელი; იმ მიზნით, რომ საკუთარი წილიდან გაეყვანა შპს „კ...“ სს „ს...“ სს „ვ...“ 89% გადასცა შპს „კ...“ და სანაცვლოდ გაუცვალა სს „ს...“ კუთვნილ 24,78% წილზე; სს „ს...“ მიერ სს „ვ...“ დაფუძნება და წილის გადაცემა შპს „კ...“ განხორციელდა ერთდროულად; სს „ს...“ სს „ვ...“ არსებული 89%-იანი წილი – 9,266,293 ლარის ღირებულების აქციები გაუცვალა შპს „კ...“ 6,986,500 ლარის ღირებულების აქციებში; შპს „კ...“ ოპერაციის განხორციელების თარიღისათვის არ იყო დღგ-ის გადამხდელი. მომჩივნის მხრიდან გარდა ქონებრივი შენატანისა არ მომხდარა არანაირი კაპიტალიზებადი ხარჯის განევა სს „ვ...“ ამ ქონების მნარმოებლუნარიანობის გასაუმჯობესებლად.

კასატორები მიიჩნევენ, რომ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე ნათელია, რომ საგადასახადო ორგანოს

პოზიცია ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებაში არის დასაბუთებული და კანონშესაბამისი, კერძოდ საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის შესაბამისად ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს და აღნიშნული არის ქონების მიწოდება წილის სანაცვლოდ. საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს: ა) მხედველობაში არ მიიღოს სამეურნეო ოპერაციები, რომლებსაც არა აქვს არსებითი ეკონომიკური გავლენა; ბ) სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეცვალოს მისი კვალიფიკაცია, თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს. გამომდინარე აქედან, კასატორების მოსაზრებით, სს „...“ მიერ სს „ვ...“ შექმნა და ამ უკანასკნელის – 9,266,293 ლარის ღირებულების 89%-იანი წილის „კ...“ (რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელი), 6,986,500 მლნ ლარის ღირებულების 24,78%-ის წილის სანაცვლოდ გადაცემა, ოპერაციის შინაარსის გათვალისწინებით, წარმოადგენს არა 89%-იანი წილის გასხვისებას, არამედ ქონების მიწოდებას წილის სანაცვლოდ. ფაქტობრივი გარემოებებიდან დგინდება, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომჩინეანი ფორმალურად დაიტოვა სს „ვ...“ 11%-იანი წილი, მან შპს „კ...“ ფაქტობრივად ოპერაციის შინაარსის მიხედვით შესაბამისი ღირებულებით მიაწოდა, მდებარე უძრავი ქონება. გადამხდელი რომ სწორედ უძრავი ქონების მიწოდებას ისახავდა მიზნად და არა წილის გასხვისებას, ნათლად ჩანს სასამართლოსთვის მხარის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებებიდან და საპაექრო სიტყვიდანაც. კერძოდ, მხარემ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში თუ უძრავ ქონებას არ გაიტანდნენ საზოგადოების გარეთ და არ დაარეგისტრირებდნენ სხვა შპს-ზე, პოტენციური ინცესტორები სიფრთხილის გამო უარს აცხადებდნენ აღნიშნულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ პროექტებში მონაწილეობაზე, რამეთუ არ სურდათ თანხები ჩაედოთ იმ უძრავი ქონების განვითარებაში, რომლის მფლობელიც საქართველოს მასშტაბით ახორციელებდა სხვა პროექტებსაც და თუკი ერთ-ერთ ამ პროექტთან დაკავშირებით შეიქმნებოდა ფინანსური პრობლემები, ეს აუცილებლად აისახებოდა ამ კონკრეტული უძრავი ქონების ბედზეც.

კასატორები მიუთითებენ, რომ საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ კვეპუნქტი არ ამოინურება მხოლოდ ისეთი ოპერაციებით, რომელთა მიმართაც სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლის საფუძველზე დადგენილია ფიქტურობა ან თვალომაქცურობა. აღნიშნული ნორმის თანახმად, კონკრეტული ოპერაციის შეფასება არ არის დაკავშირებული მხოლოდ მის ფორმალურ შინაარსზე (მაგ. სახეზე გვაქვს ნასყიდობის თუ ჩუქების ხელშეკრუ-

ლება), ვინაიდან საგადასახადო კოდექსის მიზნებისათვის აქტუალურია ხელშეკრულების არა მხოლოდ ფორმალური მხარე არამედ ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია ის მატერიალური შედეგები, რომლის საფუძველზეც უნდა განხორციელდეს კონკრეტული საწარმოს საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა. ასეთ პირობებში კი გარიგების მართლზომიერების თაობაზე საუბარი დაკავშირებულია ისეთ საკითხთან, როგორიცაა გადასახადის გადამხდელის მიერ კუთნილი გადასახადისგან თავის არიდება, რაც წმინდა სამოქალაქო სამართლებრივი კუთხით რიგ შემთხვევებში შესაძლოა განხორციელებული იყოს „მართლზომიერი“, კანონმდებლობის სრული დაცვით გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. ანუ, შესაძლოა, გადამხდელის ქმედება ფორმალურად მართლზომიერი იყოს, მაგრამ არსებითად ენინააღმდეგებოდეს კანონის მიზნებს და მიმართული იყოს გადასახადისაგან თავის არიდებისაკენ. შესაბამისად, ოპერაციის საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით შეფასებისას მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს საწარმოთა მოტივაცია და განისაზღვროს შედეგობრივად რისკენ არის მიმართული მათი ქმედებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 6 დეკემბრის განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივრები, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება და მიიჩნევს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი;

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები საგალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

„დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია“ გულისხმობს მხარის მითითებას საპროცესო-სამართლებრივ დარღვევებზე, რასაც შედეგად ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა მოჰყვა. განსახილველ შემთხვევაში, სადაცო იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობასთან და სს „ვ...“ დაკავშირებულ ოპერაციებზე დღგ-ს დარიცხვის კანონიერება, რასთან დაკავშირებით დასაშვები და დასაბუთებული შედაგება წარმოდგენილი არ ყოფილა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებებით:

1. მოსარჩელესა და ფ/პ ი. კ-ეს შორის 2008 წლის 22 აპრილს დაიდო უძრავი ქონების იჯარით გადაცემის ხელშეკრულება, ხელშეკრულებით გადასახდელი საიჯარო თანხა განისაზღვრა ყოველთვიურად 7 749 ევროს ოდენობით (ექვივალენტი ლარში); 2008 წლის 30 ოქტომბერს შეწყვეტილ იქნა საიჯარო ხელშეკრულება და უძრავი ქონება დაუბრუნდა მესაკუთრეს – ფ/პ ი. კ-ეს; ასევე დადგენილია, რომ 2008 წელს იჯარით აღებულ ფართზე მოსარჩელემ ჩაატარა 402,326 ლარის ლირებულების სარემონტო სამუშაოები; საგადასახადო ორგანომ მეიჯარის მიერ იჯარით აღებულ ფართზე სარემონტო სამუშაოების ჩატარების ოპერაცია განიხილა მომსახურების მიწოდებად და მეიჯარე დაბეგრა დღგ-ით ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში სარემონტო სამუშაოების წარჩენი ღირებულების (402 326 ლარი) შესაბამისად საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის საფუძველზე.

2. 2010 წლის 4 მარტს მოსარჩელე კომპანიამ დააფუძნა სს „ვ...“, რომლის კაპიტალში შეტანილ იქნა 10 411 565 ლარის ლირებულების უძრავი ქონება; 2010 წლის 11 მარტს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით გამოსყიდული იქნა საკუთარი აქციები (24,78%) შპს „ვ...“ სს „ვ...“ 89%-იანი წილის გადაცემის სანაცვლოდ (წილის ლირებულება – 6 986 500 ლარი, იგივეა რაც შპს „ვ...“ 24,78% წილის ლირებულება; მითითებულ სამეურნეო ოპერაციას საგადასახადო ორგანომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის საფუძველზე შეუცვალა კვალიფიკაცია და მიიჩნია, რომ სადაცო სამეურნეო ოპერაცია წარმოადგენს დასაბეგრო მიწოდებას, კერძოდ ქონების მიწოდებას წილის სანაცვლოდ, რის გამოც ეს ოპერაცია დაუქვემდებარა დამატებული ლირებულების გადასახადით დაბეგვრას.

იჯარით აღებულ ფართზე სარემონტო სამუშაოების მომსახურების მიწოდებად განხილვასთან მიმართებაში საქმის მსალებმი არსებული მტკიცებულებებით დასტურდება და მხარეები სადაცოდ არ ხდიან იმ გარემოებას, რომ კომპანიას იჯარით აღებულ

ფართზე განეული პქონდა სარემონტო სამუშაოები, რომლის ნარჩენი ლირებულება მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ დაბეგრა დამატებული ლირებულების გადასახადით საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში, რაც საკასაციო პალატას მიაჩინა კანონსაწინააღმდეგოდ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად საგადასახადო ორგანოს საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით უფლება აქვს: а) მხედველობაში არ მიიღოს სამეურნეო ოპერაციები, რომლებსაც არ აქვს არსებითი ეკონომიკური გავლენა; ბ) სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეცვალოს მისი კვალიფიკაცია, თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს.

მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო სადაცოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებული იყო ფართზე, რომელსაც კომპანია იყენებდა განსაზღვრული დროის განმავლობაში, ამასთან ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენდა 7 749 ევროს და ხელშეკრულებით არ იყო განსაზღვრული საიჯარო გადასახდელების შემცირება იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობის ლირებულებით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადაცოდ დარიცხვის განხორციელებისას უსაფუძვლოდ იქნა გამოყენებული საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება. სადაცო იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მოქმედი საგადასახადო კოდექსით საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში იჯარით აღებულ ფართზე გაწეული სარემონტო სამუშაოების მეიჯარისათვის დაბრუნება არ განიხილებოდა მიწოდებად დამატებული ლირებულების გადასახადის მიზნებისათვის და მითითებული ოპერაცია დამატებული ლირებულების გადასახადით დაბეგვრას დაექვემდებარა 2011 წლის 1 იანვრიდან მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად. ამდენად, სადაცო დარიცხვა განხორციელებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით და ამავე კოდექსის მე-5 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის დარღვევით. კერძოდ, მითითებული ნორმით იმპერატიულად არის დადგენილი, რომ გადასახადებით დაბეგვრისათვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა, ხოლო ამ კოდექსის დარღვევით გადასახადის დარიცხვას კანონმდებლი დაუშვებლად მიიჩნევს. ამდენად, იმ პირობებში, როდესაც არსებობს მხარეთა შორის იჯარის ხელშეკრულების დადებისა და მისი შეწყვეტის დამადასტურებელი მტკიცებუ-

ლებები, მოსარჩელის დაბეგვრა დამატებული ლირებულების გა-დასახადით მომსახურების მიწოდებისათვის არ შეესაბამება სა-ქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვ-ნებს.

კასატორები ვერ ასაბუთებენ 73-ე მუხლის მე-9 ნაწილით გან-საზღვრული უფლებამოსილების გამოყენების მართლზომიერებას მოცემულ სამეურნეო ოპერაციასთან მიმართებაში, რამდენადაც სადაც არ არის ის გარემოება, რომ განსაზღვრული დროის გან-მავლობაში კომპანია სარგებლობდა იჯარის ხელშეკრულების სა-ფუძველზე ობიექტით, ხოლო ამ გარემოების გამაქარნულებელი მტკიცებულების წარმოდგენა საგადასახადო ორგანომ ვერ უზრუნ-ველყო ვერც ადმინისტრაციული წარმოებისა და ვერც სამართალ-წარმოების ეტაპზე. ამდენად, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიჩნია, რომ კომპანიის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპე-რაცია ექვემდებარებოდა დაბეგვრას, ის ვალდებული იყო მიეთი-თებინა საგადასახადო კოდექსის იმ ნორმაზე, რომელიც სამეურ-ნეო ოპერაციის განხორციელების დროისათვის ცალსახად განსაზ-ღვრავდა ამ ოპერაციის დამატებული ლირებულების გადასახადით დაბეგვრის შესაძლებლობას.

სს „ვ...“ დაკავშირებული ოპერაცია ეფუძნება შემდეგ ფაქტობ-რივ გარემოებებს: 2010 წლის 4 მარტს „ს...“ დააფუძნა სს „ვ...“, რომ-ლის კაპიტალში შეტანილ იქნა 10 411 565 ლარის ლირებულების უძრავი ქონება. „ს...“ მიერ შენატანის განხორციელების მომენტში მისი დამფუძნებლები იყვნენ სს „სა...“ – 74,56%, შპს „კ...“ – 24,78 %, გ. ნ-ი – 0,65 %.

„ს...“ გამოიყიდა მის საკუთრებაში არსებული აქციები შპს „კ...“ 2010 წლის 11 მარტის სამეთვალყურეო საბჭოს №45 კრების ოქმის საფუძველზე, ხოლო სანაცვლოდ შპს „კ...“ გადაეცა სს „ვ...“ 89% (რომლის ღირებულება შეფასებულ იქნა 6 986 500 ლარად), იმავე ოდენობის თანხით იყო შეფასებული ასევე შპს „კ...“ 24,78% წილი. მითითებულ სამეურნეო ოპერაციას, შემოწმების აქტის მიხედვით, მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ საქართველოს საგადასა-ხადო კოდექსის 73-ე მუხლის საფუძველზე შეუცვალა ფორმა და შინაარსი და მიიჩნია, რომ სადაც სამეურნეო ოპერაცია წარმოად-გენს დასაბეგრ იპერაციას, კერძოდ ქონების მიწოდებას წილის სა-ნაცვლოდ, როს გამოც ეს ოპერაცია დაექვემდებარა დამატებული ლირებულების გადასახადით დაბეგვრას.

საკასაციო პალატა სრულად იზიარებს ქვედა ინსტანციის სასა-მართლოების მისაზრებას, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორ-განოს მიერ, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას დასახელებულ სადაც საკითხთან დაკავ-

შირებით, ასევე უსაფუძვლოდ იქნა გამოყენებული საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ „ს...“ 2010 წლის 11 მარტის სამეთვალყურეო საბჭოს №45 გადაწყვეტილების საფუძველზე კომპანიის მიერ განხორციელებული მის საკუთრებაში არსებული აქციების შპს „კ...“ გამოსყიდვა წარმოადგენს 2004 წლის 22 იანვრის საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დღგ-ისაგან გათავისუფლებულ სამეურნეო ოპერაციას, რამდენადაც კომპანია სს „ვ...“ 11% ნილის მფლობელია დღემდე და ამ წილის ღირებულება დაახლოებით 1,2 მილიონი ლარია. შესაბამისად, დაუსაბუთებელია საგადასახადო ორგანოს მოსაზრება, წილის ფორმალურად ფლობისა და მისი ღირებულების არამატერიალურობის შესახებ. ამასთან, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სამეურნეო ოპერაციის განხორციელების შემდეგ კომპანიის მიერ განხორციელებულია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედებები, რომლებიც უკავშირდება კომპანიის ინტერესს მითითებულ წილთან მიმართებაში, კერძოდ, კომპანიას დაგეგმილი აქვს არქიტექტურული პროექტის განვითარება მიწის ნაკვეთზე.

ასევე არ არის დასაბუთებული კასატორების არგუმენტი იმის შესახებ, რომ სადავო სამეურნეო ოპერაციის განხორციელებისას, სს „ვ...“ წილის ღირებულებასა და შპს „კ...“ წილის ღირებულებას შორის არსებული სხვაობა წარმოადგენს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად ამ ოპერაციისათვის კვალიფიკაციის შეცვლის საკმარის საფუძველს და იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების განმარტებას, რომ წილთა ღირებულებას შორის არსებული სხვაობა შესაძლებელია მიწერული იქნეს დივიდენდად, რომელიც მოქმედი საგადასახადო კოდექსის 130-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დაბეგვრას არ ექვემდებარება. შესაბამისად, სს „ვ...“ დაკავშირებული სამეურნეო ოპერაციის განხილვა ქონების მიწოდებად დაუსაბუთებელია, რამდენადაც ადმინისტრაციულ ორგანოს არ უმსჯელია და არ გამოიუკვლევია შესაძლებელი იყო თუ არა ქონების მიწოდება ფიზიკურად, მისი სპეციფიკიდან და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე. უფრო მეტიც, შემონბების აქტის შედგენისას და ამ აქტის საფუძველზე გამოცემული გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, ასევე სამართალწარმოების ვერცერთ ეტაპზე საქმის განხილვისას ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს იმ გარემოების დადასტურება, რომ სადავო სამეურნეო ოპერაციის მითითებული ფორმითა და შინაარსით განხორციელე-

ბა მიზნად ისახავდა საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო ვალდებულების თავის არიდებას.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

აღნიშნული ნორმის თანახმად, საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს მხედველობაში არ მიიღოს სამეურნეო ოპერაციები, რომლებსაც არა აქვს არსებითი ეკონომიკური გავლენა ან სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეცვალოს მისი კვალიფიკაცია, თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს, შესაბამისად, კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს ოპერაციის კორექტირებას, თუ მისი გამოხატვის ფორმა და მხარეთა რეალური ნება არ ემთხვევა ერთმანეთს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნორმა არ იძლევა მართლზომიერი გარიგების კვალიფიკაციის შეცვლის შესაძლებლობას, არამედ ეხება ბათილ, ნების ნაკლის მქონე გარიგებებს, მათ შორის, თვალთმაქცურ და მოჩვენებით გარიგებებს.

მოცემულ შემთხვევაში კასატორებმა ვერ დაასაბუთეს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის გამოყენების წინაპირობების არსებობა, რამდენადაც რაიმე ურთიერთობის ფარგლებში ოპერაციის ფორმიდან გამომდინარე შინაარსს ადგენს არა საგადასახადო ორგანო ან საგადასახადო კოდექსი, არამედ ამ ურთიერთობის მარეგულირებელი კანონმდებლობა. როდესაც ოპერაციის საფუძველი კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებაა, მისი რეგულაცია ხორციელდება სამოქალაქო კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით. ამ ნორმატიული აქტების გამოყენებით უნდა მოხდეს კონკრეტული სამართლებრივი კონსტრუქციის ფორმის ნორმატიულად დადგენილი შინაარსისა და მხარეთა ფაქტობრივი ნების შეპირისპირება. სწორედ ეს ნორმატიული აქტები უნდა იქნეს გამოყენებული საგადასახადო ორგანოს მიერ იმის დასადგენად, შეესაბამება თუ არა გარიგების ფორმა მხარეთა ნებას. თუ არის საკმარისად დიდი ალბათობა იმისა, რომ მხარე თვალთმაქცობს ან ცდება თავისი ნების გამოხატვაში, მხოლოდ მაშინ უნდა იქნეს გამოყენებული შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის პრინციპი. მოცემულ შემთხვევაში სს „ა...“ და შპს „კ...“ შორის დადგებული გარიგება შეესაბამება მის შინაარსს და არ არსებობდა გარიგების დღგს გადასახადით დაბეგვრის სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საგადასახადო ორგანომ ვერ დაადასტურა განხორციელებული ოპერაციების ფორმისა და შინაარსის კონფლიქტი, რაც სააპელაციო სასამართლომ სამარ-

თლებრივად მართებულად შეაფასა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დასაბუთებული, კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები არ დაემაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს ობილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 აპრილის განჩინება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დღგ-ის, მოგების და პრენის გადასახადის დარიცხვის კანონის შესრულება

გადაცყვაფილება საქართველოს სახელით

№ბს-854-846(კ-16)

18 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: ოპერაციის კვალიფიკაციის შეცვლა საგადასა-
ხადო ორგანოს მიერ.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...-მა“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართვე-
ლოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის
საბჭოს, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ, მოსარჩელემ მო-
ითხოვა სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენ-
ტის 24.12.2013წ. №67953 ბრძანების, სსიპ შემოსავლების სამსა-
ხურის 24.12.2013წ. №... საგადასახადო მოთხოვნის, სსიპ შემოსავ-
ლების სამსახურის 24.02.2014წ. №... ბრძანების და საქართველოს
ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს
23.05.2014წ. №7575/2/14 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა იმ ნა-
ნილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „...-ის“ საჩივრი, კერ-
ძოდ, 63369 ლარის დარიცხვის ნანილში.

მოსარჩელე მხარემ აღნიშნა, რომ სსიპ შემოსავლების სამსა-
ხურის აუდიტის დეპარტამენტის 14.06.2013წ. №26873 ბრძანების
საფუძველზე განხორციელდა შპს „...“ გასვლითი საგადასახადო შე-
მოწმება ბიუჯეტთან ანგარიშსწორების კუთხით. 20.12.2013წ. გა-
მოიცა საგადასახადო შემოწმების შუალედური აქტი, ხოლო
24.12.2013წ. გამოიცა №... საგადასახადო მოთხოვნა, რის საფუძ-
ველზეც შპს „...-ს“ დაეკისრა 180972,37 ლარი, მათ შორის: ძირითა-
დი გადასახადი 63 725 ლარი, ჯარიმა 31 423 ლარი, საურავი 85 824,
37 ლარი. 09.01.2014წ. მოსარჩელემ საჩივრით მიმართა სსიპ შემო-
სავლების სამსახურს, რომლის 24.02.2014წ. №10256 ბრძანებით სა-
ჩივარი დაკმაყოფილდა ნანილობრივ, მოსარჩელეს მიეცა საშუა-
ლება ჩატარებინა შეფასებითი აუდიტი ქ. თბილისში, ... მდებარე

359,45 კვ.მ. ფართის უძრავ ქონებაზე და დასკვნა წარედგინა და-რიცხული თანხების კორექტირებისთვის. სსიპ შემოსავლების სამ-სახურის აუდიტის დეპარტამენტის 24.12.2013წ. №... საგადასახა-დო მოთხოვნა და შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტა-მენტის 24.02.2014წ. №... ბრძანება მოსარჩელის მიერ გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების გან-ხილვის საბჭოში, რომლის გადაწყვეტილებითაც ნაწილობრივ გა-უქმდა 24.02.2014წ. №... ბრძანება, 24.12.2013წ. №... საგადასახადო მოთხოვნა და მოსარჩელე გათავისუფლდა სადაც ნაწილში დარიც-ხული ჯარიმის – 31 423 ლარისა და საურავის 85 825,37 ლარის გა-დახდისგან. სადაც დარჩა ძირითადი თანხა – 63 725 ლარი.

16.06.2014წ. სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარ-ტამენტის მიერ მიღებულ იქნა №... ბრძანება, რომელსაც საფუძ-ვლად დაედო ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების გან-ხილვის საბჭოს გადაწყვეტილება და აუდიტის დეპარტამენტის აუ-დიტორების დასკვნა. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე გამოი-ცა №... და №... საგადასახადო მოთხოვნები, კორექტირების შედე-გად დარიცხული დარჩა ძირითადი გადასახდელი თანხა – 63 369 ლარი.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ შესამონმებელ პერიოდში საზო-გადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა უძრავი ქონების საიჯარო მომსახურება. 2007 წელს საზოგადოების სახელზე ირიც-ხებოდა ქ. თბილისში, ... მდებარე 359,4 კვ.მ. უძრავი ქონება (მენო-ბა-ნაგებობა). საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალა-ქო რეესტრის სააგენტომ შპს „...-ს“ მიმართა თხოვნით, რომ ზემო-აღნიშნული ფართი დაეთმო ქ. თბილისში, ... №4-ში არსებული ფარ-თის სანაცვლოდ, მაგრამ რამდენადაც საქართველოს კანონმდებ-ლობა არ ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონების გაცვლას, 05.03.2007წ. შპს „...-სა“ და საქართველოს ეკონომიკური განვითა-რების სამინისტროს შორის დაიდო უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საკუთრებში გადაეცა ქ. თბილისში, ... მდებარე 359,4 კვ.მ ფართი. 23.03.2007წ. საქართვე-ლოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შპს „...-თან“ გაა-ფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად პრივატი-ზების პირდაპირი მიყიდვის ფორმით მოსარჩელემ შეიძინა ქ. თბი-ლისში, ... №4-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართი (456,31) და მასზე ნილობრივად დამაგ-რებული მინის ნაკვეთი, რომლის საპრივატიზებო ღირებულებამ 10000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი შეადგინა. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ განხორციელდა ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდე-

ბელი ოპერაცია – უძრავი ქონების პირობადადებული პრივატიზაცია პირდაპირი მიყიდვის წესით და უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემა. 20.12.2013წ. საგადასახადო შემონმების შუალედური აქტით განხორციელებული ოპერაციები მიჩნეულ იქნა ბარტერული ტიპის გარიგებად და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161.7 მუხლის, 18.10 მუხლის საფუძველზე შპს „...“ დაიბეგრა დამატებული ლირებულების გადასახადით. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ არ არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73.9 მუხლის გამოყენების კანონისმიერი საფუძველი.

თბილისის საქალაქო სასახართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 13.05.2015წ. გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი დაკამაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სისი შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 24.12.13წ. №... ბრძანება, სისი შემოსავლების სამსახურის 24.12.13წ. №... საგადასახადო მოთხოვნა, სისი შემოსავლების სამსახურის სამსახურის 24.02.2014წ. №... ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 23.05.2014წ. გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა შპს „...“ საჩივარი 63 369 ლარის დარიცხვის ნაწილში.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო არ იყო უფლებამოსილი გამოეყენებინა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73.9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი. მართალია მოცემული ნორმით საგადასახადო ორგანო აღჭურვილია სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით მისი კვალიფიკაციის შეცვლის უფლებამოსილებით, რაც იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც სამეურნეო ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინაარსს, სამეურნეო ოპერაციის განხორციელების ფორმიდან გამომდინარე შინაარსს ადგენს არა საგადასახადო ორგანო, არამედ მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელი კანონმდებლობა, თუ ოპერაციის საფუძველი კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებაა, მისი რეგულაცია ხორციელდება სამოქალაქო კოდექსით და სხვა მსგავსი ხორმატიული აქტებით, სწორედ ეს ხორმატიული აქტები უნდა გამოიყენონ საგადასახადო ორგანოებმა მხარეთა ნებისა და ხელშეკრულების ფორმის შესაბამისობის დასადგენად. სადაც პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონების გაცვლას, როგორც გარიგებას, რაც დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ მოსარჩელის პასუხად 12.12.2016წ. გაცემული წერილით. საგადასახადო ორგანოს მიერ ისე განხორციელდა მხარეთა შორის არსებული ოპერაციებისთვის კვალიფიკაციის შეცვლა, რომ დასაბუთებული არ ყო-

ფილა მხარეების მიერ შერჩეული ოპერაციების მეშვეობით გადა-
სახადისაგან თავის არიდების მიზანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 13.05.2015წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გა-
ასაჩივრეს სსიპ შემოსავლების სამსახურმა და საქართველოს ფი-
ნანსთა სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 16.03.2016წ. გადაწყვეტილებით საქართველოს ფი-
ნანსთა სამინისტროს და სსიპ შემოსავლების სამსახურის საპე-
ლაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.05.2015წ. გადაწ-
ყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება,
შეს „...-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ არ გაიზარა გასაჩივრებულ გადაწყვე-
ტილებაში მითითებული განმარტება იმის შესახებ, რომ განსახილ-
ველ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო არ იყო
უფლებამოსილი გამოყენებინა საქართველოს საგადასახადო კო-
დექსის 73.9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის დებულება. საგადასახადო
მიზნებისათვის განხორციელებული ოპერაცია სხვა არაფერია თუ
არა სკ-ის 521.1 მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 18.10 მუხ-
ლებით გათვალისწინებული გაცვლა (ბარტერული ოპერაცია). საა-
პელაციო პალატა დაეთანხმა აპელანტების მოსაზრებას, რომ ოპე-
რაცია თავისი შინაარსით წარმოადგენს ბარტერული ტიპის გარი-
გებას, შესაბამისად იგი შემმონებლის მიერ განხილულ იქნა რო-
გორც დღგ-ით დასაბერვი იმართებოდა საგადასახადო კოდექსის 161.7
მუხლისა და 18.10 მუხლის (შესაბამისი ოპერაციის განხორციელე-
ბის დროს მოქმედი კოდექსის 227.2 მუხლის და 22.9 მუხლის) დე-
ბულებების თანახმად. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სახე-
ზეა სკ-ის 521-ე მუხლით გათვალისწინებული გაცვლის ხელშექ-
რულება, რაც გამოიხატება ქ.თბილისში, ... №4-ში მდებარე (456.31
კვ.მ.) ფართისა და ქ. ქ. თბილისში ... მდებარე (359,4 კვ.მ.) ფართზე
საკუთრების უფლების ურთიერთგადაცემაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 16.05.2016წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გა-
ასაჩივრა შეს „...-მა“, რომელმაც მოითხოვა 63369 ლარის გადახდი-
საგან გათავისუფლება, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქ-
მება და ახალი გადაწყვეტილების მიღება, სარჩელის განხილვის-
თვის გადახდილი ბაჟის 1905 ლარის, სააპელაციო სასამართლოს
მიერ დაკისრებული ბაჟის 2530 ლარის, საკასაციო განხილვისთვის
გადახდილი ბაჟის 3390.40 ლარის დაბრუნება. კასატორმა აღნიშნა,
რომ სააპელაციო სასამართლომ არ შეაფასა მოსარჩელის მიერ წარ-

დგენილი მტკიცებულებები, გამოიყენა კანონი რომელიც არ უნდა გამოიყენებინა და არასწორად განმარტა იგი, არ გაითვალისწინინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომლის თანახ-მადაც საგადასახადო კოდექსის 73.9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი გამო-იყენება არამართლზომიერი გარიგებების შემთხვევაში, როდესაც სამეურნეო ოპერაციის ფორმა და შინაარსი ერთმანეთს არ ემთხვე-ვა. მოცემულ შემთხვევაში განხორციელებული ოპერაციის ფორმა და შინაარსი თანხვედრაში იყო და არ არის დასაბუთებული სამე-ურნეო ოპერაციის მხარეების მიერ შერჩეული ფორმის გამოყენე-ბით გადასახადისაგან თავის არიდების მიზანი. აღნიშნული ნორმა არ იძლეოდა მართლზომიერი გარიგების კვალიფიკაციის შეცვლის შესაძლებლობას, არამედ იგი ეხება ბათილ, ნების ნაკლის მქონე გარიგებებს, მათ შორის, თვალთმაქტურ და მოჩვენებით გარიგე-ბებს, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა და გამოი-ყენა კანონი ჩატარებულ მართლზომიერ სამეურნეო ოპერაციას-თან დაკავშირებით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სა-მოქალაქო რეესტრის სააგენტოს საქართველოს ეკონომიკური სა-მინისტროსთვის 08.12.2006წ. №1/12.09.11051 გაგზავნილ წერილ-ში აღნიშნული იყო, რომ გარიგება უნდა დაიდოს არსებული სამარ-თლებრივი ფორმების მიხედვით, ვინაიდან საქართველოს კანონ-მდებლობა არ ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონების გაცვლას, ხოლო ფართების სხვაობის შემთხვევაში სხვაობის შესყიდვა მოხ-დებოდა საბაზრო ფასად და პირდაპირი მიყიდვის ფორმით. მიღე-ბული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ არ მისცა სამარ-თლებრივი შეფასება საქართველოს პრეზიდენტის 13.02.2007წ. №55 განკარგულებას, რომლის საფუძველზეც დაიგეგმა და გან-ხორციელდა მთელი სამეურნეო ოპერაცია. სააპელაციო სასამარ-თლომ არ გაითვალისწინა ასევე იუსტიციის სამინისტროს სამოქა-ლაქო რეესტრის სააგენტოს 08.12.2006წ. წერილი ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთვის, სადაც აღნიშნული იყო, რომ გა-რიგება უნდა განხორციელებულიყო არსებული ფორმების მიხედ-ვით, რადგან კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონების გაცვლას. ყურადღების მიღმა დარჩა აგრეთვე საგადასა-ხადო ომბუდსმენის შეფასებითი და განმარტებითი ხასიათის მი-მართვა, რომელშიც გაზიარებული იყო კასატორის პოზიცია. შესა-ბამის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონების გაცვლის შესაძლებლობას, ასეთი გარიგე-ბის დადება შესაძლებელი გახდა მოგვიანებით.

საქასაციო საჩივარზე წარდგენილ საქასაციო შესაგებელში შე-მოსავლების სამსახურმა აღნიშნა, რომ საგადასახადო კოდექსის 73.9 მუხლის შესაბამისად საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს

სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით შეცვალოს მისი კვალიფიკაცია თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბა-მება მის შინაარსს. ამდენად, საგადასახადო ორგანოს მიერ რეა-ლიზებულ იქნა 73-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება და ოპერაცია დაკვალიფიცირდა ბარტერულ ოპერაციად. იმის გათვა-ლისწინებით, რომ ოპერაცია თავისი შინაარსით წარმოადგენს ბარ-ტერული ტიპის გარიგებას, იგი შემმოწმებლის მიერ განხილულ იქ-ნა დასაბეგრ ოპერაციად. ამასთანავე, მიწოდებული საქონლის სა-ბაზრო ფასი განისაზღვრა ექსპერტის მიერ დადგენილი ღირებუ-ლებით. შესაგებლის ავტორი თვლის, რომ სახეზეა სკ-ის 521-ე მუხ-ლით გათვალისწინებული გაცვლის ხელშეკრულება, რაც გამოიხა-ტება ქ. თბილისში ... №4-ში მდებარე (456.31 კვ.მ.) ფართისა და ... მდებარე (359.4 კვ.მ.) ფართზე საკუთრების უფლების ურთიერთგა-დაცემაში. მიუხედავდა იმისა, რომ სადავო პერიოდისათვის არ არ-სებობდა კონკრეტული საკანონმდებლო აქტი, რომლითაც გათვა-ლისწინებული იქნებოდა სახელმწიფო ქიონების გაცვლის გარიგე-ბის დადგების შესაძლებლობა, მიგვაჩნია, რომ საგადასახადო ორ-განოს პქონდა უფლებამოსილება ოპერაციის შინაარსის გათვალის-წინებით შეეცვალა მისი ფორმა, ვინაიდან შესაძლებელი იყო თა-ვად განხორციელებული ოპერაციის შინაარსის იდენტიფიცირება მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. შესაგებლის ავტორი თვლის, რომ 73-ე მუხლის გამოყენება შეიძლება შეიზღუდოს მხო-ლოდ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებული სამეურნეო ოპერა-ციის შინაარსის მსგავს ოპერაციას არ იცნობს თავად ქვეანაში მოქმედი არცერთი სამართლებრივი აქტი. მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შესაძლებელი იყო გაცვლის ხელ-შეკრულების დადგება და ოპერაციის განხორციელება, შესაბამი-სად შემმონებლების მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დაც-ვით ოპერაცია დაკვალიფიცირდა გაცვლის ხელშეკრულებად.

საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორის წარმომადგენელმა დააზუსტა მოთხოვნა და აღნიშნა, რომ სადავო აქტებს ასაჩივრებ-და მხოლოდ დღგ-ს და მოგების გადასახადის დარიცხვის ხაზილში, კასატორის წარმომადგენლის მიერ დაზუსტდა ბაჟთან დაკავში-რებით მოთხოვნა და აღნიშნა, რომ არ მოითხოვდა 16.06.2014წ. №... საგადასახადო მოთხოვნის ბათილად ცნობას, რომლითაც მოიხსნა დავალიანებები. საკასაციო პალატის სხდომაზე კასატორის წარ-მომადგენელმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკამაყოფილება. მოპასუხეების წარმომადგენლებმა საკასა-ციო საჩივრის საფუძვლები არ ცნეს და მოითხოვეს საკასაციო სა-ჩივრის დაკამაყოფილებაზე უარის თქმა, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება საკასაციო საჩივრის

უსაფუძვლობის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახ-სნა-განმარტებების მოსმენის და საკასაციო საჩივრის კონიერე-ბის შემოწმების შედეგად თვლის, რომ შპს „...-ის“ საკასაციო საჩი-ვარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გა-მო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ შემოსავლების სამსახუ-რის აუდიტის დეპარტამენტის მიერ შპს „...-ის“ გასვლითი საგადა-სახადო შემოწმების შედეგად 24.12.136. №... ბრძანების და შემო-სავლების სამსახურის 24.12.136. №7-... „საგადასახადო მოთხოვ-ნის“ საფუძველზე შპს „...-ს“ დაერიცხა თანხა 180972 ლარი, მათ შორის, ძირითადი თანხა 63725 ლარი (დღგ – 31 683 ლარი, მოგების გადასახადი – 30280 ლარი, ქონების გადასახადი – 1628 ლარი), ჯარიმა – 31423 ლარი, საურავი – 85824,37 ლარი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დაგების განხილვის საბჭოს 23.05.2014წ. გადაწყვეტილებით მომჩივანი შპს „...“ გათავისუფლდა დარიცხული ჯარიმისა და საურავისგან, ძირითადი თანხის ნაწილ-ში გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ოპერაციები ჩატარდა სახელმწიფო ორგანოების ინიციატივით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისპ სამოქალაქო რეეს-ტრის სააგენტომ 12.12.2007წ. ნერილით მიმართა შპს „...-ის დი-რექტორს და სააგენტოს სამუშაო, საკომუნიკაციო და მართვის პი-რობების გაუმჯობესების მიზნით სააგენტომ გამოთქვა ერთ შე-ნობაში სააგენტოს განთავსების სურვილი და შესთავაზა საზოგა-დოების საკუთრებაში არსებული ფართის გაცვლა ... ქ. №4-ში მდე-ბარე შენობის ფართში. ვინაიდან კანონმდებლობა არ ითვალისწი-ნებდა სახელმწიფო ქონების გაცვლის შესაძლებლობას, სააგენ-ტომ დასვა სახელმწიფო ფართის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების და შემდეგ სახელმწიფოსთვის ჩუქებს ხელშეკრუ-ლებების დადების წინადადება, რაც შეთანხმდა ეკონომიკური გან-ვითარების სამინისტროსთან. რადგან ფართის ოდენობა და ფასი ზუსტად არ ემთხვეოდა ერთმანეთს, საზოგადოებას მიეცა წინა-დადება, რომ განსხვავებული ზედმეტი ფართი შეესყიდა საბაზრო ფასად, პირდაპირი მიყიდვის ფორმით. საქართველოს პრეზიდენ-ტის 13.02.2007წ. №55 განკარგულებით, საპრივატიზაციო კანონ-მდებლობის საფუძველზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართობი (456,31 კვ.მ.) და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადა-

ეცა შპს „...“ სიმბოლურ ფასად 10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარად, ერთ თვეში საპრივატიზაციო თანხის გადახდისა და ხელ-მოწერიდან ორ კვირაში სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ ქ. თბილისში, ... და მასზე წილობრივად დამაგრებული ნაკვეთის სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის პირობით.

საგადასახადო ორგანომ ამჟამად მოქმედი საგადასახადო კო-დექსის 73-ე მუხლზე მითითებით მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არა უსასყიდლოდ გადაცემა არამედ ქონების გაც-ვლა, ბარტერი, რაც საგადასახადო კანონმდებლობით დასახელრ ოპერაციას წარმოადგენს. 17.09.2010წ. საქართველოს საგადასახა-დო კოდექსის 2.2 მუხლის, აგრეთვე მე-5 მუხლის თანახმად, გადა-სახადებით დაბეგვრისათვის გამოიყენება საგადასახადო ვალდე-ბულების წარმოშობის დღისათვის მოქმედი საქართველოს კანონ-მდებლობა. რაც შეეხება პროცედურულ ნორმებს, მათი გამოიყენე-ბა ხდება საკითხის განხილვისა და აქტის გამოცემის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით. სამეურნეო ოპერაციის განხორციე-ლების დროს მოქმედი 22.12.2004წ. საგადასახადო კოდექსის 20.4 მუხლის, „ბ“ ქვეპუნქტი ადგენდა, რომ საქონლის მიწოდებად/მომ-სახურების გაწევად არ ითვლებოდა სახელმწიფოსათვის ან/და ად-გილობრივი თვითმმართველობისთვის საქონლის უსასყიდლოდ გა-დაცემა ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა. 22.12.2004წ. სა-გადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნ-ქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროგრა-მის მიხედვით მიწოდება თავისუფლდებოდა დღგ-საგან, ამავე კო-დექსის 168-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტი ითვალისწი-ნებდა პრივატიზების წესით (უსასყიდლოდ) მოპოვებული უძრავი ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებას საშემოსავლო გადა-სახადისაგან (პრივატიზაციის შედეგად საქონლის მიწოდება თა-ვისუფლდება დღგ-სა და საშემოსავლო გადასახადისაგან აგრეთ-ვე ამჟამად მოქმედი 17.09.2010წ. საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და 82-ე მუხლის 1-ლი ნა-წილის „მ“ ქვეპუნქტით).

რაც შეეხება მოგების გადასახადს საკასაციო პალატა ყურად-ღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსხვავებული ზედმე-ტი ფართი (96,91 კვ.მ.) შპს „...“ მიერ შესყიდულია საბაზრო ფასად 1კვ.მ. – 100 აშშ დოლარად, ხოლო დანარჩენი ფართი მის მიერ შე-ძენილ იქნა შპს „...“ კუთვნილი ფართის გადაცემის სანაცვლოდ. ამდენად, არ დასტურდება შპს „...“ მიერ მოგების მიღება, შესაბა-მისად არ იკვეთება შპს-ს მოგების გადასახადით დაბეგვრის სა-ფუძველი. სადაც სამართალურო თიერთობის წარმოშობის პერიოდ-ში მოქმედი საგადასახადო კოდექსის 169.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი

ადგენდა, რომ მოგების გადასახადის გადამხდელია საქართველოს საწარმო, 170.1 მუხლი ადგენდა, რომ საქართველოს საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი მოგება, ანუ სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. მოცემულ შემთხვევაში, ქონების (ძირითადი საშუალების) რეალიზაციით მიღებული შემოსავლით განხორციელდა ისევ უძრავი ქონების (ძირითადი საშუალების) შეძენა – საწარმოს მიერ განეული იქნა გამოსაქვითი ხარჯი ზუსტად იმ ოდენობით, რა ოდენობის თანხაც მიღებული იქნა ქონების რეალიზაციიდან. შესაბამისად, დაუსაბუთებელია გადასახადის გადამხდელისათვის მოგების გადასახადის დაკისრება მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის არარსებობის გამო.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებას არ ადასტურებს სააპელაციო პალატის მითითება სკ-ის 521-ე მუხლზე. გაცვლის ხელშეკრულების ყოველი მხარე ითვლება იმ ქონების გამყიდველად, რასაც ცვლის და იმის მყიდველად, რასაც სანაცვლოდ იღებს (სკ-ის 521.2 მუხ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი პქნდა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ქონების განკარგვას, კანონმდებლობა ადგენს სახელმწიფო ქონების განკარგვის განსაზღვრულ სახეებს. საგადასახადო კოდექსის 73.9 მუხლის „ბ“ ქვეპუნტის თანახმად, საგადასახადო ორგანოს მინიჭებული აქვს სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაციის შეცვლის უფლებამოსილება შესაბამისი პირობების არსებობისას, თუმცა მის მიერ განსაზღვრული კვალიფიკაცია შესაბამისობაში უნდა იყოს სამართალურთიერთობის ნარმოშობის პერიოდში მოქმედ კანონმდებლობასთან, არ დაიშვება კვალიფიკაციის შეცვლა კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ ოპერაციაზე. ოპერაციის განხორციელების დროს მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის მე-6 მუხლი პრივატიზების ფორმებს შორის ითვალისწინებდა: კონკურსს, აუქციონს, იჯარა-გამოსყიდვას და პირდაპირ მიყიდვას. ხსენებული ჩამონათვალი იყო ამომწურავი, სადაც პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონების გაცვლის შესაძლებლობას. ამდენად, მოპასუხის მითითება სკ-ის 521-ე მუხლით გათვალისწინებულ გაცვლის ხელშეკრულებაზე, ოპერაციის შინაარსის გათვალისწინებით ფორმის შეცვლაზე მოკლებულია საკანონმდებლო საფუძველს, ვინაიდან ოპერაციის განხორციელების დროს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონების გაცვლის შესაძლებლობას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს ეკონომი-

კური განვითარების სამინისტროსა და შპს „...“ შორის ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებები დადებულია საქართველოს პრეზიდენტის 13.02.2007წ. №55 განკარგულებისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 19.02.2007წ. №1-1/319 ბრძანების საფუძველზე და მათ შესასრულებლად. ხსენებული განკარგულების თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არსაცხოვრებელი ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მინის ნაკვეთი პირდაპირი მიყიდვის ფორმით გადაეცა შპს „...-ს“ სიმბოლურ ფასად 10 000 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარად, იმ პირობით თუ სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ იქნებოდა გადაცემული საზოგადოების კუთვნილი უძრავი ქონება და მასზე წილობრივად დამაგრებული მინის ნაკვეთი. საქართველოს პრეზიდენტის 13.02.2007წ. №58 განკარგულების გამოცემის დროს მოქმედი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის 6.5 მუხლი ადგენდა, რომ პირდაპირი მიყიდვის მიზანს შეადგენს საკუთრების უფლების იმ მყიდველისათვის გადაცემა, რომელიც სრულად და კეთილსინდისაერად შესარულებს სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზაციისას დადგენილ პირობებს. პირდაპირი მიყიდვის ფორმით სახელმწიფო ქონების გადაცემის პირობებს საქართველოს პრეზიდენტი განსაზღვრავდა (ობიექტის პრივატიზების დროს მოქმედი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.09.2004წ. №1-1/102 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების 1.2 მუხ.), რომელიც გამოსცემდა აქტს სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის შესახებ. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის 13.02.2007წ. განკარგულებით მოხდა ქ. თბილისში, ... №4-ში მდებარე ქონების და მასზე წილობრივად დამაგრებული მინის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება. ამდენად, გარიგების ფორმასთან გათანაბრებული ნებართვა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა, მოცემულ შემთხვევაში სახეზე (საქართველოს პრეზიდენტის 13.02.2007წ. №55 განკარგულება), სახელმწიფო ქონების პრივატიზება არ გაუქმდებულა და ძალაშია, პრივატიზებული სახელმწიფო ქონების დოკუმენტაციის კანონიერების შემონმების უფლება, სასამართლოს გარდა, „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ 30.05.1997წ. კანონის 11-ე მუხლის თანახმად კოორდინირებული წესით მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატას გამართდა. პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების წესის თანახმად, სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას მყიდველზე საკუთრების უფლება გადადიოდა თანხის

მთლიანად გადახდის, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის და საჯარო რეესტრში ან შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მყიდველს უნდა შეესრულებინა გარკვეული ვალდებულებები, მყიდველს საკუთრების უფლება ეძლეოდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა პირობადადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რადგან გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა დამოკიდებულია სამომავლო პირობაზე. უკვე აღინიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 13.02.2007წ. განკარგულებით შპს „...“ სახელმწიფოს საკუთრებაში რიცხული ქონების გადაცემის პირობად განისაზღვრა შპს-ს მიერ ნასყიდობის ფასის – 10000 აშშ დოლარის გადახდა და მის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემა. აღნიშნული დათქმა წარმოადგენდა შპს „...-ის“ სახელზე საკუთრების გადასვლის პირობას. პირობადადებული ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სახელმწიფოსა და პირს შორის ქონების გაცვლის შესაძლებლობას, სახელმწიფოსა და შპს „...-ს“ შორის ხელშეკრულებები დაიდო 2007 წელს, ხოლო „სახელმწიფო ქონების ტოლფასი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის სახელმწიფო ქონების საკუთრებაში გადაცემის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ქონების გაცვლის შესაძლებლობას, მხოლოდ 07.09.2010წ. გამოიცა („სახელმწიფო ქონების შესახებ“ 21.07.2010წ. კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის, აგრეთვე 46-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების გაცემის წესი მისი ტოლფასი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით). საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს არა თუ კვალიფიკაციის შეცვლას, არამედ უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს სამართლებრივი აქტით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობის გადახედვას, რაც სცილდება საგადასახადო ორგანოსათვის საგადასახადო კოდექსის 73.9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (ანალოგიური შინაარსის მქონე 22.12.2004წ. საგადასახადო კოდექსის 104.6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით) გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებს. აღნიშნულის თაობაზე საქართველოს საგადასახადო ომბუდსმენის 19.05.2014წ. №02-138/05 მიმართვის მიუხედავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს-

თან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ არ იქნა მხედვე-ლობაში მიღებული 17.09.2010წ. საგადასახადო კოდექსის იმუქამად მოქმედი 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის და საქართველოს მთავრობის 23.02.2011წ. №92 დადგენილების 7.10 მუხლის საფუძველზე საგა-დასახადო ომბუდსმენის რეკომენდაცია გადამხდელის უფლების აღდგენის შესახებ.

„სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის, საქარ-თველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 20.09.2004წ. №1-1/102 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების პირდა-პირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების, სა-ქართველოს პრეზიდენტის 13.02.07წ. №55 განკარგულების, საქარ-თველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 19.02.07წ. ბრძა-ნების და ნოტარიულად დამოწმებული პირობადადებული ნასყი-დობის ხელშეკრულების (23.03.07წ.) საფუძველზე, შპს „....-მა“ მიი-ღო საკუთრებაში ქ. თბილისში, ... ქ. №4-ში მდებარე შენობა (456,31 კვ.მ.), საპრივატიზაციო თანხად 10000 აშშ დოლარი განისაზღვრა. შპს „....-მა“ ნოტარიიალურად დამოწმებული 05.03.2007წ. ხელშეკ-რულებით უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს ეკონომიკური გან-ვითარების სამინისტროს ქ. თბილისში, ... მდებარე ქონება. 17.09.2010წ. საგადასახადო კოდექსის 73.9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე მითითებით, რომელიც ითვალისწინებს სამეურნეო ოპერაციის ფორმისა და შინაარსის გათვალისწინებით კვალიფიკაციის შეცვლის შესაძლებლობას, თუ ოპერაციის ფორმა არ შეესაბამება მის შინა-არსს, შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ ოპერაცია დაკვალიფიცირდა ბარტერულ ოპერაციად, რომელიც სა-ქართველოს საგადასახადო კოდექსის 16.17 მუხლის და 18.10 მუხ-ლის საფუძველზე გადასახადით დაიბეგრა. საკასაციო პალატა აღ-ნიშნავს, რომ ოპერაციის კვალიფიკაციის შეცვლა შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ სამეურნეო ოპერაცია თავისი არსით ეწინააღ-მდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. 73-ე მუხლის მე-9 ნაწი-ლი არ იძლევა მართლზომიერი გარიგების კვალიფიკაციის შეცვლის შესაძლებლობას, ის ეხება ბათილ, ნების ნაკლის მქონე გარიგე-ბებს, მათ შორის თვალთმაქცურ და მოჩვენებით გარიგებებს (სუს 14.03.2017წ. №ბს-702-695(2კ-16) განჩინება) და არა მართლზომი-ერ გარიგებებს, რომელთა შინაარსიც შეესაბამება მისივე ფორმას. ოპერაციის შინაარსის და ფორმის შესაბამისობა ურთიერთობის მა-რეგულირებელი კანონმდებლობით დგინდება. მხარეთა რეალური ნების შესწავლის გარეშე არ დაიშვება გარიგების კვალიფიკაციის შეცვლა. დაუშვებელია მხარის რეალური ნების იგნორირება, თუ არ არის საკმარისად დიდი ალბათობა იმისა, რომ მხარე თვალთმაქ-ცობს ან ცდება თავისი ნების გამოხატვაში.

ხელშეკრულების ფორმისა და მხარეთა ნებას შორის შესაბამისობის გარევევა ხდება იმ კანონმდებლობის საფუძველზე, რომ-ლითაც რეგულირდება კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა. ამ ნორმატიული აქტების გამოყენებით ხდება კონკრეტული სამართლებრივი კონსტრუქციის ფორმის ნორმატიულად დადგენილი შინაარსისა და მხარეთა ფაქტობრივი ნების შეპირისპირება. ფორმა წარმოადგენს მხარეთა შეთანხმების კანონმდებლობით დადგენილ შინაარსს, ხოლო შინაარსი კი – მხარეთა რეალურ ნებას. მოცემულ შემთხვევაში არ იყვეთება ნების ნაკლი, გარიგების დადება მხოლოდ მოსაჩვენებლად (მოჩვენებითი გარიგება), იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოყვეს (სკ-ის 56.1 მუხ.), ანუ მესამე პირის, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მოსატყუუბლად, რომელიც მოცემულ შემთხვევაში თავად არის გარიგების ერთ-ერთი მხარეს შორის პირობადადებული ნასყიდობის და უსასყიდლოდ ქონების გადაცემის შესახებ ხელშეკრულების დადების პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონების გაცვლის შესაძლებლობას და შესაბამისად, ხელშეკრულებების დადების მომენტში არ არსებობდა სახელმწიფოს მოტყუუბების – გადასახადის გადასახადებისაგან თავის არიდების მიზანი, ოპერაციის მითითებული ფორმითა და შინაარსით განხორციელება, რომლის ინიციატორებიც სახელმწიფო ორგანოები იყვნენ, მიზანად არ ისახავდა საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო ვალდებულებებისაგან თავის არიდებას. ამასთანავე, ნაკლები გადასახადის გადახდის მიზანი ყოველთვის არ იწვევს გარიგების მოჩვენებითად მიჩნევას. ადგილი არ აქვს აგრეთვე სხვა გარიგების დაფარვას (თვალთმაქცური გარიგება) და შესაბამისად დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესების გამოყენებას (სკ-ის 56.2 მუხ.). მოჩვენებითი (სიმულირებული) გარიგება შედეგად იწვევს დამალული გარიგების წესების მოქმედებას. უკვე აღინიშნა, რომ სახელმწიფო ქონების განკარგვის დროს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონების გაცვლის შესაძლებლობას, ხოლო დაფარული გარიგების წესების გამოყენება შესაძლებელია თუ ის მართლზომიერია და ამ საფუძვლით ნამდვილია მაშინ, როდესაც კანონით დადგენილი წესის (ამ შემთხვევაში სახელმწიფო ქონების განკარგვის მომწესრიგებელი კანონმდებლობის) დამრღვევი გარიგება, სკ-ის 54-ე მუხლის თანახმად ბათილია. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილება შეცვალოს სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაცია შესაბამისი პირობების არსებობისას გულისხმობის იმას, რომ განსაზღვრული კვალიფიკაცია შესაბამისობაში უნდა იყოს მოქმედ კანონმდებლობასთან, რადგანაც შესაბამის პერიოდში მოქმედი კა-

ნონმდებლობა არ ითვალისწინებდა სახელმწიფო ქონების გაცვლის შესაძლებლობას, ხოლო სამოქალაქო კოდექსის ნორმები გამოიყენებოდა საპრივატიზაციო კანონმდებლობით დაშვებული სახელმწიფო ქონების განკარგვის სახეების მიმართ, შესაბამისად კვალიფიკაციის შეცვლის პირობას არ ქმნიდა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ქონების გაცვლის წესები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ოპერაციის ფორმის და შინაარსის შეუსაბამობის, კვალიფიკაციის შეცვლის საჭიროების მტკიცების ტვირთი აკისრია აღნიშნულის შესახებ აქტის გამომცემ ორგანოს. სზაკ-ის მე-5 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, სასკ-ის მე-17 მუხლის მიხედვით აქტის კანონიერების მტკიცების ტვირთი ეკისრება აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. სადაც აქტებით არ დასტურდება ისეთი გარემოების არსებობა, რომელიც მიუთითებს ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიციური გარიგების შესახებ შეთანხმებაზე, ეკონომიკური რეალობის, შინაარსის და სამართლებრივი ფორმის შეუსაბამობაზე, მოცემულ შემთხვევაში ოპერაციის ფორმა შეესაბამება მის შინაარსს.

ბარტერულ ოპერაციაში იგივე ღირებულების ობიექტებს შორის ნატურალური გაცვლაა, გარიგება იდება ერთდროულად ერთი ხელშეკრულების ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში მხარეებმა ცალკეული და ურთიერთდამოუკიდებელი ხელშეკრულებების ფარგლებში განახორციელეს სახელშეკრულებო ავტონომიით მინიჭებული უფლებამოსილებები, პირობადადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო საქართველოს პრეზიდენტის განხარგულების საფუძველზე და მის შესასრულებლად, მართლზომიერია. განსაზღვრული შედეგის დადგომისთვის პირს კერძო აგრძონომიის ფარგლებში თავისი ნების რეალიზებისთვის შეუძლია გამოიყენოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი ფორმა, არჩევანისას ის ითვალისწინებს თავისი ქონების დაცვის ხარისხს, კონტრაჰენტისა და სამართლებრივი კონსტრუქციის ფაქტორს. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საგადასახადო ოპტიმიზაციის კანონიერი საშუალებების გამოყენება სავსებით ბუნებრივია, ამის საწინააღმდეგო იქნებოდა გადასახადების მაქსიმალური ოდენობით გადახდის, საუარესო საგადასახადო შედეგებისადმი გადამხდელის მისწრაფება. დაუშვებელია პასუხისმგებლობის დაწესება გადამხდელის ისეთი მოქმედებისათვის, რომლებიც იდება გადამხდელის კანონიერი უფლებების, მიკუთხნებული კანონიერი შეღავათების ფარგლებში, რომელიც კანონიერ საფუძველზე იძლევა გადასახადისაგან გათავისუფლების პირობას. ამდენად, მოცემული სამარ-

თლებრივი თავისუფლების ფარგლებში მიზნის მიღწევის ერთ-ერთი კანონიერი გზის არჩევა არ უნდა იწვევდეს მის ავტომატურ მოდიფიცირებას დაბეგვრას დაქვემდებარებული ხელშეკრულების სახეობად, მითუმეტეს კანონსანინააღმდეგო მიზნისა და ფორმის არარსებობის შემთხვევაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სახეზეა სსკ-ის 399.2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა (საგადასახადო კოდექსის 73.9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, სკ-ის 521-ე მუხ.) და არასწორად განმარტა კანონი. სააპელაციო სასამართლომ სრულად არ გამოიკვლია საქმის გარემოები, სათანადოდ არ დაასაბუთა გასაჩივრებული განჩინება, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს. ამდენად, საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საქმის მასალების თანახმად, მოსარჩელე ქვედა ინსტანციის სასამართლოებში ითხოვდა სადაც აქტების ბათილად ცნობას დღგს, მოგების და ქონების გადასახადის დარიცხვის ნაწილში, მოსარჩელე თვლიდა, რომ აღნიშნული გადასახადების ნაწილში შპს-ს არამართლზომიერად აქვს დარიცხული თანხა – ჯამში 63 369 ლარი. შესაბამისად, სწორედ ამ ოდენობით განისაზღვრა პირველი ინსტანციის სასამართლოში დავის საგნის ღირებულება, რაც სსკ-ის 39.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქმნიდა სარჩელზე სახელმწიფო ბაჟის სახით – 1901,07 ლარის (დავის საგნის ღირებულების 3%) გადახდის საჭიროებას, თუმცა სარჩელზე გადახდილი იქნა ჯამში 1905 ლარი (100 + 1805), აღნიშნულიდან გამომდინარე, ზედმეტად გადახდილი თანხა – 3,93 ლარი (1905-1901,07) უნდა დაექვემდებაროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაბრუნებას.

საკასაციო ინსტანციის სასამართლოში დავის საგნის ღირებულება შემცირდა, რადგან 11.07.2018წ. გამართულ სასამართლო სხდომაზე კასატორის საგანმკარგულებლო უფლებამოსილების მქონე წარმომადგენელმა – თ. მ-ემ (რწმუნებულება 19.02.2018წ., №...; 25.06.2018წ. №...) დააზუსტა მოთხოვები და აღნიშნა, რომ სადაც აქტებს ასაჩივრებს მხოლოდ დღგ-სა და მოგების გადასახადის დარიცხვის ნაწილში და არ ასაჩივრებს 16.06.2014წ. №... საგადასახადო მოთხოვნას, აგრეთვე არ ითხოვს სააპელაციო სასამართლოს მიერ მისითვის დაკისრებული ბაჟის მოწინააღმდეგები მხარეთათვის დაკისრებას. 16.06.2014წ. №... საგადასახადო მოთხოვნის მიხედვით, შპს „...-ს“ დღგ-სა და მოგების გადასახადი დაერიცხა ჯამში 61963 ლარი (31683 + 30280). ვინაიდან კასატორის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სადაც აქტების გასაჩივრება ხდება

მხოლოდ აღნიშნული გადასახადების დარიცხვის ნაწილში, დავის საგნის ლირებულება საკასაციო სასამართლოში განისაზღვრა – 61 963 ლარით. აღნიშნული, სსკ-ის 39.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ქმნიდა სახელმწიფო ბაჟის – 3098,15 ლარის (საკასაციო სასამართლოში დავის საგნის ლირებულების 5%) გადახდის საფუძველს, თუმცა საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილ იქნა – 3390,40 ლარი, რის გამოც ზედმეტად გადახდილი თანხა – 292,25 ლარი (3390,40-3098,15) უნდა დაექვემდებაროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადამხდელისათვის დაბრუნებას.

სსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამდენად, მართალია განსახილველ შემთხვევაში მონინაალმდეგვ მხარეები – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და სსიპ შემოსავლების სამსახური, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გათავისუფლებულები არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს მათი, როგორც მონინაალმდეგვ მხარეების, ვალდებულებას სარჩელის დაკმაყოფილებისას აანაზღაურონ სარჩელზე (საჩივარზე) გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს ა:

1. შპს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.03.2016ნ. გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 24.12.2013წ. №... ბრძანება, სსიპ შემოსავლების სამსახურის 24.12.2013წ. №... საგადასახადო მოთხოვნა, სსიპ შემოსავლების სამსახურის 24.02.2014წ. №... ბრძანება, სსიპ შემოსავლების სამსახურის 16.06.2014წ. №30236 ბრძანება, სსიპ შემოსავლების სამსახურის 16.06.2014წ. №... საგადასახადო მოთ-

ხოვნა შპს „...“ 61963 ლარის დარიცხვის ნაწილში;

5. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 23.05.2014წ. №7575/2/14 გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შპს „...“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა 61963 ლარის დარიცხვის გაუქმების მოთხოვნის ნაწილში;

6. სსიპ შემოსავლების სამსახურს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სოლიდარულად დაეკისროთ ბ. კ-ისთვის (პ.6....) მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 100 ლარის ანაზღაურება, ა. ჯ-ისთვის (პ.6....) – 1801,07 ლარის ანაზღაურება, თ. მ-ისათვის (პ.6....) – 3098,15 ლარის ანაზღაურება;

7. ა. ჯ-ს (პ.6....) დაუბრუნდეს სარჩელზე 11.02.2015წ. №1 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1 805 ლარის ნაწილი, – 3,93 ლარი, როგორც ზედმეტად გადახდილი, შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150;

8. მ-ეს (პ.6....) დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე 16.09.2016წ. №0 საგადასახადო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 3390,40 ლარის ნაწილი, – 292,25 ლარი, როგორც ზედმეტად გადახდილი, შემდეგი ანგარიშიდან: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150;

9. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დღგ-ის გადაუხდელობისათვის დაკისრებული ჯარიშის და საურავის პარენტულობის მიზანის გადაუხდელი ურთისესობა

გადაცევის ურთისესობის მიზანის გადაუხდელი ურთისესობა

№ბს-858-850(კ-16)

13 სექტემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ვ. როინიშვილი

დავის საგანი: საგადასახადო ორგანოს განმარტება, დღგ-ის
გადახდა, დღგ-ის გადაუხდელობისათვის სანქციის გამოყენება

აღწერილობითი ნაწილი:

ი.მ. ა. ს-ემ 10.12.2014წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალა-
ქო სასამართლოს მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო-
სა და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ და მოითხოვა სსიპ
შემოსავლების სამსახურის 02.12.2013წ. №... საგადასახადო მოთ-
ხოვნის ბათილად ცნობა, სსიპ შემოსავლების სამსახურის
19.02.2014წ. №... ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობა და სა-
ქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების გან-
ხილვის საბჭოს 22.10.2014წ. გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათი-
ლად ცნობა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ შემოსავლების სამსახუ-
რის აუდიტის დეპარტამენტის მიერ ჩატარდა კამერალური საგა-
დასახადო შემოწმება, რის საფუძველზეც შედგა შემოწმების აქტი
და 02.12.13წ. №... საგადასახადო მოთხოვნა, რომლითაც ბიუჯე-
ტის წინაშე დავალიანება განისაზღვრა 2 830 182.35 ლარით. დამა-
ტებით დარიცხული გადასახადის დაკისრება გამოწვეულია იმით,
რომ მის საკუთრებაში არსებული და ეკონომიკურ საქმიანობაში
გამოყენებული ქ. რუსთავში, ... მდებარე ფართი საბაზრო ღირებუ-
ლებაზე ნაკლებ ფასად გაიყიდა, ნამეტი თანხა დაიბეგრა როგორც
საშემოსავლო გადასახადით, ასევე დღგ-ით, დავალიანების დაკის-
რების სხვა საფუძველს ნარმოადგენდა ის გარემოება, რომ 2002
წელს აუქციონის წესით 21 449 აშშ დოლარად შეფასებული ქ. რუს-
თავში, ... შენობა 2008 წელს მიეყიდა შპს „...“ 2 900 000 ლარად.
შემმოწმებელმა მიიჩნია, რომ 2007-08 წწ. ქონება გამოყენებული
იყო ეკონომიკურ საქმიანობაში, კერძოდ გადაცემული იყო იჯა-
რით, რის გამოც რეალიზებული ქონების ნამეტი ღირებულება და-

იბეგრა. შემოწმების შედეგად დაიბეგრა აგრეთვე სს „პ...“ მიღებული პირგასამტებლოს თანხები.

შემოწმების აქტი და საგადასახადო მოთხოვნა გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოში, რომლის 19.02.14ნ. №... ბრძანებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა საჩივარი, ... მდებარე უძრავი ქონების რეალიზაციის ოპერაციასთან დაკავშირებით აუდიტის დეპარტამენტს დაევალა გარიგებაში დოკუმენტურად დადასტურებული ფასით ხელმძღვანელობა და აღნიშნულის გათვალისწინებით დარიცხული თანხების კორექტირება. შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭომ აღნიშნა, რომ მასალების მიხედვით სს „პ...“ მიერ მეწარმისათვის ჩარიცხული თანხები ნარმოადგენდა საიჯარო გადასახადს, რის გამოც დაიბეგრა დღგ-ით. ამასთანავე, გადამხდელს მიეცა წინადადება ნარედგინა აუდიტის დეპარტამენტისათვის დამატებითი დოკუმენტაცია/ინფორმაცია სს „პ...“ მიერ ჩარიცხული თანხების მიზნობრიობასთან დაკავშირებით, ხოლო აუდიტის დეპარტამენტს დაევალა ნარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლა და თუ დადასტურდებოდა, რომ აღნიშნული თანხები იყო პირგასამტებლო, დეპარტამენტს დაევალა პირგასამტებლოს თანხის დღგ-ით დაბეგვრის საფუძვლით განხორციელებული დარიცხვის შემცირება. საჩივარი დანარჩენ ნაწილში არ დაკავყოფილდა, რაც გასაჩივრდა ა. ს-ის მიერ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების საბჭომ 22.10.14ნ. გადაწყვეტილებით ასევე ნაწილობრივ დაკავმაყოფილა ინდ. მეწარმის საჩივარი, საქემოსავლო გადასახადის ნაწილში საჩივარი დაკმაყოფილდა. საბჭომ მიუთითა, რომ უძრავი ქონების გაქირავება ან იჯარით გადაცემა არ ნარმოადგენს სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას. საბჭომ მიიჩნია, რომ არ არის დასაბუთებული 2008 წელს გასხვისების შედეგად მიღებული ნაშეტის მიჩნევა სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში მატერიალური აქტივის რეალიზაციით მიღებულ ნამეტად, რის გამოც დასაშვებად იქნა მიჩნეული საგადასახადო კოდექსის 168.1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შეღავათის გამოყენება, შესაბამისად აუდიტის დეპარტამენტს დაევალა დარიცხული თანხების კორექტირება. ამასთანავე არ დაკავყოფილდა 2008 წელს რეალიზებული უძრავი ქონების დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ნაწილში დარიცხვის გაუქმების ნაწილში საჩივარი. საბჭომ აღნიშნა, რომ ერთჯერადი ოპერაცია აღემატებოდა 100 ათას ლარს, შესაბამისად გადამხდელს ნარმოებვა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისა და მიზოდების დღგ-ით დაბეგვრის ვალდებულება.

მოსარჩევე არ ეთანხმება რა დღგ-ის დარიცხვას, აღნიშნავს, რომ უნივერსამის შენობა შეძენილი აქვს როგორც ფიზიკურ პირს,

შექმნილი ქონება არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის აღრიცხული იქნებოდა როგორც ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებული ძირითადი საშუალება, მის შესაძენად დაკავშირდულ ხარჯებს გამოქვითავდა ერთობლივი შემოსავლიდან. 226.1 მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად არ ითვლება ერთი ოპერაციის ფარგლებში სანარმოს ყველა აქტივის მეორე გადამხდელისათვის მიწოდება, მოსარჩელე თვლის, რომ დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში ისარგებლებდა ამ შეღავით. აუდიტის დეპარტამენტმა მისგან დამოუკიდებლად მოიპოვა მასსა და შპს „მ...“ შორის დადებული იჯარის ხელშეკრულება. მოსარჩელისათვის ამ ხელშეკრულების შესახებ მხოლოდ დავის მიმდინარეობის პროცესში გახდა ცნობილი, ხელშეკრულება არის უთარილო, მას ხელი არ მოუწერია ხელშეკრულებაზე, შენობის სივრცითი ნაწილი დაყოფილია რამდენიმე ნაწილად, არცერთი მათგანი არ არის ხელშეკრულებაში აღნიშნული ფართის ტოლი. მოსარჩელე უთითებდა აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სათათბირო საბჭოს 28.11.066. №17 სხდომის ოქმზე, რომლითაც საბჭომ იმსჯელა ფიზიკური პირის მიერ მის საკუთრებაში არსებული ქონების ერთჯერადი რეალიზაციის ოპერაციის დღგ-ით დაბეგვრის საკითხზე და დაადგინა, რომ ფიზიკური პირის მიერ საკუთრებაში არსებული ქონების ერთჯერადი რეალიზაცია არ ნარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას მიუხედავად კომპენსაციის თანხის ოდენობისა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელე არ დაეთანხმა სადაცვო აქტებს იმ ნაწილში, რომელშიც მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.06.2015წ. გადაწყვეტილებით ი.მ. ა. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებულ ნაწილში ძალაში შესვლის დღიდან ბათილად იქნა ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის 02.12.2013წ. №... საგადასახადო მოთხოვნა, სსიპ შემოსავლების სამსახურის 19.02.2014წ. №.... ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 22.10.2014წ. გადაწყვეტილება. სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განვითარებული მსჯელობა წინააღმდეგობრივია, საიჯარო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე სამინისტრო განმარტავს, რომ ი/მ ა. ს-ის მიერ ქონების იჯარით გაცემა არ ნარმოადგენს სამენარმეო-ეკონომიკურ საქმიანობას, თუმცა ამის საწინააღმდეგოდ ამავე ქონების რეალიზაცია საგადასახადო ორგანომ მიიჩნია ეკონომიკურ საქმიანობად და ოპერაცია შეაფასა დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციად. სასამართლომ აღნიშნა, აგრეთ-

ვე, რომ საქმეში არ არის რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ა. ს-ის მიერ ქონების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების ფაქტს. შესაბამისად 2008 წელს რეალიზაციის ოპერაცია ვერ იქნება მიჩნეული ეკონომიკურ საქმიანობად. საგადასახადო დეპარტამენტის 13.12.2006წ. №2-03/10968 წერილით დასტურდება, რომ ფიზიკური პირის მიერ მის საკუთრებაში არსებული ქონების ერთვერადი რეალიზაცია (გარდა საგადასახადო კოდექსის 13.4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც ქონების რეალიზაცია ხორციელდება სისტემატიურად და იგი გამსხვისებული პირის პროფესიული საქმიანობა) არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობად, რაც წარმოადგენს კოდექსის 221.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის ნორმის გამოყენების აუცილებელ პირობას. მითითებული დოკუმენტის ადრესატები იყვნენ საგადასახადო ინსპექციები, რომელთაც მიეთითად კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების პირობებში როგორ უნდა განხეორციელებინათ ოპერაციის შეფასება. აღნიშნული მიზნად ისახავდა ყველა გადამხდელის მიმართ ერთგვაროვან მიღვომას. სზა-ის 4.3 მუხლის თანახმად, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევაში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. სასამართლომ მიიჩნია, რომ აქტები გამოცემულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით, ორგანოს შეფასება მოცემულ შემთხვევაში განსხვავებულია სხვა იდენტური ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პირობებში განხორციელებული შეფასებისაგან. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.09.2016წ. გადაწყვეტილებით სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.06.2015წ. გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ი.მ. ა.ს-ის სარჩევი არ დაემაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ა. ს-ესა და შპს „ბ...-ის“ დირექტორთან 03.03.2007წ. შენობის (ქ. რუსთავში ... (ყოფილი ...)) მდებარე საოფისე ფართის) იჯარის №1/07 ხელშეკრულებაზე, 04.03.2008წ. შენობის (ქ. რუსთავში ... (... №50) მდებარე საოფისე ფართის) იჯარის №1/08 ხელშეკრულებაზე, ქ. რუსთავი, ..., ყოფილი ... №50, I სართული, ოთახი №3-ში სათამაშო აპარატის სალონის მოწყობის თაობაზე ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 19 მარტის

№264 ბრძანებაზე, ქ. რუსთავი, ... №3, I სართული, ფართი №1-ში სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის №19-06/3965 ნებართვაზე, 2011 წლის პირველ იანვრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე, 225-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, 239-ე ან 240-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ხსნებული ნორმების მიხედვით აშკარაა, რომ ოპერაცია იბეგრება დღგ-ით, თუ სახეზეა ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ოპერაცია და არ აქვს მნიშვნელობა იგი განხორციელებულია სამენარმეო-ეკონომიკური თუ არასამენარმეო-ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში. შესაბამისად, რადგანაც, უძრავი ქონების რეალიზაცია თავისი ბუნებით მიმართულია კომპენსაციის მიღებისაკენ და აშკარაა მისი ეკონომიკური ბუნება, აღნიშნული რეალიზაცია განხილული უნდა იყოს დღგ-ით დასაბეგრ იპერაციად. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ს-ეს კუთვნილი ფართი გამოყენებული ჰქონდა ეკონომიკურ (არასამენარმეო ეკონომიკურ) საქმიანობაში და აღნიშნა, რომ ვინაიდან ნებისმიერი სახის ეკონომიკური საქმიანობისას, თუ გადამხდელის ბრუნვა 100 000 ლარს სცდება, მენარმე ვალდებულია დადგეს დღგ-ს გადამხდელად და გადაიხადოს კუთვნილი გადასახადი. საქმეზე დადგენილად იქნა ცნობილი ა. ს-ის მიერ კუთვნილი ფართის ეკონომიკურ (არასამენარმეო ეკონომიკურ) საქმიანობაში გამოყენების ფაქტი, რაც გულისხმობს იმას, რომ მის მიერ განხორციელებული ოპერაცია ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სათათბირო საბჭოს 28.11.2006წ. №17 სხდომის ოქმი არ არის ნორმატიული ან ინდივიდუალური შინაარსის ძალის მქონე დოკუმენტი, შესაბამისად, არასწორია პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა ოქმით დადგენილი საკითხის ა. ს-ეზე გავრცელების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საკასაციონ წესით გაასაჩივრა ი.მ. ა.ს-ეზე.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატამ საკმარისად არ მიიჩნია დარიცხვის დროს გამოყენებული დოკუმენტაცია და მოიძია ისეთი მტკიცებულებები, რაც დარიცხვის დროს არ ყოფილა შეფასებული და არ გამხდარა აქტის გამოცემის საფუძველი. აღნიშნული ქმედებით სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივად ახალი შემოწმება ჩაატარა, ნაცვლად იმისა, რომ შეეფასებინა გასაჩივრებული აქტების კანონიერება. სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, კერძოდ, არ გაითვალისწინა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

სათათბირო საბჭოს 28.11.2006წ. №17 სხდომის ოქმით გადაწყვეტილი საკითხი, რომლის თანახმად ფიზიკური პირის მიერ მის საკუთრებაში არსებული ქონების ერთჯერადი რეალიზაცია არ წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას, მიუხედავად კომპენსაციის თანხის იდენტობისა. აღნიშნული მითითება სავალდებულო იყო საგადასახადო ორგანოებისა და გადასახადის გადამხდელებისთვის. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია სათათბირო საბჭოს გადაწყვეტილების სამართლებრივ ბუნებაზე, რომლის მიმართ ი.მ. ა. ს-ეს კანონიერი ნდობა ჰქონდა. კასატორო მიუთითებს საკავაციო სასამართლოს 23.09.2014წ. №ბს-205-203(კ-14) გადაწყვეტილების შეფასებებზე და აღნიშნავს, რომ მითითებული გადაწყვეტილებით შეფასებულია ის საკითხები, რაც მისი საკავაციო საჩივრის საფუძვლებს შეადგენს. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ა. ს-ის მითითება იმის შესახებ, რომ სადავო აქტით შეფასებული იქნა ა. ს-ესა და შპს „ვ...“ შორის 2008 წელს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საგანი იყო ქ. რუსთავში ... მდებარე, ყოფილი ... №50-ის შენობა, ხოლო გადაწყვეტილების დასაბუთებისას სააპელაციო სასამართლომ მიუთითა 01.01.2007წ. ქ. რუსთავში, ... ქ. №3-ში მდებარე შენობაზე გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებაზე (მე-18 გვ.მე-6 აბზ.). აღნიშნული უძრავ ქონება ა. ს-ეს არ გაუსვისებია, მითითებული უძრავი ქონების ფართის 35%-ს დღემდე ფლობს ა. ს-ე და ამ ფართს არ ეხება აქტის გასაჩივრებული ნაწილი. ამდენად, გაურკვეველია, რა კავშირი აქვს ქ. რუსთავში, ... №3-ში მდებარე ფართზე დადებულ იჯარის ხელშეკრულებას განსახილველ დავსათან. კასატორო მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში თუ იგი მიიჩნევდა, რომ ვალდებული იყო დღგ-ის გადამხდელად დარეგისტრირებულიყო, იგი დარეგისტრირდებოდა და ისარგებლებდა 2011 წლამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის 226.1 მუხლით გათვალისწინებული შეღავათით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკავაციო სასამართლო საქმის მასალების და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი.მ. ა. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჯარიმისა და საურავის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, ა. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული აქტები ჯარიმისა და საურავის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების ხელახალი

გამოკვლევის შედეგად მიიღოს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შემდეგ გარემონებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ი.მ. ა. ს-ის 01.01.2007წ.-01.06.2013წ. საქმიანობის კამერალური საგადასახადო შემოწმების შედეგებზე გამოიცა 31.10.2013წ. საგადასახადო შემოწმების აქტი და 02.12.2013წ. №... საგადასახადო მოთხოვნა, რომლის თანახმად, გადასახადის გადამხდელს ბიუჯეტში გადასახდელად დაერიცხა სულ 2 830 182 ლარი, მათ შორის ძირითადი გადასახადის სახით 961 671 ლარი, ჯარიმა 668 859 ლარი და საურავი 1 199 652 ლარი. საგადასახადო შემოწმების აქტი და საგადასახადო მოთხოვნა ა. ს-ემ სადაც გახდა შემოსავლების სამსახურსა და დავების განხილვის საბჭოში. ა. ს-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა დღგ-ის თანხის, დღგ-ის გადაუხდელობისათვის დაკისრებული ჯარიმისა და საურავის დარიცხვის ნაწილში. საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის დროს ა. ს-ის ნარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სადაც ხდის დღგ-ის ნაწილში დარიცხვას (თბილისის საქალაქო სასამართლოს 14.05.15წ. სხდომის ოქმი 13:53:31 სთ). 02.12.2013წ. №... საგადასახადო მოთხოვნის თანახმად დღგ-ის ნაწილში ა. ს-ეს გადასახდელად დაეკისრა ძირითადი თანხა – 586 668 ლ., ჯარიმა – 484 380 ლ., საურავი 722 746 ლ., სულ დღგ-ის ნაწილში 1 793 794 ლ. . სწორედ აღნიშნული დარიცხვის კანონიერება გახდა სასამართლოს მსჯელობის საგანი.

საფუძველს მოკლებულია კასატორის მითითება სააპელაციო სასამართლოს მიერ დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვის უსწორობის შესახებ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სასამართლო ნარმოების ინკვიზიციური საწყისების გათვალისწინებით, სასკ-ის მე-4 და მე-19 მუხლების შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. ამასთანავე, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ამონ-მებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით (სსკ-ის 377.1 მუხ.), იგი არ არის შეზღუდული დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და მიიღოს მტკიცებულებები.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება დღგ-ის დარიცხვის ნაწილში არ ენინააღმდეგება საკასაციო საჩივრში აღნიშნულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 23.09.2014წ. №ბს-205-203(ქ-14) განჩინებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული განჩინებით შეფასებულია განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, განჩინება ეხებოდა ფიზიკური პირის მიერ ეკონომიკურ საქმიანობის განხორციელებას

მეწარმედ რეგისტრაციის გარეშე, ხოლო სადაცო იყო მეწარმედ რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის საფუძვლით გამოწერილი სამართლდარღვევის ოქმების კანონიერება. შესაბამისად, არარელევანტურია კასატორის მიერ საკასაციო სასამართლოს განჩინებაზე მითითება განსახილველ საქმესთან მიმართებით, სახეზე არ არის დივერგენცია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით დასტურდება ი.მ. ა. ს-ის მიერ იჯარის ხელშეკრულებების დადება შპს „ბ...“, შპს „მ...“, რაც სადაცო პერიოდში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად ითვლებოდა არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად (2004-2010წ.წ. მოქმედი საგადასახადო კოდექსის 13.6 მუხ. „გ“ ქვპ.). აღნიშნულით დასტურდება, რომ ი/მ. ა. ს-ე 2008 წელს გასხვისებულ ქონებას იყენებდა არასამეწარმეო ეკონომიკური მიზნებისთვის (გასცემდა იჯარით) და ახორციელებდა არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას, რაც სადაცო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად განეცუთვნებოდა ეკონომიკურ საქმიანობას (13.3 მუხ.). ამასთან, ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს მიეკუთვნებოდა იჯარით გაცემული ქონებიდან მიღებული შემოსავლები (175.3 მუხ. „ვ“ ქვეპუნ.). მოსარჩევლე რეგისტრირებული იყო ინდივიდუალურ მეწარმედ და ითვლება მეწარმე ფიზიკურ პირად, მოსარჩელის მიერ რეალიზებული უძრავი ქონებები კომერციული დანიშნულებისა და იჯარით იყო გაცემული, შესაბამისად გამოყენებული იყო არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობაში. ვინაიდან საქმეში დაცული მტკიცებულებებით დასტურდება მოსარჩელის მიერ არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობის მიზნით უძრავი ქონების გამოყენება, შესაბამისად ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი იმუამად მოქმედი 22.12.2004წ. საგადასახადო კოდექსის (175-ე, 211-ე, 225-ე, 239-ე, 240-ე მუხ.) თანახმად ექვემდებარებოდა დღგ-ით დაბეგვრას.

საქმის მასალებით არ დასტურდება კასატორის მოსაზრება ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს სადაცო გადაწყვეტილების წინააღმდეგობრივი ხასიათის შესახებ. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას საბჭოს მიერ დარიცხვის უსაფუძვლობის დადასტურების და აღნიშნულის მიუხედავად მხოლოდ გადასახადის ნაწილის, კერძოდ საშემოსავლო გადასახადის გაუქმებით შემოფარგვლის შესახებ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადაცო პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექსი ცნობდა ეკონომიკური საქმიანობის ორ სახეობას – სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას და არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას. 22.12.2004 წ. საგადასახადო კოდექსის მე-13

მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით არასამენარმეო ეკონომიკურ საქმიანობას განეკუთვნებოდა ქონების იჯარით გადაცემა, ფიზიკური პირის მიერ მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გაქრავება და იჯარით გადაცემა (175-ე მუხ.). სამინისტროს დავების განხილვის საბჭომ დავის პირველ საგანთან – საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით დაადგინა, რომ გადამხდელის მიერ არ განხორციელებულა სამენარმეო-ეკონომიკური საქმიანობა, თუმცა ადგილი ჰქონდა არასამენარმეო ეკონომიკურ საქმიანობას. ვინაიდან საშემოსავლო გადასახადისათვის დადგენილი შეღავათით სარგებლობისათვის პირს არ უნდა ეწარმოებია ფართში სამენარმეო-ეკონომიკური საქმიანობა, საბჭომ დაადგინა საშემოსავლო გადასახადისათვის დადგენილი შეღავათის გამოყენების შესაძლებლობა (168-ე მუხ.). რაც შეეხება დამატებული ლირებულების გადასახადს, საქმეზე დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებენ ფართში არასამენარმეო ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას, დღგ-თან მიმართებაში გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლებისათვის ეკონომიკური საქმიანობის განუხორციელებლობა არ იყო საკმარისი, დამატებული ლირებულების გადასახადისგან განთავისუფლებისათვის ფართი არ უნდა გამოყენებულიყო ორგორც სამენარმეო, ისე არასამენარმეო ეკონომიკური საქმიანობისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დასტურდება ფართის იჯარით გადაცემა, ანუ მისი არასამენარმეო ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენება და სადაცო არ არის მის მიერ განხორციელებული ოპერაციის ლირებულება (2900000 ლ.), რაც აღმატება 100 000 ლარს, გადამხდელი იმუშავად მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად უნდა აღრიცხულიყო დღგ-ის გადამხდელად და გადაეხადა დღგ.

საკასაციო საჩივრის დაშვებისა და დაგებაყოფილების საფუძველს არ ქმნის კასატორის ი/მ ა. ს-ის მითითება სადაცო პერიოდში მოქმედი საგადასახადო კოდექსის 226-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის თანახმად საწარმოს ყველა აქტივის ან ამ საწარმოს დამუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მიწოდება ერთი ოპერაციის ფარგლებში დღგ-ის მეორე გადამხდელისათვის, არ ითვლება დღგ-ით დასაბეგრ იპერაციად. დღგ-ისგან გათავისუფლების პირობას, ხსენებული ნორმის თანახმად, ნარმოადგენს ის, რომ მიმწოდებელი უნდა იყოს საწარმო, ამასთანავე, 22.12.04ნ. კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად საწარმოს არ განეკუთვნება ინდივიდუალური საწარმო, რომელიც 36-ე მუხლის თანახმად ნარმოადგენდა ფიზიკური პირი, თუ ის „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მიხედვით არის ინდივიდუალური მენარმე. საქმის მასალების მიხედვით ინდ.მენარმედ ა. ს-ე 15.03.2005ნ. არის რეგის-

ტრიირებული. ამასთანავე, გადასახადისაგან გათავისუფლების პირობას 226-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად წარმოადგენდა მიმწოდებელის და მიმღების მიერ 15 კალენდარული დღის ვადაში საგადასახადო ორგანოსათვის შეტყობინება აღნიშნული მიწოდების შესახებ (226.2 მუხ.), რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

საფუძველს მოკლებულია კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არასწორად და-ეფუძნა ქ. რუსთავში ... ქ. №3-ში მდებარე შენობაზე გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებას (მე-18 გვ.მე-6 აბზ.), ხოლო სადავო აქტით შეფასებული იქნა ა. ს-ესა და შპს „ვ...“ შორის 2008 წელს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საგანი იყო ქ. რუსთავში ... მდებარე, ყოფილი ... №50-ის შენობა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი ქ. რუსთავში ... ქ. №3-ში მდებარე შენობაზე გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებებთან ერთად უთითებს ქ. რუსთავში ... (ყოფილი ... №50) მდებარე საოფისე ფართზე ა. ს-ესა და შპს „ბ...-ის“ 03.03.2007წ. №1/07 და 04.03.2008წ. №1/08 იჯარის ხელშეკრულებებზე, აგრეთვე სათამაშო აპარატების საკონტროლო-სალარო აპარატის №2485 სარეგისტრაციო ბარათზე, რომელიც განთავსებული იყო მისამართზე ქ. რუსთავი, ..., ... 50. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში დაცულია: ა. ს-ესა და შპს „მ...“ შორის დადებული №1/07 ხელშეკრულება ... ყოფილი ... ფართის სარგებლობაში გადაცემის შესახებ; შპს „ბ...“ განცხადება სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის თაობაზე და მის სახელზე ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მიერ №19-06/1651 და №19-06/2486 ნებართვები, რომლებიც ითვალისწინებდნენ სათამაშო აპარატების სალონის მოწყობას ..., ყოფილი ... №50-ში; ა. ს-ესა და შპს „ბ...“ შორის დადებული 03.03.2007წ. №1/07 და 04.03.2008წ. №1/08 ხელშეკრულებები დროებით სარგებლობაში ქ. რუსთავში, ... (ყოფილი ... №50) ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ; შპს „ბ...“ 03.04.2007წ. განცხადება 50-ში საკონტროლო სალარო აპარატის რეგისტრაციის და 21.12.2009წ. №1471 ცნობა რეგისტრაციიდან მოხსნის შესახებ; ამავე მისამართზე გაცემული საკონტროლო-სალარო აპარატის სარეგისტრაციო ბარათი. ამდენად, სააპელაციო პალატის დასკვნა უნივერსამის შენობის იჯარით გაცემის, შენობის არასამენარმეო ეკონომიკური მიზნით გამოყენების შესახებ – საფუძვლიანია. სსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის და-

საშვები და დასაბუთებული პრეტენზია. კასატორის მიერ წამოყენებული პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიმართ არ არის დასაბუთებული.

საკასაციო საჩივრის დაკამაყოფილების საფუძველს არ ქმნის კასატორის მოსაზრება, რომ ქ. რუსთავში,-ში ... შენობის შესყიდვის შემდეგ მას განეული ჰქონდა ხარჯები, ხოლო შემოწმებამ რეალიზაციის თანხას გამოაკლო მხოლოდ შესყიდვის თანხა და არ გაუთვალისწინებია უძრავი ქონების გაუმჯობესებაზე განეული დანახარჯები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს 19.02.2014წ. №9002 ბრძანებით დადგინდა, რომ გადამხდელს უნდა მიეცეს წინადაღება წარუდგინოს აუდიტის დეპარტამენტს დამატებითი დოკუმენტაცია/ინფორმაცია ქ. რუსთავში ...-ში მდებარე უძრავ ქონებაზე განეული ხარჯების შესახებ, ხოლო აუდიტის დეპარტამენტს აღნიშნული ბრძანებით დაევალა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, უძრავი ქონების რეალიზაციით მიღებული ხამეტი შემოსავლის დადგენა და აღნიშნულის გათვალისწინებით დარიცხვის კორექტირების განხორციელება. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოს 02.03.2014წ. და 31.03.2014წ. ინფორმაციის თანახმად, გადამხდელმა ვერ წარმოადგინა უძრავ ქონებაზე განეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რის გამოც დარიცხვის კორექტირება არ მომხდარა.

დამატებული ლირებულების გადასახადის ძირითადი თანხის დარიცხვის ნაწილში კასატორის მოთხოვნის საფუძვლიანობას არ ადასტურებს აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სათათბირო საბჭოს 28.11.2006წ. №17 სხდომის ოქმი. სადაც აქტების გამოცემის დროს მოქმედი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 15.07.2005წ. №528 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა მინისტრის სათათბირო საბჭოს დებულების“ მე-14 მუხლის თანახმად, სათათბირო საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნებოდა საკითხების განხილვა და ანალიზი (მე-3 მუხ.), განსახილველი საკითხის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებდა მინისტრი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. გადასახადების დაბეგვრისათვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საგადასახადო კოდექსის და მათ შესაბამისად მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან. საბჭოს სხდომის ოქმი, დეპარტამენტის წერილი არ წარმოადგენს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, გა-

დასახადებით დაბეგვრასთან დაკავშირებულ საკითხებზე კანონ-ქვემდებარე ნორმატიულ აქტებს გამოსცემს საქართველოს მთავრობა და საქართველოს ფინანსთა მინისტრი (22.12.04.ნ. კოდექსის 2.4 მუხ.). ასეთად სათათბირო საბჭოს წერილისა და მეთოდური მითითების მიჩნევის შემთხვევაშიც კი სადაც აქტების დროს გამოცემული საგადასახადო კოდექსის 2.4 და 3.1 მუხლების თანახმად კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დებულებას, რომელიც არ შეესაბამება კოდექსის დებულებებს, სამართლებრივი ძალა არ აქვს, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არ ცვლის საგადასახადო კოდექსით რეგულირებადი ურთიერთობების მონაწილეთა ვალდებულებების შინაარსს. ვალდებულების წარმოშობის დროს მოქმედი 29.10.1996წ. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის თანახმად მეთოდური მითითება არ იყო ნორმატიული აქტი (მე-4, მე-5 მუხ.), ასეთად ის არც შემდგომში მიღებული „ნორმატიული აქტების შესახებ“ 22.10.2009წ. კანონით მიიჩნევა. სადაც ურთიერთობის წარმოშობის პერიოდში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებდა შესრულებული ან შესასრულებელი საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ გადამხდელი-სათვის წერილობითი განმარტების გაგზავნას (46-ე, 47-ე მუხ.), რასაც მოცემულ შემთხვევაში აგრეთვე ადგილი არ ჰქონია. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ დღგ-ის ძირითადი თანხის დაბეგვრის ნაწილში სადაც აქტები კანონიერია. საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის თანახმად, გადასახადების ოდენობას ადგენს კანონი, გადასახადისახაგან განთავისუფლება დასაშვებია მხოლოდ კანონით. შესაბამისად არ დაიშვება ინსტრუქციით, მეთოდური მითითებით ან სათათბირო საბჭოს ოქმით გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებების შეცვლა. გადასახადებით დაბეგვრისას საგადასახადო კოდექსის დებულებებსა და საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროს ნორმატიული აქტების დებულებებს შორის კოლიზიის წარმოშობისას გამოიყენება საგადასახადო კოდექსის დებულებები, გადასახადებით დაბეგვრისათვის გამოიყენება საგადასახადო კანონმდებლობის ოფიციალურად გამოქვეყნებული და ძალაში შესული ის ნორმატიული აქტები, რომლებიც მოქმედებს საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობის დღისათვის (22.12.2004წ. კოდექსის მე-2 მუხ.). შესაბამისად საფუძველს მოკლებულია სზა-ის 4.3 მუხლზე მითითება, საგადასახადო ორგანოს განმარტებას არ აქვს სასამართლოსათვის სავალდებულო მნიშვნელობა, პირიქით, სასამართლოს ნორმის განმარტება უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული საგადასახადო ორგანოების საქმიანობაში.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ დამატებული ღირებუ-

ლების გადასახადის ნაწილში ა. ს-ეს გადასახდელად დაეკისრა 586 668 ლ., ჯარიმა 484 380 ლ., საურავი 722 746 ლ., სულ დღგ-ის ნაწილში 1 793794 ლ. . დამატებული ლირებულების გადასახადის ძირითად თანხასთან ერთად ჯარიმის და საურავის თანხების დაკისრებასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმას, რომ სათათბირო საპჭოს ოქმში მოყვანილი მოსაზრებები აისახა დეპარტამენტის მეთოდურ მითითებებში და სახელმძღვანელოდ გადაეგზავნა საგადასახადო ორგანოებს. საკასაციო პალატა ითვალისწინებს აგრეთვე იმას, რომ 2011 წლის 01 იანვრამდე მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა, კერძოდ, 22.12.2004წ. საგადასახადო კოდექსის 3.2 მუხლი ადგენდა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების მიზნით გამოსცემდა ბრძანებებს, შიდა ინსტრუქციებს და მეთოდურ მითითებებს საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით, საგადასახადო ორგანოები საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში ხელმძღვანელობდნენ ასეთი ბრძანებებით, შიდა ინსტრუქციებითა და მეთოდურ მითითებებით (ანალოგიურ დებულებას შეიცავს აგრეთვე ამჟამად მოქმედი 17.09.2010წ. საგადასახადო კოდექსის 2.5 მუხ.), რომლის თანახმად სსიპ შემოსავლების სამსახურის უფროსი საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების მიზნით, გამოსცემს მეთოდურ მითითებებს საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე). საგადასახადო ორგანოს განმარტებას საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე აქვს სარეკომენდაციო ხსიათი და არ არის სავალდებულო გადამხდელისათვის, მით უფრო სასამართლოსათვის, ასეთი განმარტების საფუძველზე პირის ქმედება არ ათავისუფლებს მას გადასახადის გადახდისაგან, ვინაიდან სახეზე არ არის ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული „საჯარო გადაწყვეტილება“ (17.09.2010წ. საგადასახადო კოდექსის 46-ე მუხ.), რომელსაც იმპერატიულობის ნიშნები ახასიათებს, რადგანაც ყველა ან გარკვეული კატეგორიის გადამხდელთა მიმართ საჯარო გადაწყვეტილების სახით გაცემული ნორმის განმარტებას სავალდებულო ძალა აქვს გადასახადის გადამხდელისა და საგადასახადო ორგანოს შორის ურთიერთობაში, შესაბამისად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მნიშვნელოვანი ნორმის ერთგვაროვანი განმარტების მიზნით მიღებული ე.წ. „საჯარო გადაწყვეტილების“ (17.09.10წ. საგადასახადო კოდექსის 46-ე, 269-ე მუხ.) მიხედვით გადამხდელის მიერ ქმედების განხორციელების შემთხვევაში, საჯარო გადაწყვეტილების არამართლზომიერების

შემდგომში დადგენის შემთხვევაშიც, გადამხდელს სანქცია არ და-ეკისრება (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 31.12.2010წ. №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შე-სახებ“ ინსტრუქციის 15.12 მუხ.). რაც შეეხება დავალიანების წარ-მოშობის მომენტისათვის მოქმედ 22.12.2004წ. საგადასახადო კო-დექსს, კოდექსის 124.4 მუხლი ითვალისწინებდა გადამხდელის მი-მართ სანქციის გამოყენებაზე უარის თქმას მხოლოდ კანონქვემ-დებარე ნორმატიული აქტის კოდექსის ნორმებთან კოლიზიის შემ-თხვევაში.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ მეთოდურ მითითებებს არ ჰქონდათ ნორმატიული, იმპერატიული ხასიათი, მეთოდური მითი-თება წარმოადგენდა საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასა-სადო კანონმდებლობის განმარტების და გამოყენების ოფიციალურ დოკუმენტს. 22.12.04წ. საგადასახადო კოდექსის 52.1 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი ადგენდა საგადასახადო ორგანოების ვალდებულებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში საგადასახადო კანონმდებ-ლობის გამოყენებასთან დაკავშირებით განმარტებითი სამუშაოე-ბის ჩატარების მეთოდური და ინსტრუქციული მითითებების გა-მოცემის ვალდებულებას. სადაც სამართალურთიერთობის წარ-მოშობის დროს მოქმედი „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შესახებ“ 29.12.2006წ. კანონის 7.1 მუხ-ლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად შემოსავლების სამსახურს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და კანონმდებლობით დადგენილი წე-სით ევალებოდა საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით განმარტებითი მუშაობის ჩატარება, მეთოდური და ინსტრუქციული მითითებების გამოცემა. მეთოდური მითითებების გადამხდელისათვის სარეკომენდაციო ხასიათის მიუხედავად (ამის შესახებ პირდაპირ მითითებას შეიცავს ამჟამად მოქმედი საგადა-სახადო კოდექსის 46.1 მუხ.), საგადასახადო ორგანოსათვის მათ ფაქტობრივად შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი გააჩნდათ. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ფიზიკური პირის დღგ-ს გა-დახდისგან გათავისუფლების საკითხი განხილულ იქნა საქართვე-ლოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო და საბაჟო პოლიტი-კის საკითხების განმხილველი ჯგუფის სხდომაზე, რომელმაც მი-ზანშენონილად მიიჩნია სამინისტროს სათათბირო საბჭოზე საკით-ხის განხილვა. სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 13.10.2006წ. წერილით საგადასახადო ინსპექციებისათვის შესაბა-მისი მეთოდური მითითების დაშვებამდე მოთხოვნილ იქნა სამი-ნისტროში საკითხის განხილვა. საკითხის სამინისტროს სათათბი-რო საბჭოს განხილვის შემდეგ საქართველოს ფინანსთა სამინის-ტროს საგადასახადო დეპარტამენტის 13.12.2006წ. №2-03/10968

წერილით, რომლის ადრესატები იყვნენ საგადასახადო ინსპექციები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სათათბირო საბჭოს 18.11.2006წ. გადაწყვეტილების გათვალისწინებით, ინსპექციებს მიეთითათ, რომ ფიზიკური პირის მიერ საკუთრებაში არსებული ქონების ერთჯერადი რეალიზაცია (გარდა კოდექსის მე-13 მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, როდესაც ქონების რეალიზაცია ხორციელდება სისტემატურად და იგი გამსხვისებელი პირის პროფესიული საქმიანობა) არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობად, რაც ნარმოადგენს კოდექსის 221.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის ნორმის აუცილებელ პირობას, დღგ-ის გადამხდელად საგადადებულო რეგისტრაციისათვის. წერილით მიეთითა აგრეთვე, რომ ფიზიკური პირის მიერ მის საკუთრებაში არსებული ქონების რეალიზაცია არ წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრო პერაციას, მიუხედავად კომპენსაციის თანხის ოდენობისა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საგადასახადო სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომა საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. ვინაიდან ვალდებულების შეუსრულებლობას – გადასახადის გადაუხდელობას საფუძვლად ედო საგადასახადო ორგანოს განმარტება, რომლითაც, როგორც წესი, ხელმძღვანელობდნენ საგადასახადო ორგანოები საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში და რომლის გამოყენება გადასახადის გადამხდელს, მისთვის არასავალდებულო ხასიათის მიუხედავად, შეეძლო თავის საქმიანობაში, რაც ქმნიდა გადამხდელის შეცდომაში შეყვანის გარკვეულ პირობას, საკასაციო პალატა თვლის, რომ სადაცვო აქტები გადამხდელისათვის დღგ-ის გადაუხდელობისათვის სანქციის დაკისრების ნაწილში არ არის დასაბუთებული. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქონების მესაკუთრის მიმართ გადასახადების შემზღვდავი ხასიათი ქმნის საგადასახადო ორგანოების მიმართ ცხადი და მკვეთრი სამართლებრივი მიდგომების მოთხოვნის საფუძველს, შეძლებისდაგვარად ერთმნიშვნელოვანი და ცხადი უნდა იყოს არა მხოლოდ საგადასახადო კანონმდებლობა, არამედ საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის განმარტება. საგადასახადო ორგანოებს არ უმსჯელიათ სადაცვო აქტების გამოცემის დროს მოქმედი კოდექსით (17.09.10წ.) გათვალისწინებული სანქციისგან გათავისუფლების პირობების (კერძოდ მოსარჩელის კეთილსინდისიერად მიჩნევის, გადაუხდელობის მიზეზის – შეცდომის) არსებობაზე (269.7 მუხ.).

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არის დასაბუთებული საგადასახადო ორგანოს მიერ დამატებული ღირებულების გადასახადის გადაუხდელ თანხაზე საურაცის დაჯარიმის დაკისრება. დამრღვევის მიმართ ფინანსური სანქციების

– ჯარიმის და საურავების გამოყენების საფუძველია – საგადასახადო სამართალდარღვევა, ფინანსური სანქციების მოცულობა უკავშირდება ბიუჯეტში გადაუხდელი გადასახადის თანხების ოდენობას (ჯარიმის ოდენობა უკავშირდება შემცირებული გადასახადის ოდენობას) და ვადებს (დადგენილ ვადაში გადაუხდელ გადასახადზე საურავის დარიცხვა წარმოებს ვადაგადაცილებულ პერიოდზე). საგადასახადო პასუხისმგებლობის ზომა დადგენილია საგადასახადო კანონმდებლობით, მისი გამოყენებისათვის უნდა გაირკვეს გადასახადისგან თავის არიდების ფაქტის არსებობა. საამისოდ უნდა დადგინდეს სსიპ საგადასახადო დეპარტამენტის მიერ მეთოდური მითითების საგადასახადო ორგანოსთვის დაგზავნის, საჯარო გავრცელების, გადამხდელის მიერ მისი გაცნობის, სადაც სამართალურთიერთობების წარმოშობამდე მითითებული ცვლილებების შეუტანლობის ფაქტები, აგრეთვე დეპარტამენტის 13.12.2006წ. №2-03/10968 წერილში აღნიშნული საგამონაკლისო პირობების არსებობა, კერძოდ მოსარჩელის მიერ უძრავი ქონების რეალიზაციის არასისტემატურობა ანუ ერთჯერადობა. საგადასახადო ორგანოებს სადაც აქტების გამოცემისას არ უმსჯელია იმაზე, თუ რამდენად წარმოადგენს წერილობითი მითითების შესრულება ბრალის გამომრიცხავ გარემოებას და შესაბამისად საგადასახადო სანქციისგან განთავისუფლების პირობას. გარკვევას საჭიროებს ჰქონდა თუ არა ადგილი გადამხდელის შეცდომას, რომლის შედეგად არ არის გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი, თუ გადასახადის გადახდისგან თავის არიდებას, რისთვისაც უნდა დადგინდეს გადამხდელის ბრალის არსებობა. საურავი და ჯარიმა საგადასახადო სანქციათა სახეობებია, საურავი თავისი შინაარსით უფლებააღდგენითი სანქციაა, რომელიც აიძულებს პირს სათანადო შესარულოს საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნები. კანონმდებლობის ერთგვაროვანი აღსრულების მიზნით მოპასუხის მიერ გამოყენებული მეთოდური მითითებიდან გამომდინარე, გაურკვეველია მოცემულ შემთხვევაში საურავის საკომპენსაციო მნიშვნელობა, ჯარიმის გამოყენების ხანილში არ იკვეთება გადამხდელის ბრალი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნის დარღვევის საკითხზე დავის განხილვისას კანონმდებლობით დადგენილი წარმოების პროცედურულ ნორმებს აქვთ უკუქცევითი ძალა, ნორმატიულ აქტს უკუქცევითი ძალა არ აქვს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამასთანავე, საგადასახადო კანონმდებლობას არ აქვს უკუქცევითი ძალა მატერიალურ ხანილში (გადასახადის სახეობა, ოდენობა), თუმცა მოქმედი საგადასახადო სამართალწარმოების პროცედურული ნორმე-

ბის გამოყენება საკითხის განხილვისას დასაშვებია მანამდე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე წარმოშობილი ნორმების მიმართ. მხედველობაშია მისაღები ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის დათქმა, რომლის თანახმად საგადასახადო ორგანოს/დაგის განმხილველ ორგანოს ან სასამართლოს უფლება აქვს გაათავისუფლოს კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელი ამ კოდექსით გათვალისწინებული სანქციისაგან, თუ სამართალდარღვევა გამოწვეულია გადასახადის გადამხდელის შეცდომით/არცოდნით (საგულისხმოა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო მოქმედი საგადასახადო კოდექსის 269.7 მუხლის საფუძველზე ათავისუფლებს კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელს სანქციისაგან 2010 წ. 1 იანვრამდე მოქმედი კოდექსის ნორმების საფუძველზე წამოშობილ დავალიანებებთან დაკავშირებით დაკისრებული სანქციებისაგან (იხ. მაგ. საბჭოს 23.05.14წ. მიღებული გადაუწყვეტილება, №7575/2/14 გადაუწყვეტილებაზე).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების უცილობელ პირობას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა. საკასაციო პალატა თვლის, რომ ასეთ პირობას არ პასუხობს სადავო აქტები დღგ-ის გადაუხდელობისათვის ჯარიმისა და საურავის დაკისრების ნაწილში. სასკ-ის 32.4 მუხლის თანახმად, უკეთუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დადასტურებულია ი.მ. ა. ს-ის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება და სადავო არ არის მის მიერ განხორციელებული ოპერაციის ღირებულება (2900000 ლ.), რაც აღემატებოდა 100 000 ლარს, იგი ვალდებული იყო გატარებულიყო დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციაში და გადადასადა დღგ-ის თანხა (221.1 მუხ. „ა“ ქვპ.). საპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დღგ-ის ნაწილში კასატორის მიერ მითითებული გარემოები არ ქმნის საკასაციო საჩივრის დაემაყოფილების საფუძველს. ამასთანავე, სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი სსიპ შემოსავ-

ლების სამსახურის 02.12.2013წ. №... საგადასახადო მოთხოვნა, სსიპ შემოსავლების სამსახურის 19.02.2014წ. №... ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 22.10.2014წ. გადაწყვეტილება გასაჩივრებული ჯარიმის (484 380ლ.) და საურავის (722 746,35ლ.) ნაწილში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე, არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების საურავისა და ჯარიმის დაკისრების ნაწილში გაუქმებისა და ა. ს-ის საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი.

ვინაიდან სადავო აქტები დღგ-ის გადაუხდელობისათვის სანქციის ნაწილში გამოცემულია სათანადო გამოკვლევის გარეშე, სასკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს პროცესის ხარჯები იმ ნაწილში, რომლითაც ა. ს-ის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან საგადასახადო ორგანოები – ყველა საქმეზე. ხსენებული ნორმა არ ანესრიგებს მხარეებს შორის ხარჯების განაწილების წესს. სსკ-ის 53-ე მუხლის, სასკ-ის 10.3 მუხლის საფუძველზე მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა სოლიდარულად უნდა დაეკისროს მოპასუხეებს. სასკ-ის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მოპასუხეებს – სსიპ შემოსავლების სამსახურს და ფინანსთა სამინისტროს ა. ს-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ ა. ს-ის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ნაწილი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად 6000 ლარის გადახდა (პირველი ინსტანციის სასამართლოში გადახდილია 3000 ლარი და საკასაციო სასამართლოში – 6000 ლარი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 411-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი.მ. ა. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-

მინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.09.2016წ. გადაწყვეტილება სადაცო აქტების დამატებული ღირებულების გადასახადის დარიცხვის კანონიერად მიჩნევის ნაწილში;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.09.2016წ. გადაწყვეტილება სადაცო აქტების დამატებული ღირებულების გადასახადის გადაუხდელობისათვის დაკისრებული ჯარიმის და საურავის დარიცხვის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. ა. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. სადაცო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის 02.12.2013წ. №... საგადასახადო მოთხოვნა, სსიპ შემოსავლების სამსახურის 19.02.2014წ. №... ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 22.10.2014წ. გადაწყვეტილება დამატებული ღირებულების გადასახადის გადაუხდელობისათვის დაკისრებული ჯარიმისა და საურავის ნაწილში და ამ ნაწილში სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალოს საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

5. სსიპ შემოსავლების სამსახურს და ფინანსთა სამინისტროს ა. ს-ის სასარგებლოდ დაეკისროთ ა. ს-ის სასარგებლოდ მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის ნაწილის – 6000 ლარის გადახდა;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. საგადასახადო ვალდებულებების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელება

ცრუმაგისარ პირებად ცნობისათვის სავალდებულო წინაპირობები

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-1195-1189(კ-17)

14 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა**

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

6. სხირტლაძე,

3. როინიშვილი

დავის საგანი: ცრუმაგიერ პირებად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

2016 წლის 27 ოქტომბერს სსიპ შემოსავლების სამსახურმა სა-
სარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს,
მოპასუხეების – ი/მ „ზ. ნ-ის“, კ. ნ-ისა და შპს „...“ მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2015 წლის 16 აპრილის №12066
ბრძანების საფუძველზე ჩატარებული სასაქონლო-მატერიალური
ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგად ი/მ „ზ. ნ-ს“ (საიდენ-
ტიფიკიაციო კოდი: ...) გააჩნდა აღიარებული საგადასახადო დავა-
ლიანება, რომელიც შეადგინდა 67678,69 ლარს. საზოგადოების სა-
საქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შემ-
დეგ მან ეკონომიკური საქმიანობა შეაჩერა, რეგისტრაციიდან მოხ-
სნა საკონტროლო-სალარო აპარატი, რის შემდეგაც დაარეგისტრი-
რა შპს „...“ (საიდენტიფიკაციო კოდი: ...). ზ. ნ-ი თვითონ გახდა დი-
რექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი. მან საგადასახადო ან-
გარიშ-ფაქტურით შპს „...“ გადააწერა 22 954,88 ლარის ღირებულე-
ბის საქონელი. ი/მ „ზ. ნ-მა“ იმავდროულად თავის საკუთრებაში
არსებული უძრავი ქონება ჩუქების ხელშეკრულების საფუძველ-
ზე გადააფორმა შვილზე – კ. ნ-ზე, რაც მიუთითებდა საგადასახა-
დო ვალდებულებების შესრულებისათვის თავის არიდებაზე.

ამდენად, მოსარჩელემ ი/მ „ზ. ნ-ის“, კ. ნ-ისა და შპს „...“ ერთმა-
ნეთის ცრუმაგიერ პირებად ცნობა მოითხოვა.

გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 ოქტომბრის გან-ჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის განცხადება დაკმაყოფილდა; სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო მოპასუხე კ. წ-ის (პ/6 ...) კუთვნილ უძრავ ქონებას, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ... მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს, დაზუსტებული ფართობი – 5 283 კვ.მ, საკადასტრო კოდით: ..., ასე-ვე შპს „...“ მოძრავ ქონებას.

გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი ი/მ „ზ. წ-ის“, კ. წ-ისა და შპს „...“ მიმართ მოპასუხების ერთმანეთის ცრუმა-გიერ პირებად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფად გამოყენებული ლონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო მოპასუხე კ. წ-ის კუთვნილ უძრავ ქონებას – გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ... მდებარე სასოფლო-სამეურნეო და-ნიშნულების მიწის ნაკვეთს, დაზუსტებული ფართობი – 5283 კვ.მ, საკადასტრო კოდით, ..., ასევე შპს „...“ მოძრავ ქონებას.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. წ-ი ინდივიდუალურ მეწარმედ დარეგისტრირდა 2000 წლის 18 მაისს (ძველი საიდენტიფიკაციო კოდი: ...). მის მიერ აღიარებული საგადასახადო და-ვალიანება, 2016 წლის 12 ოქტომბრის მდგომარეობით, 67 524,97 ლარს შეადგენდა. მის ქონებაზე გავრცელებული იყო საგადასახა-დო გირავნობა/იპოთეკა და დადებული იყო საგადასახადო ორგა-ნოს ყადაღა. ი/მ „ზ. წ-მა“ 2015 წლის 15 მაისს რეგისტრაციიდან მოხსნა საკონტროლო-სალარო აპარატი, რომელიც 2015 წლის 22 მაისს დარეგისტრირდა ზ. წ-ის მიერ დაფუძნებულ შპს „...“ სახელ-ზე, რომლის პარტნიორი 100%-იანი ნილით და დირექტორი მ. წ-ი იყო. ი/მ „ზ. წ-მა“ შპს „...ს“ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით გა-დააწერა 22 954,88 ლარის ლირებულების საქონელი. 2015 წლის 16 აპრილის ჩუქების ხელშეკრულებით ზ., ც. და კ. წ-ების სახელზე რიცხული უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა კ. წ-ის სახელზე. ზ. წ-ი არის კ. და მ. წ-ების მამა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო კო-დექსის მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 ნანილების თანახმად, ურთი-ერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შო-რის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავ-ლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმი-ანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობები, რომელთა დროსაც: ა) პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია; ბ) ერთი პირი

პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირის საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის ნილი არანაკლებ 20 პროცენტია; გ) პირი ახორციელებს საწარმოს კონტროლს; დ) ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს; ე) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს; ვ) პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი; ზ) პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს; თ) პირები ნათესავები არიან; ი) პირები ამხანაგობის წევრები არიან. ამავე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების მიხედვით, ამ მუხლის მიზნებისათვის კონტროლი გულისხმობს: სამეთვალყურეო საბჭოს წევრობას, დირექტორობას და ამ თანამდებობებზე პირების დანიშვნის უფლებას; ხმის უფლების მქონე წილის ან აქციების 20 პროცენტის ფლობას; ამ მუხლის მიზნებისათვის ფიზიკური პირი ითვლება წილის არაპირდაპირ მფლობელად, თუ ამ წილს ფლობს მისი ნათესავი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ მუხლის შინაარსის ანალიზიდან და საგადასახადო კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის უნდა არსებობდეს ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული განსაკუთრებული ურთიერთობები სამეწარმეო საქმიანობის ამა თუ იმ მიზნით და ფორმით ერთობლივად განხორციელებისათვის. მოცემულ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ მოპასუხებებს შორის იყო საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით განსაზღვრული განსაკუთრებული ურთიერთობები, არ დასტურდება. საქმეზე არ არის წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომ ი/მ „ზ. წ-ს“ გააჩნდა მე-19 მუხლით განსაზღვრული განსაკუთრებული ურთიერთობები სამეწარმეო საქმიანობის ამა თუ იმ მიზნით და ფორმით ერთობლივად განხორციელებისათვის შპს „...“ ან ფიზიკურ პირ კ. წ-თან მიმართებაში.

სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხებები წარმოადგენდნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. ის ფაქტი, რომ ი/მ „ზ. წ-მა“ რეგისტრაციიდან მოხსნა საკონტროლო-სალარო აპარატი, რომელიც დარეგისტრირდა შპს „...“ სახელზე, ასევე ი/მ „ზ. წ-ის“ მიერ შპს „...“ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით გადაეწერა 22 954,88 ლარის ლირებულების საქონელი, არ ქმნიდა მათი ურთიერთდამოკიდებულ პირებად მიჩნევის საკმარის საფუძველს, რადგან აღნიშნული ქმედებები სხვა გარემოებების გარეშე, წარმოადგენდა ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის

მიზნებისათვის ფიზიკური პირის ნათესავებად ითვლებიან: а) ნათესავების პირველი შტო: მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა; ბ) ნათესავების მეორე შტო: პირველი შტოს თითოეული ნათესავის მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა, გარდა იმ ფიზიკური პირისა, რომელიც უკვე მიეკუთვნა პირველ შტოს; გ) პირები, რომელებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, როგორც მშობლები და შვილები.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. ნ-ი არის კ. და ... ნ-ების მამა, თუმცა ვერც ეს ფაქტი ვერ გახდებოდა ურთიერთდამოკიდებულ პირებად მათი ცნობის საფუძველი, რადგან არ დგინდებოდა მათ შორის განსაკუთრებული ურთიერთობები სამენარმეო საქმიანობის ამა თუ იმ მიზნით და ფორმით ერთობლივად განხორციელებისათვის. ასევე დაუსაბუთებელი იყო მოსარჩელის პოზიცია, რომ უძრავი ქონების კ. ნ-ზე გაჩუქრდებოდა ი/ზ „ზ. ნ-თან“ მისი გაუმიჯნაობა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მითოთებული ქონების ერთ-ერთ თანამესაკუთრეს ისედაც წარმოადგინდა კ. ნ-ი, ხოლო გაჩუქრება მოხდა დარჩენილი ორი თანამესაკუთრის – ც. და ზ. ნ-ების ერთობლივი მოქმედებით. სასამართლომ განმარტა, რომ თუნდაც დადასტურებულიყო გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით ჩუქრების გაფორმება, მხოლოდ ეს ფაქტი ვერ გახდებოდა ზ. ნ-ის ცრუმაგიერ პირად კ. ნ-ის აღიარების ერთადერთი და საკმარისი საფუძველი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის თანახმად (ცრუმაგიერი მფლობელობა), თუ სასამართლო დაადგენდა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან და ეს პირი გამოყენებული იყო გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით, ითვლებოდა, რომ აღნიშნული პირები იყვნენ ერთიმეორის ცრუმაგიერი პირები. გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ცრუმაგიერი პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

სასამართლომ განმარტა, რომ ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის სახეზე უნდა ყოფილიყო გადასახადის გადამხდელის განსხვავების შეუძლებლობა სხვა იმ პირისაგან, რომელიც გამოყენებული იყო გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით, ანუ გადასახადის გადამხდელი, რომელსაც გაჩნდა საგადასახადო ვალდებულებები, მისი გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, ისეთ კავშირში უნდა შესულიყო სხვა პირთან,

რომ პრაქტიკულად შეუძლებელი ყოფილიყო მათი განსხვავება. საქმეზე წარმოდგენილი არ ყოფილა არც ერთი სახის მტკიცებულება, რაც უტყუარად მიუთითებდა მოპასუხეთა ერთმანეთისა-გან გაუმიჯვნაობაზე და განზრას ერთობლივი – გადასახადის გა-დახდისაგან თავის არიდების მიზნით მოქმედებაზე. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანომ მოპასუხებად და-სახელებული პირები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და „თ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით, მიიჩნია რა ურთიერთდამოკიდებულ პირებად, აღნიშნულიდან გა-მომდინარე ისინი იმავდროულად მიიჩნია ცრუმაგიერ პირებად, რაც სასამართლომ არ გაიზიარა. ამ მუხლით განსაზღვრული განსაკუთ-რებული ურთიერთობა სახეზეა მაშინ, როდესაც ერთი პირის მიერ მეორე პირის კონტროლი წინ უსწრებს მათ შორის განხორციელე-ბულ კონკრეტულ საქმიანობას და თვითონ ეს კონკრეტული საქ-მიანობა არ განიზილება ერთი პირის მიერ მეორის კონტროლად.

სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით არ დასტურდე-ბა მოპასუხეთა კონტროლს დაქვემდებარებული რაიმე განსაკუთ-რებული ურთიერთობის არსებობა ერთმანეთს შორის, თუმცა, ასე-თის არსებობის დადასტურების შემთხვევაშიც, არ არსებობს მათი ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის საკმარისი საფუძველი, ვი-ნაიდან, სახეზე არ არის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლით განსაზღვრული წანამდღვრები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ცრუმაგიერ პირებად აღიარები-სათვის სახეზე უნდა იყოს 2 პირობის კუმულაციურად არსებობა: 1. პრაქტიკულად შეუძლებელი უნდა იყოს გადასახადის გადამხდე-ლის განსხვავება სხვა პირისგან და 2. ეს პირი გამოყენებული უნდა იყოს გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიე-ბებისთვის თავის არიდების მიზნით. მოცემულ შემთხვევაში, თუნ-დაც დადასტურდეს გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით მამა-შვილს შორის ჩუქების ხელშეკრულების გაფორმება და ანგარიშ-ფაქტურებით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობე-ბის შპს „...სთვის“ ამ განზრაცვით გადაცემა, შხოლოდ ეს ფაქტი ვერ გახდება ცრუმაგიერ პირებად მოპასუხეთა აღიარების ერთა-დერთი და საკმარისი საფუძველი, რადგან სახეზე არ არის დასახე-ლებული ორი კუმულაციური პირობიდან პირველი პირობა – პრაქ-ტიკულად შეუძლებელი უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ გორის რაიონული სასამარ-თლოს 2016 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით, სარჩელის უზრუნ-ველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო მოპასუხე კ. წ-ის კუთვნილ უძ-რავ ქონებას და ასევე შპს „...“ მოძრავ ქონებას. საქართველოს სა-

მოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლის თანახმად, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი თქმა წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების საფუძველს.

გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას მიუთითა მათზე და აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გადაწყვიტა დავა. მხარის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მტკიცებულებები, რომლებიც გააბათილებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ გარემოებებს და გაკეთებულ სამართლებრივ დასკვნებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც საფუძვლად დაედო სასარჩელო მოთხოვნას, თუმცა სამართლებრივი ოვალსაზრისით სასამართლომ საკმარის საფუძვლად არ მიიჩნია ურთიერთდამოებულება, საგადასახადო შემოწმების დაწყებისთანავე ქონების განრიდება და საქმიანობის შეჩერება. ი/მ „ზ. წ-ის“ მიმართ საგადასახადო დავალიანება წარმოიშვა 2015 წლის 16 აპრილის

№ 12066 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგად. ი/მ „ზ. წ-მა“ თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება იმავე დღეს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადააფორმა შვილზე – კ. წ-ზე. 2015 წლის 15 მაისს რეგისტრაციიდან მოხსნა საკონტროლო-სალარო აპარატი და იმავე პერიოდში შეაჩერა სამენარმეო საქმიანობა. იგივე საკონტროლო-სალარო აპარატი ... წ-მა დაურეგისტრირა 2015 წლის 22 მაისს დაფუძნებულ შპს „...“, ხოლო ამავე წლის 19 ივნისის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით სანარმოს გადაწერა 22 954,88 ლარის ღირებულების საქონელი. 2015 წლის 1 ივლისს ი/მ „ზ. წ-მ“ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგად გადასახდელად დაერიცხა სანქცია – 24 909,64 ლარის გადახდა. კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს მსჯელობას, როდესაც მან გამორიცხა ურთიერთდამოკიდებულება იმ თვალსაზრისით, რომ საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განსაკუთრებული ურთიერთობა მაშინაა სახეზე, როცა ერთი პირის მიერ მეორე პირის კონტროლი წინუსწრებს მათ შორის განხორციელებულ ურთიერთობას.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ ცრუმაგიერი მფლობელობის ბუნდგანება ვლინდება იმაში, თუ რას შეიძლება გულისხმობდეს კანონმდებელი ერთპანეტისგან განუსხვავებლობაში. აღნიშნული დანაწესის განმარტება კანონში არ არის, თუმცა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების გზით შემოსავლის მიღების საერთო მიზანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია განურჩევლობასთან მიმართებით. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ სახეზეა საოჯახო ბიზნესი და მოგების მიღების საერთო მიზანი. ასევე, სახეზეა ერთი სამართლებრივი ფორმით საქმიანობის შეჩერება და იმავე სამართლებრივი სიკეთების საშუალებით ახალი სუბიექტის მიერ მისი გაგრძელება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 8 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 მარტის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შეს-

წავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული და-საბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტი-ვების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლე-ბის სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გა-უქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გა-დაწყვეტილება, რომლითაც სსიპ შემოსავლების სამსახურის სარ-ჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ზ. წ-ი ინდივიდუალურ მენარ-მედ დარეგისტრირდა 2000 წლის 18 მაისს (ძველი საიდენტიფიკა-ციონ კოდი – ...). მის მიერ აღიარებული საგადასახადო დავალიანე-ბა, 2016 წლის 12 ოქტომბრის მდგომარეობით, 67 524,97 ლარს შე-ადგენს. მის ქონებაზე გავრცელებულია საგადასახადო გირავნო-ბა/იპოთეკა და დადებულია საგადასახადო ორგანოს ყადაღა. ი/ზ „ზ. წ-მა“ 2015 წლის 15 მაისს რეგისტრაციიდან მოხსნა საკონტრო-ლო-სალარო აპარატი, რომელიც 2015 წლის 22 მაისს დარეგისტრირ-და ზ. წ-ის შეიღის – ... წ-ის სახელზე დაფუძნებულ შპს „...“ სახელ-ზე, რომლის პარტნიორი 100%-იანი წილით და დირექტორი ... წ-ია. ი/ზ „ზ. წ-მა“ შპს „...“ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით გადააწე-რა 22 954,88 ლარის ლირებულების სასაქონლო-მატერიალური ფა-სეულობები. 2015 წლის 16 აპრილის ჩუქების ხელშეკრულებით ზ., ც. და კ. წ-ების სახელზე რიცხული უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა კ. წ-ის სახელზე. ზ. წ-ი არის კ. და მ. წ-ების მამა.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს ი/ზ „ზ. წ-ის“, კ. წ-ისა და შპს „...“ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად აღიარება წარმოად-გენს, რასაც მოსარჩელე ითხოვს იმ საფუძვლით, რომ მითითებუ-ლი პირები წარმოადგენენ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებს, ვინაი-დან მათ განსახორციელეს კონკრეტული ოპერაციები, რაც მიმარ-თული იყო იმ მიზნისეკენ, რომ თავი აერიდებინათ კუთვნილი საგა-დასახადო ვალდებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებებისათ-ვის.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს საქარ-თველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლზე, რომელიც შეი-ცავს ცრუმაგიერი მფლობელობის დეფინიციას. მითითებული ნორ-მის მიხედვით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შე-უძლებელია გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირის-გან და ეს პირი გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზ-რუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით, ით-ვლება, რომ აღნიშნული პირები არიან ერთმიმეორის ცრუმაგიერი პირები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადასახადის გა-

დამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდე-
ვინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქცის ცრუმაგი-
ერი პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების
გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები. ამავე კოდექ-
სის მე-19 მუხლით რეგლამენტირებულია ასევე ურთიერთდამოკი-
დებული პირების დეფინიცია, კერძოდ, ურთიერთდამოკიდებულ
პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ
ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი
ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან
ეკონომიკურ შედეგებზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნ-
ქტის შესაბამისად, განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნე-
ბა ურთიერთობები, რომელთა დროსაც პირები არიან ნათესავები;
ხოლო მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო
კანონმდებლობის მიზნებისათვის ფიზიკური პირის ნათესავებად
ითვლებან: ა) ნათესავების პირველი შტო: მეუღლე, მშობელი, შვი-
ლი, და, ძმა; ბ) ნათესავების მეორე შტო: პირველი შტოს თითოეუ-
ლი ნათესავის მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა, გარდა იმ ფიზი-
კური პირისა, რომელიც უკვე მიეკუთვნა პირველ შტოს; გ) პირები,
რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან და-
კავშირებული არიან, როგორც მშობლები და შვილები.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამარ-
თლოს მსჯელობას, რომლითაც იგი გამორიცხავს პირების ურთი-
ერთდამოკიდებულებას იმ თვალსაზრისით, რომ საგადასახადო კო-
დექსის მე-19 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განსა-
კუთრებული ურთიერთობა სახეზეა მაშინ, როცა ერთი პირის მიერ
მეორე პირის კონტროლი წინ უსწრებს მათ შორის განხორციელე-
ბულ ურთიერთობას. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ აღ-
ნიშნული ნორმა პირდაპირ განსაზღვრავს არაპირდაპირ საწარმოს
მართვის კლასიფიკაციას, როგორც განსაკუთრებულ ურთიერთო-
ბას. ამასთან, წილის არაპირდაპირი ფლობა გათვალისწინებულია
საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-6 ნაწილში, რომლის მი-
ხედვითაც, ამ მუხლის მიზნებისთვის ფიზიკური პირი ითვლება წი-
ლის არაპირდაპირ მფლობელად, თუ ამ წილს ფლობს მისი ნათესა-
ვი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საგადასახადო კო-
დექსის 246-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, იმ გარემოების
დადასტურების მიზნით, რომ გადასახადის გადამხდელი წარმო-
ადგენს სხვა პირის ცრუმაგიერ პირს, სავალდებულოა დადასტურ-
დეს, რომ გადასახადის გადამხდელის გამიჯვნა ამ სხვა პირისაგან
რიგი ფაქტობრივი გარემოებების გამო პრაქტიკულად შეუძლებე-
ლია და კონკრეტული ერთი პირი ამ სხვა პირის მხრიდან გამოყენე-

ბულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით. აღნიშნული სამართლებრივი ინსტრუმენტის მიზანია დაიცვას საგადასახადო ორგანოს, როგორც კრედიტორის უფლებები.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების მიღებისას საქმარის საფუძვლად არ მიიჩნია ურთიერთდამოკიდებულება, კერძოდ, საგადასახადო შემოწმების დაწყებისთანავე ქონების განრიდება და სამენარმეო საქმიანობის შეჩერება მაშინ, როცა საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ი/მ „ზ. ნ-ის“ მიმართ საგადასახადო დაგალიანება წარმოიშვა 2015 წლის 16 აპრილის №12066 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგად. სწორედ ამ დღეს ი/მ „ზ. ნ-მა“ თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადააფორმა შვილზე – კ. წ-ზე. 2015 წლის 15 მაისს რეგისტრაციიდან მოხსნა საკონტროლო-სალარო აპარატი და ამავე პერიოდში შეაჩერა სამენარმეო საქმიანობა. რეგისტრაციიდან მოხსნილი საქონტროლო-სალარო აპარატი ზ. წ-ის შვილმა – მ. წ-მა დაარეგისტრირა 2015 წლის 22 მაისს დაფუძნებულ შპს „...“ სახელზე, ხოლო ამავე წლის 19 ივნისის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით საწარმოს გადააჩერა 22 954,88 ლარის ღირებულების საქონელი. შპს „...“ სამენარმეო საქმე გააგრძელა იმავე მისამართზე, რა მისამართზეც ფუნქციონირებდა ი/მ „ზ. წ-ი“. 2015 წლის 1 ივნისს ი/მ „ზ. წ-ს“ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგად გადასახდელად დაერიცხა სანქცია – 24 909,64 ლარის ოდენობით.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული გარემოებები ნათლად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ დასახელებული პირების ერთმანეთისაგან განსხვავება მოცემული პიზნესაქტივობიდან გამომდინარე, შეუძლებელია. შესაბამისად, აბსოლუტურად დასაბუთებულია საკასაციო საჩივრის მოსაზრება მითითებული პირების ერთმანეთისაგან განსხვავების შეუძლებლობისა და მათი ერთ მენარმე სუბიექტად განხილვის თაობაზე, რის გამოც მათ ერთობლივად მთელი თავისი ქონებით უნდა აგონ პასუხი იმ საგადასახადო ვალდებულებისათვის, რომლის გადაუხდელობასაც აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ცრუმაგიერი პირის დეფინიცია უნდა აკმაყოფილებდეს ორ კრიტერიუმს: а) რეალური და ცრუმაგიერი პირი ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს; ბ) ცრუმაგიერი პირი უნდა იყოს გამოყენებული გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით (იგულისხმება საგადასახადო კოდექსით განსაზ-

ლვრული ლონისძიებები: საგადასახადო გირავნობა ან იპოთეკა, მე-სამე პირზე გადახდევინების მიქცევა, ქონებაზე ყადაღის დადება, ყადაღადადებული ქონების რეალიზაცია, საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა, გადასახადის გადამხდელის სა-ლაროდან ნალი ფულის ამოლება). ცრუმაგიერ პირს წარმოშობს რეალური პირის ქმედება – თავი არიდოს გადასახადის გადახდე-ვინების უზრუნველყოფის ლონისძიებას და შესაბამისი ქონება მა-ნამდე გადასცეს ცრუმაგიერ პირს, ვიდრე მის მიმართ განხორცი-ელდება შესაბამისი ლონისძიებები.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ი/მ „ზ. წ-მა“ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინ-ვენტარიზაციის დაწყებისთანავე თავის საკუთრებაში აღრიცხუ-ლი უძრავი ქონება 2015 წლის 16 აპრილის ჩუქების ხელშეკრულე-ბების საფუძველზე გადაფორმა შვილზე – კ. წ-ზე. საკასაციო სა-სამართლო მიიჩნევს, რომ ი/მ „ზ. წ-ის“ მიერ სასაქონლო-მატერია-ლური ფასეულობების ინვენტარიზაციის დაწყების შემდგომ უძ-რავ/მოძრავი ქონების გადაფორმება და სამენარმეო საქმიანობის შეჩერება, ხოლო შემდგომ ამისა, სასაქონლო-მატერიალური ფა-სეულობების გადანერა, მიზნად ისახავს გადასახადის გადახდევი-ნების ლონისძიებებისგან თავის არიდებას.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ საქმეზე შეუძლებელია დასახელებული პირების ერთმანეთისაგან განსხვა-ვება იმ სამენარმეო აქტივობებში, რამაც განაპირობა შეუსრულე-ბელი საგადასახადო დავალიანების დაგროვება, კერძოდ, სასამარ-თლომ ამა თუ იმ პირების ცრუმაგიერობის შესამონმებლად მხედ-ველობაში უნდა მიიღოს არა ის გარემოება, თუ რამდენად შესაძ-ლებელია გვარივონულად, სამართლებრივი ფორმით ან საიდენტი-ფიკაციო ნომრით სუბიექტების ერთმანეთისაგან განსხვავება, არა-მედ ამოსავალი და უმნიშვნელოვანესი უნდა იყოს ის ბიზნესაქტი-ვობა, რომელიც განაპირობებს შემოსავლის მიღებას. უმნიშვნე-ლოვანესია, რომ ცრუმაგიერობის დასადგენად შეფასდეს, თუ რამ-დენად არის შესაძლებელი დაირღვეს მიჯნა სხვადასხვა იურიდი-ული/ფიზიკური პირების ბიზნესაქტივიანობას შორის. ამგვარი შე-ფასების გარეშე, ცხადია, ძალიან მარტივია განისაზღვროს და ით-ქვას, რომ ფიზიკური პირისა და იურიდიული პირის ერთმანეთისა-გან განსხვავება შესაძლებელია, თუნდაც მათი მახასიათებლების და თუნდაც მათი სამართლებრივი ფორმის გათვალისწინებით. აღ-ნიშნული არ გამომდინარეობს კანონმდებლის ნებიდან, ვინაიდან კანონმდებლის ნებას წარმოადგენს დაიცვას საჯარო ინტერესი და არ მისცეს ამა თუ იმ პირებს გადასახადებისაგან თავის არიდების საშუალება. სწორედ ზემოაღნიშნული მსჯელობის შესაბამისად,

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ი/მ „ზ. წ-ი“, კ. წ-ი და შპს „...“ წარმოადგენენ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებს. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ცალსახად ადასტურებენ დასახელებული პირების ერთმანეთისაგან გამიჯვნის შეუძლებლობას, კერძოდ: ი/მ „ზ. წ-ის“ მიერ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის დაწყებისთანავე თავის საკუთრებაში აღრიცხული უძრავი ქონების 2015 წლის 16 აპრილის ჩუქების ხელშეკრულებების საფუძველზე შვილზე – კ. წ-ზე გადაფორმება; ი/მ „ზ. წ-ის“ მიერ 2015 წლის 15 მაისს საკონტროლო-სალარო აპარატის – ... რეგისტრაციიდან მოხსნა, რომელიც შემდეგ დარეგისტრირდა ზ. წ-ის შვილის მიერ დარეგისტრირებულ შპს „...“ სახელზე; შპს „...“ მიერ სამენარმეო საქმიანობის გაგრძელება იმავე მისამართზე, რა მისამართზეც ფუნქციონირებდა ი/მ „ზ. წ-ი“; 2015 წლის 19 ივნისის სერია ... №... საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით ი/მ „ზ. წ-ის“ მიერ 22 954,88 ლარის ღირებულების საქონლის გადაწერა შპს „...“ სანარმოზე; შპს „...“ მიერ 2015 წლის 15 ოქტომბერს საკონტროლო-სალარო აპარატის – ... რეგისტრაციიდან მოხსნა და სამენარმეო საქმიანობის შეჩერება. ზემოაღნიშნული გარემოებები ნათლად ადასტურებს, რომ დასახელებული პირების ერთმანეთისაგან განსხვავება მოცემული ბიზნესსაქმიანობიდან გამომდინარე, შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ცრუმაგიერი მფლობელობის ბუნდოვანება ვლინდება იმაში, თუ რას შეიძლება გულისხმობდეს კანონმდებელი ერთმანეთისაგან განუსხვავებლობაში. აღნიშნული დანაწესის განმარტება კანონში არ არის, თუმცა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების გზით შემოსავლის მიღების საერთო მიზანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია განურჩევლობასთან მიმართებით. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ სახეზეა საოჯახო ბიზნესი და მოგების მიღების საერთო მიზანი. ასევე სახეზეა ერთი სამართლებრივი ფორმით საქმიანობის შეჩერება და იმავე სამართლებრივი სიკეთეების საშუალებით (ერთი და იგივე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები) ახალი სუბიექტის მიერ მისი გაგრძელება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი/მ „ზ. წ-ის“ მიერ განხორციელებული ქმედებათა ჯაჭვი მიზანმიმართულია გადასახადებისა და საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებების თავის არიდებისათვის, რაც ქმნის ი/მ „ზ. წ-ის“, კ. წ-ისა და შპს „...“ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად აღიარების საფუძვლს.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ 2016 წლის 12 ოქტომბრის მდგომარეობით ი/მ „ზ. წ-ის“ აღიარებული საგადასა-

ხადო დავალიანება 67 524,97 ლარია. მის ქონებაზე გავრცელებულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და დადებულია საგადასახადო ყადაღა.

ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზის საფუძველზე ნათელია, რომ „სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის 2014 წლის 16 აპრილის №12066 პრძანების გამოცემის შემდეგ ი/ზ „ზ. წ-ისათვის“ ცნობილი გახდა სავარაუდო საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, რის შემდეგ მან იმავე პერიოდში ეტაპობრივად შეძლო მოთხოვნებისგან თავის არიდების მიზნით მის სახელზე არსებული უძრავი ქონების გადაფორმება სხვა პირებზე, კერძოდ: ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე უძრავი ქონება გადაუფორმა თავის შვილს – კ. წ-ს, 2015 წლის 22 მაისს შექმნილ კომპანიას – შპს „...“, რომლის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი არის ზ. წ-ის შვილი – მ. წ-ი, გადასცა მის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. მოცემულ შემთხვევაში, გადასახადის გადამხდელს გააჩნია მოლოდინი შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულების დაკისრების თაობაზე, რის შემდეგაც ეტაპობრივად განახორციელა მის საკუთრებაში არსებული აქტივების ოჯახის წევრებზე განკარგვა.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.04.2017წ. №ბს-167-165(კ-17) განჩინებაზე, რომლითაც დაუშვებლად იქნა მიჩნეული საკასაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ ი/ზ „მ.შ-ის“ მიერ განხორციელებულ ქმედებათა ჯაჭვი მიზანმიმართული იყო გადასახადებისა და საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებების თავის არიდებისათვის. სააპელაციო სასამართლომ სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით 6.ნ. და ე.ნ. აღიარა ი/ზ „მ.შ-ის“ ცრუმაგიერ პირებად. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განმარტებები გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებისას სრულად გაიზიარა საკასაციო სასამართლომ და მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია გადაწყვეტილებაში მითითებული პირები ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად (ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 13.03.2018წ. გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-763-755(კ-16)).

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპ-

როცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტზე, რომელსაც აქვს არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად, გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. მითითებული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები). ამასთან, სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტის საფუძველზე. ფაქტის დადასტურებას აქვს არა მარტო საპროცესო, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა.

მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა საგადასახადო ვალდებულებების მქონე გადასახადის გადამხდელის – ი/ზ „ზ. წ-ს“ მხრიდან გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით კ. წ-სა და შპს „....“ ისეთ კავშირში შესვლა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია მათი ერთიმეორისაგან განსხვავება, რამდენადაც მათ შორის წარმოშენები სამართლებრივი ურთიერთობა მხოლოდ ფორმალურია და ატარებს ფიქტურ ხასიათს, რომელიც საგადასახადო დავალი-ანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების მიქცევის თავიდან არიდებას ემსახურება, რაც მოპასუხეთა ცრუმაგიერობაზე მიუთითებს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა – სსიპ შემოსავლების სამსახურმა დაბადასტურა ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც საფუძვლად უდევს მის მოთხოვნას. ამასთან, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართვე-

ლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევა, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები), ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ც ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. ი/მ „ზ. წ-ი“, კ. წ-ი და შპს „...“ ცნობილ იქნენ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ცრუმაგილერ პირებად ცნობისათვის სავალდებულო ნინების გადაწყვეტილება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-302-302(კ-18)

20 სექტემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
3. როინიშვილი

დავის საგანი: ცრუმაგილერ პირებად აღიარება

აღნერილობითი ნაწილი:

2014 წლის 3 ნოემბერს სსიპ შემოსავლების სამსახურმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – შპს „...“, შპს „...“-ის, შპს „თ...“, გ. ჭ-ისა და მ. ი-ის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, შპს „...“, შპს „ზ...“ და შპს „თ...“ მათი დამფუძნებლების – გ. ჭ-ისა და მ. ი-ის მეშვეობით ახორციელებდნენ სამენარმეო საქმიანობას იმგვარად, რომ თავი აერიდებინათ კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებების გადახდისაგან. შპს „...“ გ. ჭ-ის მიერ დაფუძნდა 2002 წლის 5 ნოემბერს. საწარმომ 2007 წლი-სათვის ფაქტობრივად შეწყვიტა სამენარმეო საქმიანობა, თუმცა აღნიშნული პერიოდისათვის მას გააჩნდა დეკლარირებული საგადასახადო ვალდებულება – 189 816,08 ლარის ოდენობით, რომელიც დღემდე არ შესრულებულა. საწარმოს საქმიანობის შეწყვეტის მომენტისთვის გ. ჭ-ემ დააფუძნა ახალი საწარმო – შპს „ზ...“ და აღნიშნული სახელით გააგრძელა სამენარმეო საქმიანობა. შპს „ზ...“-მა ფაქტობრივად სამენარმეო საქმიანობა შეწყვიტა 2012 წელს. ამ დროისთვის საწარმოს გააჩნდა დეკლარირებული საგადასახადო ვალდებულება – 27 973,14 ლარის ოდენობით, რომელიც ასევე დღემდე არ შესრულებულა. შპს „ზ...“-ის მიერ სამენარმეო საქმიანობის შეწყვეტის მომენტისთვის, 2012 წლის 8 ივლისს გ. ჭ-ის ოჯახის წევრმა – მ. ი-მა (შვილის მეუღლე) დააფუძნა საწარმო – შპს „თ...“, რომელიც ახორციელებდა იმავე სამენარმეო საქმიანობას, რასაც შპს „...“ და შპს „ზ...“.

აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს საგადასა-

ხადო კოდექსის 246-ე მუხლის საფუძველზე შპს „...“, შპს „ზ...“-ის, შპს „თ...“, გ. ჭ-ისა და მ. ი-ის ცრუმაგიერ პირებად აღიარება მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე და 198-ე მუხლების შესაბამისად, გ. ჭ-ის შემდეგ მოძრავ და უძრავ ქონებაზე: ქ. თბილისი, ..., მე-... მ/რ, კორპუსი №..., (ს/კ ...); ქ. თბილისი, ... ქ. №..., (ს/კ ...); მ. ი-ის შემდეგ მოძრავ და უძრავ ქონებაზე: გარდაბანი, სოფელი ..., (ს/კ ...); შპს „...“ მოძრავ ქონებაზე; შპს „ზ...“-ის მოძრავ ქონებაზე და შპს „თ...“ მოძრავ ქონებაზე ყადალის დადების თაობაზე იშუამდგომლა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2014 წლის 4 ნოემბრის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2014 წლის 4 ნოემბრის განჩინებაზე საჩივარი წარადგინა სსიპ შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და შუამდგომლობის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2014 წლის 12 ნოემბრის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 ნოემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საჩივარი დაქმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 ნოემბრისა და 2014 წლის 12 ნოემბრის განჩინები; ყადაღა დაედო: გ. ჭ-ის საკუთრების უფლებით დარეგისტრირებულ უძრავ ქონებას (მიწის ნაკვეთის ს/კ ...), მდებარე – ქ. თბილისი, ..., მე-... მ/რ, კორპუსი №... . ბ.; გ. ჭ-ის საკუთრების უფლებით დარეგისტრირებულ უძრავ ქონებას (მიწის ნაკვეთის ს/კ ...), ზონა – ..., სექტორი – ქ., კვარტალი – ..., ნაკვეთი – ..., ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი – 1396.00 კვ.მ, მისამართი: ქ., ქუჩა (...), სახლი №...; მ. ი-ის საკუთრების უფლებით დარეგისტრირებულ უძრავ ქონებას (მიწის ნაკვეთის ს/კ ...), ზონა – ..., სექტორი – ..., კვარტალი – ..., ნაკვეთი – ..., ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი – 606.00 კვ.მ, მისამართი: ..., სოფელი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით სსიპ შემო-სავლების სამსახურის სარჩელი დაკმაყოფილდა; შპს „...“, შპს „ზ...“, შპს „თ...“, გ. ჭ-ე და მ. ი-ი ცნობილ იქნენ ცრუმაგიერ პირებად.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. ჭ-ემ შპს „...“ დაა-ფუძნა 2002 წლის 5 ნოემბერს. 2014 წლის 27 ოქტომბრის მდგომა-რეობით, შპს „...“ სალდირებული საგადასახადო დავალიანება ერიც-ხება – 357 415,33 ლარის ოდენობით. გ. ჭ-ემ შპს „ზ...“ დააფუძნა 2007 წლის 3 აპრილს. შპს „ზ...“ 2014 წლის 27 ოქტომბრის მდგომა-რეობით ერიცხება სალდირებული საგადასახადო დავალიანება – 46 496,10 ლარის ოდენობით. 2012 წლის 8 ივნისს გ. ჭ-ის ოჯახის წევრმა – მ. ი-მა (რძალი) დააფუძნა შპს „თ...“. 2014 წლის 27 ოქტომბრის მდგომარეობით შპს „თ...“ ერიცხება სალდირებული საგადა-სახადო დავალიანება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხეთა ცრუმაგიერ პირებად ცნობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხ-ლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული სავალდებულო წინაპირობები სახეზე იყო. კერძოდ, საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცე-ბულებებით დასტურდებოდა და არც მოპასუხები უარყოფნენ იმ გარემოებას, რომ 2002 წლის 5 ნოემბერს გ. ჭ-ემ დააფუძნა შპს „...“. 2014 წლის 27 ოქტომბრის მდგომარეობით საწარმოს სალდი-რებული საგადასახადო დავალიანება ერიცხებოდა – 357 415,33 ლარის ოდენობით, დავალიანების ძირითადი ნაწილი დარიცხული იყო დღგ-ს გადასახადში საწარმოს მიერ წარდგენილი დეკლარა-ციების საფუძველზე. სსიპ შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით, შპს „...“ სამენარ-მეო საქმიანობა, ფაქტობრივად, 2007 წელს შეწყვიტა. მითითებულ პერიოდში საწარმოს გააჩნდა დეკლარირებული საგადასახადო ვალდებულება – 189 816 ლარის ოდენობით (მათ შორის ძირითადი გადასახადი – 101 636,59 ლარი, საურავი – 88 179,49 ლარი), რომე-ლიც მოპასუხეს დღემდე არ აქვს გადახდილი. ამასთან, შპს „...“ დამფუძნებელმა გ. ჭ-ემ ამ საწარმოს საქმიანობის ფაქტობრივად შეწყვეტის მომენტიდან დააფუძნა ახალი საწარმო შპს „ზ...“, რო-მელმაც სამენარმეო საქმიანობა გააგრძელა საგადასახადო ვალ-დებულების გარეშე, მაგრამ 2011-2012 წლებში საწარმომ შპს „...“ მსგავსად განახორციელა კუთვნილი საგადასახადო ვალდებულე-ბის დეკლარირება, რომელიც არ შეასრულა. სადავო არ არის ასევე, რომ შპს „ზ...“-ს 2014 წლის 27 ოქტომბრის მდგომარეობით ერიც-ხებოდა საგადასახადო დავალიანება – 46 496,10 ლარის ოდენო-ბით. სსიპ შემოსავლების სამსახურის ერთიან ელექტრონულ ბაზა-ში არსებული მონაცემების მიხედვით, შპს „ზ...“-მა ფაქტობრივად

შეწყვიტა სამენარმეო საქმიანობა 2012 წლისათვის და 2012 წლის 8 ივლისს გ. ჭ-ის შვილის მეუღლემ – მ. ი-მა დააფუძნა ახალი საწარმო შპს „თ...“, რომელიც ახორციელებდა იმავე სამენარმეო საქმიანობას, რასაც შპს „...“ და შპს „ზ...“.

მითითებული ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პირობებში, სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...“, შპს „ზ...“ -ისა და შპს „თ...“ განსხვავება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რამდენადაც მითითებული საწარმოები დამფუძნებლების – გ. ჭ-ისა და მ. ი-ის მეშვეობით ახორციელებდნენ ერთი და იმავე სამენარმეო საქმიანობას, ხოლო მათი ცალკე იურიდიულ პირებად დაფუძნება და საქმიანობის ასეთი ფორმით განხორციელება რეალურად ემსახურებოდა არსებული საგადასახადო ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდებას. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდებოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლით ცრუმაგიერ პირად აღიარებისათვის სავალდებულო ორი პირობის არსებობა, კერძოდ, საწარმოები დაფუძნებული იყვნენ გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით, აგრეთვე, შპს „...“, შპს „ზ...“ -ისა და შპს „თ...“ ძირითადი საქმიანობა არსებითად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. შესაბამისად, სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი საფუძვლიანი იყო და უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს „...“, შპს „ზ...“ -მა, შპს „თ...“, გ. ჭ-ემ და მ. ი-მა, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „...“, შპს „ზ...“ -ის, შპს „თ...“, გ. ჭ-ისა და მ. ი-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

სააპელაციო სასამართლო არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მათ სა-

მართლებრივ შეფასებებს და მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ დაკის გადაწყვეტა მოხდა მატერიალური ნორმების არასწორი განმარტების საფუძველზე, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის შესაბამისად ქმნიდა გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს.

სააპელაციო სასამართლომ მოუთითა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან და ეს პირი გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით, ითვლება, რომ აღნიშნული პირები არიან ერთიმეორის ცრუმაგიერი პირები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ცრუმაგიერი პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები. იმ გარემოების დადასტურების მიზნით, რომ გადასახადის გადამხდელი წარმოადგენს სხვა პირის ცრუმაგიერ პირს, აღნიშნული მუხლის საფუძველზე სავალდებულოა დადასტურდეს, რომ გადასახადის გადამხდელის გამიჯვნა ამ სხვა პირისაგან რიგი ფაქტობრივი გარემოებების გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია და კონკრეტული ერთი პირი ამ სხვა პირის მხრიდან გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, უტყუარი ფაქტობრივი გარემოებების არარსებობა გამორიცხავდა წინამდებარე სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, ისევე როგორც მოსარჩელის მხრიდან, არასწორადა აღქმული საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლში ჩამოყალიბებული კონცეფცია, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება. იმისათვის, რომ დადასტურდეს ცრუმაგიერი მფლობელობის ფაქტი, საგალდებულოა დადგინდეს, რომ შპს „...“, შპს „ზ...“, შპს „თ...“, გ. ჭ-ე და მ. ი-ი საერთო ეკონომიკური ინტერესების საფუძველზე მოქმედებდნენ გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით. აღნიშნული გარემოების დადგენის თვალსაზრისით, პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტის დადასტურებას, რომ დაფუძნებულ კომპანიას არ გააჩნია რეალური დამოუკიდებლობა და განცალკევებულობა; შექმნილია ფორმალურად და მთლიანად კონ-

ტროლდება ბენეფიციარის მიერ; კომპანიის აქტივები დამფუძნებლის მიერ გამოიყენება პირადი მიზნებისათვის რაიმე სახის ანაზღაურების გარეშე; კომპანიის აქტივები და მისი დამფუძნებლის აქტივები არ არის გამიჯნული; საწარმოებს ჰყავთ დამფუძნებელთა აბსოლუტურად სიმეტრიული შემადგენლობა; საწარმოები შექმნილია ერთი და იმავე გარიგებების განხორციელების მიზნით; ერთ საწარმოზე ფორმდება აქტივები, ხოლო მეორეზე ვალდებულებები; საწარმო გამოიყენება სხვა საწარმოს ან პარტნიორის ვალდებულებების დასაფარავად და ა.შ.. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დამკაიდრებელი კონცეფციის თანახმად, ასეთი ტიპის აღიარებითი სარჩელის პირობებში საჭიროა დადგინდეს, რომ კომპანია ფაქტობრივად წარმოადგენს მაკონტროლებელი ბენეფიციარის „მეორე მეს“ და მისი დამოუკიდებულების ხარისხი არ იძლევა მისი გამიჯვნის შესაძლებლობას. საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება არ ქმნის ზემოაღნიშნული რომელიმე ფაქტორის დადასტურების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტის საფუძველზე. ფაქტის არსებობას სამართლებრივი წორმა უკავშირებს გარკვეული იურიდიული შედეგის დადგომის შესაძლებლობას. იმ პირობებში, როდესაც ვერ დასტურდება თავად ფაქტი, ეჭვევეშ დგება მისი თანმდევი იურიდიული შედეგი. ფაქტის დადასტურებას აქვს არა მარტო საპროცესო, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობისას არახელსაყრელი შედეგი ეკისრება იმ მხარეს, რომელმაც ამ ფაქტის დადასტურება ვერ შეძლო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩინა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თავი ვერ გაართვა მისთვის კანონით დაკისრებულ მტკიცების ვალდებულებას, ვერ დაადასტურა ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც საფუძვლად დაედო მის მოთხოვნას და რაც გამორიცხავდა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹ მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით. დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის გან-

ჩინებით ყადაღა დაედო 1. გ. ჭ-ის საკუთრების უფლებით დარე-გისტრირებულ უძრავ ქონებას (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კო-დი №...) მდებარე, ქ.თბილისი, ..., მე-4 მ/რ, კორპუსი №... . ბ.; 2. გ. ჭ-ის საკუთრების უფლებით დარეგისტრირებულ უძრავ ქონებას (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №...), ზონა – ..., სექტორი – ქ., კვარტალი, ნაკვეთი ..., ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამე-ურნეო, დაზუსტებული ფართობი – 1396.00 კვ.მ, მისამართი: ქ. ..., ... ქუჩა (...), სახლი №...; 3. მ. ი-ის საკუთრების უფლებით დარეგის-ტრირებულ უძრავ ქონებას (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი №...), ზონა – გარდაბანი, სექტორი – ..., კვარტალი, ნაკვეთი ..., ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფარ-თობი – 606.00 კვ.მ, მისამართი: ..., სოფელი განსახილველ შემ-თხვევაში, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებოდა სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელის დაკმაყო-ფილების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი, უნდა გა-უქმდებულიყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 31 დეკემბრის განჩინება სარ-ჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2017 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საკასა-ციონ წესით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა, რომელ-მაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწ-ყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ საქმე გა-ნიხილა მატერიალური სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარ-ლვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე. შპს „....“, შპს „...“, შპს „თ...“, გ. ჭ-ე და მ. ი-ი სამეწარმეო საქმიანობას იმგვარად ახორციელებდნენ, რომ ადგილი ჰქონდა საგადასახადო ვალდებულებების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიე-ბებისაგან თავის არიდებას.

კასატორის განმარტებით, საქართველოს საგადასახადო კო-დესიონ განსაზღვრულია ურთიერთდამოკიდებული პირების ცნე-ბა. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სახელმწი-ფოს შემოსავლები, კერძოდ, გადასახადები არ უნდა იყოს დამოკი-დებული გადასახადის გადამხდელთა შორის ურთიერთობაზე. კა-სატორს მიაჩნია, რომ მოპასუხე პირები ნარმოადგენდნენ ურთი-ერთდამოკიდებულ პირებს, რომლებიც უზრუნველყოფის ღონის-ძიებებისაგან თავის არიდების მიზნით ახდენდნენ ახალი საწარ-მოების დაფუძნებას და საგადასახადო ვალდებულებების შეუს-რულებლობას. ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო და-

ადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისაგან და ეს პირი გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის თავის არიდების მიზნით, ითვლება, რომ აღნიშნული პირები არიან ერთმანეთის ცრუმაგიერი პირები. შპს „...“ ადეკლარირებს ვალდებულებებს, თუმცა გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, ფაქტობრივად წყვეტს სამენარმეო საქმიანობას, აღარ გააჩნია ბრუნვები, შემოსავლები, მაგრამ აფუძნებს ახალ სანარმოს შპს „ზ...“ -ის სახელით და განაგრძობს საქმიანობას ყოველგარი ვალდებულებების გარეშე. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ორივე სანარმოს დამფუძნებელი არის ერთი და იგივე პირი - გ. ჭ-ე. შპს „ზ...“ დეკლარაციების საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების გადახდისაგან თავის არიდების მიზნით წყვეტს საქმიანობას და ურთიერთდამოკიდებული პირის მეშვეობით აფუძნებს ახალ სანარმოს - შპს „თ...“. ზემოაღნიშნული ოპერაციების ჯაჭვი უთითებს იმ გარემოებაზე, რომ კონკრეტულ პირებს სურდათ განეხორციელებინათ სამენარმეო საქმიანობა იმგვარად, რომ არ შეესრულებინათ საგადასახადო ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 29 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასამცებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 14 ივნისის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: საჯარო რესტრის ამონანე-

რის თანახმად, გ. ჭ-ემ 2002 წლის 5 ნოემბერს შპს „...“ დააფუძნა. შედარების აქტის შესაბამისად (02.01.2014წ. – 27.10.2014წ.), შპს „...“ სალდირებული საგადასახადო დავალიანება ერიცხება – 357 415,33 ლარის ოდენობით. გ. ჭ-ემ შპს „...“ დააფუძნა 2007 წლის 3 აპრილს. შპს „...“-ს 2014 წლის 27 ოქტომბრის მდგომარეობით, ერიცხება სალდირებული საგადასახადო დავალიანება – 46 496,10 ლარის ოდენობით. 2012 წლის 8 ივლისს გ. ჭ-ის ოჯახის წევრმა – მ. ი-მა (რძალი) დააფუძნა შპს „...“. 2014 წლის 27 ოქტომბრის მდგომარეობით, შპს „...“ ერიცხება სალდირებული საგადასახადო დავალიანება – 139 923,89 ლარის ოდენობით.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შპს „...“, შპს „...“-ის, შპს „...“, გ. ჭ-ისა და მ. ი-ის ერთმანეთის ცრუუმაგიერ პირებად აღიარება წარმოადგენს, რასაც მოსარჩელე ითხოვს იმ საფუძვლით, რომ მითითებული პირები წარმოადგენენ ერთმანეთის ცრუუმაგიერ პირებს, ვინადან მათ განახორციელეს კონკრეტული მოქმედებები, რაც მიმართული იყო იმ მიზნისკენ, რომ თავი აერიდებინათ კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლზე, რომელიც შეიცავს ცრუუმაგიერი მფლობელობის დეფინიციას. მითითებული წორმის მიხედვით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირის გან და ეს პირი გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით, ითვლება, რომ აღნიშნული პირები არიან ერთიმეორის ცრუუმაგიერი პირები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს ცრუუმაგიერი პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები. მითითებული წორმის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ პირების ერთმანეთის ცრუუმაგიერად აღიარებისათვის აუცილებელია ორი პირობის ერთდროულად არსებობა, კერძოდ, შეუძლებელი უნდა იყოს პირების ერთმანეთისაგან განსხვავება და ამავდროულად პირი გამოყენებული უნდა იყოს გადასახადების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდებისათვის (იგულისხმება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ღონისძიებები: საგადასახადო გირავნობა ან იპოთეკა, მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა, ქონებაზე ყადალის დადება, ყადალადადებული ქონების რეალიზაცია, საბანკო ანგარიშზე საინკასო და-

ვალების წარდგენა, გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოლება). ცრუმაგიერ პირს წარმოშობს რეალური პირის ქმედება – თავი აარიდოს გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებას და შესაბამისი ქონება მანამდე გადასცეს ცრუმაგიერ პირს, ვიდრე მის მიმართ განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხეთა ცრუმაგიერ პირებად ცნობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული სავალდებულო წინაპირობები სახეზეა. კერძოდ, საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება ის გარემოება, რომ 2002 წლის 5 ნოემბერს გ. ჭ-ემ დააფუძნა შპს „...“. 2014 წლის 27 ოქტომბრის მდგომარეობით საწარმოს სალდირებული საგადასახადო დავალინება ერიცხება – 357 415,33 ლარის ოდენობით, დავალინების ძირითადი ნაწილი დარიცხულია დღგ-ს გადასახადში, საწარმოს მიერ წარდგენილი დეკლარაციების საფუძველზე. სსიპ შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით, შპს „...“ სამენარმეო საქმიანობას ფაქტობრივად წყვეტს 2007 წელს. მითითებულ პერიოდში საწარმოს გააჩნდა დეკლარირებული საგადასახადო ვალდებულება – 189 816 ლარის ოდენობით, რომელიც მოპასუხეს დღემდე არ აქვს გადახდილი. უფრო მეტიც, შპს „...“ დამფუძნებელმა გ. ჭ-ემ ამ საწარმოს საქმიანობის ფაქტობრივად შეწყვეტის მომენტიდან დააფუძნა ახალი საწარმო შპს „ზ..“, რომელმაც სამენარმეო საქმიანობა გააგრძელა საგადასახადო ვალდებულების გარეშე, მაგრამ 2011-2012 წლებში საწარმომ შპს „...“ მსგავსად განახორციელა კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებების დეკლარირება და იგი არ შეასრულა. სადაც არ არის ასევე, რომ შპს „ზ..“ -ს 2014 წლის 27 ოქტომბრის მდგომარეობით ერიცხება საგადასახადო დავალინება – 46 496,10 ლარის ოდენობით. სსიპ შემოსავლების სამსახურის ერთიან ელექტრონულ ბაზაში არსებული მონაცემების მიხედვით, 2012 წლისათვის შპს „ზ..“ -მა ფაქტობრივად შეწყვიტა სამენარმეო საქმიანობა და იმავე წლის 8 ივლისს გ. ჭ-ის შვილის მეუღლემ, მ. ი-მა დააფუძნა ახალი საწარმო შპს „თ...“, რომელიც ახორციელებს იმავე სამენარმეო საქმიანობას, რასაც შპს „...“ და შპს „ზ..“. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის პირობებში, სასამართლოს მიაჩნია, რომ შპს „...“, შპს „ზ..“, შპს „თ...“ განსხვავება პრაქტიკულად შეუძლებელია, რამდენადაც მითითებული საწარმოები დამფუძნებლების – გ. ჭ-ისა და მ. ი-ის მეშვეობით ახორციელებენ ერთი და იმავე სამენარმეო საქმიანობას, ხოლო მათი ცალკე იურიდიულ პირებად დაფუძნება და საქმიანობის ასეთი ფორმით განხორციელება რეალუ-

რად ემსახურება არსებული საგადასახადო ვალდებულების შეს-რულებისაგან თავის არიდებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საგადასახადო კო-დექსის მე-19 მუხლით რეგლამენტირებულია ასევე ურთიერთდა-მოკიდებული პირების დეფინიცია, კერძოდ, ურთიერთდამოკიდე-ბულ პირებად ითვლებან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთ-რებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდი-ნოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირო-ბებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. ამავე მუხლის მე-2 წანილის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიე-კუთვნება ურთიერთობები, რომელთა დროსაც პირები არიან წა-თესავები; ხოლო მე-3 წანილის შესაბამისად, საქართველოს საგა-დასახადო კანონმდებლობის მიზნებისათვის ფიზიკური პირის წა-თესავებად ითვლებიან: ა) წათესავების პირველი შტო: მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა; ბ) წათესავების მეორე შტო: პირველი შტოს თითოეული წათესავის მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა, გარდა იმ ფიზიკური პირისა, რომელიც უკვე მიეკუთვნა პირველ შტოს; გ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, როგორც მშობლები და შვი-ლები.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამარ-თლოს მსჯელობას, რომლითაც იგი მოცემულ შემთხვევაში გამო-რიცხავს პირების ურთიერთდამოკიდებულებას იმ თვალსაზრისით, რომ ალიარებითი სარჩელის პირობებში საჭიროა დადგინდეს, რომ კომპანია ფაქტობრივად წარმოადგენს მაკონტროლებელი ბენე-ფიციარის „მეორე მეს“ და მისი დამოუკიდებლობის ხარისხი არ იძ-ლევა მისი გამიჯვენის შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება არ ქმნის ზემოაღნიშნული რომელიმე ფაქტორის დადასტურების შე-საძლებლობას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საგადასახადო კო-დექსის 246-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, იმ გარემოების დადასტურების მიზნით, რომ გადასახადის გადამხდელი წარმო-ადგენს სხვა პირის ცრუმაგიერ პირს, სავალდებულოა დადასტურ-დეს, რომ გადასახადის გადამხდელის გამიჯვენა ამ სხვა პირისაგან რიგი ფაქტობრივი გარემოებების გამო პრაქტიკულად შეუძლებე-ლია და კონკრეტული ერთი პირი ამ სხვა პირის მხრიდან გამოყენე-ბულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძი-ებისათვის თავის არიდების მიზნით. აღნიშნული სამართლებრივი ინსტრუმენტის მიზანია დაიცვას საგადასახადო ორგანოს, როგორც კრედიტორის უფლებები. საქმის მასალებში წარმოდგენილი მტკი-

ცებულებებით დასტურდება ზემოაღნიშნული ნორმით ცრუმაგი-ერ პირად აღიარებისათვის სავალდებულო ორი პირობის არსებობა, კერძოდ, საწარმოები დაფუძნებული არიან გადასახადის გა-დახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არი-დების მიზნით, ამასთან, შპს „...“, შპს „ზ...“-ისა და შპს „თ...“ ძირი-თადი საქმიანობა არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც ქმნის სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელის საფუძვლი-ანობას. ამასთან, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებით დადგენილია, რომ მოპასუხეებს შორის არსებობს განსაკუთრებული ურთიერთობა, კერძოდ, ეწევიან ერთი და იმავე სამეწარმეო საქმიანობას, შპს „თ...“ დამფუძნებელმა – მ. ი-მა, რომელიც არის გ. ჭ-ის რძალი (შვილის მეუღლე), საწარმო დაარეგისტრირა მას შემ-დეგ, რაც შპს „...“ და შპს „ზ...“-ს სახელმწიფოს წინაშე წარმოექვათ გარკვეული საგადასახადო დავალიანებები.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ნათლად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ დასახელებული პირების ერთმანეთისაგან განსხვავება მოცემული ბიზნე-საქტივობიდან გამომდინარე, შეუძლებელია. შესაბამისად, აბსოლუტურად დასაბუთებულია საკასაციო საჩივრის მოსაზრება მი-თითებული პირების ერთმანეთისაგან განსხვავების შეუძლებლობისა და მათი ერთ მეწარმე სუბიექტად განხილვის თაობაზე, რის გამოც მათ ერთობლივად მთელი თავისი ქონებით უნდა აგონ პა-სუხი იმ საგადასახადო ვალდებულებისათვის, რომლის გადაუხდე-ლობასაც აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ შპს „...“ და შპს „ზ...“ დაფუძნებულია ერთი და იგივე პირის – გ. ჭ-ის მიერ. საქმეში წარმოდგენილი დეკლარაციებით დასტურდება, რომ შპს „...“ სახელზე 2006 წელს ფიქსირდება ერთობლივი შე-მოსავალი – 107 739 ლარის ოდენობით, ამასთან, საწარმოს გააჩნია დიდი ოდენობით საგადასახადო ვალდებულება, თუმცა საწარმოს დამფუძნებელი სამეწარმეო საქმიანობას წყვეტს შპს „...“ სახელით და აგრძელებს შპს „ზ...“-ის სახელით, რომელსაც იმავე წელს (2007 წელი) უფიქსირდება ერთობლივი შემოსავალი – 877 580 ლარის ოდენობით. ამასთან, როდესაც შპს „ზ...“-ს დეკლარაციების საფუძ-ველზე წარმოექვა საგადასახადო ვალდებულებები, საწარმო, ნაც-ვლად იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს კუთვნილი გადასახადები, ფაქტობრივად წყვეტს სამეწარმეო საქმიანობას და ურთიერთდამოკიდებული პირის (შვილის მეუღლის) მეშვეობით აფუძნებს ახალ საწარმოს – შპს „თ...“, რომელსაც სამეწარმეო საქ-მიანობის განხორციელების პირველივე წელს უფიქსირდება ერ-თობლივი შემოსავალი – 175 569,14 ლარის ოდენობით. ამდენად,

აღნიშნული იურიდიული პირები თავისი არსით წარმოადგენენ ფიქტიურ პირებს და მათ მაგიერ რეალურ სამენარმეო საქმიანობას შეზღუდული პასუხისმგებლობის სტატუსის გამოყენებით ახორციელებენ გ. ჭ-ე და მ. ი-ი.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, განსახილველ საქმეზე შეუძლებელია დასახელებული პირების ერთმანეთისაგან განსხვავება იმ სამენარმეო აქტივობებში, რამაც განაპირობა შეუსრულებელი საგადასახადო დავალიანების დაგროვება, კერძოდ, სასამართლომ ამა თუ იმ პირების ცრუმაგიერობის შესამონმებლად მხედველობაში უნდა მიღოს არა ის გარემოება, თუ რამდენად შესაძლებელია გვაროვნულად, სამართლებრივი ფორმით ან საიდენტიფიკაციო ნომრით სუბიექტების ერთმანეთისაგან განსხვავება, არამედ ამოსავალი და უმნიშვნელოვანესი უნდა იყოს ის ბიზნესაქტივობა, რომელიც განაპირობებს შემოსავლის მიღებას. უმნიშვნელოვანესია, რომ ცრუმაგიერობის დასადგენად შეფასდეს, თუ რამდენად არის შესაძლებელი დაირღვეს მიჯნა სხვადასხვა იურიდიული/ფიზიკური პირების ბიზნესსაქმიანობას შორის. ამგვარი შეფასების გარეშე, ცხადია, ძალიან მარტივია განისაზღვროს და ითქვას, რომ ფიზიკური პირისა და იურიდიული პირის ერთმანეთისაგან განსხვავება შესაძლებელია, თუნდაც მათი მახასიათებლების და მათი სამართლებრივი ფორმის გათვალისწინებით. აღნიშნული არ გამომდინარეობს კანონმდებლის ნებიდან, ვინაიდან კანონმდებლის ნებას წარმოადგენს დაიცვას საჯარო ინტერესი და არ მისცეს ამა თუ იმ პირებს გადასახადებისაგან თავის არიდების საშუალება. სწორედ ზემოაღნიშნული მსჯელობის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ შპს „...“, შპს „ზ...“, შპს „თ...“, გ. ჭ-ე და მ. ი-ი წარმოადგენენ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებს. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ცალსახად ადასტურებენ დასახელებული პირების ერთმანეთისაგან გამიჯვნის შეუძლებლობას, საქმეზე დადგენილი გარემოებები ნათლად ადასტურებს, რომ დასახელებული პირების ერთმანეთისაგან განსხვავება მოცემული ბიზნესსაქმიანობიდან გამომდინარე, შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ცრუმაგიერი მფლობელობის ბუნდოვანება ვლინდება იმაში, თუ რას შეიძლება გულისხმობდეს კანონმდებელი ერთმანეთისაგან განუსხვავებლობაში. აღნიშნული დანაწესის განმარტება კანონში არ არის, თუმცა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების გზით შემოსავლის მიღების საერთო მიზანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია განურჩევლობასთან მიმართებით. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ სახეზე ერთი სამართლებრივი ფორმით საქმიანობის შეჩერება და სხვა სამართლებრივი ფორმით ახალი სუბიექტის მი-

ერ მისი გაგრძელება. ამასთან, მოცემული საწარმოები ახორციელებენ ერთი და იმავე სამეწარმეო საქმიანობას, ასევე ჰყავთ საერთო მიმწოდებლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. ჭ-ისა და მ. ი-ი მიერ განხორციელებული ქმედებათა ჯაჭვი მიზანმიმართულია გადასახადებისა და საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ორნისძიებების თავის არიდებისათვის, რაც ქმნის შპს „...“, შპს „ზ...“-ის, შპს „თ...“, გ. ჭ-ისა და მ. ი-ის ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად აღიარების საფუძველს.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 20.04.2017წ. №ბს-167-165(კ-17) განჩინებაზე, რომლითაც დაუშვებლად იქნა მიჩნეული საკასაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ ი/მ „მ.შ-ის“ მიერ განხორციელებულ ქმედებათა ჯაჭვი მიზანმიმართული იყო გადასახადებისა და საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ორნისძიებების თავის არიდებისათვის. სააპელაციო სასამართლომ სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით ნ.ნ. და ე.ნ. აღიარა ი/მ „მ.შ-ის“ ცრუმაგიერ პირებად. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განმარტებები გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვებისას სრულად გაიზიარა საკასაციო სასამართლომ და მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია გადაწყვეტილებაში მითითებული პირები ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად (ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 13.03.2018წ. გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-763-755(კ-16)).

მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა საგადასახადო ვალდებულებების მქონე გადასახადის გადამხდელის – შპს „...“ დამფუძნებლის – გ. ჭ-ის მხრიდან გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, ახალი საწარმოების დაფუძნებით მ. ი-თან ისეთ კავშირში შესვლა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია მათი ერთიმეორისაგან განსხვავება, რამდენადაც მათ შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა მხოლოდ ფორმალურია და ატარებს ფიქტიურ ხასიათს, რომელიც საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ორნისძიებების მიქცევის თავიდან არიდებას ემსახურება, რაც მოპასუხეთა ცრუმაგიერობაზე მიუთითებს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა – სსიპ შემოსავლების სამსახურმა დაადასტურა ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც საფუძვლად უდევს მის მოთხოვნას. ამასთან, საკასაციო სასამარ-

თლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევა, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები), ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპერლაციო სასამართლოში ხელახლა გახსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. შპს „...“, შპს „ზ...“, შპს „თ...“, გ. ჭ-ე და მ. ი-ი ცნობილ იქნენ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საგადასახადო შეთანხმების გაფორმება საგადასახადო დავალიანების შემცირების მიზნით

განხილვა საქართველოს სახელით

№ბს-122-122(კ-17)

19 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
3. როინიშვილი

დავის საგანი: ცრუმაგიერ პირებად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

2014 წლის 24 ნოემბერს სსიპ შემოსავლების სამსახურმა სა-
სარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – შპს „...“-ის, შპს „ფ....-ის“, შპს „ქ....-ის“ და შპს „G....-ის“ მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, შპს „ქ...“, შპს „...“, შპს „G...“ და შპს „ფ...“ ახორციელებულ სამეწარმეო საქმიანობას იმგვარად, რომ თა-
ვი აარიდონ კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებების გადახ-
დევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

შპს „ქ...“ დაფუძნდა 2006 წლის 7 ნოემბერს. საწარმოს 100%-
იან წილის მფლობელს წარმოადგენს თ. უ-ა, ხოლო დირექტორს – ი.
უ-ა. საწარმოს 2014 წლის 21 ნოემბრის მდგომარეობით უფიქსირ-
დება ბიუჯეტის წინაშე შეუსრულებელი სალდირებული საგადასა-
ხადო ვალდებულება 1 192 561.8 ლარის ოდენობით.

შპს „...“ დაფუძნდა 2008 წლის 1 დეკემბერს. საწარმოს 100%-
იანი წილის მფლობელს წარმოადგენს თ. უ-ა, ხოლო დირექტორს –
ი. უ-ა. საწარმოს 2014 წლის 21 ნოემბრის მდგომარეობით უფიქ-
სირდება ბიუჯეტის წინაშე შეუსრულებელი სალდირებული საგა-
დასახადო ვალდებულება 115 067 167.04 ლარის ოდენობით.

შპს „G...“ დაფუძნდა 2012 წლის 15 დეკემბერს. საწარმოს 100%-
იანი წილის მფლობელს წარმოადგენს თ. უ-ა, ხოლო დირექტორს –
ზ. ნ-ი. საწარმოს 2014 წლის 21 ნოემბრის მდგომარეობით უფიქ-
სირდება ბიუჯეტის წინაშე შეუსრულებელი სალდირებული საგა-
დასახადო ვალდებულება 27 033 361.88 ლარის ოდენობით.

შპს „ფ...“ დაფუძნდა 2014 წლის 18 სექტემბერს. საწარმოს 100%-
იანი წილის მფლობელს წარმოადგენს ა. წ-ი, ხოლო დირექტორს –

ზ. პ-ი. საწარმოს 2014 წლის 21 ნოემბრის მდგომარეობით არ უფიქ-
სირდება ბიუჯეტის წინაშე შეუსრულებელი სალდირებული საგა-
დასახადო ვალდებულება.

შპს „ქ...“ ქვემოთ აღნიშვნული წარმოადგენ შპს „...“ და შპს „G...“.
შპს „...“ და შპს „G...“ ფლობდნენ აზარტული თამაშობების სისტე-
მურ ელექტრონული ფორმით მოწყობის უფლებას, რომელიც მა-
თივე მოთხოვნის საფუძველზე გაუქმდა, ხოლო შპს „ფ...-ს“ მიეცა
უფლება №19-06/11 და №19-05/185 ნებართვების საფუძველზე,
მოწყობილი თამაშობების სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწ-
ყობის შესახებ (...,...).

ამასთან, მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს ფინანსთა
სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან მოწყობული საგამო-
ძიებო მასალებიდან დგინდება, რომ შპს „ქ...“ წარმოადგენ „...“
მესაკუთრეს, რომელიც სარგებლობის უფლებით გადაცემული
ჰქონდა შპს „კ...“ და შპს „...“-ზე, ხოლო დღეის მდგომარეობით აღ-
ნიშნული ქონება სარგებლობის უფლებით გადაცემულია შპს „ფ...“.
სწორედ მპს „ფ...“ №19-06/11 და №19-05/185 ნებართვების საფუძ-
ველზე ახორციელებს საქმიანობას (...,...).

მოსარჩელის მითითებით, საგამოძიებო სამსახურის მიერ მო-
წყობული მასალებით, ასევე დასტურდება, რომ თანამშრომლე-
ბი შპს „...“-ში, შპს „ჩ...-ში“ და შპს „ფ...-ში“ არიან ერთი და იგივე
პირები, ასევე აღნიშნული საწარმოების ფაქტობრივი ხელმძღვა-
ნელი არის ერთი და იგივე პირი.

საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ მოპასუხე პი-
რები შპს „ქ...“, შპს „...“, შპს „G...“ და შპს „ფ...“ სამენარმეო საქმია-
ნობას ახორციელებენ იმგვარად, რომ თავი აარიდონ საგადასახა-
დო ვალდებულების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძი-
ებებს, ამასთან, აღნიშნული მიზნის მიღწევის თვალსაზრისით მო-
პასუხე პირთა ერთმანეთისაგან განსხვავება შეუძლებელია.

ამდენად, მოსარჩელემ მპს „ქ...“, შპს „...“-ის, შპს „G...-ის“ და შპს
„ფ...-ის“ საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის შესაბამისად, ერ-
თმანეთის ცრუმაგიერ პირებად ცნობა მოითხოვა.

ამასთან, მოსარჩელემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-
ე და 198-ე მუხლების შესაბამისად, მოპასუხის შპს „...“-ის (ს/ნ ...)
მოძრავ ქონებაზე, მათ შორის, „...“ (...) სახელმწიფო სანომრე ნიშ-
ნით ...; „...“ სახელმწიფო სანომრე ნიშნით ...; შპს „G...-ის“ (ს/ნ ...), შპს
„ფ...-ის“ (ს/ნ ...) მოძრავ ქონებაზე, ასევე შპს „ქ...“ (ს/ნ ...) მოძრავ
ქონებაზე, მათ შორის, სასაქონლო ნიშანი „...“ და ავტომობილები,
ასევე შემდეგ უძრავ ქონებაზე: ა) ქ.ფოთი, ქუჩა ... (ს/კ ...); ბ) ქ.
ბორჯომი, ... №1, (ს/კ ...); გ) ქ.ბათუმი ... ქ. №10, (ს/კ ...); დ) რაიონი
ყაზბეგი, ... (ს/კ ...), ყადაღის დადების თაობაზე იშუამდგომლა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2014 წლის 25 ნოემბრის განჩინებით სსიპ შემოსავ-ლების სამსახურის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღო-ნისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2014 წლის 25 ნოემბრის განჩინება საჩივრით გაასა-ჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებუ-ლი განჩინების გაუქმება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2014 წლის 11 დეკემბრის განჩინებით სსიპ შემოსავ-ლების სამსახურის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 25 ნოემბრის გან-ჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. საჩივარი საქმის მასლებთან ერთად გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამარ-თლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2015 წლის 16 თებერვლის განჩინებით სსიპ შემო-სავლების სამსახურის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გა-უქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა კოლეგიის 2014 წლის 25 ნოემბრის და ამავე სასამართლოს 2014 წლის 11 დეკემბრის განჩინებით და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი განჩინება; სსიპ შემოსავლების სამსახურის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ყადაღა დაედო: შპს „...“ -ის (ს/ნ ...) საკუთრებაში რიცხულ შემდეგ ქონებას: 1. „...“ (...) სახელმწიფო სა-ნომრე ნიშნით ...; 2. „...“ სახელმწიფო სანომრე ნიშნით ...; შპს „ქ...“ (ს/ნ ...) სასაქონლო ნიშანს „ა...“; ასევე მის საკუთრებაში რიცხულ შემდეგ უძრავ ქონებას: ა) ქ.ფოთი, ქუჩა ...; საკადასტრო კოდი ...; ბ) ქ.ბორჯომი, ... №1, საკადასტრო კოდი ...; გ) ქ.ბათუმი ... ქ. №10, საკადასტრო კოდი: ...; დ) რაიონი ყაზბეგი, ..., საკადასტრო კოდი სსიპ შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა დანარჩენ ნაწილში არ დაკმაყოფილდა. განჩინება ყადაღის რეგისტრაციის მიზნით გა-დაეგზავნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2017 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-ტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 16 თებერვლის განჩინე-ბით (საქმე №3ბ/1684-14) გამოყენებული უზრუნველყოფის ღო-ნისძიება.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2006 წლის

7 ნოემბერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იუ-რიდიული პირების რეესტრში დარეგისტრირდა შეზღუდული პა-სუხისმგებლობის საზოგადოება „ქ...“, რომლის დირექტორია ი. უ-ა, ხოლო 100%-იანი წილის მესაკუთრე – თ. უ-ა. საწარმოს იურიდი-ულ მისამართად მიეთითა: თბილისი, ... რაიონი, ... №1 (სასტუმრო ...).

2008 წლის პირველ დეკემბერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დარეგისტრირ-და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „...“, რომლის დირექტორია ი. უ-ა, ხოლო 100%-იანი წილის მესაკუთრე – თ. უ-ა. საწარმოს იურიდიულ მისამართად მიეთითა თბილისი, საბურთა-ლოს რაიონი, ... №1.

2012 წლის 25 დეკემბერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არა-კომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩ...“, რომლის დი-რექტორია ზ. ნ-ი, ხოლო 100%-იანი წილის მესაკუთრე – თ. უ-ა. საწარმოს იურიდიულ მისამართად მიეთითა: ქ. თბილისი, ვაკე-სა-ბურთალოს რაიონი, ... №1.

2014 წლის 18 სექტემბერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არა-კომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფ...“. რეესტრი-დან 2014 წლის 18 სექტემბრის ამონაწერის მიხედვით, საწარმოს დირექტორი და 100%-იანი წილის მესაკუთრეა გ. მ-ე.

2014 წლის 10 ოქტომბერს გ. მ-ესა და ა. წ-ს შორის დაიდო ხელ-შეკრულება შპს „ფ...-ის“ წილის დათმობის (ნასყიდობის) შესახებ. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პი-რების რეესტრიდან 2014 წლის 10 ოქტომბრის ამონაწერის მიხედ-ვით, შპს „ფ...-ის“ დირექტორია ზ. ბ-ი, ხოლო 100%-იანი წილის მე-საკუთრე – ა. წ-ი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახუ-რის უფროსისადმი სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დე-პარტამენტის 2014 წლის 27 ივნისის №21-14/45343 მიმართვის შე-საბამისად, აუდიტის დეპარტამენტის 2013 წლის 12 სექტემბრის №44463 ბრძანების საფუძველზე მიმდინარეობს შპს „...-ის საქმი-ანობის გასვლითი საგადასახადო შემონმება, ხოლო 2014 წლის 15 აპრილის №21158 ბრძანების საფუძველზე – შპს „G...-ის“ საქმია-ნობის გასვლითი საგადასახადო შემონმება. მიმართვის თანახმად, შემონმებისას გაირკვა, რომ მითითებული საწარმოების საქმიანო-ბის სფეროს წარმოადგენს სათამაშო ბიზნესი, კერძოდ, შპს „...-ის საქმიანობას წარმოადგენს ინტერნეტსაიტზე www....com ტოტალი-ზატორისა და ნარდის სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამა-

შის, დარბაზის ტოტალიზატორისა და კაზინოს მოწყობა (ქ. ბათუმ-ში), ხოლო შპს „G...-ის“ საქმიანობის საგანს წარმოადგენს სისტე-მურ-ელექტრონული ფორმით თამაშობების, სათამაშო აპარატე-ბის სალონისა და კაზინოს მოწყობა (...). აღნიშნულ საწარმოებს სის-ტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშებისა და საიტის IT მომსა-ხურებას უნდეს შპს „ს...“, რომლის მომსახურებიდან შემოსავლები ძირითადად ფორმირდება შპს „...-ისა და შპს „G...-ის“ მიერ სისტე-მურ-ელექტრონული ფორმით თამაშებიდან მიღებული მოგების გარკვეული პროცენტული ოდენობით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახუ-რის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელო-ვან საქმეთა სამმართველოს გამომძიებლის გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის მიხედვით, 2014 წლის 27 ივნისს დაიწყო გა-მოძიება შპს „...-ის, შპს „G...-ისა“ და შპს „ს...-ის ხელმძღვანელ პირთა მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისათ-ვის თავის არიდების ფაქტზე.

2014 წლის 23 სექტემბერს შპს „ქ...“ (მეიჯარე) და შპს „ფ...-ს“ (მოიჯარე) შორის დადებულია გარკვეული სახის ინვენტარის (რუ-ლეტი, მაგიდა, ფიშკები, რულეტკის ფერი, ბურთულა, დოლი, სეი-ფი, სათამაშო აპარატის, პოკერის და ინსპექტორის სკამები, კონ-დიციონერი, პრინტერი, ტელეფონი, მაცივარი, კარტები, სარკე, ფულის სათვლელი, ნოუთბუქები, პერსონალური კომპიუტერის სრული კომპლექტი) საიჯარო ხელშეკრულება. ყოველთვიური სა-იჯარო ქირა განისაზღვრა 18 290 ლარის ოდენობით დღგ-ს ჩათ-ვლით. იმავე დღეს მხარეთა შორის გაფორმებულია ხელშეკრულე-ბით გათვალისწინებული ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტი.

2014 წლის 23 სექტემბრის საიჯარო ხელშეკრულება ვადაზე ად-რე შეწყდა მხარეთა 2014 წლის 27 დეკემბრის შეთანხმების საფუძ-ველზე.

2014 წლის 30 სექტემბერს შპს „ქ...“ (მეიჯარე) და შპს „ფ...-ს“ (მოიჯარე) შორის დადებულია გარკვეული სახის ინვენტარის (პრინ-ტერი, მონიტორი, პროცესორი, მაუსი, კლავიატურა, ყურსასმენი, დინამიკი, სკამები, დაფა, ტანსაცმლის საკიდი, მაგიდა, საათი, ტე-ლევიზორი, მიკროტალლური ღუმელი) საიჯარო ხელშეკრულება. ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 5 000 ლარის ოდენო-ბით დღგ-ს ჩათვლით. 2014 წლის პირველ ოქტომბერს მხარეთა შო-რის გაფორმებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინვენ-ტარის მიღება-ჩაბარების აქტი.

2014 წლის 30 სექტემბრის საიჯარო ხელშეკრულება ვადაზე ად-რე შეწყდა მხარეთა 2014 წლის 27 დეკემბრის შეთანხმების საფუძ-ველზე.

2014 წლის 15 ოქტომბერს შპს „ქ...“ (გამცემი) და შპს „ფ...-ს“ (მიმღები) შორის დადებულია ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლების გადაცემაზე. კერძოდ, მიმღებს მიენიჭა უფლება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კომერციული სახელის (სასაქონლო ნიშნის) სახით გამოყენებინა გამსხვისებლის კუთხით სასაქონლო ნიშანი სიტყვათნყობითcom,ge,com. ეს უფლება მიმღებს გადაეცა შეუზღუდავად მის მიერ მოწყობილი ტოტალიზატორისა და სისტემურ ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობებისათვის. მიმღებს მიენიჭა უფლებამოსილება, თავისი შეხედულებისამებრ სასაქონლო ნიშნები გამოყენებინა თავისი საქმიანობის რეკლამირების მიზნით. ხელშეკრულების მე-3 მუხლით განისაზღვრა ხელშეკრულების ღირებულების გამოანგარიშების წესი და გადახდის ვადა.

2014 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულება ვადაზე ადრე შენყდა მხარეთა 2014 წლის 27 დეკემბრის შეთანხმების საფუძველზე.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის 2014 წლის 25 ნოემბრის №2177/03 წერილის მიხედვით, დასახელება „აჭარაბეთი“ იდენტური ნიშანი საქპატენტში რეგისტრირებული, კერძოდ,ge,com, სამივე ნიშნის მფლობელია შპს „ქ...“.

შპს „...“-ზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემულია ტოტალიზატორის მოწყობის შესახებ №19-05/1174 ნებართვა. ობიექტის მისამართია ბათუმი, ... ქ. №14, პირველი სართული, ფართი №1. ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2011 წლის 22 აპრილის ჩათვლით.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2012 წლის 27 დეკემბრის №250/01 ბრძანებით შპს „G...-ზე“ გაცემულია სამორინეს მოწყობის ნებართვა, მისამართი: დაბა ყაზბეგი, ... ქ. 1, სართული 1, ფართი 1. აღნიშნული ბრძანების საფუძვლზე გაცემულია სამორინეს მოწყობის სანებართვო მოწმობა №19-04/16, რომლის მოქმედება განისაზღვრა 2017 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2014 წლის 20 ოქტომბრის №672/01 ბრძანებით შპს „ფ...-ზე“ გაცემულია წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვა მისამართზე: თბილისი, ..., კორპ. 15, ბინა 16.

აღნიშნული ბრძანების საფუძველზე გაცემულია წამახალისებელი გათამაშების მოწყობის სანებართვო მოწმობა №19-03/124, რომლის მოქმედება განისაზღვრა 2015 წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ შპს „ფ...-ზე“ გაცემულია სამორინეს მოწყობის სანებართვო მოწმობა №19-04/26, რომლის მოქმედება განისაზღვრა 2019 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2014 წლის 23 სექტემბრის №648/01 ბრძანებით 2014 წლის 23 სექტემბრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 27 დეკემბრის №251/01 ბრძანება და გაუქმდა შპს „G...-ზე“ გაცემული სამორინეს მოწყობის №19-06/071 ნებართვა.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2014 წლის 26 სექტემბრის №656/01 ბრძანებით 2014 წლის 26 სექტემბრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 27 დეკემბრის №250/01 ბრძანება და გაუქმდა შპს „G...-ზე“ გაცემული სამორინეს მოწყობის №19-04/16 ნებართვა.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2014 წლის 29 დეკემბრის №724/01 ბრძანებით 2014 წლის 29 დეკემბრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 23 სექტემბრის №651/01 ბრძანება და გაუქმდა შპს „ფ...-ზე“ გაცემული სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის №19-06/111 ნებართვა.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2014 წლის 29 დეკემბრის №725/01 ბრძანებით 2014 წლის 29 დეკემბრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 26 სექტემბრის №657/01 ბრძანება და გაუქმდა შპს „ფ...-ზე“ გაცემული სამორინეს მოწყობის №19-04/26 ნებართვა.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2014 წლის 29 დეკემბრის №734/01 ბრძანებით 2014 წლის 29 დეკემბრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 24 სექტემბრის №652/01 ბრძანება და გაუქმდა შპს „ფ...-ზე“ გაცემული ტოტალიზატორის მოწყობის №19-05/185 ნებართვა.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2015 წლის 19 თებერვლის №776/01 ბრძანებით 2015 წლის 19 თებერვლიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 20 ოქტომბრის №672/01 ბრძანება და გაუქმდა შპს „ფ...-ზე“ გაცემული წამახალისებელი გათამაშების მოწყობის №19-03/124 ნებართვა.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2014 წლის 7 ნოემბრის №118860-21-11 სამსახურებრივი ბარა-

თის მიხედვით, შპს „ფ...-მა“ 2014 წლის 24 სექტემბერს მომსახურების დეპარტამენტს მიმართა განცხადებით სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის №19-06/111 და ტოტალიზატორის მოწყობის №19-06/185 ნებართვებში ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ, თამაშობების სისტემურ-ელექტრონული ფორმითაც მოწყობის შესახებ ვებგვერდზე – www.....com; www.....ge. გადამხდელს განცხადებებზე დაუდგინდა ხარვეზი, რადგან აღნიშნული ვებგვერდებით სარგებლობდნენ სხვა გადასახადის გადამხდელები. შესაბამისად, შპს „G...“ და შპს „...“. 2014 წლის 25 სექტემბერს გადამხდელებმა წარადგინეს განცხადებები შპს „G...-ის“ სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის №19-06/072 და შპს „...“-ის ტოტალიზატორის მოწყობის №19-05/009 ნებართვებში ცვლილებების შეტანის შესახებ, აზარტული თამაშობების სისტემურ ელექტრონული ფორმით მოწყობის გაუქმების მოთხოვნით ვებგვერდზე – www.....com; www.....ge, რაზედაც განმცხადებლებს გაეგზავნათ დადებითი პასუხი. ხარვეზის გამოსწორების თანახმად, 2014 წლის 25 სექტემბერს შპს „ფ...-ის“ მიერ დარეგისტრირებულ ორივე განცხადებას მიენიჭა დადებითი პასუხი №19-06/111 და №19-06/185 ნებართვების საფუძველზე მოწყობილი თამაშობების სისტემურ-ელექტრონული ფორმითაც მოწყობის შესახებ.

სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2014 წლის 10 ნოემბრის №119778-21-05 მიმართვის მიხედვით, სსიპ შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემებით, 2014 წლის 10 ნოემბრის მდგომარეობით, შპს „...-ს ერიცხება სალდირებული საგადასახადო დავალიანება 114 743 167,06 ლარი და შპს „G...-ს“ — 26 925 179,79 ლარი. 2014 წლის 7 ნოემბერს, შპს „...“-ისა და შპს „G...-ის“ მიმართ, შემოსავლების სამსახურის მიერ, საგადასახადო დავის პერიოდში, საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის მიზნით გამოცემულ იქნა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, შესაბამისად, №094-247 და №006-2468 ბრძანებები. შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2014 წლის 7 ნოემბრის №118860-21-11 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, შპს „...“-ისა და შპს „G...-ის“ მიმართ, მათივე მოთხოვნის საფუძველზე, გაუქმებულ იქნა აზარტული თამაშობების სისტემურ ელექტრონული ფორმით მოწყობის უფლება, ხოლო შპს „ფ...-ს“ მიეცა უფლება №19-06/11 და №19-05/185 ნებართვების საფუძველზე მოწყობილი თამაშობების სისტემურ-ელექტრონული ფორმითაც მოწყობის შესახებ (www.....com; www.....ge).

მიმართვაში აღნიშნულია, რომ შპს „ქ...“, შპს „...“-ისა და შპს „G...-ის“ დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი არის თ. უ-ა.

როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2014 წლის 8 ნოემბრის №8063/15-04-01 ნერილით გადმოგზავნილი სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ შპს „ქ...ის“ ქვემოთვარები არიან შპს „...“ და შპს „G...“.

მითითებული გადასახადის გადამხდელების იურიდიული მისამართი არის ქ. თბილისი, ... №1, ი. უა არის შპს „ქ...“ და შპს „...“-ის დირექტორი.

მიმართვის თანახმად, შესაძლებელია, რომ აღნიშნული გადასახადის გადამხდელების მიერ აზარტული თამაშობების სისტემურ ელექტრონული ფორმით მოწყობის უფლების ცვლილება მიზნად ისახავდეს გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებას, რის გამოც სსიპ შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის უფროსს ეთხოვა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის შესაბამისად, მიემართა სასამართლოსათვის შპს „ქ...ის“, შპს „...“-ის, შპს „G...-ისა“ და შპს „ფ...-ის“ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად ცნობის თაობაზე მოთხოვნით.

შპს „G...-ის“, 2014 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ერიცხება ძირითადი გადასახადი 24 580 037,40 ლარი, საურავი – 2 444 936,07 ლარი და ზედმეტობა – 2 429,76 ლარი.

შპს „...“-ს, 2014 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ერიცხება ძირითადი გადასახადი 77 486 125,80 ლარი, საურავი – 37 988 085,25 ლარი და ზედმეტობა – 439 444,02 ლარი.

სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 10 დეკემბრის №094-290 და №006-2945 ბრძანებებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა შპს „...“-ისა და შპს „G...-ის“ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ 2014 წლის 7 ნოემბრის №094-247 და №006-2468 ბრძანებები.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2595 განკარგულებით მიღებულ იქნა ცნობად, რომ შპს „G...-მა“ საგადასახადო შეთანხმების გაფორმების მიზნით განცხადებით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურს, რომ 2014 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით, გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე ერიცხება სალდირებული საგადასახადო დავალიანება, სულ 27 180 456,84 ლარის ოდენობით.

განკარგულებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 293-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შპს „G...-ის“ მიერ წარდგენილი წინადადებების გათვალისწინებით, სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალა შპს „G...-თან“ საგადასახადო შეთანხმების აქტის გაფორმება შემდეგი პირობებით: ა) გადასახდელი საგადასახადო

დავალიანების ოდენობა – 3 400 000 ლარი; ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო ვალდებულების გადახდის ვადა: ბ.ა) 2 400 000 ლარი – 2015 წლის 1 მარტამდე; ბ.ბ) 1 000 000 ლარი – 2015 წლის 1 სექტემბრამდე ვ) საგადასახადო შეთანხმების აქტით გათვალისწინებული შესრულების შემდეგ შპს „G...-ს“ 2014 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე საგადასახადო დავალიანების თანხა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, უნდა განესაზღვროს 3 400 000 ლარით. საგადასახადო შეთანხმების გაფორმების ვადად განისაზღვრა ამ განკარგულების გამოცემიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

2015 წლის 22 იანვარს, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2595 განკარგულების საფუძველზე და გათვალისწინებული პირობებით, შპს „G...-თან“ დადებულია საგადასახადო შეთანხმება №ა64-21.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2596 განკარგულებით მიღებულ იქნა ცნობად, რომ შპს „...“-მა საგადასახადო შეთანხმების გაფორმების მიზნით განცხადებით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურს, რომ 2014 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით, გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე ერიცხება სალდირებული საგადასახადო დავალიანება, სულ 116 069 107.34 ლარის ოდენობით.

განკარგულებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 293-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შპს „...“-ის მიერ წარდგენილი წინადადებების გათვალისწინებით, სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალა შპს „...“-თან საგადასახადო შეთანხმების აქტის გაფორმება შემდეგი პირობებით: ა) გადასახდელი საგადასახადო დავალიანების ოდენობა – 15 000 000 ლარი; ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო ვალდებულების გადახდის ვადა: ბ.ა) 4 000 000 ლარი – 2015 წლის 1 სექტემბრამდე; ბ.ბ) 5 000 000 ლარი – 2016 წლის 1 იანვრამდე; ბ.გ) 6 000 000 ლარი – 2016 წლის 1 ივლისამდე; გ) საგადასახადო შეთანხმების აქტით გათვალისწინებული შესრულების შემდეგ შპს „...“-ს 2014 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე საგადასახადო დავალიანების თანხა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, უნდა განესაზღვროს 15 000 000 ლარით. საგადასახადო შეთანხმების გაფორმების ვადად განისაზღვრა ამ განკარგულების გამოცემიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღე.

2015 წლის 22 იანვარს, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30

დეკემბრის №2596 განკარგულების საფუძველზე და გათვალისწინებული პირობებით, შპს „...“-თან დადებულია საგადასახადო შეთანხმება №ა65-21“.

2015 წლის 26 თებერვალს შპს „G...-ის“ მიერ გადახდილია 2 400 000 ლარი. გადახდის დანიშნულებაში მითითებულია – „საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული თანხა საქართველოს მთავრობის 30.12.2014წ. №2595 განკარგულება.“

2015 წლის 31 აგვისტოს შპს „G...-ის“ მიერ გადახდილია 1 000 000 ლარი. გადახდის დანიშნულებაში მითითებულია – „შეთანხმებით გათვალისწინებული თანხა.“

2015 წლის 31 აგვისტოს შპს „...“-ის მიერ გადახდილია 4 000 000 ლარი. გადახდის დანიშნულებაში მითითებულია – „შეთანხმებით გათვალისწინებული თანხა.“

2015 წლის 30 ივნისს შპს „...“-ის მიერ გადახდილია 6 000 000 ლარი. გადახდის დანიშნულებაში მითითებულია – „საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული თანხა.“

სსიპ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 5 ივლისის №19093 ბრძანებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 293-ე მუხლის მე-5 ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2596 განკარგულებისა და შპს „...“-სა და სსიპ შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმებული 2015 წლის 22 იანვრის №ა 65-21 საგადასახადო შეთანხმების საფუძველზე, შპს „...“-ს 2014 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე საგადასახადო დავალიანების თანხა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, განესაზღვრა მოგების გადასახადის სანქციის ნაწილში 15 000 000 ლარით. №19093 ბრძანებით სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრირების დეპარტამენტს დაევალა შესაბამისი კორექტირების (შემცირების) განხორციელება შპს „...“-ის პირადი აღრიცხვის ბარათებზე და მის მიმართ კორექტირებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსაყოფად დაწყებული ღონისძიებების გაუქმება.

სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2016 წლის 19 ივლისის №91400-21-05 მიმართვის მიხედვით, 2016 წლის 19 ივლისის მდგომარეობით, შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემებით, შპს „ქ...“ პირადი აღრიცხვის ბარათზე ერიცხება 400 048,94 ლარი ზედმეტობა, ხოლო დამატებით დარიცხული თანხა, რომელიც არ არის აღიარებული, 710 874 ლარის ოდენობით, შპს „...“-ს ერიცხება საგადასახადო დავალიანება 98 291,11 ლარი, შპს „G...-ს“ საგადასახადო დავალიანება არ ერიცხება.

მიმართვაში, ასევე, აღნიშნულია, რომ შპს „ფ...-ს“ ერიცხება სა-გადასახადო დავალიანება 5 204 389,07 ლარის ოდენობით. 2015 წლის 2 ივლისს გადასახადის გადამხდელის მთელ ქონებაზე გავ-რცელებულ იქნა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება, ხოლო 2015 წლის 13 ივლისს გამოცემულ იქნა ქონებაზე ყადაღის დადგების შესახებ №005-1966 ბრძანება. შპს „ფ...-ის“ მიმართ საგა-დასახადო შეთანხმება გაფორმებული არ არის.

შპს „ქ...“, 2017 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის

წინაშე ერიცხება აღიარებული საგადასახადო დავალიანება: ძი-რითადი გადასახადი 62 140 ლარი, საურავი – 799 159,64 ლარი.

შპს „...-ს, 2017 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ერიცხება აღიარებული საგადასახადო დავალი-ანება: ჯარიმა – 10 283,26 ლარი, საურავი – 69 307,87 ლარი, ზედ-მეტობა – 439 443,78 ლარი.

შპს „G...-ს“, 2017 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, სახელმწი-ფო ბიუჯეტის წინაშე ერიცხება ზედმეტობა 438 041,6 ლარი. სა-წარმოს დამატებით ერიცხება 240 000 ლარი, რომელიც არ არის აღიარებული.

შპს „ფ...-ს“, 2017 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, სახელმწი-ფო ბიუჯეტის წინაშე ერიცხება აღიარებული საგადასახადო დავა-ლიანება: გადასახადის ძირითადი თანხა – 3 781 858,33 ლარი, ჯა-რიმა – 53 500 ლარი, საურავი – 1 739 892,63 ლარი.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საგადასახადო დავა-ლიანების გადახდევინების უზრუნველყოფის კანონით დადგენი-ლი ღონისძიებების გამოყენება იწვევს პირის კანონით დაცული უფლებების, მათ შორის, საკუთრებით თავისუფლად სარგებლო-ბისა და განკარგვის შეზღუდვას. ამასთან, პირს ეკისრება აღნიშ-ნულის თმენის ვალდებულება, რადგან მსგავსი ღონისძიებების გა-ტარება ემსახურება საჯარო ლეგიტიმურ მიზანს – საგადასახადო ვალდებულების შესრულებას და მათი გამოყენების საფუძველი სწორედ გადასახადის გადამხდელის ქმედება – საგადასახადო ვალ-დებულების ჯეროვანი შეუსრულებლობა. ამრიგად, არ ასრულებს რა ნაკისრ მოვალეობებს, გადასახადის გადამხდელისთვის ცნო-ბილი უნდა იყოს, რომ აღნიშნული გამოიწვევს მის მიმართ სათანა-დო ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას, რათა აღსრულ-დეს კანონით დადგენილი ვალდებულება. სწორედ ამიტომ, საგა-დასახადო უზრუნველყოფის საგანი ხდება გადამხდელის ქონება. საგადასახადო უზრუნველყოფის საგანი მესამე პირის ქონება ხდე-ბა მხოლოდ მაშინ, როდესაც მესამე პირს აქვს გადასახადის გა-დამხდელის დავალიანება, რომლის გადახდის ვადაც დამდგარია

ან როდესაც მესამე პირი იძენს საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით დატვირთულ ქონებას. გარდა აღნიშნულისა, საგადასახადო კანონმდებლობა იცნობს ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად ცნობის ინსტიტუტს, რომლის დროსაც გადახდევინების მიქცევა ხდება არა გადასახადის გადამხდელის, არამედ მესამე პირის ქონებაზე, როდესაც დასტურდება, რომ აღნიშნული პირი გამოყენებული იყო გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით. აღნიშნული მიზნად ისახავს გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების გამორიცხვას, რათა გადასახადის გადამხდელმა ბოროტად არ გამოიყენოს ის გარემოება, რომ მესამე პირის ქონებაზე გადახდევინების მიქცევა არ ხდება და არ მოახდინოს მხოლოდ აღნიშნული მიზნით სხვა პირის შექმნა და მისთვის ქონების გადაცემა გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისაგან თავის არიდების მიზნით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან და ეს პირი გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით, მიიჩნევა, რომ აღნიშნული პირები არიან ერთიმეორის ცრუმაგიერი პირები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი, გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ცრუმაგიერი პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

„საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის სახეზე უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის განსხვავების შეუძლებლობა სხვა იმ პირისაგან, რომელიც გამოყენებული არის გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით ანუ გადასახადის გადამხდელი პირი, რომელსაც გააჩნია საგადასახადო ვალდებულებები, მისი გადახდებისაგან თავის არიდების მიზნით ისეთ კავშირში შედის სხვა პირთან, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი არის მათი განსხვავება.“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 3 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-103-96(კ-13)).

„ცრუმაგიერ პირებად აღიარების შესახებ სარჩელის მიზანია დადგინდეს, რომ სხვა პირი წარმოადგენს საგადასახადო კოდექსით გადასახადის გადახდაზე ვალდებული პირის – გადამხდელის ცრუმაგიერ პირს. ასეთი აღიარება შესაძლებლობას აძლევს საგა-

დასახადო ორგანოს გადასახადის გადამხდელის შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენოს ცრუმაგიერი პირის მიმართ“. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-1546-1476 (კ-09)).

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს საგადა-სახადო კოდექსის 246-ე მუხლის შინაარსიდან ცხადია, რომ კანონ-მდებელი არ მიუთითებს კონკრეტულ გარემოებებზე, რომელთა ერთობლიობა ქმნის ცრუმაგიერ პირებად აღიარების საფუძველს. ამდენად, სასამართლომ კონკრეტული გარემოებების შეფასების შედეგად უნდა განსაზღვროს მოცემული ნორმის საკანონმდებლო მიზანი. ცალსახაა, რომ ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის სახეზე უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის განსხვავების შეუძლებლობა სხვა იმ პირისაგან, რომელიც გამოყენებულია გადა-სახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით, ანუ გადასახადის გადამხდელი პირი, რო-მელსაც გააჩნია საგადასახადო ვალდებულებები, მისი გადახდი-საგან თავის არიდების მიზნით ისეთ კავშირში შედის სხვა პირთან, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია მათი განსხვავება.

ვინაიდან ცრუმაგიერ პირებად ცნობა უშუალოდ არის დაკავშირებული პირის საკუთრების უფლების შეზღუდვასთან, მის ქონებაზე საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებასთან, აუცილებელია, რომ აღნიშნული ფაქტი დადგინდეს კანონით დადგენილი ყველა დანაწესის სრული დაცვითა და ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად. აღნიშნული ასევე არის დაკავშირებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან, რამეთუ მხოლოდ კონკრეტული ერთი ფაქტის საფუძველზე პირთა ერთმანეთის ცრუმა-გიერად ცნობამ შეიძლება გამოიწვიოს მისი დაუცველ მდგომარეობაში ყოფნა, მისი უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების უკანონო ხელყოფა. კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ დადასტურდეს ცრუმაგიერი მფლობელობის ფაქტი, სავალდებულოა დადგინდეს, რომ მოპასუხეები საერთო ეკონომიკური ინტერესების საფუძველზე მოქმედებდნენ გა-დახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არი-დების მიზნით. აღნიშნული გარემოების დადგენის თვალსაზრისით, პრინციპულია იმ ფაქტის დადასტურება, რომ დაფუძნებულ კომ-პანიას არ გააჩნია რეალური დამოუკიდებლობა, შექმნილია ფორმალურად, სანარმოები შექმნილია ერთი და იგივე გარიგებების გან-ხორციელების მიზნით, ერთ სანარმოზე ფორმდება აქტივები, ხო-

ლო მეორეზე ვალდებულებები, სანარმო გამოიყენება სხვა საწარმოს ან პარტნიორის ვალდებულებების დასაფარავად და საწარმოების დამოუკიდებულების ხარისხი არ იძლევა მათი გამიჯვნის შესაძლებლობას.

მოსარჩელე მიუთითებს მოპასუხეთა საქმიანობის მსგავსებაზე, ერთი და იმავე დამფუძნებლებისა და დირექტორის ყოლას და ერთი და იმავე იურიდიული მისამართის ქონაზე. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „ქ...ისა“ და შპს „...“-ის დირექტორს წარმოადგენს ი. უ-ა, ხოლო 100%-იანი წილის მესაკუთრეს – თ. უ-ა, რომელიც ასევე წარმოადგენს შპს „G...-ის“ 100%-იანი წილის მესაკუთრეს. გარდა ამისა, შპს „ქ...ისა“, შპს „...“-ისა და შპს „G...-ის“ იურიდიული მისამართია – თბილისი, საბურთალოს რაიონი, ... №1.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...“-ის საქმიანობას წარმოადგენს ინტერნეტსაიტზე www....com ტოტალიზატორისა და ნარდის სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშის, დარბაზის ტოტალიზატორისა და კაზინოს მოწყობა (ქ. ბათუმში), ხოლო შპს „G...-ის“ საქმიანობის საგანს – სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობების, სათამაშო აპარატების სალონისა და კაზინოს მოწყობა (...).

საქმეში არსებული მასალებით დასტურდება, რომ შპს „...“-ზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემული იყო ტოტალიზატორის მოწყობის შესახებ №19-05/1174 ნებართვა. ობიექტის მისამართი – ბათუმი, ... ქ. №14, პირველი სართული, ფართი №1. სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2012 წლის 27 დეკემბრის №250/01 ბრძანებით შპს „G...-ზე“ გაცემული იყო სამორინეს მოწყობის ნებართვა, მისამართი დაბა ყაზბეგი, ... ქ. 1, სართული 1, ფართი 1. სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2014 წლის 20 ოქტომბრის №672/01 ბრძანებით შპს „ფ...-ზე“ გაცემული იყო წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვა, მისამართი: თბილისი, ..., კორპ. 15, ბინა 16, საწარმოს მიმართ, ასევე, გაცემული იყო სამორინეს მოწყობის საწებართვო მოწმობა №19-04/26. ამასთან, სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2014 წლის 23 სექტემბრის №648/01 და 2014 წლის 26 სექტემბრის №656/01 ბრძანებებით გაუქმდა შპს „G...-ზე“ გაცემული სამორინეს მოწყობის №19-06/071 და №19-04/16 ნებართვები. ამავე დეპარტამენტის 2014 წლის 29 დეკემბრის №724/01, №725/01 №734/01 და 2015 წლის 19 თებერვლის №776/01 ბრძანებებით გაუქმდა შპს „ფ...-ზე“ გაცემული სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის №19-06/111 ნებართვა, სამორინეს მოწყობის №19-04/26 ნებართვა, ტოტალიზატორის მოწყობის №19-05/185 ნებართვა, წამახალისებელი გა-

თამაშების მოწყობის №19-03/124 ნებართვა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, ნებისმიერ პირს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით დააარსოს იურიდიული პირი და დამოუკიდებლად განსაზღვროს იურიდიული პირის საქმიანობის სფერო. მხოლოდ ის ფაქტი, რომ რამდენიმე საწარმოს ერთი და იგივე დირექტორი და წილის მესაკუთრე ჰყავს და ისინი ენერგიან მსგავს, თუმცადა არა იდენტურ საქმიანობას და მით უფრო, მათი საქმიანობის ადგილები განსხვავებულია, არ გულისხმობს ავტო-მატურად აღნიშნულ პირთა პრაქტიკულად გამიჯვნის შეუძლებ-ლობას.

კანონის ამგვარად გაგება გამოიწვევდა თავისუფალი მენარმე-ობის უფლებაში ჩარევას, რომელიც, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ უკრძალავს პირს, რომ დააარსოს რამდე-ნიმე იურიდიული პირი, იყოს რამდენიმე საწარმოს დირექტორი და თუკი აღნიშნული ინვენტ ინტერესთა კონფლიქტს, საწარმოს წარ-მოექმნება უფლება, რომ მიმართოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათ-ვალისწინებულ საკუთარი უფლებების დაცვის საშუალებებს, მაგ-რამ მოცემული ვერ გახდება იურიდიულ პირთა იდენტურობის და-მადასტურებელი გარემოება.

სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე სასარჩელო განცხადე-ბაში აპელირებს იმ ფაქტზეც, რომ შპს „ქ...ი“, შპს „ჯ...“ და შპს „...“ წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს საქართველოს სა-გადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის შესაბამისად. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, ურთიერთდამოკიდებულ პი-რებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოადგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. ამდენად, ურთიერთდამოკიდებულ პი-რებს შორის განსაკუთრებული ურთიერთობა გავლებას ახდენს მათ შორის განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის საგადასა-ხადო რეგულირებაზე, რაც არ ქმნის იმავდროულად მათი ცრუმა-გიერ პირებად აღიარების საფუძველს.

რაც შეეხება შპს „ქ...ის“, შპს „...“-ისა და შპს „G...-ის“ ერთსა და იმავე იურიდიული მისამართის ქონას, სასამართლო მიუთითებს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვე-პუნქტზე, რომელიც ადგენს, რომ საწარმოს რეგისტრაციის მოთ-ხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგი-ნოს საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათან-დო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი, რომელიც იმავდროულად არის პარტნიორთა შეთანხმების ნაწილი და რომელ-

შიც უნდა მიეთითოს საწარმოს იურიდიული მისამართი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).

სასამართლოს მითითებით, იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მითითებას არსებითი მნიშვნელობა აქვს იურიდიულ პირთან დაკავშირების, მისთვის კორესპონდენციის ჩაბარების უზრუნველსაყოფად, ასევე, დავის მიმდინარეობისას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იურიდიული პირის მისამართი განსაზღვრავს განსჯად ორგანოს. ამდენად, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ იურიდიულმა პირმა მიუთითოს მისი მისამართი, სადაც იგი ფუნქციონირებს და შესაძლებელი იქნება მასთან დაკავშირება. ამასთან, კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული, რომ აღნიშნული ადგილსამყოფელი საზოგადოებას აუცილებლად საკუთრების უფლებით უნდა ეკუთვნოდეს, ასევე, არ არსებობს ერთსა და იმავე მისამართზე რამდენიმე იურიდიული პირის დაარსების აკრძალვა. მოცემულ შემთხვევაში კი, თბილისში, ... №1-ში მდებარე ფართი იჯარით აქვს აღებული შპს „ქ...“, რომელსაც ფართის ნაწილი ქვეიჯარით აქვს გაცემული შპს „...“-სა და შპს „ჯ...“. სასამართლოს განმარტებით, გარდა იმისა, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს კანონდარღვევას, აღნიშნული არ ქმნის პრობლემას, რომ მხარემ შეძლოს შეუფერხებელი დაკავშირება რომელიმე საწარმოსთან და ერთ მისამართზე რამდენიმე იურიდიული პირის ფუნქციონირება არ გულისხმობს საწარმოთა ერთმანეთისაგან ყოველგვარი გამიჯვნის გარეშე მუშაობას.

რაც შეეხება მოსარჩევის მითითებას სასაქონლო ნიშნების გადაცემაზე, აღნიშნულთან მიმართებაში საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ შპს „ქ...“ აღნიშნულის სანაცვლოდ იღებდა ანაზღაურებას და მისი, როგორც სასაქონლო ნიშნის მესაკუთრის უფლებას წარმოადგენდა თავისიუფლად მოეხდინა სასაქონლო ნიშნის განკარგვა და სანაცვლოდ, როგორც მეწარმეს, მიეღო მოგება. მით უფრო, რომ შპს „ქ...“ წარმომადგენლის განმარტებით, საწარმო სწორედ მსგავსი საქმიანობიდან გამომდინარე იღებს მოგებას. შპს „ქ...“ ასევე უფლებამოსილი იყო, რომ შპს „ფ...-თან“ გაეფორმებინა ინვენტარის იჯარის ხელშეკრულებებიც, რადგან სანაცვლოდ იგი იღებდა საიჯარო ქირას, ამდენად, აღნიშნულიც წარმოადგენდა დამატებითი თანხების მიღების შესაძლებლობას.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...“-სა და „G...-ს“ სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშებისა და საიტის IT მომსახურებას უწევს შპს „ს...“. ამასთან, საქმეში წარმოდგენილია სის-

ხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მოწმედ დაკითხული შპს „...“ -ის ყოფილი ბუკმერიკერებისა და სხვა თანამშრომლების ჩევ-ნებები, სადაც ისინი მიუთითებენ, რომ 2014 წლის ოქტომბრიდან სამუშაოდ გადავიდნენ შპს „ფ...ში“ იმავე პირობებით, რაც ჰქონ-დათ შპს „...“ -ში და ფაქტობრივად, გადასვლა ატარებდა ფორმა-ლურ ხასიათს.

სასამართლომ განმარტა, რომ მეწარმის საქმიანობის მიზანს წარმოადგენს მოგების მიღება, რისთვის, აუცილებელია შესაბამისი პროფესიონალი კადრების ყოლა, რომლებიც უზრუნველყოფენ სანარმოს გამართულ ფუნქციონირებას, რეკლამირებას, მომხმარებლისათვის სათანადო პროდუქტის მიწოდებასა და სანარმოსათვის შესაბამისი მომსახურების განვევას. სასამართლომ მიუთითა, რომ მოპასუხეთა საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ის ფაქტი, რომ მათ ერთი კომპანია უწევთ მომსახურებას და ახლად შექმნილ სანარმოში მოხდა შესაბამისი გამოცდილებისა და განათლების მქონე პირების აყვანა, ცალსახად არ ქმნის იმ ფაქტის დადასტურებულად მიჩნევის შესაძლებლობას, რომ შეს „ფ...-ის“ დაარსება მხოლოდ გადასახადის გადახდევინებისაგან თავის არიდებას ისახავდა მიზნად.

ამასთან, სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით ცალსახადაა განსაზღვრული, რომ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტების ერთობლიობა არ ქმნის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლით გათვალისწინებული ცრუმაგიერი პირების დადგენის სამართლებრივ საფუძველს, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის დასაქმის მასალებით არ დასტურდება გარემოება, რომ გადასახადის გადამხდელ მოპასუხედ დასახელებულ პირებს გააჩნიათ ან გააჩნდათ იმგვარი შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებები, რომლის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით მათ მოახდინეს ურთიერთშორის ისეთი კავშირის შექმნა, რომ საგადასახადო ორგანო ვერ ახდენს გადასახადის გადამხდელი პირის იღენტიფიცირებას კონკრეტულ დასაბეგრ პერაციებზე.

ყოველივე ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება ის გარემოება, რომ გადასახადის გადამხდელ მოპასუხედ დასახელებულ პირებს გააჩნიათ, ან გააჩნდათ იმგვარი შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებები, რომლის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით

მათ მოახდინეს ურთიერთშორის ისეთი კავშირის შექმნა, რომ საგადასახადო ორგანო ვერ ახდენს გადასახადის გადამხდელი პირის იდენტიფიცირებას კონკრეტულ დასაბეგრ ოპერაციებზე. მოპასუხეთა ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად აღიარებისთვის სახეზე არ არის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დაადასტურებდა, რომ მოპასუხები მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების ერთობლიობით მოქმედებდნენ კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებების თავიდან აცილების მიზნით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სასამართლო ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ცრუმაგიერ პირებად ცნობის წორმატიული რეგულირების საბოლოო მიზანს წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიინების გადახდევინების მიზნით, ცრუმაგიერი პირის მიმართ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ორნიშნების განხორციელების შესაძლებლობა. ამდენად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის საფუძველზე ცრუმაგიერ პირებად ცნობის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა.

სასამართლოს მითითებით, საქმეში წარმოდგენილია სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 10 დეკემბრის №094-290 და №006-2945 ბრძანებები, რომლებითაც გაუქმდა შპს „...“-ისა და შპს „G...-ის“ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ 2014 წლის 7 ნოემბრის №094-247 და №006-2468 ბრძანებები. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2595 და №2596 განკარგულებების საფუძველზე შპს „G...-სა“ და შპს „...“-თან გაფორმდა №ა64-21 და №ა65-21 საგადასახადო შეთანხმებები, რომლის პირობებიც საწარმოთა მიერ შესრულებულია. სასამართლომ მიუთითა სადაც პერიოდში მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც ადგენს, რომ შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელს შორის შესაძლებელია გაფორმდეს საგადასახადო შეთანხმება გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების შემცირების მიზნით. ამავე კოდექსის 293-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების შესაბამისად, საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შემდეგ შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გადასახადის გადამხდელის მიმართ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ორნიშნებათა ნაწილობრივ ან სრულად გაუქმების/არგამოყენების შესახებ. საგადასახადო შეთანხმების პირობების შესრულების შემდეგ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანება მცირდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრა-

ციულ-სამართლებრივი აქტით.

სასამართლოს მითითებით, საქმეში ასევე წარმოდგენილია სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2016 წლის 19 ივლისის №91400-21-05 მიმართვა, რომლის მიხედვითაც, 2016 წლის 19 ივლისის მდგომარეობით, შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემებით, შპს „ქ...“ პირადი აღრიცხვის ბარათზე ერიცხება 400 048,94 ლარი ზედმეტობა, ხოლო დამატებით დარიცხული თანხა, რომელიც არ არის აღიარებული, 710 874 ლარის ოდენობით, შპს „-ს ერიცხება საგადასახადო დავალიანება 98 291,11 ლარი, შპს „G...-ს“ საგადასახადო დავალიანება არ ერიცხება. შპს „ფ...-ს“ ერიცხება საგადასახადო დავალიანება 5 204 389,07 ლარის ოდენობით. 2015 წლის 2 ივლისს გადასახადის გადამხდელის მთელ ქონებაზე გავრცელებულ იქნა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება, ხოლო 2015 წლის 13 ივლისს გამოცემულ იქნა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ №005-1966 ბრძანება.

სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ შედარების აქტებზე, რომლებითაც დასტურდება, რომ 2017 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, შპს „ქ...-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ერიცხება ძირითადი გადასახადი 62 140 ლარი, საურავი – 799 159,64 ლარი, შპს „-ს ჯარიმა – 10 283,26 ლარი, საურავი – 69 307,87 ლარი, ზედმეტობა – 439 443,78 ლარი, შპს „G...-ს“ – ზედმეტობა 438 041,6 ლარი და 240 000 ლარი, რომელიც არ არის აღიარებული, ხოლო შპს „ფ...-ს“ – გადასახადის ძირითადი თანხა 3 781 858,33 ლარი, ჯარიმა – 53 500 ლარი, საურავი – 1 739 892,63 ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მოპასუხეთა დღეის მდგომარეობით არსებული აღიარებული საგადასახადო დავალიანების ოდენობებზე, რამეთუ სადაც ნორმა სწორედ აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფას ემსახურება, ასევე სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია, რომ შპს „-სა და შპს „G...-თან“ გაფორმდა საგადასახადო შეთანხმებები, გაუქმდა მათ მიმართ გამოყენებული ყადაღის დადების შესახებ ბრძანებები, ამდენად, ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოხატა თავისი ნება აღნიშნულ დავალიანებებთან მიმართებით და ორ სანარმოსთან მიმართებით გამოიყენა კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო ტეიროთის შემცირების შესაძლებლობა. აღნიშნული გარემოებები კი ცალსახად მიუთითებს, რომ არ არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენების საფუძველი, საჭიროება და აუცილებლობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-თა კოლეგიის 2017 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება სააპე-ლაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა, რომელ-მაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწ-ყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2017 წლის 9 ნოემბრის განჩინებით სსიპ შემოსავ-ლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უც-ვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტი-ლება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესა-ბამისად, გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დას-კვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამარ-თლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, გასაჩივრებული გადაწყვე-ტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას მიუთითა მათ-ზე და აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გადაწყვიტა დავა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2017 წლის 9 ნოემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც გასაჩივ-რებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარ-ჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი საკასაციო საჩივარს აფუძნებდა ძირითადად იმავე გარემონტებზე, რაზეც მიუთითებდა სარჩელსა და სააპელაციო სა-ჩივარში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2018 წლის 16 თებერვლის განჩინებით საქართვე-ლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოება-ში იქნა მიღებული სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო სა-ჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2018 წლის 3 მაისის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მი-სი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შეს-წავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული და-

საბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემონმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ნოემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2006 წლის 7 ნოემბერს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დარეგისტრირდა „ქ...ი“, რომლის დირექტორია ი. უ-ა, ხოლო 100%-იანი წილის მესაკუთრე – თ. უ-ა. სანარმოს იურიდიულ მისამართად მიეთითა: თბილისი, საბურთალოს რაიონი, ... №1 (სასტუმრო ...).

2008 წლის პირველ დეკემბერს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დარეგისტრირდა „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „...“, რომლის დირექტორია ი. უ-ა, ხოლო 100%-იანი წილის მესაკუთრე – თ. უ-ა. სანარმოს იურიდიულ მისამართად მიეთითა: თბილისი, საბურთალოს რაიონი, ... №1.

2012 წლის 25 დეკემბერს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დარეგისტრირდა „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „G...“, რომლის დირექტორია ზ. ნ-ი, ხოლო 100%-იანი წილის მესაკუთრე – თ. უ-ა. სანარმოს იურიდიულ მისამართად მიეთითა: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ... №1.

2014 წლის 18 სექტემბერს მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში დარეგისტრირდა „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფ...“. რეესტრიდან 2014 წლის 18 სექტემბრის ამონაწერის მიხედვით, სანარმოს დირექტორი და 100%-იანი წილის მესაკუთრეა გ. მ-ე.

2014 წლის 10 ოქტომბერს გ. მ-ესა და ა. წ-ს შორის დაიდო ხელშეკრულება შპს „ფ...-ის“ წილის დათმობის (ნასყიდობის) შესახებ. მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან 2014 წლის 10 ოქტომბრის ამონაწერის მიხედვით, შპს „ფ...-ის“ დირექტორია ზ. ბ-ი, ხოლო 100%-იანი წილის მესაკუთრე – ა. წ-ი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსისადმი სსიპ შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის 2014 წლის 27 ივნისის №21-14/45343 მიმართვის შესაბამისად, აუდიტის დეპარტამენტის 2013 წლის 12 სექტემბრის №44463 პრძანების საფუძველზე მიმდინარეობს შპს „...-ის საქმი-

ანობის გასვლითი საგადასახადო შემოწმება, ხოლო 2014 წლის 15 აპრილის №21158 ბრძანების საფუძველზე – შპს „G....-ის“ საქმიანობის გასვლითი საგადასახადო შემოწმება. მიმართვის თანახმად, შემოწმებისას გაირკვა, რომ მითითებული სანარმოების საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სათამაშო ბიზნესი, კერძოდ, შპს „...-ის საქმიანობას წარმოადგენს ინტერნეტ საიტზე www....com ტოტალიზატორისა და ნარდის სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშის, დარბაზის ტოტალიზატორისა და კაზინოს მოწყობა (ქ. ბათუმში), ხოლო შპს „G....-ის“ საქმიანობის საგანს წარმოადგენს სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობების, სათამაშო აპარატების სალონისა და კაზინოს მოწყობა (...). აღნიშნულ სანარმოებს სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშებისა და საიტის IT მომსახურებას უწევს შპს „...“, რომლის მომსახურებიდან შემოსავლები ძირითადად ფორმირდება შპს „...-ისა და შპს „G....-ის“ მიერ სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშებიდან მიღებული მოგების გარკვეული პროცენტული ოდენობით.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს გამომძიებლის გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათის მიხედვით, 2014 წლის 27 ივნისს დაიწყო გამოძიება შპს „...-ის, შპს „G....-ისა“ და შპს „...-ის ხელმძღვანელ პირთა მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისათვის თავის არიდების ფაქტზე.

2014 წლის 23 სექტემბერს შპს „ქ...სა“ (მეიჯარე) და შპს „ფ....-ს“ (მოიჯარე) შორის დადებულია გარკვეული სახის ინვენტარის (რულეტი, მაგიდა, ფიშკები, რულეტკის ფერი, ბურთულა, დოლი, სეიფი, სათამაშო აპარატის, პოკერის და ინსპექტორის სკამები, კონდიციონერი, პრინტერი, ტელეფონი, მაცივარი, კარტები, სარკე, ფულის სათვლელი, ნოუთბუქები, პერსონალური კომპიუტერის სრული კომპლექტი) საიჯარო ხელშეკრულება. ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 18 290 ლარის ოდენობით დღგ-ს ჩათვლით. იმავე დღეს მხარეთა შორის გაფორმებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტი.

2014 წლის 23 სექტემბრის საიჯარო ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა მხარეთა 2014 წლის 27 დეკემბრის შეთანხმების საფუძველზე.

2014 წლის 30 სექტემბერს შპს „ქ...სა“ (მეიჯარე) და შპს „ფ....-ს“ (მოიჯარე) შორის დადებულია გარკვეული სახის ინვენტარის (პრინტერი, მონიტორი, პროცესორი, მაუსი, კლავიატურა, ყურსასმენი, დინამიკი, სკამები, დაფა, ტანსაცმლის საკიდი, მაგიდა, საათი, ტელევიზორი, მიკროტალღური ღუმელი) საიჯარო ხელშეკრულება.

ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 5 000 ლარის ოდენობით დღგ-ს ჩათვლით. 2014 წლის პირველ ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტი.

2014 წლის 30 სექტემბრის საიჯარო ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა მხარეთა 2014 წლის 27 დეკემბრის შეთანხმების საფუძველზე.

2014 წლის 15 ოქტომბერს შპს „ქ...სა“ (გამცემი) და შპს „ფ...-ს“ (მიმღები) შორის დადებულია ხელშეკრულება სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლების გადაცემაზე. კერძოდ, მიმღებს მიენიჭა უფლება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში კომერციული სახელის (სასაქონლო ნიშნის) სახით გამოყენებინა გამსხვისებლის კუთვნილი სასაქონლო ნიშანი – სიტყვათნყობითcom,ge,com. ეს უფლება მიმღებს გადაეცა შეუზღუდავად მის მიერ მოწყობილი ტოტალიზატორისა და სისტემურ ელექტრონული ფორმით მოწყობილი თამაშობებისათვის. მიმღებს მიენიჭა უფლება მოსილება, თავისი შეხედულებისამცემ სასაქონლო ნიშნები გამოყენებინა თავისი საქმიანობის რეკლამირების მიზნით. ხელშეკრულების მე-3 მუხლით განისაზღვრა ხელშეკრულების ღირებულების გამოანგარიშების წესი და გადახდის ვადა.

2014 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა მხარეთა 2014 წლის 27 დეკემბრის შეთანხმების საფუძველზე.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის 2014 წლის 25 ნოემბრის №2177/03 ნერილის მიხედვით, დასახელება „ა...“ იდენტური ნიშანი საქპატენტში რეგისტრირებული, კერძოდ,ge,com, სამივე ნიშნის მფლობელია შპს „ქ...ი“.

შპს „...“ ზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემულია ტოტალიზატორის მოწყობის შესახებ №19-05/1174 ნებართვა. ობიექტის მისამართია ბათუმი, ...ქ. №14, პირველი სართული, ფართი №1. ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2011 წლის 22 პერილის ჩათვლით.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2012 წლის 27 დეკემბრის №250/01 ბრძანებით შპს „G...-ზე“ გაცემულია სამორინეს მოწყობის ნებართვა, მისამართი: დაბა ყაზბეგი, ...ქ. 1, სართული 1, ფართი 1. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე გაცემულია სამორინეს მოწყობის სანებართვი მოწმობა №19-04/16, რომლის მოქმედება განისაზღვრა 2017 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2014 წლის 20 ოქტომბრის №672/01 ბრძანებით შპს „ფ...-ზე“

გაცემულია წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვა, მისამართი: თბილისი, ..., კორპ. 15, ბინა 16.

აღნიშნული ბრძანების საფუძველზე გაცემულია წამახალისებელი გათამაშების მოწყობის სანებართვო მოწმობა №19-03/124, რომლის მოქმედება განისაზღვრა 2015 წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ შპს „ფ...-ზე“ გაცემულია სამორინეს მოწყობის სანებართვო მოწმობა №19-04/26, რომლის მოქმედება განისაზღვრა 2019 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2014 წლის 23 სექტემბრის №648/01 ბრძანებით 2014 წლის 23 სექტემბრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 27 დეკემბრის №251/01 ბრძანება და გაუქმდა შპს „G...-ზე“ გაცემული სამორინეს მოწყობის №19-06/071 ნებართვა.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2014 წლის 26 სექტემბრის №656/01 ბრძანებით 2014 წლის 26 სექტემბრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2012 წლის 27 დეკემბრის №250/01 ბრძანება და გაუქმდა შპს „G...-ზე“ გაცემული სამორინეს მოწყობის №19-04/16 ნებართვა.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2014 წლის 29 დეკემბრის №724/01 ბრძანებით 2014 წლის 29 დეკემბრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 23 სექტემბრის №651/01 ბრძანება და გაუქმდა შპს „ფ...-ზე“ გაცემული სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის №19-06/111 ნებართვა.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2014 წლის 29 დეკემბრის №725/01 ბრძანებით 2014 წლის 29 დეკემბრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 26 სექტემბრის №657/01 ბრძანება და გაუქმდა შპს „ფ...-ზე“ გაცემული სამორინეს მოწყობის №19-04/26 ნებართვა.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2014 წლის 29 დეკემბრის №734/01 ბრძანებით 2014 წლის 29 დეკემბრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 24 სექტემბრის №652/01 ბრძანება და გაუქმდა შპს „ფ...-ზე“ გაცემული ტოტალიზატორის მოწყობის №19-05/185 ნებართვა.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2015 წლის 19 თებერვლის №776/01 ბრძანებით 2015 წლის 19

თებერვლიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 20 ოქტომბრის №672/01 ბრძანება და გაუქმდა შპს „ფ...-ზე“ გაცემული ნამახალისებელი გათამაშების მოწყობის №19-03/124 ნებართვა.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2014 წლის 7 ნოემბრის №118860-21-11 სამსახურებრივი ბარათის მიხედვით, შპს „ფ...-ზე“ 2014 წლის 24 სექტემბერს მომსახურების დეპარტამენტს მიმართა განცხადებით სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის №19-06/111 და ტოტალიზატორის მოწყობის №19-06/185 ნებართვებში ცვლილების შეტანის შესახებ, კერძოდ, თამაშობების სისტემურ-ელექტრონული ფორმითაც მოწყობის შესახებ ვებგვერდზე – www.....com; www.....ge. გადამხდელს განცხადებებზე დაუდგინდა ხარვეზი, რადგან აღნიშნული ვებგვერდებით სარგებლობდნენ სხვა გადასახადის გადამხდელები, შესაბამისად, შპს „G...“ და შპს „....“. 2014 წლის 25 სექტემბერს გადამხდელებმა წარადგინეს განცხადებები შპს „G...-ის“ სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის №19-06/072 და შპს „...“-ის ტოტალიზატორის მოწყობის №19-05/009 ნებართვებში ცვლილებების შეტანის შესახებ, აზარტული თამაშობების სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის გაუქმების მოთხოვნით ვებგვერდზე – www.....com; www.....ge, რაზედაც განმცხადებლებს გაეგზავნათ დადებითი პასუხი. ხარვეზის გამოსწორების თანახმად, 2014 წლის 25 სექტემბერს შპს „ფ...-ის“ მიერ დარეგისტრირებულ ორივე განცხადებას მიენიჭა დადებითი პასუხი №19-06/111 და №19-06/185 ნებართვების საფუძველზე მოწყობილი თამაშობების სისტემურ-ელექტრონული ფორმითაც მოწყობის შესახებ.

სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2014 წლის 10 ნოემბრის №119778-21-05 მიმართვის მიხედვით, სსიპ შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემებით, 2014 წლის 10 ნოემბრის მდგომარეობით, შპს „...“-ს ერიცხება სალდირებული საგადასახადო დავალიანება 114 743 167,06 ლარი და შპს „G...-ს“ – 26 925 179,79 ლარი. 2014 წლის 7 ნოემბერს, შპს „...“-ისა და შპს „G...-ის“ მიმართ, შემოსავლების სამსახურის მიერ, საგადასახადო დავის პერიოდში, საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის მიზნით გამოცემულ იქნა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, შესაბამისად, №094-247 და №006-2468 ბრძანებები. შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2014 წლის 7 ნოემბრის №118860-21-11 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, შპს „...“-ისა და შპს „G...-ის“ მიმართ, მათივე მოთხოვნის საფუძველზე, გაუქმებულ იქნა აზარტული თამაშობების სისტემურ-ელექტრონული

ფორმით მოწყობის უფლება, ხოლო შპს „ფ...-ს“ მიეცა უფლება №19-06/11 და №19-05/185 ნებართვების საფუძველზე მოწყობილი თა-მაშობების სისტემურ ელექტრონული ფორმითაც მოწყობის შესა-ხებ (www.....com; www.....ge).

მიმართვაში აღინიშნა, რომ შპს „ქ...“, შპს „...-ისა და შპს „G...-ის“ დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია თ. უ-ა. როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის 2014 წლის 8 ნოემბრის №8063/15-04-01 ნერილით გადმოგზავნილი სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, შპს „ქ...-ის“ ქვე-მოიჯარები არიან შპს „...“ და შპს „G...“. მითითებული გადასახადის გადამხდელების იურიდიული მისამართი არის ქ. თბილისი, ... №1, ი. უ-ა არის შპს „ქ...-ისა“ და შპს „...“-ის დირექტორი.

მიმართვის თანახმად, შესაძლებელია, რომ აღნიშნული გადა-სახადის გადამხდელების მიერ აზარტული თამაშობების სისტე-მურ-ელექტრონული ფორმით მოწყობს უფლების ცვლილება მიზ-ნად ისახავდეს გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებას, რის გამოც სსიპ შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის უფროსს ეთხოვა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის შესაბამისად, მიემართა სასამართლოსათვის შპს „ქ...-ის“, შპს „...“-ის, შპს „G...-ისა“ და შპს „ფ...-ის“ ერთმანეთის ცრუმანების პირებად ცნობის თაობაზე მოთხოვნით.

შპს „G...-ს“, 2014 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით, სახელ-მწიფო ბიუჯეტის წინაშე ერიცხება ძირითადი გადასახადი 24 580 037,40 ლარი, საურავი – 2 444 936,07 ლარი და ზედმეტობა – 2 429,76 ლარი.

შპს „...-ს“, 2014 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით, სახელმწი-ფო ბიუჯეტის წინაშე ერიცხება ძირითადი გადასახადი 77 486 125,80 ლარი, საურავი – 37 988 085,25 ლარი და ზედმეტობა – 439 444,02 ლარი.

სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 10 დეკემბრის №094-290 და №006-2945 ბრძანებებით, საქართველოს საგადასახადო კო-დექსის 238-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე, გაუქმდა შპს „...“-ისა და შპს „G...-ის“ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ 2014 წლის 7 ნოემბრის №094-247 და №006-2468 ბრძანებები.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2595 გან-კარგულებით მიღებულ იქნა ცნობად, რომ შპს „G...-მა“ საგადასა-ხადო შეთანხმების გაფორმების მიზნით განცხადებით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურს, რომ 2014 წლის 9 დეკემბრის მდგო-მარეობით, გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე ერიც-ხება სალდირებული საგადასახადო დავალიანება, სულ 27 180 456,84 ლარის ოდენობით.

განკარგულებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 293-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შპს „G....-ის“ მიერ წარდგენილი წინადადებების გათვალისწინებით, სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალა შპს „G....-თან“ საგადასახადო შეთანხმების აქტის გაფორმება შემდეგი პირობებით: ა) გადასახდელი საგადასახადო დავალიანების ოდენობა – 3 400 000 ლარი; ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო ვალდებულების გადახდის ვადა: ბ.ა) 2 400 000 ლარი – 2015 წლის 1 მარტამდე; ბ.ბ) 1 000 000 ლარი – 2015 წლის 1 სექტემბრამდე გ) საგადასახადო შეთანხმების აქტით გათვალისწინებული შესრულების შემდეგ შპს „G.... - ს“ 2014 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე საგადასახადო დავალიანების თანხა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, უნდა განესაზღვროს 3 400 000 ლარით. საგადასახადო შეთანხმების გაფორმების ვადად განისაზღვრა ამ განკარგულების გამოცემიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

2015 წლის 22 იანვარს, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2595 განკარგულების საფუძველზე და გათვალისწინებული პირობებით, შპს „G....-თან“ დადებულია საგადასახადო შეთანხმება №ა64-21.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2596 განკარგულებით მიღებულ იქნა ცნობად, რომ შპს „...“-მა საგადასახადო შეთანხმების გაფორმების მიზნით განცხადებით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურს, რომ 2014 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით, გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე ერიცხება სალდირებული საგადასახადო დავალიანება, სულ 116 069 107.34 ლარის ოდენობით.

განკარგულებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 293-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შპს „...“-ის მიერ წარდგენილი წინადადებების გათვალისწინებით, სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალა შპს „...“-თან საგადასახადო შეთანხმების აქტის გაფორმება შემდეგი პირობებით: ა) გადასახდელი საგადასახადო დავალიანების ოდენობა – 15 000 000 ლარი; ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო ვალდებულების გადახდის ვადა: ბ.ა) 4 000 000 ლარი – 2015 წლის 1 სექტემბრამდე; ბ.ბ) 5 000 000 ლარი – 2016 წლის 1 იანვრამდე; ბ.გ) 6 000 000 ლარი – 2016 წლის 1 ივლისამდე; გ) საგადასახადო შეთანხმების აქტით გათვალისწინებული შესრულების შემდეგ შპს „...“-ს 2014 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე საგადასახადო დავალიანების თანხა, საქართველოს საგადასა-

ხადო კოდექსის 292-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, უნდა განესაზღვროს 15 000 000 ლარით. საგადასახადო შეთანხმების გაფორმების ვადად განისაზღვრა ამ განკარგულების გამოცემიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

2015 წლის 22 იანვარს, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2596 განკარგულების საფუძველზე და გათვალისწინებული პირობებით, შპს „...“-თან დადებულია საგადასახადო შეთანხმება №ა65-21.

2015 წლის 26 თებერვალს შპს „G...-ის“ მიერ გადახდილია 2 400 000 ლარი. გადახდის დანიშნულებაში მითითებულია – „საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული თანხა საქართველოს მთავრობის 30.12.2014წ. №2595 განკარგულება“.

2015 წლის 31 აგვისტოს შპს „G...-ის“ მიერ გადახდილია 1 000 000 ლარი. გადახდის დანიშნულებაში მითითებულია – „შეთანხმებით გათვალისწინებული თანხა.“

2015 წლის 31 აგვისტოს შპს „...“-ის მიერ გადახდილია 4 000 000 ლარი. გადახდის დანიშნულებაში მითითებულია – „შეთანხმებით გათვალისწინებული თანხა.“

2016 წლის 30 ივნისს შპს „...“-ის მიერ გადახდილია 6 000 000 ლარი. გადახდის დანიშნულებაში მითითებულია – „საგადასახადო შეთანხმებით გათვალისწინებული თანხა“.

სსიპ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 5 ივლისის №19093 ბრძანებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 293-ე მუხლის მე-5 ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2596 განკარგულებისა და შპს „...“-სა და სსიპ შემოსავლების სამსახურს შორის გაფორმებული 2015 წლის 22 იანვრის №ა 65-21 საგადასახადო შეთანხმების საფუძველზე, შპს „...“-ს 2014 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით გადამხდელთა პირადი აღრიცხვის ბარათებზე საგადასახადო დავალიანების თანხა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, განესაზღვრა მოგების გადასახადის სანქციის ნაწილში 15 000 000 ლარით. №19093 ბრძანებით სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრირების დეპარტამენტს დაევალა შესაბამისი კორექტირების (შემცირების) განხორციელება შპს „...“-ის პირადი აღრიცხვის ბარათებზე და მის მიმართ კორექტირებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველსყოფად დაწყებული ღონისძიებების გაუქმება.

სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2016 წლის 19 ივლისის №91400-21-05 მიმართვის მიხედვით, 2016 წლის 19 ივლისის მდგომარეობით, შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის მონა-

ცემებით, შპს „ქ...ს“ პირადი აღრიცხვის ბარათზე ერიცხება 400 048,94 ლარი ზედმეტობა, ხოლო დამატებით დარიცხული თანხა, რომელიც არ არის აღიარებული, 710 874 ლარის ოდენობით, შპს „...-ს ერიცხება საგადასახადო დავალიანება 98 291,11 ლარი, შპს „G...-ს“ საგადასახადო დავალიანება არ ერიცხება.

ასევე, მიმართვაში აღინიშნა, რომ შპს „ფ...-ს“ ერიცხება საგადასახადო დავალიანება 5 204 389,07 ლარის ოდენობით. 2015 წლის 2 ივლის გადასახადის გადამხდელის მთელ ქონებაზე გავრცელდა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება, ხოლო 2015 წლის 13 ივლის გამოცემულ იქნა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ №005-1966 ბრძანება. შპს „ფ...-ის“ მიმართ საგადასახადო შეთანხმება გაფორმებული არ არის. შპს „ქ...ს“, 2017 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ერიცხება აღიარებული საგადასახადო დავალიანება: ძირითადი გადასახადი 62 140 ლარი, საურავი – 799 159,64 ლარი.

შპს „...-ს, 2017 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ერიცხება აღიარებული საგადასახადო დავალიანება: ჯარიმა – 10 283,26 ლარი, საურავი – 69 307,87 ლარი, ზედმეტობა – 439 443,78 ლარი.

შპს „G...-ს“, 2017 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ერიცხება ზედმეტობა 438 041,6 ლარი. სანარმოს დამატებით ერიცხება 240 000 ლარი, რომელიც არ არის აღიარებული.

შპს „ფ...-ს“, 2017 წლის 30 იანვრის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ერიცხება აღიარებული საგადასახადო დავალიანება: გადასახადის ძირითადი თანხა 3 781 858,33 ლარი, ჯარიმა – 53 500 ლარი, საურავი – 1 739 892,63 ლარი.

განსახილეველ შემთხვევაში დავის საგანს შპს „...-ის, შპს „ფ...-ის“, შპს „ქ...ისა“ და შპს „G...-ის“ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად აღიარება წარმოადგენს, რასაც მოსარჩელე ითხოვს იმ საფუძვლით, რომ მითითებული პირები წარმოადგენენ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებს, ვინაიდან მათ განახორციელეს კონკრეტული ოპერაციები, რაც მიმართული იყო იმ მიზნისკენ, რომ თავი აერიდებინათ კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლზე, რომელიც შეიცავს ცრუმაგიერი მფლობელობის დეფინიციას. მითითებული ნორმის მიხედვით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან და ეს პირი გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზ-

რუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით, ითვლება, რომ აღნიშნული პირები არიან ერთიმეორის ცრუმაგიერი პირები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს ცრუმაგიერი პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები. აღნიშნული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, იმ გარემოების დადასტურების მიზნით, რომ გადასახადის გადამხდელი წარმოადგენს სხვა პირის ცრუმაგიერ პირს, საგადახდებულოა დადასტურდეს, რომ გადასახადის გადამხდელის გამიჯვნა ამ სხვა პირისაგან რიგი ფაქტობრივი გარემოებების გამო პრაქტიკულად შეუძლებელია და კონკრეტული ერთი პირი ამ სხვა პირის მხრიდან გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით. აღნიშნული სამართლებრივი ინსტრუმენტის მიზანია დაიცვას საგადასახადო ორგანოს, როგორც კრედიტორის უფლებები.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ამავე კოდექსის მე-19 მუხლით რეგლამენტირებულია ასევე ურთიერთდამოკიდებული პირების დეფინიცია, კერძოდ, ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთბათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობები, რომელთა დროსაც პირები არიან ნათესავები; ხოლო მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიზნებისათვის ფიზიკური პირის ნათესავებად ითვლებიან: ა) ნათესავების პირველი შტო: მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა; ბ) ნათესავების მეორე შტო: პირველი შტოს თითოეული ნათესავის მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა, გარდა იმ ფიზიკური პირისა, რომელიც უკვე მიეკუთვნა პირველ შტოს; გ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, როგორც მშობლები და შვილები.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ქვემდგომი სასამართლოს მსჯელობას იმ ნაწილში, რომლითაც იგი გამორიცხავს შპს „...-ის, შპს „ფ...-ის“, შპს „ქ...ისა“ და შპს „ჩ...-ის“ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად აღიარებას და აქვე განმარტავს, რომ ცრუმაგიერი პირის დეფინიცია უნდა აკმაყოფილებდეს ორ კრიტერიუმს: ა) რეალური და ცრუმაგიერი პირი ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს; ბ) ცრუმაგიერი პირი უნდა იყოს გამოყენებული გადასა-

ხადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის თავის არიდების მიზნით (იგულისხმება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ღონისძიებები: საგადასახადო გირავნობა ან პო-თეკა, მესამე პირზე გადახდევინების მიქცევა, ქონებაზე ყადაღის დადება, ყადაღადადადებული ქონების რეალიზაცია, საპანკო ანგა-რიშზე საინკასო დავალების წარდგენა, გადასახადის გადამხდე-ლის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება). ცრუმაგიერ პირს წარ-მოშობს რეალური პირის ქმედება – თავი აარიდოს გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებას და შესაბამისი ქონება მანამდე გადასცეს ცრუმაგიერ პირს, ვიდრე მის მიმართ განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმეში არსებული მა-სალები ნათლად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ დასახელებული პი-რების ერთმანეთისგან განსხვავება მოცემული ბიზნესაქტივობი-დან გამომდინარე, შეუძლებელია. შესაბამისად, დასაბუთებულია საკასაციო საჩივრის მოსაზრება მითითებული პირების ერთმანე-თისაგან განსხვავების შეუძლებლობისა და მათი ერთ მენარმე სუ-ბიექტად განხილვის თაობაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო სადავო საკითხთან დაკავში-რებით დამატებით განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სა-ხეზე გვაქვს საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექ-სის 25-ე მუხლით განსაზღვრული აღიარებითი სარჩელი. საკასა-ციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაცი-ული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩე-ლის კანონიერი ინტერესის არსებობისას სასამართლო უფლება-მოსილია აღიაროს (დაადასტუროს) კონკრეტული სამართლებრი-ვი ურთიერთობის არსებობა-არარსებობა, მხოლოდ იმ შემთხვევა-ში, თუ მოსარჩელე მხარე წარადგენს აღნიშნული გარემოების და-მადასტურებელ უდავო მტკიცებულებებს. ამდენად, აღიარებითი სარჩელის სპეციფიკურობა გამომდინარეობს იქიდან, რომ სასა-მართლო უდავოდ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების საფუძველზე მხოლოდ აღიარებს (ადასტუ-რებს) კონკრეტული სამართლურთიერთობის არსებობა-არარსე-ბობის ფაქტს. მოცემული სახის სარჩელებთან მიმართებაში პრო-ცესუალური კანონმდებლობით დაწესებულია დასაშვებობის წინა პირობები (ასკ-ის 25.2), კერძოდ, სარჩელის დასაშვებობის შემოწ-მებისას უნდა გაირკვეს სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ მოსარჩელის კანონიერი ინტერესი, კანონიერი ინტერესი გამოხა-ტული უნდა იყოს პირის მატერიალურ-სამართლებრივ სიკრცეში. პროცესის აღდვრის საფუძველს წარმოადგენს არა წებისმიერი, არამედ იურიდიული დაინტერესება, ინტერესი უნდა იყოს კონკრე-

ტული, ლეგიტიმური და პატივსადები. იურიდიული ინტერესის არსებობისათვის არ კმარა მის შესახებ მოსარჩელის განცხადება. ინტერესის არსებობა ობიექტურ მონაცემებზე უნდა იყოს დამყარებული, სარჩელში დასმული საკითხისადმი მოსარჩელის უშუალო უფლებადამცავი ინტერესი უნდა გააჩნდეს. ინტერესის საკითხს წყვეტის სასამართლო. სასამართლო ვერ დაეყრდნობა მხოლოდ მოსარჩელის მოსაზრებას. მოსარჩელის ინტერესი აღიარებით სარჩელში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. აღიარებით გადაწყვეტილების მიმართ იურიდიული ინტერესი მდგომარეობს განსაზღვრული სამართლებრივი მდგომარეობის დადგენაში. აღიარებით სარჩელში იურიდიული ინტერესი მიმართულია გარკვეული სამართალურთიერთობის არსებობის ან არარსებობის დადასტურებაზე – რა უფლების დასაცავად მიმართა მან სასამართლოს და რა არის მისი საბოლოო ინტერესი.

კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, სარჩელის აღდვრის შემდგომ, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №2595 და №2596 განკარგულებების საფუძველზე შპს „G...-სა“ და შპს „...“-თან გაფორმდა №ა64-21 და №ა65-21 საგადასახადო შეთანხმებები, რომლის პირობებიც საწარმოთა მიერ შესრულებულია. სადაც პერიოდში მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 292-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელს შემორის შესაძლებელია გაფორმდეს საგადასახადო შეთანხმება გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანების შემცირების მიზნით. ამავე კოდექსის 293-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების შესაბამისად, საგადასახადო შეთანხმების გაფორმების შემდეგ შემოსავლების სამსახურის უფროსი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გადასახადის გადამხდელის მიმართ საგადასახადო დავალიანების გადახდების უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაწილობრივ ან სრულად გაუქმდის/არგამოყენების შესახებ. საგადასახადო შეთანხმების პირობების შესრულების შემდეგ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანება მცირდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

საქმეში ასევე ნარმოდგენილია სსიპ შემოსავლების სამსახურის 2014 წლის 10 დეკემბრის №094-290 და №006-2945 ბრძანებები, რომლებითაც გაუქმდა შპს „...“-ისა და შპს „G...-ის“ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ 2014 წლის 7 ნოემბრის №094-247 და №006-2468 ბრძანებები.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან სახეზეა ზემოაღნიშნული საგადასა-

ხადო შეთანხმებები, კასატორმა საკასაციო საჩივარში ვერ დაასაბუთა თუ რა იურიდიული ინტერესი გააჩნდა მას აღძრულ სარჩელთან მიმართებაში, რა განსხვავებული შედეგი დადგებოდა სარჩელის დაკმაყოფილებისა და პირების ცრუმაგიერად ცნობის შემთხვევაში, მაშინ როდესაც სსიპ შემოსავლების სამსახური ვერ ასაბუთებს თუ რა შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულებები გააჩნიათ შპს „...-ს, შპს „ფ...-ს“, შპს „ქ...-ს“ და შპს „G...-ს“, რომლის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით მათ მოახდინეს ურთიერთშორის ისეთი კავშირის შექმნა, რომ საგადასახადო ორგანო ვერ ახდენს გადასახადის გადამზდელი პირის იდენტიფიცირებას კონკრეტულ დასაბეგრ ოპერაციებზე.

საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ მხოლოდ ზემოაღნიშნული საგადასახადო შეთანხმებიდან გამომდინარე, ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად აღიარებისთვის სახეზე არ არის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დაადასტურებდა, რომ მოპასუხები მათ მიერ განხორციელებული ოპერაციების ერთობლიობით მოქმედებდნენ კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებების თავიდან აცილების მიზნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ნოემბრის განჩინება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 9 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ცრუმაგიერი პირის მიმართ საგადასახადო
დავალიანების გადახდების უზრუნველყოფის
ღონისძიებების განხორციელება**

**გადაცემების
საქართველოს სახელით**

№ბს-351-351(კ-18)

16 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ცრუმაგიერ პირებად ალიარება

აღწერილობითი ნაწილი:

სსიპ შემოსავლების სამსახურმა 2017 წლის 12 ივნისს სარჩე-
ლით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხების – ი/მ
დ. ს-ისა და ა. ს-ის მიმართ და მოითხოვა მათი ცრუმაგიერ პირებად
ცნობა.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ი/მ დ. ს-ს (ს/ნ ...) გააჩნია ალია-
რებული საგადასახადო დავალიანება; იგი სამენარმეო საქმიანო-
ბას ახორციელებს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ... იმ სავაჭრო
ობიექტში, რომლის მესაკუთრეც მისი მამა ა. ს-ია (პ/ნ ...); ეს უკა-
ნასწერელი ფაქტობრივად ახორციელებს და ჩართულია შვილის სა-
მენარმეო საქმიანობაში (განხორციელდა საკონტროლო შესყიდ-
ვა, რაზეც ხელს აწერს ა.), რაც არას ოჯახური ბიზნესი; ა. ს-ს რაიმე
სახის შემოსავალი არ უფიქრდება, თუმცა 2016 წელს შეისყიდა
უძრავი ქონება, რაც მიუთითებს ი/მ დ. ს-ის მიერ საგადასახადო
ვალდებულებების შესრულებისათვის თავის არიდებაზე, რაც გა-
მოიხატა მიღებული შემოსავლით ნაყიდი ქონების სხვის სახელზე
გაფორმების სახით.

გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 14 სექტემბრის გა-
დაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა
სსიპ შემოსავლების სამსახურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა პალატის 2018 წლის 18 იანვრის განჩინებით სსიპ შემოსავ-
ლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უც-
ვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 14 სექ-

ტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემობების სამართლებრივი კვალიფიკაცია არ ქმნიდა საფუძველს იმისათვის, რომ მოპასუხეები ი/მ დ. ს-ი და ა. ს-ი საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მიერინა ერთიმეორის ცრუმაგიერ პირებად; კერძოდ, მოსარჩელე მოპასუხეების ცრუმაგიერ პირებად აღიარებას ითხოვს იმ ფაქტობრივი საფუძვლიდან გამომდინარე, რომ დ. ს-ი ინდივიდუალურ მენარმედ დარეგისტრირდა 2011 წლის 20 დეკემბერს, იურიდიულ მისამართზე გორის რაიონი, სოფელი ..., საქმიანობა – სურსათით ვაჭრობა. აღნიშნულ საქმიანობას ი/მ დ. ს-ი ახორციელებს მამის – ა. ს-ის საკუთრებაში არსებულ გორის რაიონში, სოფელ ... მდებარე მინის ნაკვეთზე (...) განთავსებულ სავაჭრო ობიექტში. 2016 წლის 20 ივნისს სს „...“ და ა. ს-ს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება 15 000 ლარზე, ხოლო 2016 წლის 28 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულებით № ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა დ. ს-ის მამის – ა. ს-ის სახელზე. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ რამდენადაც ა. ს-ს შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემებით ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ იხფორმაციის თანახმად ა. ს-ს შემოსავლების მიღების ფაქტი არ უფიქსირდება, ამ ფონზე 2016 წლის 24 ოქტომბერს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მას შეძენილი აქვს უძრავი ქონება, რაც განახორციელა ი/მ დ. ს-მა, ხოლო ა. ს-ის სახელზე ქონების გაფორმება მიზნად ისახავდა გადასახადის გადახდევინების ღონისძიებისათვის თავის არიდებას. ამასთანავე, ი/მ დ. ს-ის კუთვნილ სავაჭრო ობიექტში 2016 წლის 28 იანვარს შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელდა საკონტროლო შესყიდვა, რა დროსაც ა. ს-ისაგან შესყიდულ იქნა 2.10 ლარის ღირებულების პროდუქტი, შესაბამისად, ეს უკანასკნელი ჩართულია სამენარმეო საქმიანობაში, რაც წარმოადგენს ოჯახურ ბიზნესს.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ დ. ს-ი ინდივიდუალურ მენარმედ დარეგისტრირდა 2011 წლის 20 დეკემბერს. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციისა და საკონტროლო შესყიდვა/შეთავაზების ჩატარების შესახებ სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2015 წლის 21 ივლისის №26449 ბრძანებით, დაინიშნა ი/მ დ. ს-ის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია და ი/მ დ. ს-ის ეკონომიკური საქმიანობის ფაქტობრივად განხორციელების ადგილზე საკონტროლო შესყიდვა/შეთავაზება. ი/მ დ. ს-ის კუთვნილ სავაჭრო ობიექტში 2016 წლის

28 იანვარს შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელდა საკონტროლო შესყიდვა, რა დროსაც ა. ს-ისაგან შესყიდულ იქნა 2.10 ლარის ღირებულების პროდუქტი. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2017 წლის 31 მარტის №8619 ბრძანებით დანიშნა ი/მ დ. ს-ის საქმიანობის თემატური კამერალური საგადასახადო შემოწმება 2015 წლის 21 ივლისის №26449 ბრძანებით ჩატარებული ს.მ.ფ-ების ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილი დანაკლისის მიწნით. ი/მ დ. ს-ის აღიარებული საგადასახადო დავალიანება 2017 წლის 10 თებერვლის მდგომარეობით 8 836,90 ლარია; მის ქონებაზე გავრცელებულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და დადებულია საგადასახადო ორგანოს ყადაღა. 2016 წლის 20 ივნისს სს „...“ და ა. ს-ს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება 15 000 ლარზე. 2016 წლის 28 ოქტომბრის ნაკითობის ხელშეკრულებით № ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა ა. ს-ის სახელზე. საქმის მასალებით ასევე დადასტურებულია, რომ ა. ს-ი არის დ. ს-ის მამა ამდენად, მოსარჩელეს მიაჩნია, რომ ი/მ დ. ს-ის მიერ განხორციელდა უძრავი ქონების შექნა და ამ ქონების მამის – ა. ს-ის სახელზე გაფორმება, რაც მიზნად ისახავდა გადასახადების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისაგან თავის არიდებას.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებები და დასკვნები საქმის სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით მოცემულ შემთხვევაში საქმეზე წარმოდგენილი ვერცერთი მტკიცებულებით ვერ იქნა დადასტურებული ის გარემოება, რომ მოპასუხებს შორის იყო საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით განსაზღვრული განსაკუთრებული ურთიერთობები. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტის საფუძველზე. ფაქტის არსებობას სამართლებრივი ნორმა უკავშირებს გარკვეული იურიდიული შედეგის დაფგომის შესაძლებლობას. იმ პირობებში, როდესაც ვერ იქნა დადასტურებული თავად ფაქტი, ეჭვევეშ დგება მისი თანმდევი იურიდიული შედეგი. ფაქტის დადასტურებას აქვს არა მარტო საპროცესო არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობისას არახელსაყრელი შედეგი ეკისრება იმ მხარეს, რომელმაც ამ ფაქტის დადასტურება ვერ შეძლო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია,

რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ თავი ვერ გაართვა მისთვის კანონით დაკისრებულ მტკიცების ვალდებულებას, ვერ დაადასტურა ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც წარმოადგენდა მის მოთხოვნის საფუძველს, შესაბამისად, აღნიშნულმა გამორიცხა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირებელი ინსტანციის მოსაზრება, რომ არასწორია მოსარჩელის მიერ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მითითება, ვინაიდან ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის არსებული ეკონომიკური ურთიერთობა იმავდროულად არ ქმნის საფუძველს მათი ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის; კერძოდ, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აღნიშნული ნორმა იძლევა ურთიერთდამოკიდებული პირების იმგვარ განმარტებას, რომ ასეთ პირებად მიიჩნევს იმ პირებს, რომელთაც შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოადგენილი პირების საქმიანობის პირობებსა და ეკონომიკურ შედეგებზე; შესაბამისად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მათ შორის განხორციელებული ეკონომიკურ საქმიანობის საგადასახადო რეგულირება ხდება საერთო ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით და არა იმ პირობების გათვალისწინებით, რაც მათ ურთიერთდამოკიდებულების გამო ერთმანეთის-თვის განსაზღვრეს; აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის არსებობა, მისი დადასტურების შემთხვევაშიც არ ქმნის საფუძველს მათი ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის.

პალატამ განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის თანახმად (ცრუმაგიერი მფლობელობა), თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან და ეს პირი გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით, ითვლება, რომ აღნიშნული პირები არიან ერთიმეორის ცრუმაგიერი პირები; გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ცრუმაგიერი პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები. ამ მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის სახეზე უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის განსხვავების შეუძლებლობა სხვა იმ პირისაგან, რომელიც გამოყენებული იყო გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიე-

ბისათვის თავის არიდების მიზნით, ანუ გადასახადის გადამხდელი, რომელსაც გააჩნია საგადასახადო ვალდებულებები, მისი გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, ისეთ კავშირში უნდა შედიოდეს სხვა პირთან, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყოს მათი განსხვავება. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმეზე წარმოდგენილი არ იყო არც ერთი სახის მტკიცებულება, რაც უტყუარად მიუთითებდა მოპასუხეთა ერთმანეთისაგან გაუმიჯნაობასა და განზრას ერთობლივი – გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით მოქმედებაზე. კონკრეტულ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს მოპასუხებად დასახელებული პირები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლზე დაყრდნობით, მიაჩნია ურთიერთდამოკიდებულ პირებად, ისინი ამავდროულად მიაჩნია ცრუმაგიერ პირებად, რაც არ იქნა გაზიარებული სააპელაციო სასამართლოს მიერ. სააპელაციო პალატა მიუთითებდა, რომ საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის სახეზე უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის განსხვავების შეუძლებლობა სხვა იმ პირისაგან, რომელიც გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით ანუ გადასახადის გადამხდელი პირი, რომელსაც გააჩნია საგადასახადო ვალდებულებები, მისი გადახდისაგან თავის არიდების მიზნით ისეთ კავშირში შედის სხვა პირთან, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია მათი განსხვავება; სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო მის მიერ მითითებული ფაქტების მტკიცება და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მასალების შეფასებით და ანალიზით ვერ დგინდება მოპასუხეთა ერთმანეთთან განსაკუთრებული ურთიერთობა სამეწარმეო საქმინობაში, გადასახადის გადამხდელის განსხვავების პრაქტიკულად შეუძლებლობა მეორე მოპასუხეთაგან. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით კი, მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები, რაც მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 23 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა. კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

კასატორი აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განჩინება არის უსა-

ფუძვლო და იურიდიულად დაუსაბუთებელი, შესაბამისად, იგი მოიცავს გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებს, ხოლო ი/მ დ. ს-ი და ა. ს-ი წარმოადგენენ ცრუმაგიერ პირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის საფუძველზე.

სააპელაციი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოიცავს არსებორ მსჯელობას და დაუსაბუთებელ დასკენის რამდენიმე საკითხთან მიმართებით. სასამართლომ განმარტა, რომ საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის თანახმად, ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის სახეზე უნდა იყოს ორი პირობის კუმულატიურად არსებობა: 1. პრაქტიკულად შეუძლებელი უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან და 2. ეს პირი გამოყენებული უნდა იყოს გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისთვის თავის არიდების მიზნით. სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის ორივე პირობა, ასევე სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ არ დასტურდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული განსაკუთრებული ურთიერთობა მოპასუხებს შორის. კასატორი არ იზიარებს სააპელაციო პალატის მითითებას, რომ საქმეზე არ არის წარმოადგენილი არც ერთი მტკიცებულება, რაც უტყუარად მიუთითებდა მოპასუხეთა ერთმანეთისგან გაუმიჯნაობაზე და განზრას ერთობლივი – გადასახადისაგან თავის არიდების მიზნით მიქმედებაზე.

კასატორის მოსაზრებით, მოპასუხეთა განსხვავება ცრუმაგიერად აღიარების მიზნებისათვის ნამდვილად შეუძლებელია, რადგან სახეზეა ერთი პირის მიერ მეორის ქონების გამოყენება როგორც საკუთრის. კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთდამკიდებულება გამოიყენება ცრუმაგიერის შემთხვევაში, როცა პირებს შორის კავშირი გავლენას ახდენს კონკრეტულ ოპერაციებზე, რომლებიც მიმართულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდებისკენ, რაც დადასტურებულია საქმეზე წარმოადგენილი მასალებით.

კასატორი განმარტავს სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებულ ინსტიტუტს გამჭოლი პასუხისმგებლობის შესახებ და მიუთითებს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომელიც ითვალისწინებს ორი წინაპირობის კუმულაციურად არსებობას, კერძოდ: 1. პრაქტიკულად შეუძლებელი უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისაგან; 2. სხვა პირი გამოყენებული უნდა იყოს გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით.

კასატორი მიიჩნევს, რომ ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ

გარემოებებს: გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირი-საგან შეუძლებელია, როდესაც სახეზეა: 1. საერთო ფინანსური ან-გარიშები და საგადასახადო დეკლარაციის ფაილები (დეკლარაცი-ის ერთობლივად შევსება, ერთხაირად დაგეგმვა, საერთო ადმი-ნისტრორება) დამოუკიდებელ კომპანიებში; 2. ერთი კომპანიის ქმე-დებები არის მეტად განმაპირობებელი (გამიზნული) მეორე კომპა-ნიის ბიზნესის წყაროს (წარმატების); 3. კომპანია იყენებს სხვა კომპანიის საკუთრებას, როგორც საკუთარს; 4. კორპორაციის ყო-ველდღიური საქმიანობის ურთიერთდარღვევა (ერთობლიობა); 5. შვილობილის (კომპანიის) ხელმძღვანელობის/დასაქმებულების სხვა კომპანიის (მაგ. დედა კომპანიის) საუკეთესო ინტერესებში მოქმედება; 6. ე.ნ. „ჩრდილოვანი დირექტორის“ თეორია.

კასატორი მიუთითებს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებები-საგან თავის არიდების ფორმებია: 1. კომპანიის არასაკმარისი კა-პიტალიზაცია – კომპანიას არ გააჩნია საწესდებო კაპიტალი, რაც აუცილებელია საქმიანობის განსახორციელებლად, ანუ კომპანიას არ გააჩნია საკმარისი საწესდებო კაპიტალი მოსალოდნელი მოთ-ხოვნების უზრუნველსაყოფად; კომპანიასა და დამფუძნებელს (პარტნიორს), სხვა პირებს შორის დადებულ გარიგებებს არ გააჩ-ნიათ გარიგების ისეთი ხასიათი, რომელიც ჩვეულებრივ პირობებ-ში დადებული იქნებოდა ორ დამოუკიდებელ პირს შორის და აღ-ნიშნული განპირობებულია უზრუნველყოფის ღონისძიებებისაგან თავის არიდების მიზნით. ამასთან, ჩამოთვლილი ფაქტობრივი გა-რემოქები არ არის ამომზურავი და ისინი არ გამოიყენება კუმუ-ლაციურად, მთავარია სასამართლო, რომელიმე ერთ-ერთი გარე-მოების (ან საერთოდ სხვა გარემოების, რომელიც არ არის მოცე-მული) არსებობისას დარწმუნდეს, რომ სახეზეა ფაქტობრივი გა-რემოქება, რომელიც ადასტურებს: 1. გადასახადის გადამხდელის სხვა პირისაგან განსხვავების შეუძლებლობას; 2. ეს პირი გამოყე-ნებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონის-ძიებებისათვის თავის არიდების მიზნით.

კასატორი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ი/მ და ა. ს-ი წარმოადგენენ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებს, ვინაიდან სახეზეა ინდივიდუალური მეწარმის არასაკმარისი კაპიტალიზაცია, მას არ გააჩნია საკმარისი საწესდებო კაპიტალი მოსალოდნელი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად და ასევე სახეზეა მეორე სა-ფუძველი – მოპასუხეთა შორის არსებობს გარიგება და ამ გარიგე-ბას არ გააჩნია ისეთი ხასიათი, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში დადებული იქნებოდა ორ დამოუკიდებელ პირს შორის, კერძოდ, დ. ს-ი სარგებლობს ა. ს-ის კომერციული ფართით, თუმცა ამის სა-ნაცვლოდ არ იხდის საიჯარო თანხას, ასეთი ტიპის გარიგების და-

დება ორ დამოუკიდებელ პირს შორის, ჩვეულებრივ პირობებში, არ ხდება. ამასთან, მათ შორის არსებობს ნათესაური კავშირი და ისინი წარმოადგენენ მამა-შვილს და ა. ს-ის მონაწილეობა ი/მ დ. ს-ის საქმიანობაში დადასტურებულია საკონტროლო შესყიდვის ოქმით, რაც სააპელაციო პალატის მიერ არ იქნა სათანადოდ შეფასებული.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ა. ს-ს ოფიციალურად არ უფიქრდება რაიმე შემოსავლის მიღება, შესაბამისად თუ არა გარიდების სქემის არსებობა, გაურკვევლად მიაჩნია, თუ როგორ შეიძინა ა. ს-შა უძრავი ქონება.

კასატორი აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეები არიან ურთიერთდამოკიდებული პირები, ხოლო ერთი პირი მეორე პირს არ უხდის ქონების სარგებლობისთვის ქირას ნათესაური კავშირის გამო – ცალსახად იქნება პრაქტიკული გაუმჯოჯნაობის დადგენის სამართლებრივი საფუძველი, რაც გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით და მოპასუხეთა მიერ განხორციელებული ქმედებები საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის თანახმად, ქმნიდა ცრუმაგიერ პირებად ცნობის საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 3 ივლისის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივარის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება, მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება და სარჩელი დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ სარჩელი აღძრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე. კერძოდ, დადასტურებულად იქნეს ცნობილი, რომ ი/მ დ. ს-ი და ა. ს-ი წარმოადგენენ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის განსხვავება

სხვა პირისგან და ეს პირი გამოყენებულია გადასახადის გადახდე-ვინების უზრუნველყოფის ონლაინ-სისტემისთვის თავის არიდების მიზნით, ითვლება, რომ აღნიშნული პირები არიან ერთიმეორის ცრუმაგიერი პირები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, გა-დასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალია-ნების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, ცრუმაგიერი პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ონლაინ-სისტემის მიზნით, ითვლების მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ონლაინ-სისტემის მიზნით, ამავე კოდექსის მე-19 მუხლით რეგლამენტირებულია ურთიერ-თდამოკიდებული პირების დეფინიცია, კერძოდ, ურთიერთდამო-კიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსა-კუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახ-დინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პი-რობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. ამავე მუხლის მეორე ნაწი-ლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებულ ურთიერთო-ბებს მიეკუთვნება ურთიერთობები, რომელთა დროსაც პირები არი-ან ნათესავები. ხოლო მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიზნებისათვის ფიზიკური პირის ნათესავებად ითვლებიან: ა) ნათესავების პირველი შტო: მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა; ბ) ნათესავების მეორე შტო: პირველი შტოს თითოეული ნათესავის მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა, გარდა იმ ფიზიკური პირისა, რომელიც უკვე მიეკუთვნა პირველ შტოს; გ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, როგორც მშობლები და შვი-ლები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, იმ გარემოების დადას-ტურების მიზნით, რომ გადასახადის გადამხდელი წარმოადგენს სხვა პირის ცრუმაგიერ პირს, სავალდებულოა დადასტურდეს, რომ გადასახადის გადამხდელის გამიჯვნა ამ სხვა პირისაგან რიგი ფაქ-ტობრივი გარემოებების გამო პრაქტიკულად შეუძლებელია და კონკრეტული ერთი პირი ამ სხვა პირის მშობლან გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ონლაინ-სისტემისათ-ვის თავის არიდების მიზნით. აღნიშნული სამართლებრივი ინსტრუ-მენტის მიზანია დაიცვას საგადასახადო ორგანოს, როგორც კრე-დიტორის უფლებები.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ქვედა ინსტანციის სასა-მართლოების მითითებას, რომ საქმეზე წარმოდგენილი არ არის არც ერთი სახის მტკიცებულება, რაც უტყუარად მიუთითებდა მოპა-სუხეთა ერთმანეთისაგან გაუმიჯვნაობაზე და განზრას ერთობლი-ვი – გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით მოქმე-

დებაზე, კერძოდ, საქმეზე დადგენილია, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2015 წლის 21 ივლისის №26449 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციისა და საკონტროლო შესყიდვა/შეთავაზების ჩატარების შესახებ ბრძანების საფუძველზე დადგინდა ი/მ დ. ს-ის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია და ი/მ დ. ს-ის ეკონომიკური საქმიანობის ფაქტობრივად განხორციელების ადგილზე საკონტროლო შესყიდვა/შეთავაზების ჩატარება, საკონტროლო შესყიდვის შედეგების შესახებ № 238802 ოქმით დადასტურებულია, რომ ი/მ დ. ს-ის კუთვნილ სავაჭრო ობიექტში 2016 წლის 28 იანვარს შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარდა საკონტროლო შესყიდვა, რა დროსაც ა. ს-ისაგან შესყიდულ იქნა 2.10 ლარის ლირებულების პროდუქტი;

დადგენილია, რომ ი/მ დ. ს-ი სამენარმეო საქმიანობას ახორციელებს გორის რაიონის სოფელ ... მდებარე სავაჭრო ობიექტში, რომელიც საკუთრების უფლებით აღრიცხულია ა. ს-ის სახელზე. 2016 წლის 20 ივნისს, სს „...“ და ა. ს-ი შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება 15 000 ლარზე 2016 წლის 20 ივნისს, ხოლო 2016 წლის 28 ოქტომბრის საჯარო რეესტრიდან ამონანერით დასტურდება, რომ 2016 წლის 28 ოქტომბრის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა ა. ს-ის სახელზე. სადაც არ არის ის გარემოება, რომ ა. ს-ი არის დ. ს-ის მამა. ი/მ დ. ს-ის აღიარებული საგადასახადო დავალიანება 2017 წლის 10 თებერვლის მდგომარეობით 8 836,90 ლარია; მის ქონებაზე გავრცელებულია საგადასახადო გირანტობა/იპოთეკა და დადებულია საგადასახადო ორგანოს ყადაღა.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის დასაბუთებას, რომ მოპასუხეებს შორის არსებობს განსაკუთრებული ურთიერთდამოკიდებულება და ი/მ დ. ს-ის ურთიერთობა ა. ს-თან გამოყენებულია იმგვარად, რომ ა. ს-ზე განხორციელებულიყო აქტივების ფორმირება, ხოლო ი/მ დ. ს-ზე – მხოლოდ ვალდებულებების. სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ დ. ს-ი 2011 წლის 20 დეკემბრიდან რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მენარმედ, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი ..., მისამართი – საქართველო, გორის რაიონი, სოფელი საქმიანობას ახორციელებს ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მინის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა – ნაგებობაში, რომლის მესაკუთრეა დ. ს-ის მამა – ა. ს-ი და აღნიშნული ქონების შეძენა განხორციელდა მას შემდეგ, რაც დ. ს-ისათვის ცნობი-

ლი გახდა სავარაუდო საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, რამდენადაც ი/მ დ. ს-ის კუთვნილ სავაჭრო ობიექტში 2016 წლის 28 იანვარს შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელდა საკონტროლო შესყიდვა, ასევე 2015 წლის 17 სექტემბრის №0254778 შეტყობინებით ი/მ დ. ს-ის ქონებაზე დარეგისტრირდა საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება, რომელსაც გადასახადის გადამხდელი ელექტრონულად გაეცნო 2015 წლის 5 ოქტომბერს, რის შემდეგ მან მამის ა. ს-ის დახმარებით შეძლო მისი შემოსავლის იმგვარად განკარგვა, რომ თავი აერიდებინა საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულებებისათვის. კერძოდ, განახორციელა იმ უძრავი ქონების შესყიდვა და ა. ს-ის სახელზე გაფორმება, სადაც მდებარეობს სავაჭრო ობიექტი, რომელშიც ი/მ დ. ს-ი ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ამასთან საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 2016 წლის 20 ივნისს ა. ს-სა და სს „...“ შორის სესხის ხელშეკრულების დადება, ვერ იქნება სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი, იმ პირობებში, როდესაც დადგენილია, რომ ა. ს-ს არ უფიქსირდება შემოსავალი, რომლითაც დამოუკიდებლად უზრუნველყოფს სესხის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შესრულებას, ასევე საკონტროლო შესყიდვის შედეგების შესახებ №238802 ოქმით დადასტურებულია, რომ ი/მ დ. ს-ის კუთვნილ სავაჭრო ობიექტში 2016 წლის 28 იანვარს შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარდა საკონტროლო შესყიდვა, რა დროსაც სავაჭრო ობიექტში იმყოფებოდა ა. ს-ი და მისგან შესყიდულ იქნა 2.10 ლარის ღირებულების პროდუქტი. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ სახეზეა საოჯახო ბიზნესი და მოგების მიღების საერთო მიზანი. ასევე სახეზეა ოჯახის იმ წევრის მიერ ქონების შეძენა, რომელსაც არ გააჩნია შემოსავალი, რაც ქმნის საფუძველს დასკვნისათვის, რომ ქონების შეძენა განხორციელდა დ. ს-ის მიერ მიღებული შემოსავლებით, ხოლო ა. ს-ის სახელზე აღნიშნული ქონების აღრიცხვა ემსახურებოდა ი/მ დ. ს-ის მიმართ არსებული საგადასახადო დავალიანებისგან თავის არიდებას.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩეკებით, ფაქტების კონსტატაციის მსალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თა-

ნახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტზე, რომელსაც აქვს არა მარტო საპროცესოსამართლებრივი, არამედ მატერიალურსამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. მითითებული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები). ამასთან, სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტის საფუძველზე. ფაქტის დადასტურებას აქვს არა მარტო საპროცესო, არამედ მატერიალურსამართლებრივი მნიშვნელობა.

მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა საგადასახადო ვალდებულებების მქონე გადასახადის გადამხდელის – ი/მ დ. ს-ის მხრიდან გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით მისი კუთვნილი სახსრებით, ქონების შეძენა და მამის – ა. ს-ის სახელზე გაფორმება, შესაბამისად, პრაქტიკულად შეუძლებელია მათი ერთომეორისაგან განსხვავება, რამდენადაც მათ შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა მხოლოდ ფორმალურია და ატარებს ფიციურ ხსიათს, რომელიც საგადასახადო დავალიანების გადახდების უზრუნველყოფის ღონისძიებების მიქცევის თავიდან არიდებას ემსახურება, რაც მოპასუხეთა ცრუმაგიერობაზე მიუთითებს.

ამასთან, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა – ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადასტურა ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც საფუძვლად უდევს მის მოთხოვნას და რაც გამორიცხავდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას. ამასთან, საპელაციო სასამართლოს განჩინება მიღებულია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების არასწორი შეფასების საფუძველზე, რაც საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გაუქმების სამართლებრივი საფუძველია, ხოლო ამავე კოდექსის 411-ე

მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გა-დაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხ-ლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქ-მის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბ-რუნების საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ც ყ ვ ი ს :

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმა-ყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 18 იანვრის განჩინება და საქ-მეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. დ. ს-ი და ა. ს-ი ცნობილ იქნენ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირე-ბად;

5. მოპასუხეებს – დ. ს-ს და ა. ს-ს სოლიდარულად დაეკისროთ სამივე ინსტანციის სასამართლოში გადასახდელი სახელმწიფო ბა-ჟის – (100+150+300) 550 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზი-ნა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სა-ხაზინო კოდი №300773150;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ცრუმაგილ და ურთიერთდამოკიდებულ პირებად ჩატვლა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ბს-408-408(ქ-18)

16 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ცრუმაგილ პირებად აღიარება

აღნერილობითი ნაწილი:

სსიპ შემოსავლების სამსახურმა 2017 წლის 17 მარტს სარჩევ-
ლით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების – ი/ზ
ი. ქ-ის, მ. ს-ის, მ. ხ-ისა და შპს „...“ მიმართ და მოითხოვა მათი ცრუ-
მაგილ პირებად ცნობა.

მოსარჩევე მიუთითებდა, რომ ი/ზ ი. ქ-ეს (ს/კ ...) გააჩნია აღია-
რებული საგადასახადო დავალიანება; მას შემდეგ, რაც იგი გაეც-
ნო მისი შემოწმების შესახებ შემოსავლების სამსახურის შეტყო-
ბინებას, მან ეკონომიკური საქმიანობა შეჩერა, რეგისტრაციიდან
მოხსნა საკონტროლო-სალარო აპარატები, რის შემდეგაც დაარე-
გისტრირა შპს „...“ (ს/ზ ...), რომლის დირექტორი და 100%-იანი წი-
ლის მფლობელი მისი ქვისლი მ. ხ-ია (ჳ/ზ ...) და ძველ იურიდიულ და
ფაქტობრივ მისამართზე გააგრძელა იგივე სამენარმეო საქმიანო-
ბა – საბითუმო ვაჭრობა სასურსათო მაღაზიაში. ი. ქ-ე და მისი შვი-
ლი დასაქმებული არიან შპს „...“ და იღებენ ხელფასს; ასევე, ხელ-
ფასს იღებს მა. ხ-ი, რომელიც ადრე დასაქმებული იყო ი. ქ-ესთან;
ი/ზ ი. ქ-ემ იმავდროულად თავის საკუთრებაში არსებული უძრავი
ქონება ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადააფირორმა მე-
ულლებზე – მ. ს-ზე (ჳ/ზ ...), რაც მიუთითებს საგადასახადო ვალდე-
ბულებების შესრულებისათვის თავის არიდებაზე. მოსარჩელის მი-
თითებით, მოპასუხეები არიან ურთიერთდამოკიდებული პირები
საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწი-
ლის „ე“ (ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მე-
ორე პირს) და „თ“ (პირები ნათესავები არიან) ქვეპუნქტების სა-
ფუძველზე.

გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 17 მარტის განჩინე-

ბით, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ყადაღა დაედო მ. ს-ის კუთვნილ შემდეგ უძრავ ქონებას: საკადასტრო კოდით №...; საკა-დასტრო კოდით №...; საკადასტრო კოდით №..., საკადასტრო კო-დით №..., საკადასტრო კოდით №..., საკადასტრო კოდით №..., საკა-დასტრო კოდით №... და მ. ხ-ის კუთვნილ უძრავ ქონებას: საკადას-ტრო კოდით №..., და აეტომანქანსა ... , სახ. ნომრით ...;

გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 13 სექტემბრის გა-დაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-მეთა პალატის 2018 წლის 25 იანვრის განჩინებით სსიპ შემოსავ-ლების სამსახურის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უც-ვლელად დარჩა გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 13 სექ-ტემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. კ-ე ინდივი-დუალურ მეწარმედ დარეგისტრირდა 2008 წლის 13 მაისს, ხოლო რეგისტრაცია გააუქმა 2016 წლის 30 ივნისს; ი/ზ ი. კ-ის აღიარებუ-ლი საგადასახადო დავალიანება 2017 წლის 14 მარტის მდგომარე-ობით 222 356,29 ლარია; შემოსავლების სამსახურის დავების დე-პარტამენტის 2017 წლის 27 თებერვლის № 24299-21-05 მიმართვით და ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ 2016 წლის 1 მარტის № 025-22 ბრძანებით დადგენილია რომ ი/ზ ი. კ-ის ქონებაზე გავრცელე-ბულია საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და დადებულია საგა-დასახადო ორგანოს ყადაღა. მან 2016 წლის 24 ივნისს რეგისტრა-ციიდან მოხსნა საკონტროლო-სალარო აპარატები, რაც დარეგის-ტრირდა 2015 წლის 16 თებერვალს დაფუძნებულ შპს „....“ სახელ-ზე, რომლის პარტნიორი 100%-იანი წილით და დირექტორი ი. კ-ის ქვისლი მ. ხ-ია და იმ ფაქტობრივ მისამართზე – გორში, ... ქ. № ..., სადაც ადრე საქმიანობდა ი. კ-ე, საქმიანობა გაგრძელდა შპს „....“ მიერ; ი. კ-ე და მისი შვილი დასაქმებული არიან შპს „....“ და იღებენ ხელფასს; ასევე, ხელფასს იღებს მ. ხ-ი, რომელიც ადრე დასაქმე-ბული იყო ი. კ-ესთან; 2013 წლის 17 დეკემბრის ჩუქების ხელშეკ-რულებით ი. კ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა მისი მეუღლის – მ. ს-ის სახელზე № ... საკა-დასტრო კოდით.

სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტაციის სასამართლოს შეფასებები და აღნიშნა, რომ საქართველოს საგა-დასახადო კოდექსის მე-19 მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თა-ნახმად, ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შე-

იძლება, გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე; განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობები, რომელთა დროსაც: ა) პირები არიან ერთი სანარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია; ბ) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირის სანარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია; გ) პირი ახორციელებს სანარმოს კონტროლს; დ) ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს; ე) ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს; ვ) პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი; ზ) პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებები მესამე პირს; თ) პირები ნათესავები არიან; ი) პირები ამხანაგობის წევრები არიან. იმავე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების მიხედვით, ამ მუხლის მიზნებისათვის კონტროლი გულისხმობს: სამეთვალყურეო საბჭოს წევრობას, დირექტორობას და ამ თანამდებობებზე პირების დანიმენის უფლებას; ხმის უფლების მქონე წილის ან აქციების 20 პროცენტის ფლობას; ამ მუხლის მიზნებისათვის ფიზიკური პირი ითვლება წილის არაპირდაპირ მფლობელად, თუ ამ წილს ფლობს მისი ნათესავი.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ამ მუხლის შინაარსის ანალიზიდან და საგადასახადო კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის უნდა არსებობდეს ამავე მუხლით განსაზღვრული განსაკუთრებული ურთიერთობები საქმიანობების შინაარმეო საქმიანობის ამა თუ იმ მიზნით და ფორმით ერთობლივად განხორციელებისათვის; მოცემულ შემთხვევაში, ის ფაქტი, რომ მოპასუხებს შორის იყო საქრთველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით განსაზღვრული განსაკუთრებული ურთიერთობები, არ დასტურდება. საქმეზე არ არის წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომ ი/მ ი. კ-ეს გააჩნდა მე-19 მუხლით განსაზღვრული განსაკუთრებული ურთიერთობები საქმიანობის ამა თუ იმ შიზნით და ფორმით ერთობლივად განხორციელებისათვის „...“ ან ფიზიკურ პირებთან – მ. ხ-სა და მ. ს-თან მიმართებაში; შესაბამისად, მოპასუხები წარმოადგენდნენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. ის ფაქტი, რომ ი/მ ი. კ-ემ რეგისტრაციიდან მოხსნა საკონტროლო-სალარო აპარატები, რომელიც დარეგისტრირდა შპს „...“ სახელზე და იმავე ფაქტობრივ მისამართზე იმავე სახის სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს ეს უკანასკნელი, ასევე ის ფაქტი, რომ ი. კ-ე და მისი შევილი დასაქმებული არიან შპს „...“, არ ქმნიდა მათ ურთიერთდამოკიდებულ პირებად მიჩნევის

საქმარის საფუძველს, რადგან ცალკე აღებული ეს ქმედებები, სხვა გარემოებების გარეშე, წარმოადგენს ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობას; სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული მსჯელობისა და ამგვარი დასკვნის უმთავრესი საფუძველი გახდა ის, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის შინაარსი-დან გამომდინარე, ცრუმაგიერ პირებად ალიარებისათვის სახეზე უნდა ყოფილიყო გადასახადის გადამხდელის განსხვავების შეუძლებლობა სხვა იმ პირისაგან, რომელიც გამოყენებული იყო გადა-სახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებისათვის თავის არიდების მიზნით, ანუ გადასახადის გადამხდელი, რომელ-საც გააჩნდა საგადასახადო ვალდებულებები, მისი გადახდისაგან თავის არიდების მიზნით, ისეთ კავშირში უნდა შესულიყო სხვა პირ-თან, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი ყოფილიყო მათი განსხვა-ვება. საქმეზე წარმოდგენილი არ ყოფილა არც ერთი სახის მტკი-ცებულება, რაც უტყუარად მიუთითებდა მოპასუხეთა ერთომანე-თისაგან გაუმიჯნაობასა და განზრას ერთობლივი – გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით მოქმედებაზე. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს მითითებით, მას შემდეგ, რაც ი. კ-ებ შეიტყო საგადასახადო შემონმების შესა-ხებ, მან ეკონომიკური საქმიანობა შეაჩერა, რეგისტრაციიდან მოხ-სნა საკონტროლო-სალარო აპარატი, რის შემდეგაც თვითონ დაა-რეგისტრირა შპს „...“, რაც ამ ორი სუბიექტის ერთმანეთის გაუმიჯ-ნაობაზე მიუთითებდა მოპასუხებად დასახელებული პირები, სა-ქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და „თ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით, მიიჩნია რა ურთიერთდამო-კიდებულ პირებად, აღნიშნულიდან გამომდინარე ისინი იმავდრო-ულად მიიჩნია ცრუმაგიერ პირებად, რაც სასამართლომ არ გაიზი-არა. ამ მუხლით განსაზღვრული განსაკუთრებული ურთიერთობა სახეზეა მაშინ, როდესაც ერთი პირის მიერ მეორე პირის კონტრო-ლი წინ უსწრებს მათ შორის განხორციელებულ კონკრეტულ საქ-მიანობას და თვითონ ეს კონკრეტული საქმიანობა არ განიხილება ერთი პირის მიერ მეორის კონტროლად.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ საქმის მასალების მიხედ-ვით, შპს „...“ დამფუძნებელი, 100%-იანი პარტნიორი და დირექ-ტორი არა ი. კ-ე, არამედ მ. ხ-ია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსარჩე-ლის ეს მითითება ტექნიკურ ხარვეზად ჩაითვლება და მოსარჩე-ლის განმარტებად მიჩნეული იქნება ი/მ ი. კ-ის მხრიდან გადასახა-დის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით შპს „...“ ქვისლის მეშ-ვეობით დაფუძნება, ვერც ეს გარემოება დაგდასტურებს ამ პირთა გაუმიჯნაობას, რადგან ეს მხოლოდ მხარის განმარტებაა და არ დგინდება მათ შორის განსაკუთრებული ურთიერთობები სამეწარ-

მეო საქმიანობის ამა თუ იმ მიზნით და ფორმით ერთობლივად განხორციელებისათვის. ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია მოსარჩელის პოზიცია, რომ უძრავი ქონების მ. ს-ზე გაჩუქებით დასტურდება ი/მ ი. კ-ესთან მისი გაუმიჯნაობა და აღნიშნა, რომ თვით მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად, მ. ს-ს 2012-2013 წლებში არაერთი უძრავი ქონება აქვს შეძენილი და თავის სახელზე აღრიცხული და თუნდაც დადასტურდეს გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით ჩუქების გაფორმება, მხოლოდ ეს ფაქტი ვერ გახდება ი. კ-ის ცრუმაგიერ პირად მ. ს-ის აღიარების ერთადერთი და საკმარისი საფუძველი.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება, რომ ცრუმაგიერ პირებად აღიარებისათვის სახელზე უნდა იყოს 2 პირობის კუმულაციურად არსებობა: 1. პრაქტიკულად შეუძლებელი უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან და 2. ეს პირი გამოყენებული უნდა იყოს გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით. თვით მოსარჩელის მითითებით, გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან შეუძლებელია, როდესაც სახეზეა: 1. საერთო ფინანსური ანგარიშები და საგადასახადო დეკლარაციების ფაილები (დეკლარაციის ერთობლივად შევსება, ერთიანი დაგეგმვა, საერთო ადმინისტრირება) დამოუკიდებელ კომპანიებში; 2. ერთი კომპანიის ქმედებები არის მეტად განმაპირობებელი (გამიზნული) მეორე კომპანიის ბიზნესის წყაროსი (წარმატების); 3. კომპანია იყენებს სხვა კომპანიის საკუთრებას, როგორც საკუთარს; 4. კორპორაციის ყოველდღიური საქმიანობის ურთიერთაღრევა (ერთობლიობა); 5. შვილობილი კომპანიის ხელმძღვანელების/დასაქმებულებების სხვა კომპანიის (მაგ. დედა კომპანიის) საკუთენესო ინტერესებში მოქმედება; 6. ე. ნ. „ჩრდილოვანი დირექტორის“ თეორია. უზრუნველყოფის ღონისძიებებისაგან თავის არიდების სხვა პირის გამოყენების ფორმებია: 1. კომპანიის არასაკმარისი კაპიტალიზაცია (კომპანიას არ გააჩნია საწესდებო კაპიტალი, რაც აუცილებელია საქმიანობის განსახორციელებლად, ანუ კომპანიას არ გააჩნია საკმარისი საწესდებო კაპიტალი მოსალოდნელი მოთხოვნების უზრუნველყოფად); 2. კომპანიისა და დამფუძნებელს (პარტნიორს), სხვა პირებს შორის დადებულ გარიგებებს არ გააჩნიათ გარიგების ისეთი ხასიათი, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში დადებული იქნებოდა ორ დამოუკიდებელ პირს შორის და აღნიშნული განპირობებულია უზრუნველყოფის ღონისძიებებისაგან თავის არიდების მიზნით. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ თუნდაც დადასტურდეს გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით მეუღლებს

შორის ჩუქების ხელშეკრულების გაფორმება და შპს „...“ მიერ იმავე საქმიანობის განხორციელება იმავე მისამართზე, მხოლოდ ეს ფაქტები ვერ გახდება ცრუმაგიერ პირებად მოპასუხეთა აღიარების ერთადერთი და საკმარისი საფუძველი, რადგან სახეზე არ არის დასახელებული ორი კუმულაციური პირობიდან 1-ლი – პრაქტიკულად შეუძლებელი უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან. წარმოდგენილი მასალების შეფასებით და ანალიზით მოპასუხეთა ერთმანეთთან განსაკუთრებული ურთიერთობა სამენარმეო საქმიანობაში, გადასახადის გადამხდელის – ი/მ ი. კ-ის განსხვავების პრაქტიკულად შეუძლებლობა დანარჩენი ორი მოპასუხისაგან არ დგინდება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199¹-ე მუხლზე მითითებით, სააპელაციო პალატამ ასევე გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს პოზიცია და მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო აღარ არსებობდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი, რის გამოც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება განხორციელდა საპროცესო ნორმების მოთხოვნათა დაცვით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 25 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება არის უკანონო, უსაფუძვლო და იურიდიულად დაუსაბუთებელი და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ დოკუმენტურად დადასტურებულ მტკიცებულებებს არასწორი შეფასება მისცა. წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარის საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ სასამართლოსათვის შეექმნა დასაბუთებული ვარაუდი არსებულ ფაქტებზე და გადასახადის გადამხდელის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ი/მ ი. კ-ემ, მას შემდეგ რაც 2013 წლის 08 დეკემბერს ელექტრონულად გაეცნო აუდიტის დეპარტამენტის 2013 წლის 03 დეკემბრის №21-14/921156 შეტყობინებას საგადასახადო შემონმების შესახებ, თავის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (საკ.კოდი:...) 2013 წლის 17 დეკემბრის უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადააფორმა თავისი მეუღლის – მ. ს-ის სახელზე. კასატორის მიიჩნია, რომ გადამხდელის მიერ ქონების ფორმალური გაჩუქრება ურთიერთდამოკიდებულ პირზე მიზნად ისახავდა ქონების გარიდებას საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველ-

ყოფის ღონისძიებებისგან.

საკასაციო საჩივრის ავტორი, აღნიშნავს, რომ ი/ზ ი. კ-ემ საგადასახადო შემოწმების პერიოდში 2015 წლის 16 თებერვალს სამენარმეო რეესტრში დაარეგისტრირა შპს „...“, რომლის დირექტორი და 100% წილის მფლობელია მისი ქვისლი მ. ხ-ი, ხოლო აღიარებული საგადასახადო დაცლიანების წარმოშობის შემდგომ ი/ზ ი. კ-ემ 2016 წლის 24 ივნისს რეგისტრაციიდან მოხსნა 2 ცალი საკონტროლო-სალარო აპარატი ... ; ..., შეაჩერა სამენარმეო საქმიანობა და 2016 წლის 29 ივნისს №16095199 განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეგისტრაციის გაუქმების შესახებ. იმავე პერიოდიდან, კერძოდ, 2016 წლის 24 ივნისიდან მან თავის ფაქტობრივ მისამართზე ქ. გორი, ... ქუჩა №... სამენარმეო საქმიანობა გააგრძელა შპს „...“ სახელით. კასატორის განმარტებით, მითითებული ფაქტობრივი გარემოება ადასტურებს შპს „...“ მიერ სამენარმეო საქმიანობის განხორციელებას, რაც წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობას, სამენარმეო საქმიანობას. ახლადშექმნილი სანარმოსაქმიანობას ახორციელებს ი/ზ ი. კ-ის კუთვნილი საკონტროლო-სალარო აპარატების საშუალებით ...; რომელიც 2016 წლის 24 ივნისს დარეგისტრირებულია შპს „...“ სახელზე. ამასთან, შემოსავლების სამსახურის ელექტრონული ბაზის მონაცემებით ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ ინფორმაციით ირკვევა, რომ ი. კ-ე და მისი შვილი ვ. კ-ე იღებენ ხელფასს, როგორც შპს „...“ დაქირავებული პირები, ასევე შრომითი საქმიანობისთვის ხელფასს იღებს მა. ხ-ი, რომელიც წარსულში იღებდა ხელფასს, როგორც ი/ზ ი. კ-ის დაქირავებული პირი, ამ უკანასკნელის საქმიანობის პერიოდში. ე.ი. ორივე საწარმოს პერსონალი აბსოლუტურად იგივეა.

კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ მონინააღმდეგე მხარეების ცრუმაგიერ პირებად ცნობა მნიშვნელოვანია, რადგან მოხდეს ხსენებული ურთიერთდამოკიდებული პირების საგადასახადო ვალდებულებების სწორად განსაზღვრა და გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება იმ პირების ქონებაზეც, რომელიც პასუხისმგებლები არიან ი/ზ ი. კ-ის საგადასახადო ვალდებულებების შესრულებაზე.

კასატორი აღნიშნავს, რომ ფაქტობრივი გარემოებები განხილულ უნდა იქნეს ერთობლიობაში და არა წყვეტილად. კონკრეტულ შემთხვევაში მითითებულ მენარმეს, რომელსაც დიდი ოდენობით საგადასახადო დავალიანება დაუგროვდა და არ გააჩნია ქონება, რადგანაც მიზანმიმდართულად დავალიანების მქონე საწარმოდან იგი გადატანილ იქნა ხელახლა შექმნილ საწარმოზე, ე.ი. გარიდებულ იქნა გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონის-

ძიებისგან, ხოლო ძველი საწარმოს აქტივების ღირებულება გაუტოლდა ფაქტობრივად ნულს და ამჟამად მეწარმეთა რეესტრიდან ამონანერის ღირებულებას ვერ ფარავს. რაც შეეხება უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას კასატორმა აღნიშნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისათვის მხარემ უნდა მოიყვანოს ისეთი ობიექტური გარემოებები, რაც მომავალში ხელს შეუშლის გადაწყვეტილების აღსრულებას. ამასთან, გასათვალისწინებლია, რომ ვინაიდან საქმე ეხება სამომავლო მოვლენებისაგან განსხვავებით, შესაძლოა კონკრეტული მტკიცებულებებს გზით ვერ დადასტურდეს, სასამართლოს უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი, რაც უნდა ეყრდნობოდეს ნარსულში თუ ანმყოში უკვე არსებული ფაქტების შეფასებას და გადასახადის გადამხდელი პირის კეთილსინდისიერებას.

კონკრეტულ შემთხვევაში ის, რომ სახეზე არის არაკეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელი საგადასახადო ორგანოს მხრიდან დადასტურებულია საქმარისად. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარეშე კონკრეტულ პირებს კვლავაც შეუძლიათ ქონების გასხვისება და სასამართლო პროცესების პრაქტიკული მნიშვნელობის დაკარგვა, შესაბამისად, არსებობს სარჩელის ღონისძიების გამოყენების უპირობო აუცილებლობა.

გარდა იმისა, რომ კომპანიის შექმნისა და ამ კომპანიაზე ქონების გასხვისება, ერთი და იმავე მმართველობის ქვეშ, როდესაც კომპანიას ნარმორშვება გადაუხდელი საგადასახადო დავალიანება, ცალსახად მიუთიობს გარიდების ინტერესით განხორციელებულ ოპერაციაზე, თავად მხარის მიერაც მოხდა აღიარება, რომ კონკრეტული გასხვისების ოპერაცია ნარმოადგენდა ფიქციური ოპერაციას, რაც მიზნად ისახავდა უზრუნველყოფის ღონისძიებისაგან ქონების გარიდებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილებით ი/მ ი. კ-ის, მ. ს-ის, მ. ხ-ისა და შპს „...“ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად ცნობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 10 ივლისის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შეს-

წავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული განჩინების იურიდიული და-საბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტი-ვების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლე-ბის სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გა-უქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გა-დაწყვეტილება, რომლითაც სსიპ შემოსავლების სამსახურის სარ-ჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: ი. კ-ე ინდივიდუალურ მენარ-მედ დარეგისტრირდა 2008 წლის 13 მაისს, ხოლო რეგისტრაცია გა-აუქმა 2016 წლის 30 ივნისს; ი/მ ი. კ-ის აღიარებული საგადასახადო დავალიანება 2017 წლის 14 მარტის მდგომარეობით 222 356,29 ლა-რია; შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის 2017 წლის 27 თებერვლის №24299-21-05 მიმართვით და ქონებაზე ყა-დაღის დადების შესახებ 2016 წლის 1 მარტის №025-22 ბრძანებით დადგენილია, რომ ი/მ ი. კ-ის ქონებაზე გავრცელებულია საგადა-სახადო გირაფნობა/იპოთეკა და დადებულია საგადასახადო ორგა-ნოს ყადაღა. მან 2016 წლის 24 ივნისს რეგისტრაციიდან მოხსნა საკონტროლო-სალარო აპარატები, რაც დარეგისტრირდა 2015 წლის 16 თებერვალს დაფუძნებულ შპს „...“ სახელზე, რომლის პარ-ტნიორი 100%-იანა წილით და დირექტორი ი. კ-ის ქვისლი მ. ხ-ია. იმ ფაქტობრივ მისამართზე – გორში, ... ქ. № ..., სადაც ადრე საქმია-ნობდა ი. კ-ე, საქმიანობა გაგრძელდა შპს „...“ მიერ; ი. კ-ე და მისი შვილი დასაქმებული არიან შპს „...“ და იღებენ ხელფასს; ასევე, ხელფასს იღებს მა. ხ-ი, რომელიც ადრე დასაქმებული იყო ი. კ-ესთან; მას შემდეგ, რაც ი/მ ი. კ-ე 2013 წლის 8 დეკემბერს ელექ-ტრონულად გაეცნო მისი შემოწმების შესახებ საგადასახადო ორ-განოს 2013 წლის 3 დეკემბრის შეტყობინებას, 2013 წლის 17 დე-კემბრის ჩუქების ხელშეკრულებით ი. კ-ის სახელზე რიცხული უძ-რავი ქონება საკუთრების უფლებით აღირიცხა მისი მეუღლის – მ. ს-ის სახელზე № ... საკადასტრო კოდით.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს ი/მ ი. კ-ის, მ. ს-ის, მ. ხ-ისა და შპს „...“ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად აღიარება წარ-მოადგენს, რასაც მოსარჩელე ითხოვს იმ საფუძვლით, რომ მითი-თებული პირები წარმოადგენენ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებს, ვინაიდან მათ განახორციელეს კონკრეტული ოპერაციები, რაც მი-მართული იყო იმ მიზნისკენ, რომ თავი აერიდებინათ კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებების უზრუნველყოფის ღონისძიებე-ბისათვის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს საგადასა-ხადო კოდექსის 246-ე მუხლზე, რომელიც შეიცავს ცრუმაგიერი

მფლობელობის დეფინიციას. მითითებული ნორმის მიხედვით, თუ სასამართლო დაადგენს, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია გადასახადის გადამხდელის განსხვავება სხვა პირისგან და ეს პირი გამოყენებულია გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისთვის თავის არიდების მიზნით, ითვლება, რომ აღნიშნული პირები არიან ერთიმეორის ცრუმაგიერი პირები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელის აღიარებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების მიზნით, საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს ცრუმაგიერი პირის მიმართ განახორციელოს საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები. ამავე კოდექსის მე-19 მუხლით რეგლამენტირებულია ასევე ურთიერთდამოკიდებული პირების დეფინიცია, კერძოდ, ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთებები, რომელთა დროსაც პირები არიან ნათესავები; ხოლო მე-3 ნაწილის შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიზნებისათვის ფიზიკური პირის ხათესავებად ითვლებიან:

- ა) ნათესავების პირველი შტო: მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა;
- ბ) ნათესავების მეორე შტო: პირველი შტოს თითოეული ნათესავის მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა, გარდა იმ ფიზიკური პირისა, რომელიც უკვე მიეკუთვნა პირველ შტოს; გ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, როგორც მშობლები და შვილები.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომლითაც იგი გამორიცხავს პირების ურთიერთდამოკიდებულებას იმ თვალსაზრისით, რომ საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული განსაკუთრებულ ურთიერთობას სახეზეა მაშინ, როცა ერთი პირის მიერ მეორე პირის კონტროლი ნინ უსწრებს მათ შორის განხორციელებულ ურთიერთობას. სააპელაციო სასამართლომ გასაჩინობებული განჩინების მიღებისას საქმიანის საფუძვლად არ მიიჩნია ურთიერთდამოკიდებულება, კერძოდ, საგადასახადო შემოწმების დაწყებისთანავე ქონებს განრიცება და სამენარმეო საქმიანობის შეჩერება მაშინ, როცა საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ი/მ ი. კ-ის მიმართ საგადასახადო დავალიანება წარმოიშვა 2013 წლის 24 დეკემბრის №21-14/92156 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული საგადასახადო შემოწმების შედეგად, რომელიც

დაიწყო 2013 წლის 24 დეკემბერს და დასრულდა 2014 წლის 24 მარტს. ასევე საგადასახადო დავალიანება დამატებით წარმოიშვა 2014 წლის 15 დეკემბრის №51960 ბრძანებით ჩატარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგად და 2015 წლის 12 ივლისს გადასახადის გადამხდელს გადასახდელად დაერთა სანქცია 71 356,17 ლარი. შემოწმების დაწყებამდე, ი/მ ი. კ-ემ, მას შემდეგ, რაც 2013 წლის 8 დეკემბერს ელექტრონულად გაეცნო აუდიტის დეპარტამენტის 2013 წლის 3 დეკემბრის №21-14/921156 შეტყობინებას საგადასახადო შემოწმების შესახებ, თავის საკუთრებაში არსებული ... საგადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, 2013 წლის 17 დეკემბრის უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გადააფორმა თავისი მეუღლის – მ. ს-ის სახელზე. 2016 წლის 24 ივნისს ი/მ ი. კ-ემ რეგისტრაციიდან მოხსნა 2 ცალი საკონტროლო-სალარო აპარატი ... და ... და 2016 წლის 29 ივნისს განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და შეაჩერა სამენარმეო საქმიანობა. რეგისტრაციიდან მოხსნილი საკონტროლო-სალარო აპარატები დარეგისტრირდა 2015 წლის 16 თებერვალს დაფუძნებულ შპს „...“ სახელზე, რომლის დირექტორი და 100% წილის მფლობელი არის ი. კ-ის ქვისლი მ. ხ-ი, ასევე ალსანიშნავია, რომ შპს „...“ სამენარმეო საქმე გააგრძელა იმავე მისამართზე, რა მისამართზეც ფუნქციონირებდა ი/მ ი. კ-ე. 2016 წლის 24 თებერვლის მდგომარეობით ი/მ ი. კ-ის აღიარებული საგადასახადო დავალიანება შეადგენს 222 356.29 ლარს.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული გარე-მოებები ნათლად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ დასახელებული პირების ერთმანეთისგან განსხვავება მოცემული პიზნესაქტივობიდან გამომდინარე, შეუძლებელია. შესაბამისად, აბსოლუტურად დასაბუთებულია საკასაციო საჩივრის მოსაზრება მითითებული პირების ერთმანეთისაგან განსხვავების შეუძლებლობისა და მათი ერთობლივად მთელი თავისი ქონებით უნდა აგონ პასუხი იმ საგადასახადო ვალდებულებისათვის, რომლის გადაუძდელობასაც აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ცრუმაგიერი პირის დეფინიცია უნდა აკმაყოფილებდეს ორ კრიტერიუმს: ა) რეალური და ცრუმაგიერი პირი ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს; ბ) ცრუმაგიერი პირი უნდა იყოს გამოყენებული გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის თავის არიდების მიზნით (იგულისხმება საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ღონისძიებები: საგადასახადო გირავნობა ან იპოთეკა, მე-

სამე პირზე გადახდევინების მიქცევა, ქონებაზე ყადალის დადება, ყადალადადებული ქონების რეალიზაცია, საბანკო ანგარიშზე საინკასო დავალების წარდგენა, გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნალი ფულის ამოლება). ცრუმაგიერ პირს წარმოშობს რეალური პირის ქმედება – თავი აარიდოს გადასახადის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებას და შესაბამისი ქონება მანამდე გადასცეს ცრუმაგიერ პირს, ვიდრე მის მიმართ განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები.

საკასაციო სასამართლო ყურადლებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ი/მ ი. კ-ემ საგადასახადო ორგანოს მიერ მისი შემოწმების თაობაზე 2013 წლის 3 დეკემბრის აქტის გამოცემის შესახებ შეტყობინებისთანავე, თავის საკუთრებაში აღრიცხული უძრავი ქონება 2013 წლის 17 დეკემბრის ჩუქების ხელშეკრულებების საფუძველზე გადააფიორმა მეუღლებე – მ. ს-ზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი/მ ი. კ-ის მიერ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარზაციის დაწყების შემდგომ უძრავ/მოძრავი ქონების გადაფიორმება და სამეწარმეო საქმიანობის შეჩერება, მიზნად ისახავს გადასახადის გადახდევინების ღონისძიებებისგან თავის არიდებას.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გადამხდელის მიერ კუთვნილი საგადასახადო ვალდებულებების შესრულება, როგორც წესი არ უკავშირდება საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო მოთხოვნის გამოცემას, რამდენადაც საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გადასახადის გადამხდელი ვალდებულია შესარულოს საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით. ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირს საგადასახადო ვალდებულება ეკისრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ იმ გარემოებათა წარმოქმნის მომენტიდან, რომლებიც ითვალისწინებს გადასახადის გადახდას. ამდენად, გადასახადის გადამხდელის მიერ, მის საკუთრებაში არსებული აქტივების ნებისმიერი, თუნდაც კანონით დადგენილი წესით განკარგვა, მას შემდეგ რაც შეიტყო საგადასახადო ორგანოს მიერ მისი საქმიანობის მოსალოდნელი შემოწმების შესახებ, უკვე წარმოშობს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლით გათვალისწინებული ცრუმაგიერი მფლობელობის დადგენის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ საქმეზე შეუძლებელია მოპასუხედ დასახელებული პირების ერთმანეთისაგან განსხვავება იმ სამეწარმეო აქტივობებში, რამაც განაპირობა შეუსრულებელი საგადასახადო დავალიანების დაგროვება, კერძოდ, სასამართლომ ამა თუ იმ პირების ცრუმაგიერობის შესამოწ

მებლად მხედველობაში უნდა მიიღოს არა ის გარემოება, თუ რამდენად შესაძლებელია გვაროვნულად, სამართლებრივი ფორმით ან საიდენტიფიკაციო ნომრით სუბიექტების ერთმანეთისაგან განსხვავება, არამედ ამოსავალი და უმნიშვნელოვანესი უნდა იყოს ის ბიზნესაქტივობა, რომელიც განაპირობებს შემოსავლის მიღებას. უმნიშვნელოვანესია, რომ ცრუმაგიერობის დასაღენად შეფასდეს, თუ რამდენად არის შესაძლებელი დაირღვეს მიჯნა სხვადასხვა იურიდიული/ფიზიკური პირების ბიზნესსაქმიანობას შორის (იხ. სუსგ. 14.06.2018 წლის საქმე №ბს-1195-1189(კ-17)). აღნიშნული სამართლებრივი ინსტრუმენტის მიზანია დაიცვას საგადასახადო ორგანოს, როგორც კრედიტორის, უფლებების.

ზემოაღნიშნული მსჯელობის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ი/მ ი. კ-ე, მ. ს-ი, მ. ხ-ი და შპს „...“ წარმოადგენენ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებს. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები ცალსახად ადასტურებენ დასახელებული პირების ერთმანეთისაგან გამიჯვნის შეუძლებლობას, რაც დასტურდება შემდეგი ფაქტებით: ი/მ ი. კ-ის მიერ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის დაწყებისთანავე თავის საკუთრებაში აღრიცხული უძრავი ქონების 2013 წლის 17 დეკემბრის ჩუქების ხელშეკრულებების საფუძველზე მეუღლეზე – მ. ს-ზე გადაფორმება; ი/მ ი. კ-ის მიერ 2016 წლის 24 ივნისს საკონტროლო-სალარო აპარატების ... და ... რეგისტრაციიდან მოხსნა, რომელიც შემდეგ დარეგისტრირდა ი. კ-ის ქვისლის – მ. ხ-ის მიერ დარეგისტრირებულ შპს „...“ სახელზე; შპს „...“ მიერ საქმიანობის გაგრძელება იმავე მისამართზე, რა მისამართზეც ფუნქციონირებდა ი/მ ი. კ-ე; ი. კ-ის და მისი შვილის შპს „...“ დასაქმება და ხელფასის აღება; ასევე შპს „...“ დაფუძნებამდე ი/მ ი. კ-ესთან დასაქმებული მ. ხ-ის მიერ საქმიანობის გაგრძელება შპს „...“, 2016 წლის 29 ივნისიდან განცხადებით მიმართვა მარეგისტრირებული ორგანოსათვის და სამენარმეო საქმიანობის შეჩერება. ზემოაღნიშნული გარემოებები ნათლად ადასტურებს, რომ დასახელებული პირების ერთმანეთისაგან განსხვავება მოცემული ბიზნესსაქმიანობიდან გამომდინარე, შეუძლებელია.

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ სახეზეა საოჯახო ბიზნესი და მოგების მიღების საერთო მიზანი. ასევე სახეზეა ერთი სამართლებრივი ფორმით საქმიანობის შეჩერება და იმავე სამართლებრივი სიკეთეების საშუალებით (ერთი და იგივე სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები) ახალი სუბიექტის მიერ სამენარმეო საქმიანობის გაგრძელება. მოცემულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს გააჩნდა მოლოდინი შეუსრულებელი საგადასახადო ვალდებულების დაკის-

რების თაობაზე, რის შემდეგაც ეტაპობრივად განახორციელა მის საკუთრებაში არსებული აქტივების ოჯახის წევრებზე განკარგვა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი/მ ი. კ-ის მიერ განხორციელებულ ქმედებათა ჯაჭვი მიზანმიმართულია გადასახადებისა და საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებების თავის არიდებისათვის, რაც ქმნის ი/მ ი. კ-ის, მ. ს-ის, მ. ხ-ისა და შპს „...“ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად აღიარების საფუძველს.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტაციით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტზე, რომელსაც აქვს არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად, გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართლწარმოებაში. მითითებული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები). ამასთან, სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტის საფუძველზე. ფაქტის დადასტურებას აქვს არა მარტო საპროცესო, არამედ მატერიალურსამართლებრივი მნიშვნელობა.

მოცემულ შემთხვევაში, სახეზე საგადასახადო ვალდებულებების მქონე გადასახადის გადამხდელის – ი/მ ი. კ-ის მხრიდან საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადასახადის გადამხდელის ვალდებულებების – გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების მიზნით მ. ს-თან, მ. ხ-სა და შპს „...“ ისეთ კავშირში შესვლა, რომ პრაქტიკუ-

ლად შეუძლებელია მათი ერთმანეთისაგან განსხვავება, რამდენადაც მათ შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა მხოლოდ ფორმალურია და ატარებს ფიქციურ ხასიათს, რომელიც საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების მიქცევის თავიდან არიდებას ემსახურება, რაც მოპასუხეთა ცრუმაგიერობაზე მიუთითებს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა – სსიპ შემოსავალების სამსახურმა დაადასტურა ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც საფუძვლად უდევს მის მოთხოვნას. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსხილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევა, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები), ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაქმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 25 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ს :

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 25 იანვრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სსიპ შემოსავლების სამსახურის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

4. ი/მ ი. კ-ე, მ. ს-ი, მ. ხ-ი და შპს „...“ ცნობილ იქნენ ერთმანეთის ცრუმაგიერ პირებად;

5. მოპასუხეებს – ი/მ ი. კ-ეს, მ. ს-ს, მ. ხ-ს და შპს „...“ სოლიდა- რულად დაეკისროთ სამივე ინსტანციის სასამართლოში გადასახ- დელი სახელმწიფო ბაჟის – (100+150+300) 550 ლარის გადახდა სა- ხელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ შემდეგ ანგარიშზე: ქ. თბი- ლისი, სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ან- გარიშის №200122900, სახაზინო კოდი №300773150;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. საგადასახადო სამართალდარღვევა და აუდიტი

აუდიტორული ფინანსური გენერიშების წარმოების
ცენტ

განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-35-34(3კ-17)

13 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ქმედების განხორციელების დავალება, ინდივი-
დუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის
დავალება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ა...“ 2015 წლის 30 ივნისს აღძრა სარჩელი საქართველოს
ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მი-
მართ, მოსარჩელემ სარჩელის საბოლოოდ დაზუსტების შემდეგ
მოითხოვა: 1. დაევალოს მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამი-
ნისტროს, მოახდინოს შესაბამისი ინიცირება, რათა შპს „...“ ჩარ-
თულ იქნეს „სანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგა-
რიშების განმახორციელებელ ან/და აუდიტორული დასკვნების
გამცემ პირთა და სახელმწიფო სანარმოთა ნუსხის დამტკიცების
შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360
დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში; 2. დაევალოს მოპასუხე
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინის-
ტროს მოახდინოს შესაბამისი ინიცირება, რათა შპს „...“ ჩართულ
იქნეს „სანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშებე-
ბის განმახორციელებელ ან/და აუდიტორული დასკვნების გამცემ
პირთა და სახელმწიფო სანარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგე-
ნილებით დამტკიცებულ ნუსხაში; 3. დაევალოს მოპასუხე საქარ-
თველოს მთავრობას, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრი-
ვი აქტი და შპს „...“ ჩართოს „სანარმოებისათვის აუდიტირებული

ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო სანარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 2014 წლის 2 ივნისიდან რამდენიმეჯერ მიმართა ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, რათა მათი ინიცირების გზით და საქართველოს მთავრობის დადგენილებით შპს „ა...“ ჩართული ყოფილიყო „სანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო სანარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით გათვალისწინებულ ნუსხაში. აღნიშნულ ნუსხაში კომპანიები რეგისტრირდებოდნენ 2009, 2012, 2013 და 2014 წლებში. აღნიშნულზე მოსარჩელემ მიიღო ფინანსთა სამინისტროს პასუხის, რომლის მიხედვითაც არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა. მიზეზად უთითებდნენ იმ გარემოებას, რომ „არც საქართველოს საგადასახადო კოდექსით და არც მთავრობის დადგენილებით არ არის გათვალისწინებული ის კრიტერიუმები, რის საფუძველზეც შესაძლებელია პირი მოხვდეს ამ ნუსხაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობით უკვე მიმდინარეობს ამ კრიტერიუმების განსაზღვრა და საერთო წესის დადგენა, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც მოხდება სანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხის დაზუსტება (განსაზღვრა)“. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სამინისტრო ამ პასუხს სხვადასხვა ფორმულირებით ინერებოდა 2013 წლის მაისიდან. ამასთან, მოსარჩელის კითხვაზე – რის საფუძველზე არიან ჩართული კომპანიები ამ სიაში, ან კრიტერიუმების და საერთო წესის განსაზღვრამდე ფინანსთა სამინისტრო ან შემოსავლების სამსახური ეყრდნობა თუ არა ნუსხაში უკვე არსებული 14 კომპანიის ექსპერტიზას ან/და ჩატარებული აუდიტის შედეგებს, პასუხი არ მიუღიათ.

ეკონომიკის სამინისტროს უმოქმედობა და ფინანსთა სამინისტროს პასუხები შპს „ა...“ მიერ გასაჩივრებულ იქნა პრემიერმინისტრთან, რომლის პასუხად განემარტათ ეკონომიკური საბჭოს პოზიცია და მათი საჩივარი კვლავ გადააგზავნეს ფინანსთა სამინისტროში. ამ უკანასკნელისაგან 2014 წლის 11 ნოემბერს პასუხად მიიღეს, რომ „უკვე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა საერთო წესის შესამუშავებლად“.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 2015 წლის 22 აპრილს მათ ხელახლა მიმართეს განცხადებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და მოითხოვეს მათი უწყებიდან ინიცირების გზით ჩაირთოს შპს „ა...“ „სანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო სანარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით გათვალისწინებულ ნუსხაში, რაზეც პასუხი ვერ მიიღეს და საჩივრით მიმართეს ზემდგომ ორგანოს – საქართველოს მთავრობას. საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული საქართველოს მთავრობის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2016 წლის 3 თებერვლის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციულ სამართალნარმოებაში მოსარჩელე შპს „ა...“ უფლებამონაცვლედ მიჩნეულ იქნა შპს „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილებით, შპს „...“ სარჩელი არ დაკამაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩინორა შპს „...“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარი დაკამაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2016 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს „...“ სარჩელი დაკამაყოფილდა; დაევალა მოპასუხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, მოახდინოს შესაბამისი ინიცირება, რათა შპს „...“ ჩართულ იქნეს „სანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო სანარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში; დაევალა მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინიტროს მოახდინოს შესაბამისი ინიცირება, რათა შპს „...“ ჩართულ იქნეს „სანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო სანარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში; დაევალა მოპასუ-

ხე საქართველოს მთავრობას, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შპს „...“ ჩართოს „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება, ასევე ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესებს, რის გამოც არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებისა და საქართველოს მთავრობისათვის ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალდებულების საფუძველი, რომლითაც შპს „...“ ჩართული იქნება „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში.

სააპელაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის მიხედვით, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 33¹-ე მუხლის მიხედვით, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო ინდივიდუალურ ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების უარი ქმედების გან-

ხორციელებაზე უკანონოა, ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას და ინტერესს, რის გამოც პალატის მოსაზრებით არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილებისა და მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის დავალდებულების საფუძველი მოახდინონ შესაბამისი ინიცირება, რათა შპს „...“ ჩართულ იქნეს „სანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო სანარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხერებისათვის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის ქმედების განხორციელების დავალება, კერძოდ, მოახდინონ შესაბამისი ინიცირება, რათა შპს „...“ ჩართულ იქნეს „სანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო სანარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში. პალატამ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, დამტკიცდა სანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხა (დანართი №1). საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებული „სანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხის“ (დანართი №1) მიხედვით, სანარმოებს დასაბეგრი ქონების ღირებულების განსაზღვრის მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტების მიხედვით გათვალისწინებული აფასების გალდებულება არ წარმოშობათ, თუ ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებას აღრიცხავენ გადაფასების მეთოდის გამოყენებით და აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი პირის აუდი-

ტირებული ფინანსური ანგარიშგება. ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“ და „კ“ ქვეპუნქტებიდან გამომდინარე, პრივატიზების განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ქონების შემძენ/მმართველ/მოსარგებლე პირებს მოსთხოვოს ექსპერტიზის ან/და აუდიტის ჩატარების მიზნით მიმართონ ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს: ა) სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს; ბ) ფ... (P...); გ) დ... (D...); დ) ქ... (K...); ე) ე... (E...); ვ) გ... (G...); ზ) ბ... (B...); თ) ბ... (B...); ი) ს... (S...); კ) პ. (P.); ლ) ბპს „კ...“ (R...-ის წევრი); მ) ბპს „ა...“ (M...); ნ) ბპს „ფ...“ (F...); ო) ბპს „კ...“.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სწორად მიუთითა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №54 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს მთავრობის რეგლამენტზე, რომლის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კონსტიტუციის, კანონების, პრეზიდენტის ნორმატიული აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად იღებს დადგენილებებსა და განკარგულებებს, რომელთაც, ამ რეგლამენტით დადგენილი წესით, ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი. მითითებული რეგლამენტის მეორე თავი არეგულირებს სამართლებრივი აქტის პროექტის ინიციატივისა და შემუშავების წესს, რომლის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი შეიცავს პროექტის ინიციატივის უფლების მქონე უწყებების ჩამონათვალს, ამავე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კი, პრეზიდენტისა და პარლამენტის სამართლებრივი აქტებით მთავრობისათვის გაცემულ დაგალებათა შესრულების მიზნით პროექტის ინიციატივას უზრუნველყოფს შესაბამის დარგში პოლიტიკის გამტკარებელი სამინისტრო(ები), სახელმწიფო მინისტრის აპარატ(ები). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ასეთი ორგანოს დადგენა, მას განსაზღვრავს მთავრობის კანცელარიის უფროსი. ხოლო მე-9 მუხლით განსაზღვრულია პროექტის ინიციატივის წესი, რომლის თანახმად, ინიციატორი უწყება ამ რეგლამენტით დადგენილი წესით შემუშავებულ სამართლებრივი აქტის პროექტს ელექტრონული ფორმით (pdf ფაილის სახით) მთავრობის წევრებს შესათანხმებლად უგზავნის „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამის მეშვეობით. ინფორმაცია საკითხის ინიციატივის შესახებ შესაბამის პროექტთან ერთად ელექტრონული ფორმით ეგზაგნება მთავრობის კანცელარიას.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევ-

ვაში, მოსარჩელემ მოითხოვა აღნიშნულ სფეროში პოლიტიკის გამტარებელი უწყებებისათვის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის შესაბამისა ინიცირების განხორციელების დავალება, კერძოდ, შპს „...“ „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშების განმახორციელებელ ან/და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში ჩართვის თაობაზე ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის წარდგენის დავალება.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ ასევე მართებულად მიუთითა, რომ ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, სამინისტროებს მიენიჭათ ფართო დისკრეციული უფლებამოსილება, კანონის საფუძველზე მიიღონ გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის წინაშე პროექტის ინიცირების თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებასთან გვაქვს საქმე, როდესაც სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობისა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში, მას რჩება შესაძლებლობა, აირჩიოს მისაღები ღონისძიება. ასეთ შემთხვევაში კანონი ერთ კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს არ განსაზღვრავს, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას, თვითონ განსაზღვროს სამართლებრივი შედეგები, იმდენად, რამდენადაც ორ ან რამდენიმე შესაძლო სამართლებრივ შედეგს ადგენს და აძლევს ორგანოს შესაძლებლობას, აირჩიოს ყველაზე მისაღები საშუალება. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულმა უფლებამოსილებამ შეიძლება მოიცავას ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის შესაძლებლობა – კონკრეტულ შემთხვევაში განახორციელოს თუ არა რაიმე ღონისძიება ან მისაღები ღონისძიებებიდან რომელი გამოიყენოს. თუმცა, მიუხედავად საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული მსჯელობისა, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება შეზღუდულია კანონის მოთხოვნებით, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ამ უფლებამოსილების განხორციელების დროს. კერძოდ, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყეტად მინიჭებული აქს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გა-

ნახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. იმავე კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღწებადაც იგი გამოიცა. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებშა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. ამდენად, კანონი ცალსახად ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომ დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს მხოლოდ კანონით დადგენილ ფარგლებში და მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. ასევე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების დროს გაითვალისწინოს საჯარო და ეკრძო ინტერესების პროპორციულობა, კერძოდ, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღწებადაც იგი გამოიცა, ასევე, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. გარდა ზემოაღნიშნულისა, ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება ადმინისტრაციული წარმოების დროს საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევა და მის მიერ გამოცემული აქტის თუ რეალაქტის დასაბუთება, მით უფრო მაშინ, როდესაც იგი უარს ეუბნება განმცხადებელს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე“. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „დაუშვებელია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ“. საქართველოს ზოგადი ადმინისტრა-

ციული კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. იმავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში ვერ დგინდება, თუ რა მიზეზების გამო უთხრეს მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და შესაბამის ინიცირებაზე უარი, რათა შპს „...“ ჩართული ყოფილიყო „სანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საქსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პართა და სახელმწიფო სანარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში. საქმეში წარმოდგენილ წერილობით დოკუმენტებში უარის თქმის მიზეზები მითითებული და განმარტებული არ არის. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიზანია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ისე უთხრეს უარი მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომ მოსარჩელის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებულმა ზიანმა არსებითად გადააჭარბა იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. ასევე, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა გამოიწვია მოსარჩელის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. კერძოდ, მოსარჩელეს შეეზღუდა სამენარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება. დაირღვა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მოთხოვნები, რომლის თანახმად, ამ კანონის მიზანია საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა, კერძოდ: ა) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა; ბ) ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისათვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა; გ) ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა; დ) ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანას-

წორუფლებიანობის პრინციპის დაცვა; ე) დომინირებული მდგომა-რეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა; ვ) სახელმწიფო, ავ-ტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლო-ბა, რომელიც ინგენს კონკურენციის არამართლზომიერ შეზღუდ-ვას; ზ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღები-სას მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინა-ციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ასევე, საქარ-თველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ვალ-დებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკუ-რენციის განვითარებას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემო-აღნიშნულ ნუსხაში შეყვანაზე დაუსაბუთებელი უარით მოსარჩე-ლეს შეეზღუდა თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის შე-საძლებლობა შესაბამის აუდიტორული საქმიანობის სფეროში.

სააპელაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიმართ დგინდება დისკრიმინაციული მიღვომის ნიშნები. სააპელაციო პა-ლატამ განმარტა, რომ „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრი-მინაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის (მიერთებულია სა-ქართველოც) პირველი მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „დისკრიმინა-ცია“ მოიცავს: ა) ყოველგვარ განსხვავებას, დაუშვებლობას, ან უპი-რატესობას რასის, კანის ფერის, რელიგიის, სქესის, პოლიტიკური მრნამსის, უცხოელების ან სოციალური წარმომავლობის ნიშნით, რომელიც ინვევს შრომისა და დასაქმების სფეროში შესაძლებლო-ბების ან მოპყრობის თანასწორობის მოსპობას ან დარღვევას; ბ) ყოველგვარი სხვა განსხვავების დაუშვებლობას ან უპირატესო-ბას, რომელიც ინვევს შრომისა და დასაქმების სფეროში შესაძლებ-ლობების ან მოპყრობის თანასწორობის მოსპობას ან დარღვევას და რომელსაც შესაბამისი წევრი განსაზღვრავს მეწარმეთა და მშრომელთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან, სადაც ასე-თები არსებობს, და სხვა შესაბამის ორგანოებთან კონსულტაცი-ით. დისკრიმინაციად არ ჩაითვლება ნებისმიერი განსხვავება, და-უშვებლობა ან უპირატესობა განსაზღვრული სამუშაოს მიმართ, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება. ამ კონვენციის მიზ-ნებისათვის ტერმინი „შრომა“ და „დასაქმება“ მოიცავს პროფესი-ული სწავლების, შრომისა და სხვადასხვა საქმიანობის მისაწვდო-მობას, აგრეთვე შრომის ანაზღაურებას და პირობებს. ამდენად, ამ კონვენციის მიზნებისათვის ტერმინი „შრომა“ და „დასაქმება“ ასევე მოიცავს სხვადასხვა საქმიანობის ხელმისაწვდომობას. სააპელა-ციო პალატამ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული კონვენცია ვრცელ-

დება განსახილველ შემთხვევაზეც, სადაც მოსარჩელის მიზანია აუდიტორული საქმიანობის სფეროში თავისი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. ზემოაღნიშნული კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად, ორგანიზაციის ყოველი წევრი, რომლისთვისაც კონვენცია ძალაშია, კისრულობს ვალდებულებას განსაზღვროს და განახორციელოს ეროვნული პოლიტიკა, რომლის მიზანია ეროვნული პირობებისა და პრაქტიკის შესაბამისი მეთოდებით წაახალისოს შესაძლებლობების და მოპყრობის თანასწორობა შრომისა და დასაქმების სფეროში, რათა აღმოფხვრას ყოველგვარი დისკრიმინაცია.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა. ასევე, კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონების, დაბადების ან სხვა ნიშნისა. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების მხრიდან ვინმეს დისკრიმინაცია ამ პირველ პუნქტში აღნიშნულ რომელიმე საფუძველზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ზემოაღნიშნული ნორმები ვრცელდება იურიდიული პირების მიმართ დისკრიმინაციის შემთხვევებზეც.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს მიქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. ასევე, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიხედვით, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის მიხედვით, კონსტიტუციაში მითითე-

ბული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რამე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას.

ამდენად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ნორმები ცალსახად ადგენენ კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე ყველას (მათ შორის იგულისხმება სამეწარმეო იურიდიული პირებიც) თანასწორობის პრინციპს და კრძალავენ კანონიერი საფუძვლების არსებობის გარეშე, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში, სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ამდენად, დისკრიმინაცია არის ანალოგიურ ვითარებაში ანუ საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში რომელიმე პირის მიმართ, კანონიერი საფუძვლის გარეშე (აკრძალული საფუძვლით), ანალოგიურ ვითარებაში მყოფ სხვა პირისაგან განსხვავებული მოქცევა ან მის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, როდესაც არ არსებობს მოპყრობაში განსხვავების გონივრული და ობიექტური გამართლება. ბუნებრივია, ასეთ დროს ადგილი აქვს პირის მიმართ კანონიერი საფუძვლის გარეშე მისი კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვას ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლას.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩევეს მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ისე უთხრეს უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომ არ დაუსაბუთეს, „საანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო სანარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხაში შეყვანილ სხვა იურიდიული პირებისაგან განსხვავებით, რომელი კანონით თუ კანონქვემდებარე აქტით დადგენილ მოთხოვნებს და კრიტერიუმებს ვერ აკ-

მაყოფილებდა „მ...“, რათა ისიც შეყვანილი ყოფილყო ზემოაღნიშნულ წესაში. მით უფრო, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქმეში წარმოდგენილი საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის №79/08.05.2015 წერილის მიხედვით, შპს „ა...“ წარმოადგენს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის კორპორაციულ წევრს, რომელსაც გავლილი აქვს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ამავე კანონის მე-6 მუხლის მიხედვით ჩართულია სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე აუდიტორთა რეესტრში.

საქმეზე ასევე დადგენილია, რომ შპს „ა...“ 2014 წლის 29 აპრილიდან ფლობს „M...“ წევრობას საქართველოს ტერიტორიაზე სერვისის განხორციელებაზე და ავტორიზებულია იწოდოს როგორც „M...“ დამოუკიდებელი წევრი კომპანია. საქმეზე ასევე დადგენილია, რომ შპს „ა...“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა შპს „...“. მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების წერილობითი პასუხებით ვერ დგინდება, რომ შპს „...“ წუსხაში შეყვანილ სხვა სუბიექტებისაგან განსხვავდებით გააჩნდა უფრო ნაკლები გამოცდილება, ცოდნა და შესაძლებლობა, ან ვერ აკმაყოფილებდა კანონით გათვალისწინებულ რაიმე სახის კრიტერიუმს, მოთხოვნას, რაც აუცილებელი იყო იმ ფუნქციის შესასრულებლად, რომელიც მას უნდა განხორციელებინა ზემოაღნიშნულ წუსხაში შეყვანის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ადგილი ჰქონდა შპს „...“. მიმართ კანონიერი საფუძვლის გარეშე განსხვავებულ მიდგომას.

ანალოგიურ ვითარებაში მყოფ სხვა სუბიექტებისაგან განსხვავებით, რამაც გამოიწვია მისი კანონიერი უფლების (თავისუფალი სამენარმეო საქმიანობის უფლების) შეზღუდვა და ამ უფლების განხორციელებისათვის ხელის შეწლა ისე, რომ დასაბუთებული არ ყოფილა მის მიმართ ასეთ განსხვავებულ მოპურობაში გონივრული და ოპიექტური გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ. კასატორებმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩე-

ლისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორები მიუთითებენ 2016 წლის 8 ივნისს მიღებულ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის 28-ე მუხლის მე-10 პუნქტით განისაზღვრა, რომ 2017 წლის 1 იანვრიდან გაუქმდეს „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილება.

ამავე დროს საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2016 წლის 8 ივნისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით გაუქმდა ზემოხსენებული მთავრობის დადგენილების მიღების სამართლებრივი საფუძველიც. კერძოდ, საგადასახადო კოდექსში შევიდა ცვლილება და 202-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად „დასაბეგრი ქონების ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აფასება არ ვრცელდება: საწარმოზე, თუ იგი მის ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებას გადაფასების მეთოდის გამოყენებით აღრიცხავს და აქვს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშება. ამასთანავე, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ 4 წლის ვადით“. აღნიშნული ცვლილება ამოქმედდება 2017 წლის 1 იანვრიდან. ამ ცვლილებამდე საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი იყო შემდეგი შინაარსის: „დასაბეგრი ქონების ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აფასება არ ვრცელდება: საწარმოზე, თუ იგი მის ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებას აღრიცხავს გადაფასების მეთოდის გამოყენებით და აქვს საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირების მიერ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება“. აქედან გამომდინარე, 2017 წლის პირველი იანვრიდან უქმდება, როგორც საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილება, ისე მისი სამართლებრივი საფუძველი. საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობისთვის საწარმოებს აღარ მოეთხოვებათ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირების მიერ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება. ვინაიდან, 2017 წლის 1 იანვრიდან უქმდება ნორმატიული აქტი, რომელშიც შპს „...“ შეყვანის ინიციორება დაევალათ მოპასუხეებს. ამდენად კასატორები მიიჩნევენ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილება ვერ იქნება აღსრულებული კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევაში.

კასატორები მიუთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლომ ერ-

თი მხრივ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ სამინისტროებს აქვთ ფართო დისკრეციული უფლებამოსილება, კანონის საფუძვლზე მიიღონ გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის წინაშე პროექტის ინიცირების თაობაზე. თუმცა სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება შეზღუდულია კანონის მოთხოვნებით, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ამ უფლებამოსილების განხორციელების დროს. სასამართლომ იხელმძღვანელა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლით და განმარტა, რომ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღმატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა.

კასატორები მიუთითებენ, რომ სააპელაციო პალატას არ უმსჯელია იმ სიკეთეზე/სარგებელზე, რასაც მოსარჩევე აღნიშნული გადაწყვეტილებით მიიღებდა იმ პირობებში, როცა ნორმატიული აქტი უქმდება 2017 წლის პირველი იანვრიდან. კასატორების მოსაზრებით, სასამართლომ ვერ დაასაბუთა რა მხრივ შეეზღუდა მოსარჩევეს სამენარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება. გაურკვეველია საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებაში ჩართვაზე უარის თქმით, როგორ შეეზღუდა მენარმეს სამენარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება, ვინაიდან, ადმინისტრაციული ორგანოს უარი შპს „...“ არ ართმევდა აუდიტორული საქმიანობის განხორციელების უფლებას.

კასატორებს მიაჩნიათ, რომ სასამართლოს უნდა ემსჯელა მოსარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, ვინაიდან მოთხოვნის უფლების სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება რაიმე მოქმედების განხორციელებაზე ან მოქმედებისაგან თავის შეკავებაზე. არსებული კანონმდებლობის თუ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების გარეშე სასამართლოს არ უნდა დაევალებინა ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელება. კასატორების მოსაზრებით, სასამართლოს უნდა შეეფასებინა, თუ რამდენად ჰქონდა შპს „...“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრულ ნუსხაში მოხვედრის შესაძლებლობა მოქმედი კანონმდებლობის პირობებში.

კასატორები მიუთითებენ, რომ სააპელაციო სასამართლოს საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე არ დაუდგენია, რომ საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ

პირთა ნუსხაში მყოფი პირები და მოსარჩელე იყვნენ ანალოგიურ სიტუაციაში მყოფი პირები, არ გამოუკვლევია არსებობდა თუ არა საქმეზე არსებითად ერთნაირი საქმის გარემოებები და ისე დაადგინა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრიმინაციის ფაქტი. კასატორების მოსაზრებით, თუ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას გავიზიარებთ, გამოდის, რომ არათუ შპს „...“, არამედ საქართველოში არსებული ყველა აუდიტორული კომპანია უნდა იქნეს შეყვანილი საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრულ ნუსხაში, რაც ლოგიკას სრულიად მოკლებულია, რამდენადაც სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია იყო თუ არა საქმეზე არსებითად იდენტური საქმის გარემოებები, ისე დაადგინა საქმეზე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის დარღვევის ფაქტი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 28 თებერვლის განჩინებით საქართველოს მთავრობის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნეს არსებითად განსახილველად; საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი შესწავლისა და ანალიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და ნარმოდგენილი საკასაციო საჩივრების მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის; საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოცემული საქმე ხელახალი განხილვისათვის უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია, რომ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, დამტკიცდა სანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო

და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა წუსხა (დანართი №1). საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებული „სანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა წუსხის“ (დანართი №1) მიხედვით, სანარმოებს დასაბეგრი ქონების ორებულების განსაზღვრის მიზნით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა-„-დ“ ქვეპუნქტების მიხედვით გათვალისწინებული აფასების ვალდებულება არ წარმოეშობათ, თუ ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებას აღრიცხავენ გადაფასების მეთოდის გამოყენებით და აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი პირის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება. ასევე, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „თ“ და „კ“ ქვეპუნქტებიდან გამომდნარე, პრივატიზების განმახორციელებელი ორგანიზაციებამოსილია, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ქონების შემძენ/მმართველ/მოსარგებლე პირებს მოსთხოვოს ექსპერტიზის ან/და აუდიტის ჩატარების მიზნით მიმართონ ქვემოთ ჩამოთვლილ პირებს: ა) სსიპ – ლევან სამხარაულის სახელმწიფო სამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს; ბ) ... (...); გ) ... (...); დ) ... (...); ე) ... (...); ვ) ... (...); თ) ... (...); ი) ... (...); კ) ... (PKF); ლ) შპს „...“ (...); მ) შპს „...“ (MGI); ნ) შპს „...“ (FMG); ო) შპს „...“.

შპს „ა...“ უფლებამოსილმა პირმა რამდენიმეჯერ მიმართა განცხადებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომლითაც მოითხოვა შპს „ა...“, როგორც „M...“ წევრი კომპანიის, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ „სანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა წუსხაში“ ჩართვა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პასუხებით შპს „ა...“ განემარტა, რომ არც საქართველოს საგადასახადო კოდექსით და არც საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით არ იყო გათვალისწინებული ის კრიტერიუმები, რის საფუძველზეც შესაძლებელი იყო პირი მოხვედრილიყო ამ წუსხაში. აღნიშნულიდან გამოდინარე, განმცხადებელს ეცნობა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურთან თანამშრომლობით მიმდინარეობდა ამ კრიტერიუმების განსაზღვრა და საერთო წესის დადგენა, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც მოხდებოდა სანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/

და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხის დაზუსტება (განსაზღვრა). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელს განემარტა, რომ იმ ეტაპზე სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას დაეკმაყოფილებინა მისი მოთხოვნა. საქმეზე ასევე დადგენილია, რომ შპს „ა...“ უფლებამოსილმა პირმა 2015 წლის 22 აპრილსაც მიმართა იგივე მოთხოვნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რაზეც პასუხი არ მიუღია.

შპს „ა...“ უფლებამოსილმა პირმა რამდენიმეჯერ მიმართა განცხადებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსაც, რომლითაც მოითხოვა შპს „ა...“, როგორც „M...“ წევრი კომპანიის, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში ჩართვა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აღნიშნულ განცხადებებზე პასუხი არ გაუცია.

2014 წლის 9 ოქტომბერს შპს „ა...“ უფლებამოსილმა პირმა განცხადებით მიმართა საქართველოს მთავრობასაც, რომლითაც მოითხოვა შპს „ა...“, როგორც „M..“ წევრი კომპანიის, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში ჩართვა. საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 27 ნოემბრის №40109 წერილით განმცხადებელს განემარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 მარტის №54 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობისა რეგლამენტის მე-8 მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, პარლამენტის სამართლებრივი აქტებით მთავრობისათვის გაცემულ დავალებათა შესრულების მიზნით პროექტის ინიციებას უზრუნველყოფდა შესაბამის დარგში პოლიტიკის გამტარებელი სამინისტრო(ები), სახელმწიფო მინისტრის აპარატ(ები). საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილება მიღებული იყო საქართველოს პარლამენტის შესაბამისი აქტის, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლით საქართველოს მთავრობისთვის დაკისრებული ვალდებულების საფუძველზე, ხოლო აღნიშნული აქტით დარეგულირებულ საკითხზე პოლიტიკის გამტარებელ სამინისტროს წარმოადგენდა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. ამდენად, განმცხადებელს ეცნობა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისგან განსხვავებულად, ახალი ადმინის-

ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საქართველოს მთავრობის რეგლამენტით განსაზღვრული წესიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პოზიციის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა მოკლებული იყო შესაძლებლობას დაეკმაყოფილებინა განმცხადებლის 2014 წლის 9 ოქტომბრის განცხადების მოთხოვნა.

შპს „ა...“ უფლებამოსილმა პირმა 2015 წლის 9 ივნისს კვლავ მიმართა განცხადებით საქართველოს მთავრობას, რომლითაც შპს „ა...“, როგორც „M...“ წევრი კომპანიის, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებული სანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში ჩართვა მოითხოვა. საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 23 ივნისის №49899 წერილით შპს „ა...“ ზემოაღნიშნული განცხადება განუხილველად იქნა დატოვებული საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვინაიდან მასში არ იყო მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებები, ხოლო ანალოგიურ მოთხოვნაზე განმცხადებელს პასუხი გაეცა საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 17 ნოემბრის №40109 წერილით.

საქმეზე ასევე დადგენილია, რომ შპს „ა...“ 2014 წლის 29 აპრილიდან ფლობს „M...“ წევრობას საქართველოს ტერიტორიაზე სერვისის განხორციელებაზე და ავტორიზებულია იწოდოს როგორც „M...“ დამოუკიდებელი წევრი კომპანია. ამასთან, შპს „ა...“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ენოდა შპს „...“ (ს/ნ: ...).

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნის – საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ „სანარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში“ შეტანის ინტერესს ნარმობადგენდა მისთვის საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭება. სარჩელის აღდვრის დროს მოქმედი ნორმის თანახმად, დასაბეგრი ქონების ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აფასება არ ვრცელდებოდა სანარმოზე, თუ იგი მის ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებას აღრიცხავდა გადაფასების მეთოდის გამოყენებით და ჰქონდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული პირების მიერ აუდი-

ტირებული ფინანსური ანგარიშგება. საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის მე-2 ნაწილში 2016 წლის 8 ივნისის №5387 კანონით (ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან) განხორციელებული ცვლილების თანახმად, დასაბეგრი ქონების ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“-, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აფასება არ ვრცელდება სანარმოზე, თუ იგი მის ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებას გადაფასების მეთოდის გამოყენებით აღრიცხავს და აქვს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება. ამასთან, 2016 წლის 8 ივნისს მიღებულ იქნა კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, რომლის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეს კანონი ადგენს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგების და ამ კანონით გათვალისწინებული სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის, პროფესიული სერტიფიცირების, აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) განხორციელების და მისი ხარისხის უზრუნველყოფის, აღნიშნულ სფეროებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების და პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივ საფუძვლებს. ამავე კანონის 28-ე მუხლის მე-10 პუნქტი ითვალისწინებს, რომ 2017 წლის 1 იანვრიდან გაუქმდეს „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილება. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ნორმატიული აქტის მიღების (გამოტანა) და მასში ცვლილების შეტანის წესს განსაზღვრავს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი, რომელიც არ იძლევა ძალადაკარგულ ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის შესაძლებლობას. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით საქმეზე დადგენას საჭიროებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოსარჩევის კანონიერი ინტერესის არსებობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის 28-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, აუდიტორული ფირმა, რომელსაც ამ კანონის ამოქმედების თარიღისთვის ჰქონდა სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება, რაც დასტურდება „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ სა-

ქართველოს 2012 წლის 29 ივნისის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 13.07.2012, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.016869) შესაბამისად აკრედიტებული ორგანიზაციის სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე პირთა რეესტრით, ან რომელმაც 2013 წლის 1 იანვრიდან ამ კანონის ამოქმედებამდე ჩატარა სავალდებულო აუდიტი ან 2016 წლის 1 ნოემბრამდე ჩატარა სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, უფლებამოსილია სამსახურს არაუგვიანეს 2016 წლის 30 ნოემბრისა მიმართოს სდპ-ის აუდიტის ჩატარების დროებით უფლებამოსილების მინიჭების თხოვნით. დროებითი უფლებამოსილების მინიჭების წესს ადგენს სამსახური. მინიჭებული დროებითი უფლებამოსილება მოქმედებს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგების გამოვლენამდე. აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭების საფუძველია აუდიტორული ფირმის სარეგისტრაციო განაცხადში მოცემული ინფორმაცია ხარისხის კონტროლის სისტემის შესახებ, სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად აუდიტორული ფირმის მიერ წარდგნილი სხვა ინფორმაცია/დოკუმენტაცია და, საჭიროების შემთხვევაში, იმ მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელსაც პბარდებოდა აუდიტორული დასკვნა/ანგარიში. სდპ-ის აუდიტის ჩატარების დროებითი უფლებამოსილების მინიჭება ხდება 2016 წლის 31 დეკემბრამდე და მოქმედებს არაუგვიანეს 2017 წლის 31 დეკემბრისა. სამსახური ვალდებულია დაასრულოს აღნიშნული უფლებამოსილების მქონე იმ აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი, რომელმაც მას ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით მიმართა, და შესაბამისი შედეგები რეესტრში 2018 წლის 1 იანვრამდე ასახოს. სდპ-ის აუდიტის ჩატარების დროებითი უფლებამოსილება უქმდება, თუ აღნიშნული უფლებამოსილების მქონე პირი 2017 წლის 1 ოქტომბრამდე არ მიმართავს სამსახურს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით. ამასთანვე, იმ ხელშეკრულებით, რომლის მხარეც არის ქონების მმართველი, განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დადასტურებასთან დაკავშირებული აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება 2018 წლის 1 იანვრამდე აქვთ „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 5 სექტემბრის №360 დადგენილებით დამტკიცებულ „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელე-

ბელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში” მითითებულ აუდიტორულ ფირმებს, რომლებსაც ამ მუხლის საფუძველზე მიენიჭებათ დროებითი უფლებამოსილება. ამასთანავე, აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებულ „საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განმახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა ნუსხაში“ მითითებულ პირებს იმ ხელშეკრულებით, რომლის მხარეც არის ქონების მმართველი, განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების დადასტურებასთან დაკავშირებული აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება უნარჩუნდებათ ამ კანონის ამოქმედების თარიღისთვის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურების დასრულებამდე, ხოლო ამ კანონის ამოქმედების შემდეგ 2017 წლის 1 იანვრამდე დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუდიტორული მომსახურების განხორციელების უფლებამოსილება – 2017 წლის 1 მარტამდე. ამასთანავე, ამ პუნქტით გათვალისწინებულმა აუდიტორულმა ფირმებმა სდპ-ებისათვის შეასრულონ 2016 წლის 1 ნოემბრამდე დადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხელშეკრულებებით 2016 წლის საანგარიშგებო ან წინა პერიოდთან მიმართებით ნაკისრი ვალდებულებები. ამავე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, სამსახურმა 2016 წლის 1 ნოემბრამდე უზრუნველყოს ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული დროებითი უფლებამოსილების მინიჭების წესის დადგენა.

ამდენად, საქმეში წარმოდგეგნილი საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის №79/08.05.2015 წერილის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ შპს „...“ წარმოადგენს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის კორპორაციულ წევრს, რომელსაც გავლილი აქვს ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და ამავე კანონის მე-6 მუხლის მიხედვით ჩართული იყო სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე აუდიტორთა რეესტრში. ამასთან, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის ვებგვერდზე (<http://gfpaa.ge/site/index.php?tid=42&color=red&lid=39&sid=44>) საკასაციო საჩივრების განხილვის მომენტის თვის განთავსებული „სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლების მქონე ფირმების რეესტრის“ თანახმად შპს „...“ აუდიტორთა რეესტრში შეყვანის თარიღია 2015 წლის 28 მაისი, რეგისტრაციის №75/1.09.2014, ხოლო ბაზში გაწევრიანების თარიღია 2014 წლის 1 სექტემბერი. აღნიშნულიდან გამომდინარე დასტურდება, რომ მო-

სარჩელე წარმოადგენს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგები-სა და აუდიტის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული უფლების მქონე სუბიექტს. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას უნდა და-ადგინოს, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოსარჩელის კანონიერი უფლე-ბისა და ინტერესისთვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენების არსებობა და რამდენად არსებობს ადმინისტრაციული საპროცე-სო კოდექსის 33-ე მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული ორ-განოებისათვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამო-ცემის დავალების შესაძლებლობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იგი თავად ვერ მიი-ლებს გადაწყვეტილებას საქმეზე, რადგან არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწი-ნებული საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვე-ლი. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართვე-ლოს მთავრობის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სა-ქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ად-მინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნა-წილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს მთავრობის, საქართველოს ფინანსთა სამინის-ტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრა-ციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტი-ლება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სა-სამართლოს;

3. სახელმწიფო ბაჟის საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;

4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივ-რდება.

საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის ნარმოვების ცენტ

გადაცყველება საქართველოს სახელით

№ბს-946-942(კ-17)

17 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა

აღნერილობითი ნაწილი:

მ. კ-ემ 2016 წლის 9 მარტს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო
სასამართლოში სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ. მოსარ-
ჩელები სარჩელის საბოლოოდ დაზუსტების შემდეგ სსიპ შემოსავ-
ლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2015 წლის 6
ნოემბრის №... საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმისა და სისპ
შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 29 იანვრის №... ბრძანების
ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 2015 წლის 6 ნოემბერს მ. კ-ის
კუთვნილ ობიექტზე (მდებარე დუშეთის რაიონი, ს. ...) განხორცი-
ელდა საკონტროლო შესყიდვა სსიპ შემოსავლების სამსახურის
მომსახურების დეპარტამენტის უბნის ოფიციერთა სამბართველოს
თანამშრომლების დ. ბ-ისა და ზ. ა-ის მიერ. კერძოდ, მ. კ-ისგან შე-
ძენილ იქნა ლუდი „...“ 6 ლარად. შედეგად, მ. კ-ის მიმართ 2015 წლის
6 ნოემბერს შედგა №... საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი,
რომლის თანახმადაც მოსარჩელე ახორციელებდა სამენარმეო საქ-
მიანობას გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვე-
ვით, რაც წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის
273-ე მუხლით გათვალისწინებულ საგადასახადო სამართალდარ-
ღვევას და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა 500 (ხუთასი) ლა-
რის ოდენობით.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ არის სოციალურად დაუცველი,
მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ახდენს მხოლოდ სოფ-
ლის პროდუქტებისა და მის მიერ დამზადებული არყის რეალიზა-
ციას. მისმა შვილიშვილებმა დაბადების დღის აღსანიშნავად იყი-
დოს.

დეს ლუდი, თუმცალა 2 ბოთლი არ დალიეს და მაღაზიაში დაუტოვეს. რადგან ლუდი გასაყიდ პროდუქციასთან იდო, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ჩათვალეს, რომ ისიც იყიდებოდა. დამატებითი შემოსავლის მისაღებად, მ. კ-ემ მიყიდა მათ ლუდი. მოსარჩელის მოსაზრებით, მის მიმართ შესაძლებელი იყო გაფრთხილების გამოყენებაც, მაგრამ იმ მოტივით, რომ 2014 წლის თებერვალში მის მიმართ უკვე შედგენილი იყო ოქმი, უარი ეთქვა გაფრთხილების გამოყენებაზე. მ. კ-ის განმარტებით, 2014 წლის თებერვალში შედგენილი ოქმის შესახებ მისთვის უცნობი იყო, იგი ზამთარში არც იმყოფება სოფელში, ოქმში მითითებული შენიშვნა, რომ მან უარი განაცხადა ოქმის ხელმოწერაზე, ასევე არ შეესაბამება სიმართლეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებით მ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩინორა მ. კ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებით, მ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2015 წლის 6 ნოემბრის №... საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და სსიპ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 29 იანვრის №... ბრძანება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში საქალაქო სასამართლომ, მართალია, სწორად მიუთითა სამართლებრივ ნორმებზე, მაგრამ არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და „პ“ ქვეპუნქტების მიხედვით, საგადასახადო ორგანოები ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელთა დროულად აღრიცხვა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე განახორციელონ ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირს

პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლითა და წესით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით, პირის მიერ გადასახადის გა-დამხდელად აღრიცხვის საქართველოს კანონმდებლობით დად-გენილი წესის დარღვევა იწვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. იმავე კოდექსის 66-ე მუხლის პირველი ნაწილის შესა-ბამისად, საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, ასევე პირა-დობის ნეიტრალური მონმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დო-კუმენტის მქონე პირი, გარდა იმ პირისა, რომლის შემოსავალიც იბეგრება წყაროსთან ან გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან, ვალ-დებული არიან ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე განცხადე-ბით მიმართონ საგადასახადო ორგანოს მათოვის საიდენტიფიკა-ციონ ნომრების მინიჭების მიზნით. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მი-ხედვით, გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო რეგისტრაცი-ას (აღრიცხვას) ახორციელებენ საგადასახადო ორგანოები საქარ-თველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით. ეს წესი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა რეგისტრაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს იუს-ტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სა-აგენტო (შემდგომ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო). ამ პირებისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების წესი და პი-რობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემო-სავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმია-ნობის შედეგებისა, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწი-ნებული. მოცემული ნორმების განმარტება ცხადყოფს, რომ ეკო-ნომიკური საქმიანობის განხორციელება უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესითა და ფორმით. კერძოდ, პირმა უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების მოთხოვნით. გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარ-ღვევით ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება კი წარმოად-გენს საგადასახადო სამართალდარღვევას.

სააპელაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ საქართველოს სა-გადასახადო კოდექსის 259-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნ-ქტის თანახმად, „საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების გალდებულებისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირი, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და ახდენს პირად ან საოჯა-ხო მეურნეობაში მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ან

მისგან წარმოებული (გადამუშავებული) საქონლის რეალიზაციას, – საქმიანობის ამ ნაწილში“. განსახილველ შემთხვევაში 2015 წლის 6 ნოემბერს მ. კ-ის კუთვნილ ობიექტზე (მდებარე დუშეთის რაიონი, ს. ...) განხორციელდა საკონტროლო შესყიდვა სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის უბნის ოფიცერთა სამმართველოს თანამშრომლების დ. ბ-ისა და ზ. ა-ის მიერ. კერძოდ, მ. კ-ისგან შეძენილ იქნა ლუდი „...“ 6 ლარად. შედეგად, მ. კ-ის მიმართ 2015 წლის 6 ნოემბერს შედგა №... საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმადაც მოსარჩელე ახორციელებდა სამენარმეო საქმიანობას გადასახადის გადამზდელად აღრიცხვის წესის დარღვევით, რაც წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებულ საგადასახადო სამართალდარღვევას და სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხისა და საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, თითქოს მ. კ-ე ეწეოდა სამენარმეო საქმიანობას გადასახადის გადამზდელად აღრიცხვის წესის დარღვევით. თვით მ. კ-ის ახსნა-განმარტებითა და მონმის სახით დაკითხული გ. ბ-ის ჩვენებით დგინდება, რომ მოსარჩელე ახდენდა მხოლოდ სოფლის პროდუქტებისა და მის მიერ დამზადებული არყოს რეალიზაციას. რაც შეეხება ლუდის რეალიზაციის ფაქტს, მოწმემ (მ. კ-ის შვილიშვილმა) განმარტა, რომ მან დაბადების დღის აღსანიშნავად მეგობრებთან ერთად იყიდა ლუდი, თუმცალა 2 ბოთლი არ დალიეს და მაღაზიაში დარჩათ ბებიასთან. რადგან ლუდი გასაყიდ პროდუქციასთან იდო, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ჩათვალეს, რომ ისიც იყიდებოდა. დამატებითი შემოსავლის მისაღებად, მოსარჩელემ მიყიდა მათ ლუდი. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა მასზედ, რომ მ. კ-ე არ ეწეოდა სამენარმეო საქმიანობას და აღსანიშნული 2 ბოთლი ლუდი წარმოადგენდა მისი შვილიშვილის საკუთრებას, რომელიც შეიძინა დაბადების დღის აღსანიშნავად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორი აღნიშნავს, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამენარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმი-

ანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად, ხოლო მოსარჩევის ეკონომიკური საქმიანობა მიზნად ისახავდა დამატებითი შემოსავლის მიღებას, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, წარმოშობს მენარმედ და გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის გალდებულებას. ამავე კოდექსის 51-ე მუხლის „დ“ და „ბ“ პუნქტების შესაბამისად საგადასახადო ორგანოს ვალდებულებაა – უზრუნველყოს გადასახადის გადამხდელთა დროული აღრიცხვა, გამოვლინოს ფიზიკური პირი, გარდა იმ პირისა, რომლის შემოსავალიც იძეგრება წყაროსთან ან გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან, ვალდებულია ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს მისთვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების მიზნით“. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა.

კასატორის მოსაზრებით, აქტი შედგენილია კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელს უფლება ჰქონდა, მიეცა მოსარჩევისათვის შესაძლებლობა აღმორეცხვრა სამართალდარღვევა, რისთვისაც მას განესაზღვრა 2 სამუშაო დღის ვადა, გადამხდელს კი განსაზღვრული ვადის განმავლობაში უნდა გამოისწორებინა არსებული ხარვეზი. სწორედ არსებული ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 6 ნოემბრის №... საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმით მ. კ-ე დაჯარიმდა – 500 ლარის ოდენობით საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლის შესაბამისად. შესყიდვის პროცედურის დასრულებისთანავე საგადასახადო ორგანოს თანამშრომელთა მიერ მ. კ-ეს წარედგინა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივია აქტი საკონტროლო შესყიდვის ჩატარების შესახებ, ასევე განემარტა უფლება-მოვალეობები, რომ ის სამენარმეო საქმიანობას ახორციელებდა გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესების დარღვევით, რაც წარმოადგენს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებულ საგადასახადო სამართალდარღვევას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი ადმინისტრაციული საპ-

როცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, და-საშვებობის შესამოწმებლად ნარმოებაში იქნა მიღებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივ-რის განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამ-სახურის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გა-რემოვებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს: სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის უბნის ოფიციერთა სამ-მართველოს 2015 წლის 31 აგვისტოს №32921 ბრძანებით საქონ-ლის მიწოდებით ან/და მომსახურების გაწევით მიღებული შემო-სავლების რეალური მოცულობის დადგენის, საქართველოს კანონ-მდებლობის დარღვევის ფაქტის გამოვლენის (საგადასახადო ორ-განოში გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის, საკონტროლო-სა-ლარო აპარატების გამოყენების კონტროლი) მიზნით დადგინდა სა-ქონლის/მომსახურების საკონტროლო შესყიდვის განხორციელე-ბა ან/და საქონლის/მომსახურების საერალიზაციო ფასის შეტყო-ბა საკონტროლო შესყიდვის შეთავაზებით მცხეთა-მთიანეთის ად-მინისტრაციული ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში. საკონ-ტროლო შესყიდვის განხორციელება დაევალა უბნის ოფიციერთა სამმართველოს თანამშრომლებს დ. ბ-სა და ზ. ა-ს. საკონტროლო შესყიდვის განხორციელების ვადად მიჩნეულ იქნა პერიოდი 2015 წლის პირველი სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით.

2015 წლის 6 ნოემბერს მ. კ-ის კუთვნილ ობიექტზე (მდებარე დუშეთის რაიონი, ს. ...) განხორციელდა საკონტროლო შესყიდვა უბნის ოფიციერთა სამმართველოს თანამშრომლების – დ. ბ-ისა და ზ. ა-ის მიერ, კერძოდ, მ. კ-ისგან შეძენილ იქნა ლუდი „...“ 6 ლარად. მ. კ-ის მიმართ 2015 წლის 6 ნოემბერს შედგა №... საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმადაც, მოსარჩელე ახორციელებდა სამეწარმეო საქმიანობას გადასახადის გადამხდე-ლად აღრიცხვის წესის დარღვევით, რაც ნარმოადგენს საქართვე-ლოს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებულ საგადასახადო სამართალდარღვევას. აღნიშნულის საფუძველზე სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2015 წლის 6 ნოემბრის №... საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმით მ. კ-ე დაჯარიმდა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. საგადა-სახადო სამართალდარღვევის ოქმში მითითებულია, რომ მ. კ-ემ უარი განაცხადა მის ხელმოწერასა და ერთი ეგზემპლარის ჩაბარე-ბაზე.

სსიპ შემოსავლების სამსახურის თანამშრომელთა მიერ 2015 წლის 6 ნოემბერს შედგენილ იქნა საკონტროლო შესყიდვის შედეგების შესახებ ოქმი. ოქმის მიხედვით, მ. კ-ისგან შესყიდულ იქნა ლუდი „....“ 6 ლარად. ამასთან, ოპერაციის გაუქმების შედეგად გადახდილი თანხა დაბრუნებულ იქნა გამყიდველის მიერ.

2015 წლის 7 დეკემბერს მ. კ-ემ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურს მომსახურების დეპარტამენტის 2015 წლის 6 ნოემბრის №... საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმისა და მის საფუძველზე დაკისრებული ფულადი ჯარიმის გაუქმების მოთხოვნით. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 29 იანვრის №... ბრძანებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ბრძანებაში აღინიშნა, რომ შესყიდვის პროცედურის დასრულებისთანავე საგადასახადო ორგანოს თანამშრომელთა მიერ მ. კ-ეს წარედგინა პირადობის დამადასტურებელი (სამსახურებრივი) მოწმობა, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება) საკონტროლო შესყიდვის ჩატარების შესახებ, განებმარტა უფლება-მოვალეობები და ასევე საკონტროლო შესყიდვით დადგენილი ფაქტი, რომ ის სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებდა გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესების დარღვევით, რაც წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებულ საგადასახადო სამართლდარღვევას.

2014 წლის 14 თებერვალს მოსარჩელე მ. კ-ის მიმართ შედგენილი იქნა საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოფხვრის ვადის განსაზღვრის აქტი №006680, რომლის მიხედვითაც, მ. კ-ე ახორციელებდა ვაჭრობას რეგისტრაციის გარეშე, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლით წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას. ამასთან, საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად მ. კ-ეს განესაზღვრა 2 (ორი) სამუშაო დღე. აქტში აღნიშნულია, რომ მ. კ-ემ უარი განაცხადა მის ხელმოწერაზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 აპრილის №95304 მიმართვის თანახმად, მ. კ-ე არ არის რეგისტრირებული ინდივიდუალურ მეწარმედ.

სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის 2016 წლის 11 მაისის №56360-21-11 სამსახურებრივი ბარათის მიხედვით, 2014 წლის 14 თებერვალს მ. კ-ემ უარი განაცხადა დოკუმენტის ჩაბარებაზე, მასზე ხელის მოწერაზე. ვინაიდან საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოფხვრის ვადის განსაზღვრის აქტის ასახვა გადამხდელის პირად ბარათზე

არ ხდება, მისი ელექტრონულად ჩაბარება ვებგვერდზე გაგზავნის გზით შეუძლებელია. ამასთან, გადამხდელს არც მომსახურების სერვისცენტრისთვის მიუმართავს აქტის ჩაბარების თხოვნით.

„სამართალდარღვევის აღრიცხვის პროგრამაში“ აღრიცხულია მ. კ-ის მიმართ შედგენილი 2014 წლის 14 თებერვლის №006680 აქტი, რომელზეც მითითებულია, რომ პირმა არ ჩაიპარა, ასევე, ატ-ვირთულია 2015 წლის 6 ნოემბრის №... საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს. აღნიშნულ გარემოებებს სადავოდ არ ხდის არც კასატორი. საკასაციო საჩივარი ეფუძნება სააპელაციო სასამართლოს მიერ კანონის არასწორ გამოყენებას და საქმის ფაქტობრივი გარემოებების არასწორ სამართლებრივ შეფასებას, რასაც საკასაციო სასამართლო იზიარებს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ და „პ“ ქვეპუნქტების მიხედვით, საგადასახადო ორგანოები ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ გადასახადის გადამხდელთა დროულად აღრიცხვა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე განახორციელონ ადმინისტრაციული წარმოება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. ამავე კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლითა და წესით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საგადასახადო პასუხისმგებლობის ღონისძიებების გამოყენებისათვის აუცილებელია სამი საფუძველი: ნორმატიული, ე.ო. უნდა არსებობდეს ნორმა, რომელიც ადგენს ვალდებულებას და სანქციას მისი შეუსრულებლობისთვის, ფაქტიური – საგადასახადო სამართალდარღვევა და პროცესუალური – ნორმისა და საგადასახადო სამართალდარღვევის არსებობის შემთხვევაში უფლებამოსული სუბიექტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით, განსაზღვრავს სახდელს საგადასახადო სამართალდარღვევისათვის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლის მიხედვით, პირის მიერ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევა – ინვევს პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. ამავე კოდექსის 66-ე

მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, ასევე პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირი, გარდა იმ პირისა, რომლის შემოსავალიც იბეგრება წყაროსთან ან გათავისუფლებულია დაბეგვრისაგან, ვალდებული არიან ეკონომიკური საქმიანობის დაწყებამდე განცხადებით მიმართონ საგადასახადო ორგანოს მათვის საიდენტიფიკაციო ნომრების მინიჭების მიზნით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო რეგისტრაციას (აღრიცხვას) ახორციელებენ საგადასახადო ორგანოები საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით. ეს წესი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა რეგისტრაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომ – საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო). ამ პირებისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამდენად, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესითა და ფორმით. კერძოდ, პირმა უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭების მოთხოვნით. გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევით ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება კი წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება მოსარჩელის მითითებას იმ გარემოებაზე, რომ იგი ახდენს მხოლოდ სოფლის პროდუქტებისა და მის მიერ დამზადებული არყოს რეალიზაციის. მ. კ-ის განმარტებით, მისმა შვილიშვილებმა დაბადების დღის აღსანიშნავად იყიდეს ლუდი, თუმცადა 2 ბოთლი არ დალიეს და მაღაზიაში დაუტოვეს. რადგან ლუდი გასაყიდ პროდუქციასთან იდო, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ჩათვალეს, რომ ისიც იყიდებოდა. დამატებითი შემოსავლის მისაღებად, მ. კ-მ საგადასახადო ორგანოს თანამშრომლებს მიყიდა ლუდი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასების გაზიარების შესაძლებლობა მ. კ-ის ქმედების შეფასებასთან დაკავშირებით და მიუთითებს,

რომ „მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასა-ქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამონერის, აღიარებული სა-გადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანე-ბის გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორ-ციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამ-ტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების მე-10 მუხლის პირველი პუნ-ქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქონლის/მომსახურების სა-კონტროლო შესყიდვის მიზანია გადასახადის გადამხდელის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის გამოვლენა (მათ შორის: მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორები-სას საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების წესების დარ-ღვევა; საქართველოს ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტის გამო-ყენების წესების დარღვევის გამოვლენა; საგადასახადო ორგანო-ში გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევის ფაქ-ტის დადგენა და სხვ.). აღნიშნული ბრძანების 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოება მოიცავს საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლე-ნისას სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, საქმის განხილვის, სანქციის შეფარდების, გადაწყვეტილების მიღებისა და მიღებუ-ლი გადაწყვეტილებების აღრიცხვის პროცედურებს. 70-ე მუხლით გათვალისწინებულია საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირები, მისი შედგენისა და სამართალ-დამრღვევისათვის გადაცემის წესი. ბრძანების 71-ე მუხლის პირ-ველი პუნქტის მიხედვით, საგადასახადო სამართალდარღვევის საქმე განიხილება სამართალდარღვევის გამოვლენის ადგილზე, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლება-მოსილი პირის მიერ. ბრძანების 71¹ მუხლის პირველი და მე-2 პუნ-ქტების შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვთ, პირს განუსაზღვროს ვადა საგადასახადო სამართალ-დარღვევის აღმოსაფხვრელად ამ მუხლით დადგენილი წესით და დადგენილ შემთხვევებში. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსი-ლი პირის მიერ პირისათვის საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად ვადის განსაზღვრის შემთხვევაში, არ დგება ამ წესის №30 დანართით გათვალისწინებული საგადასახადო სამარ-თალდარღვევის ოქმი. ამავე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილია ვადის განსაზღვრის შესაძლებლობა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სა-მართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ხოლო მე-4 პუნ-ქტით დადგენილია, რომ საგადასახადო სამართალდარღვევათა აღ-მოსაფხვრელად პირს განესაზღვრება 2 სამუშაო დღის ვადა. მი-

თითებული მუხლის მე-5 პუნქტით, ასევე, დადგენილია, რომ პირი-სათვის საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად ვადის განსაზღვრა ფიქსირდება „საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოფხვრის ვადის განსაზღვრის აქტით“, რომელიც დგება წერილობითი ფორმით ორ ეგზემპლარად, რომლიდანაც ერთ-ერთი ბარღება პირს. მე-7 და მე-8 პუნქტების მიხედვით, საგადა-სახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი, გამოვლენილი საგადასა-ხადო სამართალდარღვევის შინაარსის, პირისათვის საგადასახა-დო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად ვადის განსაზღვრი-სა და აქტის ჩაბარების დროის თაობაზე ინფორმაციას, შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით დაუყოვნებლივ ასახავს ერთიან ელექ-ტრონულ ბაზაში. თუ პირი უარს აცხადებს აქტის ჩაბარებაზე, სა-გადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მიერ ერთიან ელექ-ტრონულ ბაზაში შესატანი ინფორმაციის შესაბამის ველში კეთ-დება სათანადო აღნიშვნა და დამატებით მიეთითება აქტის ჩაბა-რებაზე უარის თქმის მიზეზები ან/და პირის განმარტება მათი არ-სებობის შემთხვევაში.

საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს, რომ საქართველოს საგა-დასახადო კოდექსის 271-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სა-გადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს საგადასახადო სამართალ-დარღვევის ოქმს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სამართალ-დარღვევა საგადასახადო შემოწმების აქტითა დაფიქსირებული. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საგადასახადო სამართალ-დარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი სამართალ-დარღვევის ადგილზე განიხილავს საგადასახადო სამართალდარ-ღვევის საქმეს და სამართალდამრღვევ პირს ადგილზევე უფარ-დებს საგადასახადო სანქციას. ამ შემთხვევაში პირს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრება საგადასახადო სამართალდარღვე-ვის ოქმის საფუძველზე, რომელიც ითვლება საგადასახადო მოთ-ხოვნად, ხოლო მე-5 ნაწილის მიხედვით, საგადასახადო სამართალ-დარღვევის ოქმი გასაცნობად წარედგინება სამართალდამრღვევ პირს, რომელსაც უფლება აქვს, წარმოადგინოს განმარტებები და შენიშვნები, რომლებიც აისახება ოქმში ან დაერთვება მას. საგა-დასახადო სამართალდარღვევის ოქმის ერთი ეგზემპლარი ბარღება ან ეგზავნება სამართალდამრღვევ პირს.

მოცემულ შემთხვევაში 2014 წლის 14 თებერვალს მოსარჩევე მ. კ-ის მიმართ შედგენილი საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოფხვრის ვადის განსაზღვრის შესახებ №006680 აქტით დგინ-დება, რომ მ. კ-ე ახორციელებდა ვაჭრობას რეგისტრაციის გარე-შე, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლით

წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას. ამასთან, საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად მ. კ-ეს განესაზღვრა 2 (ორი) სამუშაო დღე. „სამართალდარღვევის აღრიცხვის პროგრამაში“ აღრიცხულია მ. კ-ის მიმართ შედგენილ 2014 წლის 14 თებერვლის №006680 აქტი. №006680 აქტშიც მითითებულია, რომ მ. კ-ებ მის ხელმოწერაზე უარი განაცხადა.

საკასაციო პალატის მოსაზრებით 2014 წლის 14 თებერვალს განხორციელებული შემოწმებისა და №006680 აქტის კანონიერების შემოწმება არ წარმოადგენს განსახილველი დავის საგანს, სასამართლო ვერ იმსჯელებს, რამდენად შეესაბამება მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სინამდვილეს. ამასთან, აქტი შედგენილია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით დადგენილი პროცედურების დაცვით, შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელს უფლება ჰქონდა, მიეცა მ. კ-ისთვის შესაძლებლობა, რომ აღმოეფხრა სამართალდარღვევა. ამასთან, აღნიშნული ვადა კანონმდებლობითაა დადგენილი და მოიცავს 2 სამუშაო დღეს. აქტში, მითითებულია, რომ პირმა უარი განაცხადა მის ჩაბარებაზე. ამასთან, იგი კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვითაა ატვირთული ელექტრონულ ბაზაში, სადაც ასევე აღნიშნულია, რომ პირმა იგი არ ჩაიბარა. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ დაცულია აქტის გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი ფორმალური კანონიერება. ამასთან, დადგენილია, რომ მ. კ-ე 2015 წის 6 ნოემბერს გადამოწმდა საგადასახადო ორგანოს თანამშრომლების მიერ და მას კვლავ დაუფიქსირდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა. მართალია, 2014 წელს მას ორი სამუშაო დღე განესაზღვრა სამართალდარღვევის აღმოფხვრისთვის, მაგრამ კანონმდებლობით არ არის დადგენილი სამართალდარღვევის გამოსწორების გადასახადის გადამოწმების კონკრეტული ვადა. გადასახადის გადამხდელმა კი განსაზღვრული ვადის განმავლობაში უნდა გამოასწოროს არსებული ხარვეზი, რადგან საგადასახადო ორგანოთა მიერ ვერ მოხდებოდა მისი გადასახადის გადამხდელად ავტომატური დარეგისტრირება. სწორედ ამიტომ, სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის 2015 წლის 6 ნოემბრის №... საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმით საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანების მე-4 თავით (საკონტროლო შესყიდვა) გათვალისწინებული პროცედურების დაცვით მ. კ-ე დაჯარიმდა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლის შესაბამისად.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გადასახადის გადამხდელთა უმთავრესი ვალდებულება გადასახადების დროულად და სრულად გადახდაა, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობებიც ამ ვალდებულების სრულყოფილად შესრულებასთანაა დაკავშირებული. გადასახადის გადამხდელად აღრიცხვა კი დაკავშირებულია ამ მოვალეობის ჯეროვან შესრულებასთან, საგადასახადო ორგანოების შესაძლებლობასთან, გააკონტროლონ გადამხდელის მიერ გადასახადის გადახდა. სადაც არ არის ის ფაქტი, რომ მ. კ-ე არ იყო გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებული. ცალსახად დადგენილია ის ფაქტიც, რომ მან მოახდინა ლუდის რეალიზაცია, რაც წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას და პირი ვალდებულია, იყოს გადასახადის გადამხდელად აღრიცხული. მოსარჩელის მითითება, რომ ლუდი შვილიშვილებმა დაუტოვეს და არ იყო განკუთვნილი სამეწარმეო საქმიანობისთვის, რადგან იგი მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და მის მიერ გამოხდილ არაყს ყიდის, არ არის დადასტურებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად სათანადო მტკიცებულებებით.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილია 2014 წლის 14 თებერვალს სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ შედგენილი აქტი მოსარჩელის მიერ 273-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლდარღვევის ჩადენის თაობაზე, რომლითაც მას 2 სამუშაო დღე განესაზღვრა გადასახადის გადამხდელად დადგენილი წესით აღსარიცხად. ცალსახად დადგენილია, ასევე, რომ ლ. კ-ის კუთვნილ ობიექტში შეძენილ იქნა ლუდი „...“ მაშინ, როდესაც ამ პერიოდისთვის მ. კ-ე კვლავ არ იყო რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელად. მოსარჩელის მიერ წარმოადგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები. გარდა იმისა, რომ მას არ ჰქონდა ლუდის გაყიდვის უფლება, რადგან არ იყო აღრიცხული გადასახადის გადამხდელად და აღნიშნული წარმოადგენს სამართალდარღვევას. საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დგინდება ის გარემოება, რომ ლ. კ-ს ლუდი თავიდანვე არ ჰქონია გამიზნული სამეწარმეო საქმიანობისთვის, რამდენადაც სამართალდარღვევას წარმოადგენს პროდუქციის – „ლუდის“ რეალიზაციის ფაქტი გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე და არა მისი შენახვა გასაყიდ პროდუქციასთან ერთად. ამდენად, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირების ქმედება შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, სადაც აქტები კანონს არ ეწინააღმდეგება და უკანონოდ არ ზღუდავს მოსარჩელის უფლებას, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები-

სა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის საპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მ. კ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საპაზო კონტროლი, საგადასახადო
სამართალდარღვევის ჩაღების ფაქტის დადგენა**

**გადაცყვეტილება
საქართველოს სახელით**

№ბა-572-572(2_18)

22 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
6. სხირტლაძე,
3. როინიშვილი

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-
თლებრივი აქტების ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების
დავალება

აღნერილობითი ნაწილი:

2016 წლის 12 სექტემბერს გ. ა-ამ სასარჩელო განცხადებით მი-
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-
მეთა კოლეგიას, მოპასუხებების – სიიპ შემოსავლების სამსახური-
სა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ სიიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარ-
ტამენტის 2015 წლის 15 ნოემბრის №... საგადასახადო სამართალ-
დარღვევის ოქმის, სიიპ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 19
აპრილის №... ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინის-
ტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2016 წლის 12 აგ-
ვისტონ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხების – სიიპ
შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტისათვის მოსარ-
ჩელისათვის ჩამორთმეული საქონლის უკან დაბრუნების დავალე-
ბა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-
თა კოლეგიის 2017 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილებით გ. ა-ას სარ-
ჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის
15 ნოემბერს სიიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ
პუნქტ „ლაგოდეხის“ მიერ გ. ა-ას მიმართ შედგენილია საგადასახა-
დო სამართალდარღვევის ოქმი №.... საგადასახადო სამართალდარ-
ღვევის ოქმის მიხედვით, 2015 წლის 15 ნოემბერს 12:00 საათზე,
საბაჟო გამშვებ პუნქტ „ლაგოდეხის“ ტერიტორიაზე აზერბაიჯა-
ნის მხრიდან შევიდა „....“ მარკის მსუბუქი ავტოსატრანსპორტო სა-

შუალება, რომლის დათვალიერების დროს ავტომობილის სალონში აღმოჩენილ იქნა ხელჩანთა. მძლოლმა განაცხადა, რომ ხელჩანთა ეკუთვნოდა მის ერთ-ერთ მგზავრს. ხელჩანთის მფლობელი აღმოჩნდა რუსეთის მოქალაქე გ. ა-ა, რომელიც შვილთან – ა. ა-თან ერთად ფეხით კვეთდა საზღვარს. მგზავრებმა განაცხადეს, რომ მათ არ ჰქონდათ დეელარიებას დაქვემდებარებული საქონელი. ხელჩანთის დასკანერების შედეგად აღმოჩენილ იქნა არადეკლარირებული ძვირფასი ლითონის ნაკეთობები (ოქრო – 91,91 გრამი, ვერცხლი – 10,87 გრამი), რომლის საბაჟო ლირებულებამ, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გაფორმების მთავარი სამმართველოს საბაჟო ლირებულებისა და საქონლის კლასიფიკაციის სამმართველოს №011803 ექსპერტის დასკვნის მიხედვით, შეადგინა 4 795,83 ლარი. შედეგად, გ. ა-ა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე, დაჯარიმდა 4 795,83 ლარით. გ. ა-ა სამართალდარღვევის ოქმის არ დაეთანხმა და განმარტა, რომ ჩანთის დათვალიერებისას შვილი მის დაუკითხებად პასუხობდა კითხვებზე, ხოლო მას, ხანგრძლივი მგზავრობით დალლილს, დაავაგნყდა ოქრო რომ არ ეკეთა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2015 წლის 15 ნოემბერს საბაჟო გამშვებ პუნქტ „ლაგოდეხის“, თანამშრომლების მიერ გ. ა-ას ჩამოერთვა აღმოჩენილი ნივთები, რაზედაც შედგენილ იქნა საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის ოქმი №69010005136. ოქმის მიხედვით, ჩამორთმეულია შემდეგი საქონელი: 1 ცალი ყელსაბამი არაძვირფასი ლითონის, ვერცხლის საყურე, 2 ცალი ვერცხლის ბეჭედი, ოქროს საათი, ოქროს მონეტა, ოქროს საყურე, ჰალსტუხის ოქროს სამაგრი, ოქროს ჯაჭვი, 2 ცალი ოქროს სამაჯური, ოქროს კულონი, ოქროს ბეჭედი.

გ. ა-ამ საჩივრით მიმართა სსიპ შემოსავლების სამსახურს და საბაჟო დეპარტამენტის 2015 წლის 15 ნოემბრის №... საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმისა და საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის №69010005136 ოქმის გაუქმება მოითხოვა. საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ოქროს სამკაულები მისი საკუთრება იყო, რომლებიც ეკეთა სხეულზე და უსაფრთხოების მიზნით შეინახა ჩანთაში, რაც აღარ ახსოვდა. სსიპ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 19 აპრილის №... ბრძანებით საჩივარი საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის №69010005136 ოქმის ბათილად ცნობის ნანილში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დარჩა განუხილველი. საჩივრის ავტორს განემარტა, რომ ჩამორთმევის ოქმი არ არის ადმინისტრაციული აქტი. დანარჩენ ნანილში საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან შემოსავლების

სამსახურის დავების განხილვის საბჭომ დადასტურებულად მიიჩნია საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, რაც გამოიხატა საქართველოს საბაჟო საზღვარზე მომჩივნის მიერ დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის საბაჟო კონტროლის-გან მალულად/გვერდის ავლით გადმოტანაში.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2016 წლის 29 ივნისს გ. ა-ამ საჩივრით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოს და სსიპ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 19 აპრილის №... ბრძანებისა და 2015 წლის 15 ნოემბრის №... საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის ბათილად ცნობა მოითხოვა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2016 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილებით საჩივარი №12952/2/16 არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს საგადასახადო კოდექსის პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, ეს კოდექსი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგად პრინციპებს, ანესრიგებს საქართველოს საბაჟო საზღვარზე მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გადაადგილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგრამარებას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართალდარღვევის სახეებს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესსა და პირობებს, საგადასახადო დავის გადაწყვეტის წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 207-ე მუხლის „ს“ ქვეპუნქტის მიხედვით, საბაჟო ზედამხედველობა არის შემოსავლების სამსახურის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია საქონლის მიმართ სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების დაცვა, ხოლო „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, საბაჟო კონტროლი არის შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული ცალკეული მოქმედებები, რომელთა მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა.

ამავე კოდექსის 43-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს ეკისრება ამ კოდექსით ან/და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლითა და წესით.

ამავე კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად – ინვეს ვალდებული პირის (ამ მუხლის მე-14 ნაწილით გათვალისწინებულის გარდა) დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით, ან ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, დადგენილია, რომ 2015 წლის 15 ნოემბერს სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ გ. ა-ას მიმართ შედგენილია საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი №..., რომლითაც მოსარჩელე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე, დაჯარიმდა 4 795,83 ლარით.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე სადაცოდედის მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, განმარტავს, რომ ჩანთის დათვალიერებისას შეიღი მის დაუკითხავად პასუხობდა კითხვებზე, მიუთითებს თარჯიმის მოუწვევლობაზე და აღნიშნავს, რომ ოქროს სამკაულები იყო პირადი საკუთრება, რომლებიც უსაფრთხოების მიზნით შეინახა ჩანთაში, რაც აღარ ახსოვდა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 207-ე მუხლის „გ“ და „ქ“ ქვეპუნქტების მიხედვით, დეკლარანტი არის პირი, რომელიც საქონლის დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით ან რომლის სახელითაც ხორციელდება დეკლარირება ამ კარით დადგენილი წესით; საბაჟო დეკლარაცია არის დოკუმენტი, რომლითაც პირი აცხადებს საქონლის მიმართ სასაქონლო ოპერაციის გამოყენების განზრახვას. მითითებული მუხლის „ნ“, „უ“ და „ლ“ ქვეპუნქტების თანახმად, საქონლის წარდგენა არის შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრულ ადგილზე საქონლის მიტანის შესახებ ინ-

ფორმაციის მიწოდება; საქონლის დეკლარირება – ქმედება, რომ-ლითაც პირი აცხადებს საქონლის მიმართ სასაქონლო ოპერაციის გამოყენების განზრახვას, ზოგადი დეკლარირება – საქონელზე იმ ზოგადი მონაცემების წარდგენა, რომლებიც აუცილებელია საბა-ჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელები-სათვის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 215-ე მუხლის პირვე-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, საქონლის საქართველოს სა-ბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა/საბაჟო ტერიტორიიდან გატანა ხორციელდება საბაჟო გამშვები პუნქტის ან საქართველოს ფინან-სთა მინისტრის მიერ განსაზღვრული სხვა ადგილის გავლით და, შესაბამისად, საგალდებულო მისი წარდგენა. ეს ვალდებულება არ ვრცელდება მილსადენით ან ელექტროგადამცემი ხაზით, საზ-ლვაო ან საპარაზო სატრანსპორტო საშუალებით საქართველოს ტე-რიტორიული წყლების ან საპარაზო სივრცის გავლით გადაადგილე-ბულ საქონელზე. საქონელი საბაჟო ზედამხედველობას ექვემდე-ბარება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან გაფორ-მების დასრულებამდე, ხოლო მიზნობრივი დანიშნულებით გაფორ-მებისას – საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან მიზნობრივი და-ნიშნულების დასრულებამდე. საქალაქო სასამართლოს აღნიშვნით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ საქართველოს საბაჟო ტე-რიტორიაზე საქონლის შემოტანამდე ან შემოტანილი საქონლის წარდგენისას ხორციელდება ზოგადი დეკლარირება, ხოლო მე-5 ნაწილის მიხედვით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონ-ლის გატანამდე ხორციელდება ზოგადი დეკლარირება.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს საგადასახა-დო კოდექსის 215-ე მუხლის მე-10 ნაწილზე, რომლის თანახმადაც, საქონლის წარდგენისა და გაფორმების ვალდებულება ეკისრება დეკლარანტს ან/და საქონლის მფლობელს. ამავე კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქონლის გაფორმების მიზ-ნით წარდგენილი უნდა იქნეს საბაჟო დეკლარაცია, რომლის სა-ფუძველზედაც განისაზღვრება სასაქონლო ოპერაცია.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქონლის გაფორმე-ბისას გამოსაყენებელი სასაქონლო ოპერაციების სახეებს ჩამოთ-ვლის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 227-ე მუხლის პირ-ველი ნაწილი, კერძოდ, ესენია: იმპორტი; ექსპორტი; რეექსპორ-ტი; ტრანზიტი; საწყობი; თავისუფალი ზონა; დროებითი შემოტა-ნა; შიდა გადამუშავება; გარე გადამუშავება. მითითებული მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის მიხედვით, საქონლის გაფორმებისას ხორცი-ელდება დეკლარირება. საქონლის გაფორმებისას, სასაქონლო ოპე-რაციის პირობების შესაბამისად, წარმოიშობა კუთვნილი გადასახ-

დელების გადახდის ან/და გარანტიის წარდგენის ვალდებულება. ამავე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით კი დადგენილია, რომ გადა-სახდელების გადახდის ან/და გარანტიის წარდგენის ვალდებულე-ბა ეკისრება დეკლარანტს ან საქონლის მფლობელს.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სასაქონლო ოპერაცი-ები საქონლის მოქცევისა და სასაქონლო ოპერაციების გამოყე-ნების წესებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორია-ზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქ-ციის“ მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საქო-ნელი, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის მომენტი-დან, აგრეთვე საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი სა-ქონელი გაფორმების დასრულების მომენტიდან, ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას და, შესაბამისად, სავალდებულოა მი-სი წარდგენა ამ მუხლით დადგენილი წესით. საბაჟო გამშვებ პუნ-ქტში საქონლის წარდგენის ვალდებულება აქვს საქართველოს სა-ბაჟო საზღვარზე საქონლის გადამაადგილებელ პირს. ამავე ინ-სტრუქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართვე-ლოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის ზოგადი დეკ-ლარირება ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტში, სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არაუგვიანეს 3 სა-მუხაო დღისა, ხოლო გაფორმების ეკონომიკური ზონის დანიშუ-ლებით სხვა სატრანსპორტო საშუალებით (მათ შორის, კონტეინე-რით) გადაადგილებული ან საბაჟო დეპარტამენტის საქონლის გა-ფორმების სამმართველოს დანიშნულებით სარკინიგზზო ტრან-სპორტით გადაადგილებული, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (შემდგომში – სეს ესნ) 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათ-ვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომ-ლის შიგანვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მე-ტია, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამო-მუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პო-ზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის ზოგადი დეკლარირება ხორციელდება გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ან საბაჟო დეპარტამენტის საქონლის გაფორმების სამმარ-თველოში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომ-ლის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემ-თა ავტომატიზებულ ბაზში ინფორმაციის ასახვისას. მითოთებუ-ლი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ზოგადი დეკლარირება ნიშ-ნავს საქონელზე იმ ზოგადი მონაცემების წარდგენას, რომლებიც

აუცილებელია საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის, ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად, ზოგად დეკლარირებას ახორციელებს: а) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანი ან საქონლის ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი; ბ) საქონლის მესაკუთრე ან მისი წარმომადგენელი.

ამასთან, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საქონლის წარდგენისა და გაფორმების ვალდებულება ეკისრება დეკლარანტს/ საქონლის მფლობელს. ამავე ინსტრუქციის 21-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით, საქონლის დეკლარირება შესაძლებელია საბაჟო დეკლარაციის წარდგენით, ზეპირად ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საშუალებით. საბაჟო დეკლარაციის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ან წერილობითი ფორმით. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ფიზიკური პირს დეკლარირების ვალდებულება წარმოქმნა: а) ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი საქონლის შემოტანისას/გატანისას; ბ) თუ მის მიერ შემოტანილი საქონლის რაოდენობა ან/და ლირებულება აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ა“, „დ.ბ“, „დ.გ“, „დ.ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ლირებულებას, ან თუ საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონელი იძეგრება/არ არის გათავისუფლებული იმპორტის გადასახდელებისაგან, ან/და საქონლის შემოტანა შეზღუდულია ან/და საქონლის შემოტანისათვის საჭიროა ნებართვა ან ლიცენზია; გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის შემოტანისას; დ) საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ ნალდ ფულზე (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკებსა ან/და სხვა ფასიან ქაღალდებზე, რომელთა ჯამური ოდენობა აღემატება 30 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში. ე) ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი საქონლის საფოსტო გზავნილით შემოტანისას.

აღნიშნული ინსტრუქციის 49-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია (დანართი №XI-01) იქსება საბაჟო გამშვებ პუნქტში, დეკლარაციის მე-3 ნაწილში მითითებული საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე ბარგით ან/და ხელბარგით გადაადგილებისას, ფიზიკური პირის მიერ ან საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლის მიერ სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ფიზიკური პირის მიერ მინოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია ივსება ფიზიკური პირის სურვილისამებრ – ქართულ,

რუსულ ან ინგლისურ ენაზე. გაურკვევლად შევსებული დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს მიერ არ მიიღება. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, №XI-02 დანართის შესაბამისად შევსებული „დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა“ (შემდგომში – ნუსხა) თან ერთვის ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციას შემდეგ შემთხვევებში: ა) ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთხილი ან/და იმპორტის გადასახდელებით დაუბეგრავ რაოდენბასა და ლირებულებაზე მეტი საქონლის გადაადგილების შემთხვევაში (როგორც საქონლის საქართველოში შემოტანის, ასევე ტრანზიტით გადაადგილების დროს), გარდა ამ საქონელზე გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ან ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციის ნარდგენის შემთხვევებისა; ბ) 15 000 ლარზე ნაკლები საბაჟო ლირებულების საქონლის საქართველოდან გატანის დროს, გარდა ამ საქონლის გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით ან სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების ნარდგენით დეკლარირების შემთხვევისა; გ) ბარგით ან ხელბარგით გადაადგილებული საქონლის დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში (იმპორტის გადასახდელებისაგან სრულად გათავისუფლებით) მოქცევისას; დ) იმ შემთხვევაში, როდესაც პირის მიერ ერთდროულად გადაადგილდება „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონელი, ივსება 2 ნუსხა – ცალ-ცალკე. ე) როდესაც საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემომსვლელი პირი „ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში“ აცხადებს მის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ-ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული იმ საქონლის შემოტანის განზრახვის თაობაზე, რომელიც მასთან ერთად არ გადაადგილდება.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საბაჟო საზღვარზე საქონლის შემოტანა თუ გატანა უნდა მოხდეს კანონმდებლობის სრული დაცვით და პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის იმპორტს, ექსპორტს თუ ტრანზიტს, ვალდებულია, იცოდეს კანონის მოთხოვნები და ზუსტად შეასრულოს ისინი. ამასთან, პირმა უნდა უზრუნველყოს საბაჟო დეპარტამენტისათვის შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა, რაც მიზნად ისახავს საბაჟო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. აღნიშნული მოთხოვნების დარღვევა იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებას, მათ შორის, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადატანა/გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით/მისგან მალულად იწვევს გალდებული პირის დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ლირებულების 100 პროცენტის ოდენობით. განსახილველ შემთხვევაში, გ. ა-ა საბაჟო გამშვები პუნქტის მიერ დაჯარიმებულ იქნა საქარ-

თველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით, რადგან მიჩნეულ იქნა, რომ იგი საბაჟო კონტროლისა-გან მაღულად საქართველოს საზღვარზე გადაადგილებდა ეკო-ნომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილ საქონელს, რადგან სა-ქონელი ექვემდებარებოდა დეკლარირებას, რაც მოსარჩევის მი-ერ არ განხორციელებულა.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ კანონმდებლობით მო-წესრიგებულია სასაქონლო ოპერაციების სახეები და კონკრეტუ-ლი მათგანის გამოყენება სწორედ განსახორციელებელ ქმედება-ზე არის დამოკიდებული. დამატებით მნიშვნელოვანია გადაადგი-ლებული საქონლის ლირებულება, ასევე, რამდენად არის იგი გან-კუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის. ამასთან, მნიშვნელო-ვანია, თუ ვის ეკისრება კანონმდებლობით კონკრეტული სასაქო-ლო ოპერაციის შერჩევა და მასში საქონლის მოქცევა. საბაჟო გამ-შვებ პუნქტში საქონლის წარდგენის ვალდებულება აქვს საქარ-თველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამაადგილებელ პირს, საქონლის წარდგენისა და გაფორმების ვალდებულება ეკისრება დეკლარანტს/ საქონლის მფლობელს. ამდენად, კონკრეტული შემ-თხვევის მიმართ დეკლარირების ვალდებულების არსებობის შემ-თხვევაში, სწორედ გ. ა-ა წარმოადგენდა იმ პირს, რომელსაც უნდა წარედგინა დეკლარაცია და შეერჩია შესაბამისი სასაქონლო ოპე-რაცია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. მოსარჩელე იმ გა-რემოვბაზე მიუთითებს, რომ ოქროს სამკაულები არ იყო განკუთ-ვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის, იგი ატარებდა ამ სამკაუ-ლებს, თუმცალა უსაფრთხოების მიზნით შეინახა ჩანთაში და საბა-ჟო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გადამოწმებისას არ აღნიშნა სამკაულების თაობაზე, რადგან დაავინყდა მათი ხელჩან-თაში შენახვის ფაქტი.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა გან-პირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარე-თა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგული-რებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. განსახილველ შემ-თხვევაში, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, იყო თუ არა საქონელი ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი და მათი ხელჩან-თაში მოთავსება რამდენად ისახავდა მიზნად საქართველოს საბა-ჟო საზღვარზე საქონლის გადატანას საბაჟო კონტროლისაგან მა-ღულად.

საქალაქო სასამართლომ დამატებით მიუთითა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლზე, რომლის პირველი ნაწი-

ლის თანახმად, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედებისა, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხოლო ამავე კოდექსის 207-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი კი, განსაზღვრავს პირადი ნივთის დეფინიციას, კერძოდ, პირადი ნივთი არის მგზავრის პირადი გამოყენებისა და მოხმარებისათვის განკუთვნილი საგანი, რომელიც მგზავრის გადაყვანისას გადაიზიდება ბარგით ან/და ხელბარგით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება და-მატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია და-ასაბუთოს თავისი სარჩელი და წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. მოპასუხე ვალდებულია წარადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) და შესაბამისი მტკიცებულებები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დაგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად აღიარების, ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც გამოსცა ეს აქტი.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული თუ სასამართლო წარმოებისას მიღებული გადაწყვეტილება ეფუძნება მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურ გამოკვლევას, შესწავლასა და შეფასებას. ამდენად, მიუთითებს რა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებაზე, მხარემ უნდა წარადგინოს შესაბამისი ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები. მტკიცებულებას შეიძლება წარმოადგენდეს მხარეთა ახსნა-განმარტება, მონმეთა ჩვენება, ფაქტების კონსტატაციის მასალები, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებები და ექსპერტთა დასკვნები.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გ. ა-ასთვის ჩამორთმეული საქონლის სახეობასა და რაოდენობაზე და განმარტა, რომ აღნიშნული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის პოზიციას სამკაულების მის მი-

ერ ტარების და მხოლოდ უსაფრთხოებიდან გამომდინარე ხელჩან-თაში შენახვის თაობაზე, რამეთუ ჩამორთმეულ საქონელს განე-კუთვნება ორი წყვილი საყურე, ოქროს მონეტა და ჰალსტუხის სა-მაგრი. ამდენად, მითითებული ძვირფასი ნივთების ოდენობისა და დანიშნულებიდან გამომდინარე, სასამართლომ არ გაიზიარა მო-სარჩელის განმარტება, რომ აღნიშნული ნივთები მას დროებით ჰქონდა მოთავსებული ხელჩანთაში და ატარებდა მათ. გარდა ამი-სა, ალსანიშნავია, რომ მოსარჩელე შვილთან ერთად ფეხით კვეთ-და საზღვარს, ხოლო ძვირფასი ნივთებით სავსე ხელჩანთა დატო-ვებული ჰქონდა ავტოსატრანსპორტო საშუალებაში, რომელიც მხოლოდ ეჭვის არსებობის შემთხვევაში სკანერდება და საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ხელჩანთის ვერშემჩნე-ვის შემთხვევაში არ მოხდებოდა მისი დასკანერება.

საქალაქო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხეთა პოზიცია, რომ დეკლარირება მიზნად ისახავს საქონლის წარდგენას, გაცხადებას გარკვეული ქმედების თაობაზე, რათა საგადასახადო ორგანომ შეძ-ლოს საბაჟო კონტროლის სრულყოფილი და ეფექტური განხორცი-ელება. შესაბამისად, დეკლარაციის წარუდგენლობა და საბაჟო საზ-ღვარზე საქონლის მალულად გადატანა ავტომატურად ქმნის სა-გადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს და ამ შემთხვევამი განხსაზღვრელი ვერ იქნება, დეკლარირების განხორ-ციელების შემთხვევაში, შესაბამისი სასაქონლო ოპერაციის შერ-ჩევისას, პირს დაეკისრებოდა თუ არა გადასახადის გადახდა, რა-მეთუ დეკლარირების უპირველესი და უმთავრესი მიზანი სწორედ კონტროლის განხორციელება, ხოლო ამ ვალდებულების შეუსრუ-ლებლობა ქმნის საფრთხეს, რომ კონტროლი ვერ განხორციელდე-ბა და ამასთან, შეუძლებელი ხდება იმის განხსაზღვრაც, რომელი სასაქონლო ოპერაცია უნდა შერჩეულიყო და რამდენად შეასრუ-ლა მხარემ დეკლარაციის წარუდგენლობის ფარგლებში შესარჩევი სასაქონლო ოპერაციიდან გამომდინარე მოთხოვნები. სწორედ ამი-ტომ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებისას საგადასახადო ორგანოს არ ევალება და, უფრო მეტიც, დეკლარა-ციის წარუდგენლობის გამო იგი ვერც უზრუნველყოფს იმ გარემო-ების დადგენას, რამდენად დაეკისრებოდა მხარეს კონკრეტული გადასახადების გადახდა სასაქონლო ოპერაციიდან გამომდინარე.

რაც შეეხება მოსარჩელის განმარტებას, რომ ადგილი არ ჰქო-ნია ბრალეულ ქმედებას, საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქარ-თველის უზნენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №ბს-364-353(კ-13)), სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „სა-გადასახადო სამართალდარღვევა განეკუთვნება ადმინისტრაცი-

ულ სამართალდარღვევათა სპეციფიკურ სახეს, შესაბამისად, მის მიმართ სრულად ვრცელდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემადგენლობის მოთხოვნები. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე №ბს-544-535(კ-12) გ. ბის სარჩელი-სა გამო, მოქალაქეების: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს მიმართ, 2013 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებებსა და სასამართლო დასკვნებს, კერძოდ: „საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის, რომელშიც დეფინირებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება, განმარტავს: ქმედება, რომელიც გამოხატულია პოზიტიური თუ ნეგატიური ფორმით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) კვალიფიცირდება თუ სახეზეა შემდეგი ერთობლიობა: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა“. ამრიგად, მართალია, ბრალის არსებობა უნდა დგინდებოდეს, თუმცალა ბრალეული ქმედება გულისხმობს გაუფრთხილებლობასაც, როდესაც პირი არღვევს აუცილებელი ყურადღებიანობის თუ გულისხმიერების მოთხოვნას და მისი წინდაუხედაობის გამო დგება კონკრეტული შედეგი, განსახილველ შემთხვევაში კი, იმ პირობებში, როდესაც, ერთი მხრივ, არ დასტურდება მხარის მითითება, რომ იგი ყველა სამკაულს ატარებდა და მხოლოდ უსაფრთხოების მიზნით შეინახა ისინი ჩანთაში, ხოლო უსაფრთხოების დაცვიდან გამომდინარე, მანვე საზღვრის კვეთისას ძეირფასი წივთებით დატვირთული ხელჩანთა თან არ ნაიღო, საქალაქო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ ჩადენილი იყო ბრალეული ქმედება.

საქალაქო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ მოსარჩელე დამატებით აღნიშნავს, რომ მოწვეული არ ყოფილა თარჯიმანი. საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 207¹ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა მიხედვით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული პროცედურები ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე

აფხაზურ ენაზე. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება ან/და საგადასახადო ორგანოში წარსადგენი დოკუმენტების შედგენა შეიძლება უცხოურ ენაზედაც. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუეკი მოსარჩელე საჭიროებდა თარჯიმანს, სწორედ მას უნდა მიეთითებინა თარჯიმინის მოწვევის საჭიროებაზე, ხოლო ასეთ მოთხოვნის არსებობა არ დასტურდება, მით უფრო, როდესაც მისი შვილი უზრუნველყოფდა საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებთან საუბარს და კომუნიკაციას მათსა და გ. ა-ას შორის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გ. ა-ისთვის ჩამორთმეული საქონლის ლირებულების, სახეობისა და რაოდენობის გათვალისწინებით, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, საქალაქო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოდეგის 2017 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა გ. ა-ამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით გ. ა-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგის 2017 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; გ. ა-ას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი სსიპ შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 15 ნოემბრის სამართალდარღვევის ოქმი №..., სსიპ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 19 აპრილის №... ბრძანება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2016 წლის 12 აგვისტოს №12952/2/16 გადაწყვეტილება და მოპასუხე სსიპ შემოსავლების სამსახურს დაევალა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალურ აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამცემა კანონით დადგენილ ვადაში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს საგადასა-

ხადო კოდექსის 207-ე მუხლის „ს“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, საბაჟო ზედამხედველობა არის შემოსავლების სამსახურის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია საქონლის მიმართ სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების დაცვა, ხოლო „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, საბაჟო კონტროლი არის შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული ცალკეული მოქმედებები, რომელთა მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა.

ამავე კოდექსის 43-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს ეკისრება ამ კოდექსით ან/და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსანინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა. საგადასახადო სამართალდარღვევისათვის პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლითა და წესით. ამავე კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის მიხედვით კი, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მაღლულად – ინვესტიციებული პირის (ამ მუხლის მე-14 ნაწილით გათვალისწინებულის გარდა) დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ღირებულების 100 პროცენტის ოდენობით, ან ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2015 წლის 15 ნოემბერს სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ გ. ა-ას მიმართ შედგენილია საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი №..., რომლითაც მოსარჩევე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე, დაჯარიმდა 4 795,83 ლარით. მოსარჩევე სადაცვოდ ხდის მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, განმარტავს, რომ ჩანთის დათვალიერებისას შეიღი მის დაუკითხავად პასუხობდა კითხვებზე, მიუთითებს თარჯიმნის მოუწვევალობაზე და აღნიშნავს, რომ ოქროს სამკაულები იყო პირადი საკუთრება, რომლებიც უსაფრთხოების მიზნით შეინახა ჩანთაში, რაც

ალარ ახსოვდა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მართალია, საბაჟო ორგანო გ. ა-ას მიმართ სანქციის დაკისრებისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, თუმცა მის მიერ არ იქნა გათვალისწინებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის მოთხოვნები, რომლის შესაბამისადაც, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა, არამედ უნდა იქნეს გათვალისწინებული საჯარო და კერძო ინტერესი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიმართ სანქციის შეფარდებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაირღვა საჯარო და კერძო ინტერესთა პროპორციულობა, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრებს გარკვეულ უფლებამოსილებას, საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები. ამრიგად, მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაცული იყოს კერძო სუბიექტური ინტერესი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილით განსაზღვრულია სანქციის შეფარდების სახეები ერთობლიობაში ან განცალკევებულად, რაც უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას ყოველ კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილება მიიღოს ამ საქმეზე არსებული გარემოებებისა და მტკიცებულებების გონივრული და ჯეროვანი შეფასების შედეგად. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მნიშვნელოვანია დისკრეციული უფლებამოსილება გამოყენებულ იქნეს ისე, რომ დაცულ იქნეს სამართლდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანები, რათა არ იქნეს დაუსაბუთებლად შეზღუდული მოქალაქეთა უფლებები და ინტერესები. მართალია, აღნიშნული ნორმა ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში აძლევს უფლებას, თავად შეარჩიოს მისაღები სანქცია, მაგრამ ეს არ გულისხმობს იმას, მას შეუძლია გადაწყვეტილება მიიღოს დაუსაბუთებლად. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, თავის საქმიანობაში აბალანსებდეს საჯარო და კერძო ინტერესებს და რომელიმე მათგანს გაუმართლებელ პრივილეგიას არ უნდა ანიჭებდეს, ვინაიდან თითოეული ადამიანის ინტერესი არა-ნაკლებ ფასეულია, ვიდრე სახელმწიფოსი.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სახდელის დაკისრებისას მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული მისი პროპორციულობა და თანაზომიერება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი, სამართალდარღვევის სიმძიმე, სამართალდარღვევის ჩამდენის პიროვნება, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს გამოყენებული სანქციის ადევატურობას.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საგადასა-ხადო სამართალდარღვევის №... ოქმზე, რომლითაც ირკვევა, რომ 2015 წლის 15 ნოემბერს 12:00 საათზე, საბაჟო გამშვებ პუნქტ „ლა-გოდების“ ტერიტორიაზე აზერბაიჯანის მხრიდან შევიდა „...“ მარკის მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლის დათვალი-ერების დროს ავტომობილის სალონში აღმოჩენილ იქნა ხელჩანთა. მძღოლმა განაცხადა, რომ ხელჩანთა ეკუთვნოდა მის ერთ-ერთ მგზავრს. ხელჩანთის მფლობელი აღმოჩნდა რუსეთის მოქალაქე გ. ა-ა, რომელიც შვილთან – ა. ა-თან ერთად ფეხით კვეთდა საზღვარს. მგზავრებმა განაცხადეს, რომ მათ არ ჰქონდათ დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონელი. ხელჩანთის დასაკანერების შედეგად აღმოჩენილ იქნა არადეკლარირებული ძვირფასი ლითონის ნაკეთობები (ოქრო – 91,91 გრამი, ვერცხლი – 10,87 გრამი), რომლის საბაჟო ღირებულებამ, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გაფორმების მთავარი სამმართველოს საბაჟო ღირებულებისა და საქონლის კლასიფიკაციის სამმართველოს №011803 ექსპერტის დასკვნის მიხედვით, შეადგინა 4 795,83 ლარი. ასევე დადგენილია, რომ აპელანტისგან ინფორმაციას იღებდნენ მისი შვილის საშუალებით, რომელიც მოხსენიებულია აქტებში, როგორც დამსწრე. თავად აპელანტს კი არ ჰქონდა შესაძლებლობა თავად მიენოდებინა ინფორმაცია, ვინაიდან არ ფლობდა ქართულ ენას და სურდა ეთქვა, რომ აღნიშნული ნივთები მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია კანონის მოთხოვნათა დაცვით, რადგან იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტი რუსეთის მოქალაქეა, მან არ იცის ქართული ენა, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს საბაჟო კოდექსის 78-ე მუხლის ბოლო ნინადადება იმის თაობაზე, რომ უცხო ქვეყნის მგზავრი უფლებამოსილია, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით. ოქმით ვერ დგინდება თარჯიმნის სახით იყო თუ არა მოწევული მოჩერე, ასევე აღნიშნული ოქმი შედგენილია ქართულ ენაზე, ხოლო აპელანტი ხელს აწერს არაქართულ ენაზე, მისი ახსნა-განმარტება საქმეში წარმოდგენილი არ არის. იმ

პირობებში, როდესაც ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა თარ-ჯიმნის მონაწილეობის გარეშე, დარღვეულია მოსარჩელის უფლე-ბა, მისთვის გასაგებ ენაზე განმარტებულიყო მისი უფლებები.

სააპელაციო სასამართლომ, ასევე, ყურადღება გაამახვილა სა-გადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილზე რომლის თა-ნახმად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალუ-ლად – იწვევს ვალდებული პირის (ამ მუხლის მე-14 ნაწილით გათ-ვალისწინებულის გარდა) დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ღირე-ბულების 100 პროცენტის ოდენობით, ან ამ საქონლის ან/და სატ-რანსპორტო საშუალების ჩამორთმევას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ოქმის მიხედვით ირ-კვება, რომ აპელანტის ხელჩანთა აღმოჩენილ იქნა ავტომობილის სალონში დათვალიერების შედეგად. საქმის მასალებით არ დასტურ-დება, რომ ავტომანქანაში სამალავის, ანუ მანქანის კონსტრუქცი-ით გაუთვალისწინებული, არაქარხნული, კუსტარულად დამზადე-ბული დახურული სიგრაფის მოწყობა საქონლის ფარული გადაზიდ-ვისათვის მოწყობილი იყო. სალონში მოთავსებულ ხელჩანთაზე უთითებს თავად აღნიშნული ოქმის №... შინაარსიც. სამალავის არ-სებობა, როგორც ერთ-ერთი ფაქტობრივი გარემოება, არ დასტურ-დება ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს მიერ და არ არის დადგენილი ავტომანქანაში მისი მოწყობის ადგილი, ქარხნულ პა-რამეტრებში შეტანილი ცვლილებების არსებობა. ამასთან, ვინაი-დან აპელანტი არ ფლობდა ქართულ ენას და ვერ შედგა კომუნიკა-ცია ორგანოსა და აპელანტის შორის, დაუსაბუთებელია იმის მტკი-ცება, რომ რაიმეს განზრახვას ჰქონდა ადგილი, მოცემულ შემთხვე-ვაში კი, განზრახ წივთების დამალვის ფაქტს. ამდენად, სააპელა-ციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის აღნიშნული გარემოება არ არის ზედმინერებით და ობიექტურად შესწავლილი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხ-ლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლე-ბამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარე-მოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრა-ციული წარმოების დროს. ამავე კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ად-მინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნე-ლობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია, ინდივიდუ-ალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას სა-

ფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ ჯეროვნად არ გამოიკვლია საქმის გარემოებები და ისე მიიღო გასაჩივრებული გადაწყვეტილება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი-სა და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება, კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება, მათ შორის, გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა-შეფასების გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადაც საკითხის გადაუწყვეტ-ლად ბათილად ცნოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი. სასამართლო ამ გადაწყვეტილებას იღებს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისათვის არსებობს მხარის გადაუდებელი კანონიერი ინტერესი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ შესრულდეს კანონის მოთხოვნა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს კანონშესაბამისი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მნიშვნელოვანი და სავალდებულო წინაპირობაა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების გამოკვლევა, გაანალიზება, შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება ამ გარემოებათა ურთიერთშეჯერების ასევე მათი შეფასების შედეგად განხორციელდეს, იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ადმინისტრაციული ორგანოს დაუსაბუთებელი დასკვნის გაკეთება.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სადაც საკითხის გადაუწყვეტლად სსიპ შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 15 ნოემბრის სამართალდარღვევის ოქმის №..., სსიპ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 19 აპრილის №... ბრძანების, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2016 წლის 12 აგვისტოს №12952/2/16 გადაწყვე-

ტილების ბათილად ცნობის საფუძველები, ვინაიდან ისინი გამოცემული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, ამასთან, არსებობდა მოსარჩელის კანონიერი ინტერესიც.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს სსიპ შემოსავლების სამსახურმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომლებმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

კასატორი – სსიპ შემოსავლების სამსახური აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების დასაბუთებისას სააპელაციო სასამართლოს მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტსა და მე-7 მუხლთან მიმართებით განვითარებული მსჯელობა მხოლოდ ზოგადი ხასიათისაა, სასამართლო მხოლოდ ზოგადად განმარტავს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების კანონით დადგენილ წესებსა და ფარგლებს, თუმცალა არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ამ წესების დარღვევა. კასატორის განმარტებით, კანონის შეფარდებისას აუცილებელია ამ კანონის განმარტება და მისი მისადაგება საქმის ფაქტობრივი გარემოებებისათვის. სააპელაციო სასამართლო მხოლოდ ახსნა-განმარტებით შემოიფარგლა და მისი ეს განმარტება ვერაფრით ვერ იქნა დაკავშირებული საქმის გარემოებებთან. კასატორისათვის გაუგებარია, რა კავშირი აქვს სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას სადაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებთან. სასამართლო არათუ არასრულად, არამედ საერთოდ არ ასაბუთებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არასწორად იქნა გამოყენებული დისკრეციული უფლებამოსილება, რაც შეუძლებელს ხდის მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმებას.

კასატორი თარჯიმნის მოუწვევლობასთან მიმართებით განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საბაჟო კოდექსის 78-ე მუხლად მითითებული ნორმის შინაარსს ნამდვილად შეიცავდა საბაჟო კოდექსი, თუმცა არა 78-ე, არამედ მე-80 მუხლი. ამასთანავე, კანონი, რომელსაც სააპელაციო სასამართლო იყენებს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 310-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ძალადაკარგულია 2011 წლის პირველი იანვრიდან.

კასატორი აგრეთვე მიუთითებს, რომ დღეის მდგომარეობით, საგადასახადო კანონმდებლობაში არ არის მითითება თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობის უფლებაზე, თუმცა ადმინისტრაცი-

ული სამართალდარღვევებათა კოდექსის 252-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით. უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, საგადასახადო სამართალდარღვევა განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სპეციალურ სახეს, შესაბამისად, თუ საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის განსაკუთრებული წესები, საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოების მიმართ სრულად გავრცელდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემოსავლების სამსახური არ უარყოფს, რომ სამართალდამრღვევ პირს უფლება აქვს ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით. თუმცალა, საპატიო სასამართლოს მიერ აღნიშნული უფლების განმარტება არასწორი და დაუსაბუთებელია და ენინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას.

კასატორის მითითებით, წარმოების მასალებით დასტურდება და უდავოა ის გარემოება, რომ საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენისას, ასევე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დავების განხილვისას გ. ა-ას არ მოუთხოვია თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობა. თარჯიმნის მომსახურების მოთხოვნაზე მოსარჩელის პრეტენზია არ ფიქსირდება არც სამართალდარღვევის ოქმში გაკეთებულ შენიშვნაში. ამასთან, თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობა წარმოადგენს სამართალდამრღვევი პირის უფლებას, რომლის რეალიზებაც ხდება მხოლოდ მისი მოთხოვნის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს თარჯიმნის თავისი ინიციატივით მოწვევას კანონი არ ავალდებულებს.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმიდან ნათლად ირკვევა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოება ჩატარდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით და საქმისწარმოების პროცედურები, ისევე, როგორც ოქმის შინაარსი, სრულად ცნობილი იყო გ. ა-ასათვის. მის მიერ ოქმში რუსულ ენაზე გაკეთებული შენიშვნა ცხადყოფს, რომ საგადასახადო სამართალდარღვევის შინაარსი ამომწურავად იყო ცნობილი სამართალდამრღვევი პირისათვის. ამასთან, კასატორის მითითებით, აღსანიშნავია ისიც, რომ გ. ა-ას ხელი აქვს მოწერილი მხოლოდ ოქმის ჩამპარებებით პირის გრაფაში, ხოლო სამართალდამრღვევი პირის გრაფაში იგი ხელს არ აწერს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ოქმის თითოეული პუნქტის შინაარსი მისთვის ზედმინერვით იყო განმარტებული და ცნობილი.

კასატორი – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მიუთითებს

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილზე, რომლის თანახმად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადატანა ან გადმოტანა საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად – ინვევს ვალდებული პირის (ამ მუხლის მე-14 ნაწილით გათვალისწინებულის გარდა) დაჯარიმებას საქონლის საბაჟო ლიკებულების 100 პროცენტის ოდენბით, ან ამ საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევას.

კასატორი აღნიშნავს, რომ ამავე კოდექსის 215-ე მუხლის დადგენილია საქონლის შემოტანის, გატანის და გაფორმების წესები, რომლის მიხედვით, საქონელი საბაჟო ზედამხედველობას ექვემდებარება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან გაფორმების დასრულებამდე. საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანამდე ან შემოტანილი საქონლის წარდგენისას ხორციელდება ზოგადი დეკლარირება.

კასატორის მითითებით, ამავე კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ საქონლის გაფორმების მიზნით წარდგენილი უნდა იქნეს საბაჟო დეკლარაცია, რომლის საფუძველზე-დაც განისაზღვრება სასაქონლო ოპერაცია. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, რეგისტრაციის დღიდან საბაჟო დეკლარაცია არის იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამასთან, კასატორი მიუთითებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის მე-2 მუხლზე, რომლის თანახმად, საქონელი, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის მომენტიდან, ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას და შესაბამისად, სავალდებულოა მისი წარდგენა ამ მუხლით დადგენილი წესით. ამავე დროს საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის წარდგენის ვალდებულება აქვს საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამაადგილებელ პირს. ამავე ინსტრუქციის 21-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, ფიზიკურ პირს დეკლარირების ვალდებულება წარმოეშობა ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი საქონლის შემოტანისას/გატანისას.

კასატორი ყურადღებას ამახვილებს მოსარჩელის განმარტებაზე, რომლის თანახმად, ოქროს ნაკეთობები არის მოქალაქის საკუთრება, რომელიც მოქალაქემ მგზავრობისას მოიხსნა და ხელჩანთაში შეინახა. მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია არადეკლარირებული საქონლის შემოტანის ფაქტს.

კასატორი აღნიშნავს, რომ გ. ა-ას საქართველოში შემოსვლი-

სას არ განუცხადებია დასადეკლარირებელი საქონლის თაობაზე. არადეკლარირებული საქონელი (ოქროს და ვერცხლის ნაკეთობები) აღმოჩენილ იქნა ხელბარგის შემოწმების დროს. ამასთან, გ. ა-ა პერიოდულად კვეთს საზღვარს საბაჟო გამშვები პუნქტების „ლაგოდების“ და „ყაზბეგის“ გავლით, კერძოდ, 2015 წელს მას 7 კვეთა აქვს განხორციელებული. შესაბამისად, მისთვის ცნობილი იყო საბაჟო პროცედურების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი მიუთითებს, რომ გ. ა-ა ვალდებული იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ინსტრუქციის 21-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მოხსდინა საქონლის დეკლარირება.

რაც შეეხება ქართული ენის არცოდნის საკითხს, კასატორი განმარტავს, რომ საგადასახადო კოდექსის 207¹-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, მართალია, დეკლარირება ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზულში აგრეთვე აფხაზურ ენაზე, მაგრამ შესაძლებელია დეკლარირებაც და სხვადასხვა საბაჟო პროცედურებიც შესრულდეს უცხოურ, მათ შორის, რუსულ და ინგლისურ ენებზე. შესაბამისად, გ. ა-ას სრული შესაძლებლობა ჰქონდა, საკუთარი სურვილისამებრ მისთვის მისაღებ ენაზე განხხორციელებინა საბაჟო პროცედურები და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ისეთ ენას გამოიყენებდა, რომელიც უცნობი იყო საბაჟო ორგანოებისათვის, მას მოსთხოვდნენ ქართულ ენაზე თარგმანს. აღნიშნული კი მას არ განუხორციელებია. ასევე, მასსა და საბაჟო ორგანოებს შორის კავშირს უზრუნველყოფდა მისი შვილი, რომელიც მას საქმის კურსში აყენებდა, ხოლო თარჯიმანი მას არ მოუთხოვია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 4 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად ნარმოებაში იქნა მიღებული სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქასაციო საჩივრები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 3 სექტემბრის განჩინებით სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მათი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასა-

ციონ საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გა-დაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შე-დეგად მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქარ-თველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკ-მაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ად-მინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 თებერვლის გა-დაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომ-ლითაც გ. ა-ას სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2015 წლის 15 ნოემბერს სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტ „ლაგოდეხის“, მიერ გ. ა-ას მიმართ შედგენილია საგადასახადო სამართალდარ-ლვების ოქმი №.... საგადასახადო სამართალდარლვევის ოქმის მი-ხედვით, 2015 წლის 15 ნოემბერს 12:00 საათზე, საბაჟო გამშვებ პუნქტ „ლაგოდეხის“ ტერიტორიაზე აზერბაიჯანის მხრიდან შევი-და „....“ მარკის მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომლის დათვალიერების დროს ავტომობილის სალონში აღმოჩენილ იქნა ხელჩანთა. მძღოლმა განაცხადა, რომ ხელჩანთა ეკუთვნოდა მის ერთ-ერთ მგზავრს. ხელჩანთის მფლობელი აღმოჩნდა რუსეთის მოქალაქე გ. ა-ა, რომელიც შვილთან – ა. ა-თან ერთად ფეხით კვეთ-და საზღვარს. მგზავრებმა განაცხადეს, რომ მათ არ ჰქონდათ დეკ-ლარიორებას დაქვემდებარებული საქონელი. ხელჩანთის დასკანე-რების შედეგად აღმოჩენილ იქნა არადეკლარირებული ძვირფასი ლითონის ნაკეთობები (ოქრო – 91,91 გრამი, ვერცხლი – 10,87 გრა-მი), რომლის საბაჟო ლირებულებამ, შემოსავლების სამსახურის სა-ბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გაფორმების მთავარი სამმართვე-ლოს საბაჟო ლირებულებისა და საქონლის კლასიფიკაციის სამმარ-თველოს №011803 ექსპერტის დასკვნის მიხედვით, შეადგინა 4 795,83 ლარი. შედეგად, გ. ა-ა, საქართველოს საგადასახადო კო-დექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე, დაჯარიმდა 4 795,83 ლარით. გ. ა-ა სამართალდარლვების ოქმს არ დაეთანხმა და განმარტა, რომ ჩანთის დათვალიერებისას შვილი მის დაუკითხა-ვად პასუხობდა კითხვებზე, ხოლო მას, ხანგრძლივი მგზავრობით დალლილს, დაავინაყდა ოქრო რომ არ ეკეთა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს საგადასა-ხადო კოდექსის პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, ეს კოდექსი საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად განსაზღვრავს საქარ-თველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონი-რების ზოგად პრინციპებს, ანესრიგებს საქართველოს საბაჟო საზ-ღვარზე მგზავრის, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალების გა-დაადგილებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს,

სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის, გადასახადის გადამხდელისა და უფლებამოსილი ორგანოს სამართლებრივ მდგომარეობას, განსაზღვრავს საგადასახადო სამართლდარღვევის სახეებს, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას, უფლებამოსილი ორგანოსა და მისი თანამდებობის პირების არამართლზომიერ ქმედებათა გასაჩივრების წესს, არეგულირებს საგადასახადო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 207-ე მუხლის „ს“ ქვეპუნქტის მიხედვით, საბაჟო ზედამხედველობა არის შემოსავლების სამსახურის მიერ გასატარებელ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია საქონლის მიმართ სავაჭრო პოლიტიკის ღონისძიებების დაცვა, ხოლო „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, საბაჟო კონტროლი არის შემოსავლების სამსახურის მიერ განხორციელებული ცალკეული მოქმედებები, რომელთა მიზანია საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანასა და საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 215-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, საქონლის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანა/საბაჟო ტერიტორიიდან გატანა ხორციელდება საბაჟო გამშვები პუნქტის ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრული სხვა ადგილის გავლით და, შესაბამისად, სავალდებულო მისი წარდგენა. ეს ვალდებულება არ ვრცელდება მილსადეზით ან ელექტროგადამცემი ხაზით, საზღვაო ან საპარკო სატრანსპორტო საშუალებით საქართველოს ტერიტორიული წყლების ან საპარკო სივრცის გავლით გადაადგილებულ საქონელზე. საქონელი საბაჟო ზედამხედველობას ექვემდებარება საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან გაფორმების დასრულებამდე, ხოლო მიზნობრივი დანიშნულებით გაფორმებისას – საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანიდან მიზნობრივი დანიშნულების დასრულებამდე. საქალაქო სასამართლოს აღნიშვნით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემოტანამდე ან შემოტანილი საქონლის წარდგენისას ხორციელდება ზოგადი დეკლარირება, ხოლო მე-5 ნაწილის მიხედვით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან საქონლის გატანამდე ხორციელდება ზოგადი დეკლარირება.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 215-ე მუხლის მე-10 ნაწილზე, რომლის თა-

ნახმადაც, საქონლის წარდგენისა და გაფორმების ვალდებულება ეკისრება დეკლარანტს ან/და საქონლის მფლობელს. ამავე კოდექსის 218-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საქონლის გაფორმების მიზნით წარდგენილი უნდა იქნეს საბაჟო დეკლარაცია, რომლის საფუძველზედაც განისაზღვრება სასაქონლო ოპერაცია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 227-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქონლის გაფორმებისას გამოიყენება შემდეგი სასაქონლო ოპერაციები: იმპორტი; ექსპორტი; რეექსპორტი; ტრანზიტი; საწყობი; თავისუფალი ზონა; დროებითი შემოტანა; შიდა გადამუშავება; გარე გადამუშავება. მითითებული მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით, საქონლის გაფორმებისას ხორციელდება დეკლარირება. საქონლის გაფორმებისას, სასაქონლო ოპერაციის პირობების შესაბამისად, წარმოიშობა კუთვნილი გადასახდელების გადახდის ან/და გარანტიის წარდგენის ვალდებულება. ამავე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით კი დადგენილია, რომ გადასახდელების გადახდის ან/და გარანტიის წარდგენის ვალდებულება ეკისრება დეკლარანტს ან საქონლის მფლობელს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასაქონლო ოპერაციებში საქონლის მოქცევისა და სასაქონლო ოპერაციების გამოიყენების წესებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. კერძოდ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 26 ივლისის №290 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის“ მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საქონელი, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანის მომენტიდან, აგრეთვე საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონელი გაფორმების დასრულების მომენტიდან, ექვემდებარება საბაჟო ზედამხედველობას და, შესაბამისად, სავალდებულოა მისი წარდგენა ამ მუხლით დადგენილი წესით. საბაჟო გამშვებ პუნქტში საქონლის წარდგენის ვალდებულება აქვს საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადამაადგილებელ პირს.

ამავე ინსტრუქციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლის ზოგადი დეკლარირება ხორციელდება საბაჟო გამშვებ პუნქტში, სასაზღვრო კონტროლის განხორციელების დასრულებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, ხოლო გაფორმების ეკონომიკური ზონის დანიშნულებით სხვა სატრანსპორტო საშუალებით (მათ შორის, კონტეინერით) გადაადგილებული ან საბაჟო დეპარტამენტის საქონლის გაფორმების სამმართველოს დანიშნულებით სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული, საგარეო-ეკონომიკური საქმი-

ანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (შემდგომში – სეს ეს 8701, 8702, 8703, 8704, 8705 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების (რომლის შიგანვის ძრავას ცილინდრის მუშა მოცულობა 50 სმ³-ზე მეტია, ხოლო ელექტროძრავას შემთხვევაში – მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია) ან 8716 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული მისაბმელის და ნახევრადმისაბმელის ზოგადი დეკლარირება ხორციელდება გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ან საბაჟო დეპარტამენტის საქონლის გაფორმების სამმართველოში, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში ინფორმაციის ასახვისას. მითითებული მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ზოგადი დეკლარირება ნიშნავს საქონელზე იმ ზოგადი მონაცემების ნარდგენას, რომლებიც აუცილებელია საბაჟო ზედამხედველობისა და საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის, ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად, ზოგად დეკლარირებას ახორციელებს: ა) საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის შემომტანი ან საქონლის ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი; ბ) საქონლის მესაკუთრე ან მისა წარმომადგენელი.

საკასაციო სასამართლო აგრეთვე მიუთითებს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის მე-19 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, საქონლის ნარდგენისა და გაფორმების ვალდებულება ეკისრება დეკლარანტს/ საქონლის მფლობელს. ამავე ინსტრუქციის 21-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით, საქონლის დეკლარირება შესაძლებელია საბაჟო დეკლარაციის ნარდგენით, ზეპირად ან კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საშუალებით. საბაჟო დეკლარაციის ნარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ან წერილობითი ფორმით. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ფიზიკურ პირს დეკლარირების ვალდებულება წარმოეშობა: ა) ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი საქონლის შემოტანისას/გატანისას; ბ) თუ მის შემოტანილი საქონლის რაოდენობა ან/და ღირებულება აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ა“, „დ.ბ“, „დ.გ“, „დ.ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებას, ან თუ საფოსტო გზავნილით შემოტანილი საქონელი იძეგრება/არ არის გათავისუფლებული იმპორტის გადასახდელებისაგან, ან/და საქონლის შემოტანა შეზღუდულია ან/და საქონლის შემოტანისათვის საჭირო ნებართვა ან ღიცენზია; გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის შემოტანისას; დ) სა-

ქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებულ ნალდ ფულზე (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკებსა ან/და სხვა ფასიან ქალალდებზე, რომელთა ჯამური ოდენობა აღემატება 30 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში. ე) ელექტრონული შესყიდვის გზით შეძენილი საქონლის საფოსტო გზავნილით შემოტანისას.

აღნიშნული ინსტრუქციის 49-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია (დანართი №XI-01) იქსება საბაჟო გამშვებულებების დეკლარაციის მე-3 ნაწილში მითითებული საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე ბარგით ან/და ხელბარგით გადაადგილებისას, ფიზიკური პირის მიერ ან საბაჟო გამშვები პუნქტის თანამშრომლის მიერ სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ფიზიკური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაცია ივსება ფიზიკური პირის სურვილისამებრ – ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე. გაურკვევლად შევსებული დეკლარაცია საგადასახადო ორგანოს მიერ არ მიიღება.

ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, №XI-02 დანართის შესაბამისად შევსებული „დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა“ (შემდგომში – ნუსხა) თან ერთვის ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციას შემდეგ შემთხვევებში: ა) ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილი ან/და იმპორტის გადასახდელებით დაუბეგრავ რაოდენობასა და ლირებულებაზე მეტი საქონლის გადაადგილების შემთხვევაში (როგორც საქონლის საქართველოში შემოტანის, ასევე ტრანზიტით გადაადგილების დროს), გარდა ამ საქონელზე გამარტივებული საბაჟო დეკლარაციის ან ფიზიკური პირის საქონლის საბაჟო დეკლარაციის წარდგენის შემთხვევებისა; ბ) 15 000 ლარზე ნაკლები საბაჟო ლირებულების საქონლის საქართველოდან გატანის დროს, გარდა ამ საქონლის გამარტივებული საბაჟო დეკლარაციით ან სასაქონლო ზედნადების/ხე-ტყის სასაქონლო ზედნადების წარდგენით დეკლარირების შემთხვევისა; გ) ბარგით ან ხელბარგით გადაადგილებული საქონლის დროებითი შემოტანის სასაქონლო ოპერაციაში (იმპორტის გადასახდელებისაგან სრულად გათავისუფლებით) მოქცევისას; დ) იმ შემთხვევაში, როდესაც პირის მიერ ერთდროულად გადაადგილდება „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონელი, იქსება 2 ნუსხა – ცალ-ცალკე. ე) როდესაც საქართველოში მუდმივად საცხოვრებლად შემომსვლელი პირი „ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციაში“ აცხადებს მის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ე.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული იმ საქონლის შემოტანის განზრახვის თაობაზე, რომელიც მასთან ერთად არ გადაადგილდება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს საბაზო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისას საქონლის მფლობელი ვალდებულია, ერთი მხრივ, შეცნობილი ჰქონდეს, ხოლო, მეორე მხრივ, დაიცვას საბაზო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ საბაზო საზღვარზე საქონლის შემოტანისას საქონლის მფლობელი ვალდებულია, საბაზო დეპარტამენტისათვის შესაბამისი ინფორმაციის სრულყოფილი წარდგენით უზრუნველყოს საბაზო კონტროლისა და ზედამხედველობის უფლებური განხორციელებისათვის ხელის შეწყობა. აღნიშნული ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება თუ შეუსრულებლობა საფრთხეს უქმნის საბაზო გამშვებ პუნქტში შესაბამისა უფლებამოსილი ორგანოების მიერ საბაზო კონტროლისა და ზედამხედველობითი ფუნქციების შესრულებას, ხოლო, თავის მხრივ, საბაზო საზღვარზე საქონლის გადატანა/გადმოტანა საბაზო კონტროლის გვერდის ავლით/მისგან მალულად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, ინვენს ვალდებული პირის დაჯარიმებას საქონლის საბაზო ლირებულების 100 პროცენტის ოდენობით.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ საქონლის წარდგენას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სავარაუდოდ კუთვნილი გადასახდელების განსაზღვრასთან მიმართებით. კერძოდ, წარდგენილი საქონლის გაფორმების მიზნით საქონლის მფლობელის/დეკლარანტის მიერ ხორციელდება საბაზო დეკლარაციის წარდგენა, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრას და შემდგომში სასაქონლო ოპერაციის პირობების შესაბამისად, კუთვნილი გადასახდელების გადახდის ან/და გარანტიის წარდგენის ვალდებულების წარმოშობას. ამასთან, გადასახდელების გადახდის ან/და გარანტიის წარდგენის ვალდებულება ეკისრება დეკლარანტს ან საქონლის მფლობელს. განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით, გამომდინარე იქიდან, რომ საქონლის მფლობელს და მის გადამადგილებელ პირს გ. ა-ა წარმოადგენდა, სასაქონლო ოპერაციის შერჩევა და მასში საქონლის მოქცევა სწორედ მას ევალებოდა.

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მოსარჩელის მითითებაზე, რომ ოქროს სამკაულები არ იყო განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის, იგი ატარებდა ამ სამკაულებს, თუმცადა უსაფრთხოების მიზნით ისინი ჩანთაში შეინახა და საბაზო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გადამოწმებისას არ აღნიშნა სამკაულების თაობაზე, რადგან დაავინყდა მათი ხელჩანთაში შენახვის ფაქტი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართალწარმოებისას კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში განსაზღვრული ფაქტების დადგენას უკავშირდება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

ამასთან, ამავე კოდექსის 105-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს ნინასნარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, დასადგენია, იყო თუ არა ზემოხსენებული სამკაულები განკუთვნილი კონომიკური საქმიანობისათვის და მათი ხელჩანთაში მოთავსება რამდენად ისახავდა მიზნად საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე საბაჟო კონტროლისაგან მაღლად გადატანას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 207-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პირადი ნივთი არის მგზავრის პირადი გამოყენებისა და მოხმარებისათვის განკუთვნილი საგანი, რომელიც მგზავრის გადაწყვეტისას გადაიზიდება ბარგით ან/და ხელბარგით. ამავე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ბარგი არის მგზავრებისაგან განცალკევებულად გადასაზიდი საგანი; ამავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, ხელბარგი არის მგზავრის მიერ პირადად გადასატანი საგანი.

საკასაციო სასამართლო ზემოხსენებულ ნორმებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ პირადი გამოყენებისა და მოხმარებისათვის განკუთვნილი საგნები განთავსებული უნდა იყოს ბარგში ან ხელბარგში. ამასთან, აუცილებელია, რომ ბარგი მოთავსებული იყოს მგზავრებისაგან განცალკევებულად დაგილებელ პირს და მოთავსებული არ არის მგზავრის ბარგსა თუ ხელბარგში, წარმოადგენს არაპირადი გამოყენების ნივთს, რომელიც ეჭვემდებარება დეკლარირებას. განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით, საკასაციო სა-

სამართლო ყურადღებას ამახვილებს გ. ა-ასათვის ჩამორთმეული საქონლის სახეობასა და რაოდენობაზე და ამ გარემოებათა მხედველობაში მიღების საფუძველზე აღნიშნავს, რომ სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მტკიცებას ჩამორთმეული ნივთების ერთდროულად ტარებასთან დაკავშირებით, რამდენადაც ამ საქონელთა შემადგენლობაში შედის ორი წყვილი საყურე, ასევე, ისეთი ნივთები, რომელთა სხეულზე გაკეთება და ტარება შეუძლებელია, კერძოდ, ოქროს მონეტა და პალსტუხის სამარი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო სამართალდარღვევის ბრალეულად ჩადენის საკითხთან მიმართებით განმარტავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილი აღტერნატიულად იძლევა საბაჟო კონტროლისაგან როგორც მალულად, ასევე, მისი გვერდის ავლით საბაჟო საზღვარზე საქონლის გადმოტანის/გადატანის სახით ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პირის დაჯარიმების შესაძლებლობას. მითითებული მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ერთმანეთისაგან მკეთრად იმიჯნება სამართალდარღვევის ჩადენის ორი აღტერნატიული „გზა“ – საბაჟო კონტროლის გვერდის ავლა და საბაჟო კონტროლისაგან მალულად საქონლის გადმოტანა/გადატანა. შესაბამისად, ერთმანეთისაგან განსხვავებულია ის სამართლებრივი წინაპირობებიც, რომლებიც თითოეულ შემთხვევაში პირის მხრიდან აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენის დროს აუცილებლად უნდა იკვეთებოდეს. კერძოდ, საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით საქონლის გადმოტანის/გადატანის მიმართ პირის განზრახვა გამოხატულია შემოსავლების სამსახურის მიერ განსაზღვრული საბაჟო გამშვები პუნქტების გვერდის ავლით, მათ გარეთ არსებული სივრციდან სახელმწიფო საზღვრის შიგნით ან, პირიქით, საზღვრებს შიგნიდან – გარეთ საქონლის უკანონო გადაადგილების სურვილში, მაშინ, როდესაც საბაჟო კონტროლისაგან მალულად საქონლის გადაადგილების მიმართ არსებული განზრახვა საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, თუმცა მისგან ფარულად, საბაჟო კონტროლისათვის საქონლის გადაადგილების შემჩნევისათვის შემაფერხებელი გარემოებების შექმნის მცდელობით ვლინდება.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოხსენებულ მუხლთან დაკავშირებით გაკეთებული შეფასების საწინააღმდეგოდ, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საბაჟო კონტროლისაგან მალულად საქონლის გადმოტანა/გადატანა არ გულისხმობს მხოლოდ სპეციალური სამალავით, ანუ მანქანის კონსტრუქციით გაუთვალისწინებელი, არაქარხნული, კუსტალურად დამზადებული, საქონლის ფარული გადაზიდვისათვის მოწყობილი სპეციალურად დახურული საშუალებით გადაზიდვას. საბაჟო კონტროლისა-

გან მალულად საქონლის გადაადგილება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ზემოხსენებული სამალავით, ასევე, მის გარეშე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველი სამართალ-დარღვევის მალულად ჩადენა არ გამოიხატება აღნიშნული ქმედების კონკრეტული, სპეციალურად მოწყობილი საშუალებისა თუ საგრის გამოყენებით განხორციელებაში. იგი დაკავშირებულია პირის ბრალეულ ქმედებასთან, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს პირის განზრახვას, საბაჟო კონტროლისაგან მალულად გადააადგილოს საქონლი საქართველოს საბაჟო საზღვარზე, ხოლო, მეორე მხრივ, მის გაუფრთხილებელ ქმედებას, რომლითაც დაირღვა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული საბაჟო პროცედურების მიმართ საჭირო ყურადღებიანობისა თუ გულისხმიერების აუცილებელი მოთხოვნები, რასაც, შედეგად, მოჰყვა პირის მიერ საბაჟო საზღვარზე გაუფრთხილებლობით საქონლის წარუდგენლობა და რასაც შეეძლო პოტენციური საფრთხე შეექმნა საბაჟო ზედამხედველობისა თუ კონტროლის ეფექტური განხორციელებისათვის.

საკასაციო სასამართლო, ასევე, დამატებით აღნიშნავს, რომ დეკლარირების მიზანს საბაჟო საზღვარზე გადასაადგილებელი ქრონების წარდგენა წარმოადგენს. სწორედ აღნიშნული ქმედების ზედმიწევნით განხორციელებაზეა დამოკიდებული საბაჟო კონტროლისა და ზედამხედველობის ეფექტურობის ხარისხიც. შესაბამისად, დეკლარაციის წარუდგენლობა და საბაჟო საზღვარზე საქონლის მალულად გადატანა წარმოშობს საფრთხეს იმისა, რომ ზემოხსენებული ქმედებები ვერ განხორციელდება. აღნიშნული კი, ავტომატურად ქმნის საბაჟო საზღვარზე საქონლის მალულად გადამაადგილებელი პირისათვის საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 207¹ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე, რომელთა მიხედვით, საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული პროცედურები ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში აგრეთვე აფხაზურ ენაზე. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება ან/და საგადასახადო ორგანოში წარსადგენი დოკუმენტების შედგენა შეიძლება უცხოურ ენაზედაც.

საკასაციო სასამართლო თარჯიშინის მოუნგევლობის საკითხთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ შეიცავს მითითებას თარჯიშინის მოწვევის შესაძლებლო-

ბის შესახებ. ამასთან, საქართველოს საბაჟო კოდექსი, რომლის დებულებებსაც ზემოხსენებული საკითხის გადასაწყვეტილებაში ეყრდნობა, საქართველოს სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ეყრდნობა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 310-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ძალადაკარგულად არის გამოცხადებული. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო სამართალდარღვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა რიგს განეკუთვნება, საგადასახადო სამართალდარღვევებთან დაკავშირებული იმ საკითხების მოსაწესრიგებლად, რომლის თაობაზედაც საქართველოს საგადასახადო კოდექსი მითითებას არ შეიცავს, გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დებულებანი. კერძოდ, ხსენებული კოდექსის 252-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადგომატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანადასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დღროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მითითებულ მუხლზე დაყრდნობით განმარტავს, რომ დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება დამსწრის (მოწმის) სახით მონაწილე პირის – გ. ა-ას შვილის, ა. ა-ას თარჯიმნის სტატუსით მიწვევის აუცილებლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლი ითვალისწინებს არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მწარმოებელი ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, უზრუნველყოს საქმეში მონაწილე წარმოების ენის არმცოდნე მხარის თარჯიმნით ალჭურვა, არამედ აღნიშნული თავად საგადასახადო პასუხისმგებაში მიცემული პირის უფლებას წარმოადგენს, რომლის რეალიზებაც, ასევე, მის ნებაზეა დამოკიდებული. ამდენად, თუკი მოსარჩელე საჭიროებდა თარჯიმანს, მას გააჩნდა უფლება მიეთითებინა თარჯიმნის მოწვევის საჭიროებაზე, ხოლო ასეთი მოთხოვნის არარსებობის პირობებში ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნდა ვალდე-

ბულება, დამატებით, პასუხისგებაში მიცემული პირის ნების გამოვლენისაგან დამოუკიდებლად უზრუნველეყო საქმის განხილვაში თარჯიმნის მოწვევა, მით უფრო მაშინ, როდესაც საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებსა და გ. ა-ას შორის კომუნიკაციას ამ უკანასკნელის შვილი – ა. ა-ა უზრუნველყოფდა. ამასთან, საქმის მასალებით არ დგინდება გ. ა-ასათვის თარჯიმნის მოწვევაზე უარის თქმის ან მისი აღნიშნული უფლებით სარგებლობის სხვაგვარი შეზღუდვის არსებობის თაობაზე და ხსენებულს არც თავად მოსარჩელე ხდის სადავონ.

ამდენად, მითითებული გარემოებებისა და განვითარებული მსჯელობის გათვალისწინებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, რომ არსებობდა საკმარისი ფაქტობრივი თუ სამართლებრივი საფუძველი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის დადგნისა, რის გამოც არ არსებობდა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული საპროცესო-სამართლებრივი ღონისძიების გამოყენების საჭიროება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ა-ა სარჩელი სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის 2015 წლის 15 ნოემბრის №... საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის, სსიპ შემოსავლების სამსახურის 2016 წლის 19 აპრილის №... ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს-თან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2016 წლის 12 აგვისტოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და მოპასუხის – სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტისათვის მოსარჩელისათვის ჩამორთმეული საქონლის უკან დაბრუნების დავალების მოთხოვნის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. სსიპ შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. ა-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.